

მ ა ტ ი ა ნ ე

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის
კვლევის ცენტრის კრებული

ЛЕТОПИСЬ

Сборник центра исследований историй, этнографий и фольклора
Ванского района

Chronicle

The Collection of Vani History, Ethnography and Folklore
Research Centre

3560
Вани
Vani
2017 წ.

№10

სარჩევი

1. სოსო მარგიშვილი	3
მიტები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ	
2. ომარ კაკანაძე	20
სამეურნეო საქმიანობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმები ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოებების მიხედვით (გაგრძელება „მატიანე“ №9)	
3. ამირან ნიკოლიშვილი	37
რელიგია და მენშევიკების ხელისუფლებისდროინდელი პრესა	
4. ზია კვაშილავა	50
4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელი...	
5. ოლეგ ალავიძე	53
„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“	
6. ალექო ცინცაძე	60
ქართული ანბანი თანამედროვე სახით (სახელდებით, რიცხვმნიშვნელობითა და დალაგებით) ძველი ნელთალრიცხვის 2200-1000 წლების პერიოდშია შექმნილი	
7. ავთანდილ ნიკოლიშვილი	64
თურქეთში – ჩვენებურებთან	
8. ომარ გაგუნია	71
საუკუნის მშენებლობა ვანში	
9. ალექსანდრე ხურციძე, ტრისტან კალაძე, ომარ კაკანაძე	73
ვანის სასწავლებლები	
10. აპაკი თევზაძე	86
თანამედროვე ვანელი პოეტები	
11. შალვა შარაშენიძე	113
საჯავახოს საკითხი ოდიშ-იმერეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში და მისი გავლენა საჩინოელ (ვანელ) ჩიჯავაძეთა სათავადოზე	
12. როზა დევდარიანი	120
გრიგოლ ხურციძის უცნობი რომანი	
13. მარიამ ნიქარიშვილი	126
სოფელი ბზვანი	
14. მარინა ჭლენტი, ინდირა გოგოძე	132
სოფელი შუამთა	

როგორც კრებულმა „მატიანემ“ (№9) თავის მკითხველს აცნობა მიმდინარე წლის სექტემბერში შესრულდა 955 წელი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქის, თბილისის მტერთაგან განთავისუფლებიდან, ხოლო გასული წლის აგვისტოში შესრულდა 955 წელი დიდგორის სამკვდროსასიცოცხლო ომიდან, რომელსაც ქართული საისტორიო მემკვიდრეობა მოიხსენიებს, როგორც „ძღვენი საკვირველი“ და რომელიც უშუალოდ უკავშირდება ქართველთა გენიალური მეფის დავით აღმაშენებლის უზადო ნიჭიერებას, როგორც უდიდესი პოლიტიკოსისა და მხედართმთავრის შეუმცდარ ქმედუნარიანობას, პიროვნულ სიმამაცესა და გაბედულებას.

როგორც მივუთითეთ ამ მოვლენამ საქართველო დატოვა განვითარების ორიგინალურ, თვითმყოფად ორბიტაზე, საფუძველი დაუდო დაქუცმაცებულ ქართული ტერიტორიალური სივრცის ერთიან, მონოლითურ სახელმწიფოდ შეკვრას, ქვეყნის აღმშენებლობასა და კულტურულ აღმავლობას, რომელსაც ისტორია განვითარების ოქროს ხანად იცნობს. გამომდინარე აქედან, მკითხველს შევთავაზებთ სამხედრო მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, გენერალ-ლეიტენანტ ირაკლი ჯორჯაძის მონოგრაფიიდან (ნარკვევები საქართველოს სამხედრო ხელოვნების ისტორიიდან) ერთი თავი „სამხედრო ხელოვნების განვითარება საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში“.

ამჟამად, ვაგრძელებთ საუბარს იმავე თემაზე, რომ მკითხველმა გაიაზროს და დარწმუნდეს რაოდენ მნიშვნელოვანია ძლიერი სახელმწიფო მოღვაწის, პიროვნების როლი ქვეყნის მტრული ძალებისაგან დაცვის, სახელმწიფო აღმშენებლობის ურთულეს საკითხთა კოორდინირების, პოლიტიკურ, სტრატეგიულ, ოპერატიულ პროცესთა უშეცდომო მართვისა და ამისათვის ეროვნული ენერჯის კონსოლიდაციის საქმეში.

ცხადია, დრო საუკუნეთა მანძილზე შეიცვალა, შეიცვალა ურთიერთობათა ფორმები, მეთოდები, მაგრამ უცვლელი რჩება მართვისა და გაძღოლის ფენომენის ღრმა ცოდნა, წინდახედულება და პოლიტიკური სიმწიფე.

გუბრუნდებით რა დავით აღმაშენებლის თემას, გთავაზობთ ბატონ სოსო მარგიშვილის მონოგრაფიიდან – „მითები და რეალობა დავით აღმაშენებლის მეფობის შესახებ“ (ომი სელჯუკთა სამყაროს წინააღმდეგ) დასკვნით თავებს „ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში“ – „დავით აღმაშენებელი თავისი ეპოქის დიდი მხედართმთავარი“ და ამით პატივსაც მივაგებთ ან უკვე გარდაცვლილი ავტორის ხსოვნას.

ეს თემა შემოგვაქვს იმიტომაც, რომ ომი და საომარი მოქმედება არის სინთეზური ფენომენი, იგი დგას გაცნობიერებულ ეროვნულ მთლიანობაზე, ფსიქიკურ მომზადებაზე, ღრმად შესწავლილ და გათვლილ საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, უპირატესად, მდგრად ეკონომიკაზე, რომლისგანაც გამომდინარეობს საბრძოლო მოქმედებათა წარმატებაც ან წარუმატებლობანი და საჭიროების შემთხვევაში მოდის მოქმედებაში, სადაც გამორიცხულია ილუზორული ხედვები და ნიაღვრეები და კიდევ იმიტომ, რომ გვმართებს დაფიქრება, რადგანაც ბოლო 25 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყანა რამდენჯერმე აღმოჩნდა საომარ დაპირისპირებაში და საუბრები იმაზე, რომ აქ მოქმედებდა გარე იმპერიული ინტერესები, მითუმეტეს გამოვცადეთ სამოქალაქო ომიც, საქმეს ვერ შველის. ომი – ომია და ითხოვს მსხვერპლს ადამიანური რესურსებისას, ინვესტ ეკონომიკის, ნგრევას და საზოგადოებრივ დეპრესიას, ეს ჩვენ ვინ ვინ ვართ, რომ ამ საკითხზე საუბარი არ გავაგრძელოთ. ალბათ, დადგება დრო, როდესაც ამ მოვლენას ობიექტური ისტორია პირუთენელად შეაფასებს.

მონოგრაფიის ავტორის ბატონ სოსო მარგიშვილის სასარგებლოდ უნდა ითქვას ის, რომ იგი პროფესიონალი ისტორიკოსია, 1979-1991 წლებში იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური ცენტრის თანამშრომელი, ალგეთის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის წევრი. 1989-1991 წლებში შავსაყდარა-ენაგეთის არქეოლოგიური რაზმის ხელმძღვანელი. 1991-2005 წლებში მსახურობდა თავდაცვის სამინისტროსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტში, არის აფხაზეთის ომის ვეტერანი, პოლკოვნიკი. გამოქვეყნებული აქვს ორი მონოგრაფია და ოცამდე სამეცნიერო სტატია, მათ შორის რამდენიმე სამხედრო ისტორიის

საკითხებზე. მას საფუძვლიანად აქვს შესწავლილი ქართველი გენიალური მეფის დავით აღმაშენებლის საშინაო, საგარეო, პოლიტიკურ-ეკონომიკური, სამხედრო სტრატეგიულ დროში მოქმედებათა ხედვები, როგორც პროფესიონალი სამხედრო თვითონვე ფლობს საბრძოლო ოპერატიულ-ტაქტიკურ მოქმედებათა ნიუანსებს, რის გამოც მთლიან შეფასებებში აღწევს მაღალი რანგის სამხედრო თეორიტიკოსის დონეს და თხრობას ფაქტთა შეჯერების საფუძველზე დამაჯერებელსა და სანდოს ხდის, ხოლო ანალიზი მას წარმოაჩენს (ეს ჩანს მონოგრაფიიდან), სამხედრო-სტრატეგიულ საქმეში საფუძვლიანად ჩახედულ პიროვნებად, რაც ასახულია ნაშრომის ხარისხზედაც. ცხადია შეიძლება იყოს სხვა მოსაზრებაც, მაგრამ ნაშრომის ობიექტურ შეფასებას ჩვენ ამ დასკვნამდე მივყავართ.

უნდა გავიმეორო წიგნის რედაქტორის, ცნობილი არქეოლოგის (ისტორიკოსის) პროფესორ იულონ გაგოშიძის შეფასების მცირე მონაკვეთი: „თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი წიგნი დავით აღმაშენებლის სამხედრო-პოლიტიკური მოღვაწეობის შესახებ აქამდე არ დაწერილა, მისი ავტორი, რომელსაც დღემდე არქეოლოგად ვიცნობდი, ახლა შუასაუკუნეების ომებისა და სამხედრო ხელოვნების სესანიშნავ მცოდნედ მოგვევლინა“.

ამდენად ვაცნობიერებთ რა, დღევანდელ ცვალებად დროში, ღირებულებათა გადაფასების (ზოგჯერ დაგეგმილის) შეუწელებელ ტემპს. მიგვაჩნია, რომ ეროვნულ პატრიოტულ ღირებულებათა წარმოჩინება, ქართველ მამულიშვილთა საარაკო თავდადება, სამშობლოსა და ერის მთლიანობისათვის ბრძოლის პროცესში საჭიროებს თანმიმდევრულ და უწყვეტ საუბრებს, რომ მომავალმა თაობებმა კარგად გაიაზრონ ვისი გორისანი არიან, საიდან მოდიან და საით მიდიან.

ამასთან, ვანის რაიონის ოსტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრი მადლიერებას გამოხატავს ბატონ სოსო მარაგვილის ოჯახისადმი „კვლევის ცენტრისადმი“ დახმარებისა და თანაგრძნობისათვის.

მზარ კაპანაძე

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

ავტორისა და წიგნის შესახებ

სოსო მარაგვიანი მე დიდი ხნის წინ, XXს-ის 70-იანი წლების ბოლოს გავიცანი. იგი რამდენადმე უმცროსი იყო ჩემზე და გაცნობისთანავე მივხვდი, რომ ჩემს წინაშე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული ადამიანი იდგა. ძალიან მალე დავმეგობრდით და საკუთარ მოსაზრებებსაც დიდი მონდომებით ვუზიარებდით ერთმანეთს.

იგი შესანიშნავი მეგობარი იყო, ყოველთვის მზადმყოფი აღესრულებინა მეგობრობის, როგორც საკაცობრიო ფენომენის ყველა დაუნერული კანონი და ამასთანავე, როგორც ყოველი ნიჭიერი ადამიანი, იუმორის უბადლო უნარს ფლობდა.

თავისი კარიერა მან არქეოლოგიით დაიწყო და არაერთი პროფესიონალური პუბლიკაცია მიუძღვნა თავისსავე ხელმძღვანელობით ჩატარებულ გათხრებს.

ბუნებითა და აზროვნების სისტემით იგი ანალიტიკოსი იყო და ნამდვილად არ გამკვირვებია, როცა სამხედრო კარიერა აირჩია თავისი მოღვაწეობის ასპარეზად. 1990 წლებში, იმ ურთულეს პერიოდში, როცა საქართველოსათვის გამოსავალს თითქმის ვერავინ ხედავდა, სოსო მარაგვიანი იბრძოდა და თანაც არაერთ ფრონტზე. იგი მამაცი ადამიანი იყო.

რამდენიმე წლის მანძილზე მე ის თვალთახედვიდან დამეკარგა. მის შესახებ თითქმის აღა-

რაფერი ვიცოდი მანამდე, სანამ თვითონ არ დამირეკა. ჩემს ბინაში შევხვდით ერთმანეთს. მან მე და ჩემს ცოლს, არქეოლოგ მარინე ფირცხალავას გაგვიზიარა თავისი მომავალი, ფუნდამენტური ნაშრომის ძირითადი მიმართულებანი.

მე ამშრომის მასშტაბურობამ გამაოცა. მისი გამოცემის შემდეგ კიდევ უფრო გამაოცა ჩემი მეგობრის გონებამ და სისტემურმა აზროვნებამ. ამ წიგნში ჩვენს წინ დავით აღმაშენებელი წარმოდგება, ფეოდალური სამყაროს ეს უდიდესი მოღვაწე თავისი სამხედრო-სტრატეგიული და სახელმწიფოებრივი ტალანტით.

ეს წიგნი დაწერილია ყველასათვის.

იგი საისტორიო ნაწარმოების კლასიკური ნიმუშია, რადგან აქ გამოთქმული მოსაზრებები და რთული წიაღსვლები ესმის ყველას – წარსულისადმი „გემოვნების“ მქონე ადამიანსაც და ისტორიაში გაუცნობიერებელსაც.

მთავარი კი მაინც ჩემის აზრით არის წიგნში საისტორიო სიმართლისაკენ დაუოკებელი სწრაფვა, უარყოფა ყოველგვარი, ჩვენთვის ესოდენ დამახასიათებელი „ამაღლებული ტყუილისა“.

უნდა ნავიკითხოთ ეს წიგნი, რათა ცოტათი მაინც გამოვფხიზლდეთ.

სოსო მარბიშვილი მოულოდნელად გარდაიცვალა 2007 წელს ბაქოში, ერთ-ერთი სამეცნიერო კონფერენციის დროს ორმოცდარვა წლის ასაკში. მე ვიცოდი, რომ იგი ახალ წიგნზე მუშაობდა.

განვლილი მხოლოდ ორმოცდარვა წელი ისტორიკოსისათვის მხოლოდ ყრმობის ასაკია.

სოსო მარბიშვილი

ქართული სამხედრო ხელოვნება დავით აღმაშენებლის ხანაში

სამხედრო რეფორმა

საქართველოს ერთიანობის აღდგენა, ამიერკავკასიის უძლიერეს სახელმწიფოდ ქცევა, მრავალრიცხოვანი ბრძოლების მოგება და ხანგრძლივი სამხედრო მოძრავი კომპანიების წარმოება შეუძლებელი იყო ძლიერი სამხედრო ძალის გარეშე. დავით აღმაშენებლის მიერ დასახული ამოცანების რეალიზება საჭიროებდა ბრძოლისუნარიან არმიას, რომელსაც შეეძლებოდა პოლიტიკური მიზნების სამხედრო უზრუნველყოფა.

დავით აღმაშენებლის გამეფების პერიოდში ქართული არმია განადგურებული და დემორალიზებული, ხოლო სამხედრო ორგანიზაცია და ლაშქრის შეკრების სისტემა მოშლილი იყო. მეფობის სანყის ეტაპზე შესაძლებელი ხდებოდა მხოლოდ მცირე სამხედრო რაზმების შეგროვება, რაც რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის მასშტაბური გეგმების უზრუნველსაყოფად არ იყო საკმარისი. ამდენად, საქართველოს მეფის წინაშე ტახტზე ასვლისთანავე იდგა ამოცანა სამხედრო ორგანიზაციისა და ლაშქრის შეკრების სისტემის აღდგენისა, რისი განხორციელებაც სამეფო ხელისუფლების ცენტრალიზების გარეშე შეუძლებელი იყო.

იმ პირობებში, როდესაც ძლიერ ფეოდალებს სამეფოს შიგნით შეეძლოთ ეწარმოებინათ ავტონომიური პოლიტიკა და არ დამორჩილებოდნენ მეფის ხელისუფლებას, როგორც ამას აკეთებდა. მაგალითად: ბალვაშების საგვარეულო იმას ნიშნავდა, რომ მეომართა ის რაოდენობა, რომლებიც ცხოვრობდნენ ასეთ ფეოდალთა სამმართველო ტერიტორიებზე, მიუწვდომელი და გამოუყენებელი რჩებოდნენ სახელმწიფოსათვის და ხშირად მის წინააღმდეგაც მოქმედებდნენ. თუ გავითვალისწინებთ იმ საერისთაოთა ტერიტორიულ მასშტაბებს, თუნდაც მხოლოდ ბალვაშთა სამფლობელოების მაგალითზე, ცხადი გახდება თუ რა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალა რჩებოდა გამოუყენებელი საერთო საქვეყნო ინტერესების გარეთ.

შუასაუკუნეების სამხედრო ორგანიზაციის უმთავრესი ელემენტის, ფეოდალური ლაშქრის განვევის სისტემის ფუნქციონირება მთლიანად იყო დამოკიდებული მეფის (ცენ-

ტრალურ) და ფეოდალების (რეგიონალურ) ხელისუფლებებს შორის მონესრიგებულ ურთიერთობებზე. რამდენად ეფექტურადაც იყო ეს ურთიერთობები დარეგულირებული, იმდენად ეფექტურად ხდებოდა ფეოდალური ლაშქრის ორგანიზებაც. აქედან გამომდინარე, დავით აღმაშენებლის მიერ ცენტრალური ხელისუფლების გასაძლიერებლად გატარებული ეს მასშტაბური ღონისძიებები (ფეოდალური სეპარატიზმის აღკვეთა, საეკლესიო რეფორმა, სახელმწიფო მმართველობის აპარატის სრულყოფა), რასაც ადგილი ჰქონდა მისი მეფობის პირველ პერიოდში, სამხედრო რეფორმის მნიშვნელოვან ნაწილადაც შეგვიძლია განვიხილოთ, ანუ ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებელმა გააუქმა ბაღვაშების საერისთაო და სხვა ფეოდალებიც მტკიცედ დაუქვემდებარა ცენტრალურ ხელისუფლებას, იმასაც ნიშნავდა, რომ ამ ღონისძიების შედეგად სამეფოს არმიაში ფეოდალური ლაშქრის განვევის დროს მეომართა რიცხვიც მკვეთრად გაიზრდებოდა და ლაშქრის ორგანიზებაც სტაბულურ და საიმედო მექანიზმად ჩამოყალიბდებოდა.

რასაკვირველია, განვევის სისტემის აღდგენა სამხედრო რეფორმის მხოლოდ ერთი ნაწილი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამასთან, მეომართა რაოდენობის გაზრდა თავისთავად არ ნიშნავდა არმიის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას. ამის მიღწევისთვის საჭირო იყო მთელი რიგი სხვა ღონისძიებების (არმიის იერერქიული სისტემის სრულყოფა, სამხედრო რაზმების ფორმირება შეიარაღებისა და ტაქტიკური დანიშნულების მიხედვით, მომარაგებისა და უზრუნველყოფის მონესრიგება, დისციპლინის დამყარება და ა. შ.), გატარებაც, რომელთა შესახებ, სამწუხაროდ, თითქმის არავითარი წერილობითი ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ იმ მწირი მითითებებითაც კი, რასაც დავით აღმაშენებლის მემატინანე იძლევა („ლაშქრობათა მეცადინობანი“, „მხედართა განწესებანი“, „სპათა დანყობანი“, და ა. შ.) და ომებში მიღწეული შედეგებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მეფეს არმიის სამხედრო-ორგანიზაციული რეფორმა წარმატებით ჩაუტარებია.

დავით აღმაშენებელს ყველა ეს ღონისძიება, მეფობის პირველ ათ წელიწადში, 1099 წლამდე უნდა განეხორციელებინა, სხვა შემთხვევაში, იმ აქტიური პოლიტიკის (1099 წ. ხარკის შეწყვეტა, 1103 ბრძოლის დანყება მომთაბარეების წინააღმდეგ, 1104 წ. კახეთის შემოერთება) გატარება, რომელიც საქართველოს მეფემ 1099 წლიდან დაიწყო, შეუძლებელი გახდებოდა.

ეკონომიკურ რეფორმებთან ერთად სამხედრო რეფორმების კონტექსტში უნდა განვიხილოთ აგრეთვე ის გრანდიოზული სამშენებლო სამუშაოები, რაც დავით აღმაშენებელმა ჩაატარა სატრანსპორტო კომუნიკაციების გასაუმჯობესებლად. მისი მემატინანეს მიხედვით, მან „რაოდენნი ხიდნი (აღაშენა) მდინარეთა სასტიკთა ზედა, რაოდენნი გზანი, საწყინოდ სავალნი, ქვა-ფენილყვანა,“ რის შემდეგაც არმიის გადაადგილების სისწრაფე ისე გაზრდილა, რომ „თვისთა სამეფოთასა სიმრავლითა სპათათა და სიმალითა სვლისათა ვერ ადვილად მიემთხუეოდიან მოჩივარნი და დაჭირებულნი და მიმძლავრებულნი.“

გამართული საგზაო კომუნიკაციების ქსელის არსებობა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო არმიის მობილურობისა და შესაბამისად, სამხედრო წარმატებების მისაღწევად. განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც აუცილებელი იყო სამეფოს ტერიტორიებიდან მომთაბარეთა ტომების განდევნა და მომთაბარეობის როგორც მოვლენის მოსპობა. შეიძლება მთელი დაბეჯითებით ითქვას, რომ შესაბამისი კომუნიკაციების არარსებობის პირობებში მომთაბარეთა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნებოდა.

მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლა თხოულობდა აგრეთვე მცირე რაოდენობის, მაგრამ მაღალი მობილურობის მქონე სამხედრო რაზმების არსებობას. როგორც იყო აღნიშნული, მომთაბარეთა ცალკეულ ტომებს, რომელთა სადგომებსაც თანმიმდევრულად ანადგურებდა დავით აღმაშენებელი მთელი თავისი მეფობის მანძილზე, არ ჰყავდათ ისე დიდი რაოდენობის მეომრები, რომ მათ წინააღმდეგ ფეოდალური განვევის სისტემას ემოქმედა. ასეთი მეთოდი თავად სამეფოსთვის იქნებოდა წამგებიანი. ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის შიგნით საჭირო იყო მობილური რაზმების სისტემის შექმნა, რომელთა იარაღის ქვეშ დაყენებაც ხშირად და სწრაფად იქნებოდა შესაძლებელი განსხვავებით ფეოდალური ლაშქრისაგან, რომლის შეკრებას დროც და რესურსებიც მეტი დასჭირდებოდა. ამასთან დიდი ზომის არმია შედარებით მოუქნე-

ლი (და შესაბამისად არაეფექტური) იქნებოდა მომთაბარეთა სამხედრო რაზმების წინააღმდეგ.

ჩვენთვის უცნობია, თუ როგორი ორგანიზაციული ფორმით გადაჭრა დავით აღმაშენებელმა ეს პრობლემა (შესაძლებელია, მან შექმნა გარკვეული რეგიონალური რეაგირების სისტემა, როდესაც მცირერიცხოვანი მობილური რაზმების ფორმირება რეგიონებს დაევალებოდათ მომთაბარეთა მიგრირების ტერიტორიების მიხედვით), მაგრამ მან იგი რომ მოაგვარა, ეს ფაქტი უნდა იყოს. სხვაგვარად აბსოლუტურად შეუძლებელი იქნებოდა იმ ელვისებური რეიდების განხორციელება, რასაც საქართველოს მეფე თითქმის ყოველწლიურად ასრულებდა სამეფოს სხვადასხვა კუთხესა და მიმდებარე რეგიონებში. ფეოდალურ არმიას მეომართა დიდი რაოდენობის, შეკრების დიდი დროისა და დიდი ალალის თან ტარების აუცილებლობის პირობებში ასეთი ამოცანების შესრულება არ შეეძლო.

დადგენილ ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ XII საუკუნის დასაწყისისათვის დავით აღმაშენებელმა სამხედრო სფეროს რეფორმებით აშკარად მიაღწია ორ დიდ შედეგს: მას შეეძლო მობილური (მცირე სიდიდის) სამხედრო რაზმების ინტენსიური გამოყენება დროის ხანგრძლივ მონაკვეთში, რაც აუცილებელი პირობა იყო მომთაბარეების წინააღმდეგ საბრძოლველად. და შეეძლო მასშტაბური ფეოდალური ლაშქრის ორგანიზება მსხვილი საომარი კამპანიების ჩასატარებლად, ისეთის როგორც იყო მაგალითად, კახეთის შემოერთება.

აქ, ალბათ, შეიძლება დავასკვნათ, რომ სამხედრო სფეროს ათწლიანი რეფორმირების შედეგად დავით აღმაშენებელმა მოახერხა არამარტო სამხედრო ორგანიზაციის მოშლილი სისტემის (ფეოდალური ლაშქრის განვევის) აღდგენა, არამედ მისი გაუმჯობესებაც და სამხედრო ორგანიზაციაში სიახლის, მცირერიცხოვანი მობილური რაზმების გამოყენების ელემენტის შემოტანაც, რომელთა მეშვეობითაც იგი ყივჩაღების გადმოყვანამდე ებრძოდა მომთაბარეობას.

ფეოდალური ლაშქრის განვევის აღდგენა და მობილური სამხედრო რაზმების ფორმირება საგზაო-სატრანსპორტო კომუნიკაციების სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად სავსებით საკმარისი აღმოჩნდა იმ ამოცანების გადასაჭრელად (კახეთის შემოერთებისა და მომთაბარეთა წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის დაწყებისთვის), რაც დავით აღმაშენებლის წინ იდგა XII საუკუნის დასაწყისში, მაგრამ სელჯუკებთან დიდი ომის წარმოებისა და მომთაბარეობის ბოლომდე მოსპობის აუცილებლობის პირობებში ეს საკმარისი აღარ იყო და სამხედრო ორგანიზაცია ახალ ნოვაციებსა და სრულყოფას საჭიროებდა.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, სელჯუკური არმიის მაღალ ბრძოლისუნარიანობას მისი მაღალი მობილურობა განაპირობებდა, რაც მიღწეული იყო მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებისა და მძიმე შუბოსანი კავალერიის ურთიერთქმედების უნარით. ქრისტიანული არმიები, რომელთა ბრძოლისუნარიანობაც ძირითადად დამყარებული იყო მძიმე ცხენოსნების მასირებულ შეტევაზე, მობილურობითა და დისტანციური ბრძოლის წარმოების შესაძლებლობით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ სელჯუკთა არმიებს, რაც ამ უკანასკნელთა სამხედრო წარმატებების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა.

ქართული სამხედრო ხელოვნება ყალიბდებოდა იმ ქვეყნებთან ურთიერთობებში, რომლებთანაც მას უწევდა ომების წარმოება და დამოკიდებულების სამხედრო გზით გარკვევა. შესაბამისად, საქართველოში მკვიდრდებოდა სამხედრო ტაქტიკისა და ბრძოლის წარმოების ის მეთოდები, რომელთა გამოყენებაც ამ ქვეყნების არმიებთან საბრძოლველად იყო საჭირო. სელჩუკთა სამხედრო ტაქტიკა და ბრძოლის წარმოების მეთოდები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნებისთვის სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა, შესაბამისად გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ სელჯუკთა ტაქტიკური უპირატესობა, აუცილებლად განეიტრალებულიყო. ამის განხორციელებას კი სხვადასხვა ქვეყნები სხვადასხვა გზით შეეცადნენ.

მობილური ტაქტიკისა და დისტანციური მეთოდის წინააღმდეგ საქართველოს სამეფო უკვე XII საუკუნის დასაწყისში დააგროვებდა საკმაო გამოცდილებას, როდესაც დავით აღმაშენებელი სისტემატიურ ბრძოლებს აწარმოებდა მომთაბარეების (ე.ი. მსუბუქი ცხენოსანი მოისრეების) წინააღმდეგ, მაგრამ ერთი იყო მომთაბარეთა პატარა სამხედრო რაზმებთან ბრძოლა და მეორე – სელჯუკთა ფეოდალურ არმიასთან დაპირისპირება.

მომთაბარეთა ცალკეულ ტომებს არ ჰყავდათ მრავალრიცხოვანი სამხედრო კონტინგენტი, მათი რაზმები რამდენიმე ასეული მეომრისგან შედგებოდა და ძალიან იშვიათად შეიძლებოდა მიეღწია რამდენიმე ათასისთვის. ისინი ძირითადად მოქმედებდნენ ერთმანეთისგან და მოუკიდებელ პატარა მობილურ ჯგუფებად, რაც მათ წინააღმდეგ საბრძოლველად ასევე მობილურ არცთუ მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალის არსებობას საჭიროებდა. მომთაბარეები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ პირისპირ შეხვედრა ორგანიზებულ სამხედრო დანაყოფებთან და სათარეშო რეიდები დაუცველ ტარიტორიებზე განეხორციელებინათ, რაც მათთან ბრძოლას, როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, მომქანცველ და სპეციფიკურ ხასიათს ანიჭებდა.

განსხვავებული სურათი იყო სელჯუკური არმიების შემთხვევაში, რომელთა რიგებშიც მსუბუქი ცხენოსნების რანგში კონცენტრირებული მრავალრიცხოვანი მომთაბარე მეომრები, მძიმე ცხენოსნებთან (გულიამებთან) ერთად ქმნიდნენ იმ ბრძოლისუნარიან ძალას, რომელიც ტაქტიკური უპირატესობის პირობებში თავად ეძებდა შეხვედრას მონინააღმდეგესან და როგორც წესი, მასშტაბურ საბრძოლო ოპერაციებს ატარებდა. სელჯუკებს დიდი უპირატესობა ჰქონდა მობილურობასა და დისტანციური ბრძოლის უნარში და ბრძოლის წარმოების ის მეთოდები, რასაც არსებული შეიარაღებისა და ტაქტიკის ბაზაზე იყენებდა ქართული არმია, აშკარად არასაკმარისი და არაეფექტური იყო მათი უპირატესობის გასანეიტრალებლად. ასეთ სამხედრო ძალასთან საბრძოლველად საჭირო იყო ისეთი სიახლეები, რაც ამ უპირატესობებს გაანეიტრალებდა და მათთან ბრძოლას ეფექტურს გახდიდა. როგორც ჩანს, ამ მიმართულებით დავით აღმაშენებელმა მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, რის შედეგადაც მისი მეფობის პირველ ნახევარში, ქართული არმია უკვე თამამად უპირისპირდებოდა სელჯუკებს საქართველოს ტერიტორიებზე (ე.ი. მთაგორიან რელიეფზე) და დიდ სამხედრო წარმატებებსაც აღწევდა, რისი საუკეთესო არგუმენტიც თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლებია. მაგრამ ის ცვლილებები, რაც საკმარისი იყო მთიან რელიეფში წარმატების მისაღწევად, ვერ უზრუნველყოფდა ბრძოლის ეფექტურობას გაშლილ რელიეფზე რომელიც სელჯუკთა მსუბუქი ცხენოსნებისთვის იდეალურ საბრძოლო არეალს წარმოადგენდა. ამ განსხვავების გასანეიტრალებლად საჭირო იყო არაორდინალური ცვლილებები არმიის შემადგენლობასა და შეიარაღებაში, რადაც იქცა ყივჩაღთა სამხედრო რაზმების გადმოყვანა და მათი ჩართვა ქართული ფეოდალური არმიის შემადგენლობასა და ტაქტიკურ სქემაში, როგორც სამხედრო ორგანიზაციის ორგანული სამხედრო ელემენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ყივჩაღთა მსუბუქი ცხენოსანი რაზმების (ქართულ) ფეოდალური არმიის სამხედრო ორგანიზაციაში ჩართვით დავით აღმაშენებელმა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა (მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლის, სასაზღვრო რეგიონების დაცვის, მეზობელი მტრული ერთეულების წინააღმდეგ ეფექტური სამხედრო ძალის შექმნის და ა. შ.) ერთდროულად გადაჭრა, რომელთაგანაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ქართული არმიის მობილურობისა და დისტანციური ბრძოლის უნარის ამაღლება, რითაც ქართული არმია საბრძოლო-ტაქტიკური შესაძლებლობებით გაუთანაბრდა (და შესაძლოა გადააჭარბა კიდევ) სელჯუკური არმიების ბრძოლისუნარიანობას, რისი პირდაპირი შედეგიც იყო დავით აღმაშენებლის ღია დაპირისპირება სელჯუკი სულთნის მაჰმუდის არმიასთან შირვანის გაშლილ ტერიტორიებზე 1123 წლის მაისში. ყივჩაღთა მობილური, მსუბუქი ცხენოსანი რაზმების ელემენტის შემოტანით ქართული არმია იძენდა უნარს ნებისმიერ პირობებში ებრძოლა თავის სელჯუკ მონინააღმდეგეებთან და შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ შირვანის ლაშქრობისას ქართული არმიის რიგებში სწორედ ყივჩაღები იყვნენ დიდი რაოდენობით წარმოდგენილნი. იგივე სურათი იყო უფრო ადრე, ბარდავში განხორციელებული რეიდისას, სადაც არმია, აშკარად ასევე ყივჩაღი მეომრებით იყო ძირითადად დაკომპლექტებული.

გატარებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, არ უნდა შევცდეთ იმ დასკვნაში, რომ ყივჩაღთა საქართველოში ჩამოყვანა და ფეოდალური ლაშქრის ორგანიზაციის სისტემაში ჩართვა (და არა მუდმივი ჯარის შექმნა) იყო დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული სამხედრო

რეფორმის ბოლო მნიშვნელოვანი ეტაპი, რომლის მეშვეობითაც საქართველოს მეფემ შეძლო მის წინაშე არსებული სამხედრო ხასიათის ურთულესი ამოცანების გადაწყვეტა.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებული სამხედრო რეფორმა არ იყო რაიმე ერთჯერადი აქტი. იგი ხორციელდებოდა დროის დინამიკაში წარმოქმნილი ამოცანებისა და კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

შეიარაღება, მეომრები, არმია და ბრძოლის წარმოების მეთოდები

შუასაუკუნეების ქართული საბრძოლო შეიარაღების, ალბათ, ყველაზე სრულ ჩამონათვალს იძლევა გიორგი ბრწყინვალეს დროინდელი „ხელმწიფის კარის გარიგება,“ სადაც 10-ე ქვეთავში (ამირსპასალარის სახელო) მოცემულია შეიარაღების კომპლექტი: „ერთის ტანსაცმელის აბჯრის მეტი, სხვაი ყველა აბჯარი, რაზომიცა თანა აქვს: ჯაჭვი, მუზარადი, ხმალი, ქაფა, საბარკული, მშვილდ-კარპაჭი, ლახტი, შუბი, სრულიად ყოველივე უნაგირი მოჭედილი და ხამი, აკაზმულობა, რაც ზედ აბია, და რაც საცხენე ჯავშანი, მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი და ამისთანა ყველა, დიდი დროშა, დაბარჩამნი ორნი თავგარდაჭედილნი, ერთი თეთრი და ერთი შავი, შუბი სეფე აღმითა, ესე ყოველნი მნათობნი, მოჭედილნი ვერცხლითა და სპილენძიანი.“

ჩამონათვალში აშკარად თვალში საცემია ფარის მოუხსენიებლობა, რომელიც იმდროინდელი შეიარაღების აუცილებელი ელემენტი იყო, თუმცა სხვა ისტორიული წყარო (XII საუკუნის „ნესი და განგება მეფეთ კურთხევისა“), რომელიც ასევე იძლევა საბრძოლო შეიარაღების ჩამონათვალს, ფარს ასახელებს შუბის, ხმლისა და ლახტის გვერდით.

ამ ორი ჩამონათვალის ურთიერთშეჯერებით ფაქტიურად ვიღებთ შუასაუკუნეების დროინდელი ქართველი მძიმე ცხენოსნის საბრძოლო შეიარაღების სრულ კომპლექტს, საიდანაც უნდა ამოვიღოთ მშვილდ-ისარი, როგორც მძიმე შეიარაღებასთან შეუთავსებელი საბრძოლო ელემენტი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართველი მძიმე ცხენოსნის აღჭურვილობა შემდეგ სახეს მიიღებს: მძიმე ცხენოსანი დაცული იყო მუზარადით, ჯაჭვის პერანგით (სამხრეთულბთან და საბარკულბთან ერთად) და ფარით. საბრძოლო იარაღს კი შეადგენდა, შუბი, ხმალი და ლახტი.

რაც შეეხება ცხენებს, როგორც ჩანს, მათ დასაცავად ლითონის ჯავშანი არ გამოიყენებოდა, ხოლო „ხელმწიფის კარის გარიგებაში დასახელებული „საცხენე ჯავშანი“, (მანჯუვები აბრეშუმისა, ცხენის ყელსაბამი მოჭედილი, კანჯრის კუდი) უფრო აკაზმულობის გასაღამაზებელი დეტალები იყო, ვიდრე დამცავი ელემენტები. მეომრები ხმარობდნენ ორი ტიპის ჯავშანს, ლითონის ფირფიტებისაგან შედგენილ ე.წ. ქერცლისებურ ჯავშანს და ლითონის რგოლებისგან „ნაქსოვ“ ჯაჭვის პერანგს. ორივე სახეობა წარმოდგენილია ორ, გრძელ და მოკლე ვარიანტში. მოკლე ჯავშანიფარავდა გულ-მკერდსა და ზურგს მენჯამდე, ხოლო გრძელი ჩადიოდა თითქმის მუხლებამდე.

მუზარადის ძირითად ტიპს, როგორც ჩანს, ე.წ. კონუსისებური მუზარადი წარმოადგენდა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული იმდროინდელ მსოფლიოში (დასავლეთ ევროპაში, ბიზანტიაში, ისლამურ სამყაროში). ამ ტიპის მუზარადების უპირატესობას ის წარმოადგენდა, რომ იგი ისხლეტდა მასზე მოხვედრილ იარაღს და დაცვის საკმაოდ საიმედო საშუალება იყო.

ამგვარად, წერილობითი წყაროების ცნობების, ისტორიული პორტრეტებისა და არქეოლოგიური მონაპოვრების მიხედვით, ქართველი მძიმე ცხენოსნის შეიარაღება შემდეგნაირად გამოიყურებოდა: მხედარი დაცული იყო კონუსისებური მუზარადით, გრძელი ან მოკლე ფირფიტებიანი ჯავშნით ან ჯაჭვის პერანგითა და ფარით. შეტევით საბრძოლო იარაღს წარმოადგენდა შუბი (საძგერებელი), მახვილი (საჩეხი) და ლახტი (სახეთქი). სამივე სახეობის იარაღის ბრძოლაში გამოყენება შესაძლებელი იყო ფართან ერთად, რაც მძიმე ცხენოსანს მაღალ ბრძოლისუნარიანობას ანიჭებდა.

შეიარაღების ხასიათითა და საჭურვლის „სიმძიმით“ ქართველი მძიმე ცხენოსანი საგრძნო-

ბლად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპელი რაინდისაგან და მსგავსებას უფრო აღმოსავლური სახელმწიფოების ანალოგიური კატეგორიის მეომრებთან, ბიზანტიელ მძიმე ცხენოსნებთან და სელჯუკ გულიამებთან პოულობდა, რაც ალბათ, სავსებით ბუნებრივია იმის გათვალისწინებით, რომ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი მძიმე ცხენოსნების შეიარაღების ფორმირება სწორედ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან ურთიერთობებში ხდებოდა.

მძიმე ცხენოსნები შუასაუკუნეების ქართული არმიის წამყვან ძალას წარმოადგენდნენ, რომ მეომართა ძირითადი მასა სწორედ ამ ტიპის ცხენოსნები იყო. თუმცა არმიაში ცხენოსანთა სხვა სახეობებიც შედიოდნენ.

პირველ რიგში ეს იყო მსუბუქცხენოსან მოისართა რაზმები, რომელთა გამოყენებასაც ალანების სახით დავით აღმაშენებელამდე ეპიზოდური სახე ჰქონდა, ხოლო დავით აღმაშენებლის ეპოქაში სისტემატიური ხასიათი მიიღო ყივჩაღების გამოჩენით. არმიის შემადგენლობაში ამ სახეობის რაზმების გამოჩენა განაპირობა მომთაბარეობასთან ბრძოლის პრობლემამ და სელჯუკთა იმპერიასთან სამხედრო დაპირისპირების აუცილებლობამ.

გარდა ცხენოსანი მოისრეებისა, ქართულ არმიაში შეგვიძლია ვივარაუდოთ მსუბუქი ცხენოსნების მეორე კატეგორიის, ხელშუბოსნების დანაყოფების არსებობაც. ყოველ შემთხვევაში წერლობით წყაროებში ჰოროლის (ხელშუბის) საკმაოდ ხშირი მოხსენიება და არქეოლოგიურ მასალებში მათი ფიგურირება ამის საფუძველს უნდა იძლეოდეს. ამ კატეგორიის მსუბუქი ცხენოსნების ძირითადი შეიარაღება ხელშუბი და მახვილი უნდა ყოფილიყო.

არმიის გარკვეული ნაწილი შედგებოდა ქვეითი მეომრებისგან, სადაც ორი ძირითადი სახეობის, შუბოსნებისა და მოისრეების გამოყოფა შესაძლებელია. ქვეითი შუბოსნების სპეციალურ სახეობათა არსებობა სავსებით ლოგიკური და გამართლებული უნდა ყოფილიყო, რადგან საქართველოს სამეფოს სამხედრო დაპირისპირება ძირითადად უხდებოდა ცხენოსან არმიებთან, რომელთა წინააღმდეგაც მთავორიან რელიეფში, ქვეითი შუბოსნები განსაკუთრებით ეფექტურები იყვნენ, ისევე როგორც ქვეითი მოისრეები, რომელთა ცალკე სახეობადაც არსებობა სხვადასხვა წყაროებით იკვეთება.

არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს საინჟინრო ნაწილების არსებობის შესახებაც, რომელთა გარეშეც ციხე-სიმაგრეთა ალყა და შტურმი, უბრალოდ შეუძლებელი იქნებოდა. ქართული წერილობითი წყაროები ძალიან ხშირად მიუთითებენ სააღყო მანქანის, ფილაკავანის გამოყენების შემთხვევებს, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა „ზღუდეების დაღწევა“.

არის ცნობა, რის მიხედვითაც საინჟინრო სახეობებში ერთგვარ მესანგრეთა არსებობაც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომელთა მოვალეობაც ციხე-სიმაგრეთა კედლების ქვეშ თხრილების გაყვანა და ამ გზით მათი დანგრევა იყო.

არმიაში არსებობდა მესიგნალეთა სპეციალური დანაყოფები, რომელთა ინსტრუმენტების მეშვეობითაც (სპერმური, ბუკი, ქოსი, წინწილი, ნალარა და სხვა) ხდებოდა არმიის მართვა მარშისა თუ ომის დროს. ამის შესახებ, როგორც ქართული ასევე აღმოსავლური წერილობითი წყაროები არაერთგზის მიუთითებენ.

მარშირებისა თუ ბრძოლის დროს ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტი იყო დროშები, რომლებიც ერთგვარ ორიენტირს წარმოადგენდნენ მეომართა სამარშო კოლონებად მონესრიგებული გადაადგილებისა თუ ბრძოლის ველზე ორგანიზებული კონცენტრირებისათვის. არმიის მთავარი სიმბოლო იყო სეფე დროშა, რომელიც მეფესთან მუდმივად (მარშის თუ ბრძოლის დროს) იმყოფებოდა. თუ მეფე ლაშქრობაში არ მონაწილეობდა, მაშინ სეფე დროშა ამირსპასალარს ბარდებოდა და ისე უძღოდა არმიას წინ. სტეფანოზ ორბელიანის მიხედვით სამეფო დროშა თეთრ-წითელი ფერის ყოფილა. სეფე დროშის გვერდით, როგორც ჩანს, ყველა ტაქტიკურ-ადმინისტრაციულ დანაყოფს (მაგალითად, სამცხის, ჰერეთის, სომხეთის სპას და ა.შ.), საკუთარი დროშა გააჩნდა, რაც მათი გადაადგილებისას სამარშო წესრიგის დაცვას გააიოლებდა. ლაშქრობაში სამეფო არმიას ყოველთვის თან ახლდა ძელიცხოველი, რომელიც სპეციალური ჯვარისმტვირთველს მიჰქონდა და რომელსაც, როგორც ჩანს, მეომართა რეგიონალური დანაყოფიც იცავდა.

სამწუხაროდ, თითქმის არაფერია ცნობილი სამარშო კოლონების წყობის შესახებ. სხვადასხვა ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ არმიას წინ უძღოდა ავანგარდი (მენინავე დროშა), ხოლო იცავდა არიერგარდი (უკანმავალი). გვაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ავანგარდს სამცხელი მეომრები აკომპლექტებდნენ, თუმცა სხვა ერთეულების ადგილი და თანმიმდევრობა სრულიად უცნობია.

ასევე თითქმის არ გაგვაჩნია ცნობები სამარშო თუ სტაციონალური სამხედრო ბანაკების შესახებ, მაგრამ დავითის მემატიანესთან მოხსენიებული სპეციფიკური ტერმინები „ხანდაკი“ (თხრილი) და „სხრტე“ (წამახული სარი), უნდა გვიჩვენებდეს, რომ ქართული არმია სამხედრო ბანაკს კლასიკური სქემით, თხრილისა და წამახული სარების (სხრტების) მესერიის გარშემოვლებით მართავდა.

სასაპაღნე ცხოველების გავრცელებული სახეობები იყო აქლემი, ცხენი და ჯორი, რომელთა ლაშქრობების დროს გამოყენების არაერთი მითითებაა შემონახული წერილობით წყაროებში.

ჩვენთვის ასევე თითქმის უცნობია თუ რა ტაქტიკური ერთეულებისაგან შედგებოდა არმია. სტეფანოზ ორბელიანი მიუთითებდა ათასკაციან დანაყოფზე საკუთარი დროშით, რაც ამკარად ერთი ხელმძღვანელობის ქვეშ გაერთიანებული ტაქტიკური ერთეულია, მაგრამ შემდგომი დიფერენცირება მონაცემთა არარსებობის გამო შეუძლებელია.

მრავალრიცხოვან ომებში ქართული არმია ბრძოლის წარმოების სხვადასხვა მეთოდებსა და ტაქტიკურ სქემებს იყენებდა. როდესაც არმიის სიდიდე და მასში შემავალ საბრძოლო დანაყოფთა სახეობანი განაპირობებდნენ ბრძოლისუნარიანობისა და მანევრირების თანაბარ შესაძლებლობას მოწინააღმდეგესთან, მაშინ ქართული არმია ღიად უპირისპირდებოდა მათ ნებისმიერ პირობებში, მათ შორის გაშლილ სივრცეებში, რომლის დროსაც უნდა ვივარაუდოთ, იყენებდნენ კლასიკურ საბრძოლო წყობას ცენტრითა და ფლანგებით.

ხოლო თუ მოწინააღმდეგეს საგრძნობი რაოდენობრივი უპირატესობა გააჩნდა, მაშინ ქართველი მხედართმთავრები მათთვის ხელსაყრელ პირობებში (როგორც წესი, მთებში) ამჯობინებდნენ ბრძოლას და ცდილობდნენ მოწინააღმდეგისთვის ბრძოლის წარმოების საკუთარი სქემა მოეხვიათ თავზე და თავად შეერჩიათ ბრძოლის ადგილი, რასაც თუ თრიალეთისა და დიდგორის მაგალითებით ვიმსჯელებთ, საკმაო წარმატებით ახერხებდნენ.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას მტერზე თავდასასხმელად, რომლის შესაქმნელადაც სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ (დეზინფორმაციას, ცრუ მანევრებს და ა.შ.).

საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე და ომის პერიოდში, განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დაზვერვის წარმოებას და წინმსწრები თუ ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებას მოწინააღმდეგის გეგმებისა თუ მოქმედების შესახებ, რომელთა საფუძველზეც დგებოდა საკუთარი მოქმედებების გეგმა.

ციხე-სიმაგრეთა თუ ქალაქების აღების დროს, ხანგრძლივ ალყასა და შტურმს, ამკარად ამჯობინებდნენ მის დაპყრობას მოულოდნელობის ფაქტორის გამოყენებით, მაგრამ, როდესაც ეს არ ხერხდებოდა, ან დრო არ აძლევდათ სხვაგვარი ქმედების შესაძლებლობას, არც ალყასა და შტურმზე ამბობდნენ უარს. განვითარებული იყო ციხეთა აღების საინჟინრო მეთოდები, კედლების „საარტილერიო დაბომბვა“ საალყო მანქანებით, გვირაბების გაყვანის მეშვეობით კედლების დანგრევა და ა.შ.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებლის (ისევე როგორც მისი მემკვიდრეების) დროინდელი ქართული არმია სამობილიზაციო სისტემით, ადმინისტრაციულ-ორგანიზაციული მოწყობით, შეიარაღებით, ტაქტიკური შესაძლებლობებითა და ბრძოლისუნარიანობით, არაფრით ჩამოუარდებოდა იმდროინდელი მსოფლიო მოწინავე სამხედრო ძალებს და რიგ შემთხვევებში სხვადასხვა მაჩვენებლებით აღემატებოდა კიდევ ბევრ მათგანს და სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი და მთავარი საფუძველი დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველოს დიდი სამხედრო თუ პოლიტიკური წარმატებებისა.

დავით აღმაშენებელი როგორც ინდივიდუალური მებრძოლი

მიუხედავად იმისა, რომ დავით აღმაშენებლის მემატიანე საქართველოს მეფის დიდ სახელმწიფოებრივ და მხედართმთავრული თვისებების აღნიშვნასთან ერთად მუდმივად ცდილობს ხაზი გაუსვას დავითის, როგორც ინდივიდუალური მებრძოლის პირად სიმამაცესა და გამბედაობას, დავით აღმაშენებლის მთავარი (სამხედრო) ღირსება უპირველეს ყოვლისა, მისი მხედართმთავრობის უნარი იყო, რაც გამომდინარეობდა არა ინდივიდუალური სიმამაციდან, არამედ მისი სტრატეგიული აზროვნებიდან და სწორი ტაქტიკური ხედვიდან, თუმცა საქართველოს მეფეს პირადი სიმამაცეც აშკარად არ აკლდა.

თავისთავად, როდესაც სახელმწიფო მოღვაწე იღებს გადაწყვეტილებას დაუპირისპირდეს ისეთ ძალას, როგორც დავით აღმაშენებლის დროს იყო სელჯუკების ირან-ერაყის იმპერია, ეს უკვე მის უდიდეს (როგორც პირად, ასევე სახელმწიფოებრივ) სიმამაცესა და გამბედაობაზე მიუთითებს. როდესაც სამხედრო მოღვაწე ხელმძღვანელობს ისეთ მასშტაბურ ბრძოლებს, როგორც იყო თრიალეთი და დიდგორი, ესეც ასევე მისი სიმამაცისა და გამბედაობის მაჩვენებელია და აქ იმის დამატება, თუ როგორ შეეძლო მეფეს რიგითი მეომარივით პირველ რიგებში ბრძოლა, ან როგორ დაუპირისპირდა „უსაჭურვლოდ, მარტო ხმრლით“ ასამდე მტრის მებრძოლს თბილისთან, მის მხედართმთავრულ თვისებებს ნამდვილად ბევრს, არაფერს უნდა მატებდეს, პირიქით შეიძლება აკლებდეს კიდევ.

შუასაუკუნეებში მხედართმთავრის მონაწილეობას ხელჩართულ ბრძოლაში მაღალი მორალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მეომრებისთვის, მაგრამ როდესაც ერთმანეთს დიდი ძალები უპირისპირდებოდნენ და მხედართმთავრის წინაშე ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობა დგებოდა. ამ შემთხვევაში წინა რიგებში ბრძოლა მხედართმთავრის არა ღირსება, არამედ დიდი ნაკლი ხდებოდა.

თუ ჩვენ დავიჯერებთ დავითის მემეტიანის მონათხრობს ერწუხის ბრძოლის შესახებ, სადაც წინა რიგებში მებრძოლ მეფეს სამი ცხენი მოუკლეს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ბრძოლაში იმდენად მცირე ძალები მონაწილეობდნენ ორივე მხრიდან, რომ მის ტაქტიკურ ხელმძღვანელობას (სხვადასხვა მანევრების ჩატარებას, რეზერვის გამოყენებას, ძალების გადაჯგუფებასა და ა.შ) აზრი არ ჰქონდა და ბრძოლის ბედი მხოლოდ მეომართა მარტივ შეტაკებას უნდა გადაეწყვიტა, სადაც მეფის უშუალოდ ხელჩართულ ბრძოლაში მონაწილეობა, რასაც (მეომართა სიმცირის გამო) ყველა მებრძოლი დაინახავდა და გააცნობიერებდა, ნამდვილად მნიშვნელოვანი იქნებოდა და შეიძლება ბრძოლის ბედიც გადაეწყვიტა. ასეთ შემთხვევაში, რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ბრძოლაში ჩართვა სავსებით სწორი იქნებოდა და ეს საქციელი არა პირადი სიმამაცის დემონსტრირების მიზნით, არამედ ტაქტიკური მოსაზრებით (პირადი მაგალითით საბრძოლო სულისკვეთების ამაღლების, მეომართა შეტევაზე გაყოლების და სხვა მსგავსი სურვილით) იქნებოდა განპირობებული. ასეთ შემთხვევაში ერწუხის ბრძოლის სურათი სავსებით რეალური შეიძლება იყოს, მაგრამ იგი არაფრით ჯდება მემეტიანის მიერ გადმოცემულ საერთო კონტექსტში, რომლის მიხედვითაც დავითმა ერწუხს სადაც მის წინააღმდეგ „ურიცხუნი სპანი“ იდგნენ, „ქმნა წყობანი დიდნი“. გამოდის, რომ დავით აღმაშენებელმა არ უხელმძღვანელა ამ დიდ წყობებს და რიგითი მეომარივით ჩაერთო ბრძოლაში, რაც ნაკლებად დასაჯერებელია თრიალეთისა და დიდგორის ბრძოლების მომგები მეფისგან.

სინამდვილეში ყველაფერი შეიძლება უფრო მარტივად ყოფილიყო. დავითის მემეტიანე აჭარბებს ამ ბრძოლის მასშტაბებს და მასში მონაწილე მეომრების რაოდენობას გაზვიადებული სახით გადმოგვცემს, ხოლო თავად ბრძოლის მსვლელობას საკმაოდ ზუსტად. ასე რომ, საქართველოს მეფეს „არაფერი არ უნდა შეშლოდა“, იგი სათავეში ჩაუდგა თავის მცირერიცხოვან მეომრებს იმის გამო, რომ ბრძოლის ტაქტიკური ხელმძღვანელობის აუცილებლობა არ არსებობდა და მცირე ძალებით დაპირისპირებულ მონინააღმდეგეთა შორის ბრძოლის ბედი

მეომართა პირად სიმამაცესა და საბრძოლო სულისკვეთებას უნდა გადაენწყვიტა, რომლის ასამაღლებლადაც წინა ხაზზე მეტბრძოლ მეომართა შორის მეფის გამოჩენა საუკეთესო საშუალება იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ქმედება დიდი რისკის შემცველი იყო მეფის სიცოცხლისთვის, რომლის დაღუპვის შემთხვევაშიც შედეგები ძალიან მძიმე იქნებოდა სამეფოსათვის, როგორც ჩანს დავით აღმაშენებელი მაინც შეგნებულად მიდიოდა ასეთ ნაბიჯზე, რადგან სამხედრო მოქმედებების დაწყების ადრეულ ეტაპებზე, ქართულ არმიას აშკარად სჭირდებოდა საბრძოლო სულისკვეთების ამაღლება და საკუთარი შესაძლებლობების რწმენის გაზრდა, რაც მხოლოდ სამხედრო გამარჯვებების გზით მიიღწეოდა. ხოლო ბრძოლაში მეფის უშუალო მონაწილეობა რიგითი მეომრების გვერდით მცირე მასშტაბიან ბრძოლაში გამარჯვების მიღწევის საუკეთესო საშუალება იყო.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მეფე აშკარად ხასიათდებოდა გამორჩეული პირადი მეომრული თვისებებით, მისი უმთავრესი სამხედრო ღირსებები, მაინც სტრატეგიული აზროვნება და სამხედრო ტაქტიკის სრულყოფილებამდე ცოდნა იყო, რაც მისი სამხედრო მოღვაწეობის ელემენტარული ანალიზითაც კი, ნათლად იკვეთება.

დავით აღმაშენებელი, როგორც სამხედრო სტრატეგი

შექმნილი ვითარების ხედვის უნარი, ძალთა არსებული შეფარდების რეალური შეფასება, მოვლენათა განვითარების სწორი პროგნოზირება და ყოველივე ამაზე საკუთარი ქმედებების აგება დიდი სტრატეგიის აუცილებელი კანონებია და დავით აღმაშენებლის ყველა გადანიჭვითილება თუ კონკრეტული ქმედება ამ კანონებს იყო დაქვემდებარებული.

სწორი სტრატეგიული გადაწყვეტილება ნიშნავს იმას, რომ ომი შენი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად უნდა დაიწყო მაშინ, როდესაც ამის ხელისშემწყობი ობიექტური პირობები არსებობს და შენს ხელთ არსებული რესურსები და შესაძლებლობები საკმარისია მის საწარმოებლად. ამ თვალსაზრისით, დავით აღმაშენებლის სამხედრო პოლიტიკა და მისი განვითარების დინამიურობა პირდაპირ აჩვენებს, რომ საქართველოს მეფე არ დგამდა მოუფიქრებელ, ავანტიურასთან მიახლოებული ისეთი მაღალი რისკის შემცველ ნაბიჯებს, რასაც მისი გეგმების ჩაშლა და უკუშედეგები შეიძლებოდა გამოეწვია.

ის ტახტზე ასვლიდან ათი წლის განმავლობაში აგრძელებდა ხარკის გადახდას სელჯუკებისათვის, რადგან ქვეყანა ამისთვის ჯერ მზად არ იყო, მაგრამ როდესაც მან ხარკი შეუნწყვიტა სელჯუკთა იმპერიას იმ დროისთვის შესანიშნავად ჰქონდა გათვალისწინებული ყველა ის საგარეო თუ საშინაო ფაქტორი (ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერება, შიდა ფეოდალური ოპოზიციის დამარცხება, ჯვაროსნების გამოჩენა, ბიზანტიელთა გააქტიურება, სელჯუკთა იმპერიის შიდა დაპირისპირება და ა.შ.) რის შედეგადაც ქვეყნის რესურსებიც მკვეთრად გაიზარდა და სელჯუკთა იმპერიაც კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რის გამოც მოსალოდნელი იყო, რომ საქართველოს მხრიდან ხარკის შეწყვეტაზე იგი ვერ მოახდენდა მკვეთრ რეაქციას. როდესაც დავით აღმაშენებელმა მომთაბარეების წინააღმდეგ ბრძოლა დაიწყო ადრეულ ეტაპზე იგი მათ განდევნას მხოლოდ სამეფოს ტერიტორიებიდან ახდენდა და ქვეყნის ფარგლებს გარეთ, საიდანაც ისინი ყოველწლიურად შემოდოდნენ საქართველოში, მათი სადგომების მოსპობას (როგორც ამას აკეთებდა მოგვიანო პერიოდებში) არ ცდილობდა, რათა სელჯუკებთან ნაადრევი სამხედრო კონფლიქტი არ გამოეწვია. თვით კახეთის დაკავების შემდეგაც რომლის დროსაც საქართველოს მეფეს სამხედრო ძალით დაუპირისპირდა განძის საემირო, მან კონფლიქტი განძასთან (ისევე როგორც მთლიანად სელჯუკთა იმპერიასთან) არ გააგრძელა და აშკარა მშვიდობა 1110 წლამდე შეინარჩუნა, სანამ უფრო მასშტაბური ომის საწარმოებლად საკუთარი რესურსები საკმარისად, ხოლო საერთშორისო ვითარება ხელსაყრელად არ ჩათვალა.

სტრატეგიული ვითარების შეუფასებლობასა და გაუთვალისწინებლობას, საქართველოს სამეფოსთვის არაერთხელ მოუტანია უბედურება დავით აღმაშენებლის წინამორბედების, ბაგრატ IV-სა

და გიორგი II დროს, რისი მიზეზიც ამ მეფეების მიერ მათი მეფობის ხანაში შექმნილი სიტუაციისა და სელჯუკთა უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის შეუფასებლობა იყო, რაც სტრატეგიული ხასიათის იმ ტიპის შეცდომებს წარმოადგენდა, რომლებსაც დავით აღმაშენებელი ნამდვილად არ უშვებდა.

ბაგრატ IV და გიორგი II აშკარად ვერ განსაზღვრეს იმ საფრთხის მასშტაბურობა, რაც ამ-იერკავკასიასა და წინა აზიისთვის სელჯუკთა გამოჩენას მოსდევდა თან, რამაც მათი მხრიდან გამოიწვია სტრატეგიული ხასიათის შეცდომები სელჯუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

როგორც ცნობილია, სელჯუკები საქართველოს ტერიტორიაზე პირველად 1063 წელს შემოვიდნენ. მაშინ მათ აიღეს ახალქალაქი და ააოხრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. ეს იყო სელჯუკთა მასშტაბური, მაგრამ მაინც რიგითი მარბიელი ლაშქრობა, რის გამოც დაზავების პირობებიც საკმაოდ „რბილი“ აღმოჩნდა. სულთანმა ალფ-არსლანმა მოითხოვა ერთჯერადი ხარკი ბაგრატისაგან და მისი დისშვილის (რომელიც ამავე დროს, ტაშირის მეფის კვირიკეს ძმისშვილი იყო) ცოლად შერთვა. ბაგრატს საკმაოდ სერიოზული ბრძოლა დასჭირდა ტაშირის სამეფოსთან ზავის პირობების შესასრულებლად, რის შემდეგაც სელჯუკებთან რამდენიმე წლიანი მშვიდობა დამყარდა.

ზავის ასეთი საკმაოდ იოლი პირობები გამომდინარეობდა იმ ვითარებიდან, რომ სელჯუკები იმ დროისათვის (XI საუკუნის 60-იანი წლები), ჯერ კიდევ ჩრდილოეთ არანსა და სამხრეთ აზერბაიჯანს „ითვისებდნენ“, რის გამოც „სელჯუკური მარაო“ ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიებიდან და მისი ოკუპაცია სელჯუკთა გეგმებში არ შედიოდა, მაგრამ საერთო საშიშროება ქვეყნისგან არც ისე შორს იყო და ნებისმიერ გაუფრთხილებელ ქმედებას მისი პროვოცირება შეიძლებოდა გამოეწვია საქართველოს წინააღმდეგ.

ასეთ ვითარებაში ბაგრატ IV აშკარად გადაჭარბებით შეაფასა როგორც სელჯუკებთან დადებული ზავის სიმყარე, ასევე საკუთარი შესაძლებლობები და 1067 წელს განძის საემიროს წინააღმდეგ ჩატარებული ექსპედიციის დროს ისე ღრმად შევიდა მუსლიმურ ტერიტორიებზე, რომ ბარდავიც ააოხრა. ეს აქცია ალფ-არსლანმა სელჯუკებზე თავდასხმად შეაფასა და დაუყოვნებლივ მოაწყო საპასუხო ლაშქრობა საქართველოში.

აღნიშნული შემოსევა, რომელიც განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა საქართველოსათვის, მთლიანად ბაგრატ IV სტრატეგიული შეცდომისა და საქართველოს გარშემო არსებული ვითარების შეუფასებლობის შედეგი იყო, რასაც ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ სელჯუკებს არც ამ შეთხვევაში უცდიათ საქართველოს ოკუპაცია და სრული სამხედრო უპირატესობის პირობებში მხოლოდ ქვეყნის აოხრებით (ანუ სამაგიეროს გადახდით) დაკმაყოფილდნენ.

საქართველოს სელჯუკთა ოკუპაციის საფრთხე პირდაპირ დაემუქრა 70-იანი წლებში, გიორგი II მეფობის დროს, ამ დროისთვის მათ დაიპყრეს განძა, მის (როგორც განძის, ასევე მთლიანად არანის ოლქის) გამგებლად დანიშნეს ცნობილი ემირი საუტეგინი და უშუალოდ დაუმეზობლდნენ საქართველოს. საუტეგინმა დაუყოვნებლივ დაიწყო ექსპანსიის განვითარება, როგორც დერბენდ-შირვანის, ასევე საქართველოს მიმართულებით.

საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული საუტეგინი გიორგი II სასტიკად დაამარცხა 1073 წელს ფარცხისთან და ამის შემდეგ, როგორც ჩანს საქმე მოთავებულად ჩათვალა. ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ იმის ნაცვლად, რომ სელჯუკთა ახალი (გარდაუვალი) შეტევების მოსაგერიებლად სამეფოს მთლი ძალების კონსოლიდაცია სამხრეთის მიმართულებაზე მოეხდინა, საქართველოს მეფემ ბიზანტიელებისგან მიტოვებული ოლქების დაკავება დაიწყო სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით, რისი ათვისებისა და შენარაჩუნების რესურსიც გიორგი II დროინდელ საქართველოს აშკარად არ ჰქონდა.

გიორგი II სტრატეგიული შეცდომა სახეზეა. სამეფო, რომელიც შექმნილ ვითარებაში ვინრო ფრონტით სამხრეთით თავდაცვაზე უნდა გადასულიყო და დაეცვა ფარცხისის ბრძოლაში მოპოვებული წარმატება, მან ფართო ფრონტით სამხრეთ დასავლეთით შეტევაზე გადაიყვანა და შედეგიც შესაბამისი მიიღო. სამხრეთიც (სამშვილდე-სომხითი) დაკარგა და სამხრეთ დასავლეთით შემოერთებული ოლქებიც. ამასთან, იძულებული გახდა სელჯუკთა წინარე ხარკის გადახდა ეკისრა.

როგორც ბაგრატ IV ასევე გიორგი II შესანიშნავი ტაქტიკოსი მხედართმთავრები იყვნენ, რასაც მათ მიერ მოგებული კონკრეტული ბრძოლების მოკლე ანალიზიც მოწმობს, მაგრამ მათ მიერ დაშვებულმა სტრატეგიული ხასიათის შეცდომებმა ბრწყინვალედ მოგებული ცალკეული ბრძოლების მიუხედავად, საკმაოდ დიდი ზიანი მოუტანა ქვეყანას.

თავისი უშუალო წინაპრებისგან განსხვავებით დავით აღმაშენებლის სამხრედრო პოლიტიკა მთლიანად შექმნილი ვითარებისა და არსებული შესაძლებლობების თანხვედრის სტრატეგიულ ხედვას ემყარებოდა. როგორც აღვნიშნეთ მისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზე, სანამ საქართველოს მეფეს არ გააჩნდა საკმარისი რესურსები სელჯუკებთან მასშტაბური დაპირისპირებისთვის, მან ისე გადაწყვიტა მის წინაშე მდგომი ამოცანები (ხარკის შეწყვეტა, კახეთის შემოერთება, მომთაბარეთა განდევნის დაწყება) რომ სელჯუკთა ძლიერ იმპერიასთან სამხედრო კონფლიქტში არ შესულა, მაგრამ როგორც კი, ქვეყანა ამისთვის მზად აღმოჩნდა (სამობილიზაციო სისტემის აღდგენის, არმიის ბრძოლის უნარიანობის ამაღლების, კახეთის რესურსების ათვისების, სატრანსპორტო კომუნიკაციური სისტემის გაუმჯობესების შემდეგ) და საერთაშორისო ვითარებაც (სელჯუკთა იმპერიის წმინდა ომი ჯვაროსანთა წინააღმდეგ) ხელსაყრელი გახდა აქტიური სამხედრო პოლიტიკის საწარმოებლად, მას არ დაუყოვნებია და ელვისებურად გადავიდა მოქმედებებზე.

დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე სტრატეგიული ხედვის მაჩვენებელია ის გარემოებაც, რომ სელჯუკებთან ომის მანძილზე მან შეძლო ერთი ფრონტის შენარჩუნება ისლამურ სამყაროსთან და საქართველოს სამხრეთ დასავლეთით მდებარე დანიშმენდიდებისა და ხლათის ძლიერ საემიროებთან ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა, რაც მას განძა-შირვანის მიმართულებაზე მოქმედების სრულ თავისუფლებას აძლევდა ზურგში დარტყმის საშიშროების გარეშე. მაგრამ როგორც კი დასრულდა სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიასთან ომი და სულთან მაჰმუდთან ზავი დაიდო, მისი აქტიურობა უკვე სამხრეთ-დასავლეთ (ანისის) მიმართულებაზე განვითარდა, სადაც არსებული ზავის პირობებში სამხედრო დაპირისპირებისას ხლათის ან დანიშმენდიდების საემიროსთან (რასაც აუცილებლად ექნებოდა ადგილი ეს კამპანია დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას რომ არ შეენწყვიტა) მას უკვე სელჯუკთა ირან-ერაყის იმპერიის მხრიდან ჰოქნდა ზურგი თავისუფალი.

იგივე ბაგრატ IV-ისგან განსახვავებით დავით აღმაშენებლის სწორი და ეფექტური სტრატეგიის შესანიშნავი მაგალითია თბილისის აღება და საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოყვანა, რაც XI საუკუნის სიგრძეზე, ქართული სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა და ქართველი მეფეები პირველ რიგში ბაგრატ IV და დავით აღმაშენებელი თავიანთ ძირითად ამოცანად სწორედ მის შესრულებას ისახავდნენ.

თავისი ხანგრძლივი მეფობის (1027-1072 წლებში) მანძილზე ბაგრატ IV მცდელობა არ დაუკლია თბილისის უკან დასაბრუნებლად, რისთვისაც იგი როგორც დიპლომატიას ასევე სამხედრო მეთოდებსაც იყენებდა. როგორი შიდა თუ გარე სიტუაცია არ უნდა შექმნილიყო ბაგრატ IV წინაშე მისი ყურადღება და აქტიურობა მანც თბილისისკენ იყო კონცენტრირებული, მაგრამ მიუხედავად ამისა მან ამოცანის შესრულება ვერ შესძლო. როგორც უკვე იყო აღნიშნული, თბილისი რამდენჯერმე აღმოჩნდა ბაგრატის ხელში, მაგრამ იმის გამო, რომ არ იყო ლიკვიდირებული მისი შენარჩუნებისთვის აუცილებელი შიდა თუ გარე ხელის შემშლელი ფაქტორები (არ იყო აღკვეთილი შიდა ფეოდალური ოპოზიცია, არ იყო შემოერთებული კახეთი, ბოლომდის ვერ აღიკვეთა განძის საემიროს აქტიურობა, რასაც ემატებოდა გარეშე ჯერ ბიზანტიური, ხოლო შემდეგ სელჯუკთა ფაქტორები და ა.შ.) მისი სამეფოს შემადგენლობაში შემოყვანა, ვერც ერთხელ ვერ მოხერხდა. ძნელი არ უნდა იყოს, რომ ბაგრატ IV წარუმატებლობის ძირითად მიზეზად მიუხედავად მისი შეუპოვრობისა და მონდომებისა, თბილისისათვის ბრძოლის არასწორი სტრატეგია და არათანმიმდევრულობა დავინახოთ, რაც ქვეყნისთვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას საბოლოო ჯამში შეუძლებელს ხდიდა.

ისევე როგორც ბაგრატ IV-ისთვის, თბილისის დაბრუნება დავით აღმაშენებლისათვისაც, მეფობის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა, მაგრამ მისი სტრატეგია იყო სრულიად

განსხვავებული. იგი დიდი ხნის განმავლობაში არ აკეთებდა პირდაპირ მცდელობას თბილისის ასაღებად, თუმცა თანმიმდევრულად ქმნიდა პირობებს ამ პრობლემის ერთხელ და საბოლოოდ გადასაწყვეტად. ბაღვაშთა საერისთაოს ლიკვიდირება, კახეთის შემოერთება, განძის საემიროს განდევნა ქვემო ქართლ-სომხითიდან, რუსთავისა და რიგ სხვა ციხეების აღბა, საემიროს ბლოკირებას ნიშნავდა ისლამური სამყაროდან, რომლის დროსაც თბილისთან დამაკავშირებელ საქარავნო გზებზე სრული კონტროლის დამყარების პირობებში, თბილისის საემიროს არსებობა საქართველოს მეფის ნებაზე ხდებოდა დამოკიდებული. დავით აღმაშენებელს არც ამ სიტუაციაში უცდია ქალაქის აღება, რადგან მიუხედავად მისი ბლოკირებისა, პირდაპირი შეტევის შემთხვევაში ძალიან მაღალი იქნებოდა თბილისის დასახმარებლად ისლამური კოალიციის ორგანიზების ალბათობა, რაც დავით აღმაშენებელს ორ ფრონტზე ბრძოლის საშიშროების წინაშე დააყენებდა. არ შეიძლება არსებობდეს ეჭვი იმის თაობაზე, რომ უკვე სამშვილდისა და განსაკუთრებით რუსთავის აღების შემდგომ სამხედრო თვალსაზრისით თბილისის დაპყრობა არ იქნებოდა გადაუღალახავი ამოცანა, მაგრამ აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველოს მეფე ამ ნაბიჯზე ჯერ არ მიდილოდა. ვითარება რადიკალურად შეიცვალა დიდგორის ბრძოლის შემდეგ, როდესაც მუსლიმური სამყაროს ის პოტენციალი, რომელსაც ისლამური თბილისი ქართული საფრთხისაგან უნდა ეხსნა, განადგურებული აღმოჩნდა. ამ საშიშროების ლიკვიდირების შემდეგ დავით აღმაშენებელს აღარ დაუყოვნებია ამ ოთხსაუკუნოვანი პრობლემის გადაწყვეტა და როგორც უვე იყო აღნიშნული, მან ბრძოლით აიღო თბილისი და შეუერთა იგი საქართველოს გაერთიანებულ სამეფოს.

როგორც თბილისი შემოერთების, ისე ნებისმიერი სხვა მაგალითი მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ დავით აღმაშენებლის პოლიტიკას მუდმივ ხაზად გასდევდა სტრატეგიის უმთავრესი პრინციპი: მოიპოვო უპირატესობა გადამწყვეტ დროს გადამწყვეტ ადგილას. ალბათ არ შევცდებით იმის დასკვნაში, რომ საქართველოს მეფის ამ გამოკვეთილმა ღირსებამ ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა იმ წარმატებებში, რასაც საქართველოს სამეფომ მიაღწია მისი ხელმძღვანელობით.

დავით აღმაშენებელი, როგორც ტაქტიკოსი მხედართმავარი

ნებისმიერი, თუნდაც უნაკლო სტრატეგიული ჩანაფიქრი უშედეგოა, თუ იგი ტაქტიკური სრულყოფილებით არ ხორციელდება. დავით აღმაშენებლის შემთხვევაში ჩვენს წინაშეა სამხედრო ხელოვნების ამ ორი უმთავრესი ელემენტის იდეური ურთიერთშერწყმის მაგალითი ერთ პიროვნებაში და სწორედ ეს ფაქტორი წარმოადგენს იმ მთავარ ღირსებას, რომელიც დავით აღმაშენებელს თავისი დროის დიდი მხედართმავრების გვერდით აყენებს.

დავით აღმაშენებლის მეფობის ხანაში, განსაკუთრებით კი, მის პირველ პერიოდში საქართველოს სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს სტრატეგიულ ამოცანას მომთაბარეთა სადგომების მოსპობა და მათი მარბიელი რეიდების აღკვეთა წარმოადგენდა, რაც ურთულეს სამხედრო ამოცანათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა და მათი პრობლემის გადაჭრა, მხოლოდ სამხედრო გზით იყო შესაძლებელი. საქართველოს მსგავსად, აღნიშნული პრობლემა იდგა რიგ სხვა ქვეყნების და პირველ რიგში, ბიზანტიის იმპერიის წინაშე, რომლის სამხედრო მესვეურებმაც მომთაბარეთა წინააღმდეგ, სრულიად მცდარი ტაქტიკური სქემა დაამუშავეს.

ბიზანტიელთა სამხედრო თეორიის მიხედვით, მომთაბარეთა მარბიელი რაზმების წინააღმდეგ ბრძოლა უნდა მომხდარიყო არა მათი რეიდების საწყის ეტაპზე, როდესაც მათი მეომრები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებოდნენ, არამედ რეიდის ბოლოს, როდესაც გრძელი მარშებითა და წვრილი შეტაკებებით დაქანცულ და ამასთან, ალაფითა და ტყვეებით დატვირთული მომთაბარეთა რაზმებს დაკარგული ექნებოდათ მობილურობა და ბრძოლისუნარიანობა. ამის განსახორციელებლად ბიზანტიური გარნიზონები ხელს არ უშლიდნენ მარბიელებს შესულიყვნენ იმპერიის ტერიტორიების სიღრმეში და მხოლოდ მისი დატოვებისას ცდილობდნენ მათთან ბრძოლის გამართვას. მიუხედავად ბიზანტიელთა პერიოდული წარმატებებისა, ასეთმა ტაქტიკამ მათთვის დამლუპველი შედეგები მოიტანა, რის შედეგადაც მცირე

აზიის მთელი რიგი რეგიონები ჯერ კიდევ სელჯუკების გამოჩენამდე აღმოჩნდა აოხრებული და თავდაცვის უნარდაკარგული.

ბიზანტიელთა განსახვავებით, დავით აღმაშენებლის მიერ მომთაბარეთა წინააღმდეგ შემუშავებული ტაქტიკა (მცირერიცხოვანი რაზმებით მათი გარემოცვა და სწრაფი განადგურება სამეფოს ტერიტორიებზე გამოჩენისთანავე) აღმოჩნდა ერთადერთი ეფექტური სშუალეზა მომთაბრეობის წინააღმდეგ პირველი ნარმატებების მისაღწევად, რომელმაც უდიდესი სირთულეების მიუხედავად, შედეგი ამ ტაქტიკის გამოყენების საწყის ეტაპზევე მოიტანა, რაზედაც დავითის მემკვიდრე ჯერ კიდევ ერწუხის ბრძოლამდე აღნიშნავდა, რომ „თურქნი ვერლარა დაიზამთრებდეს ქართლს.“

როგორც კი, მომთაბარეთა წინააღმდეგ ბრძოლამ მიიღო მასშტაბური ხასიათი და სტრატეგიული ამოცანების რიგში დადგა სამეფოს საზღვრებს გარეთ მათი სადგომების მოსპობის აუცილებლობა, რაც ისლამურ ტერიტორიებზე ღრმა რეიდების სწრაფად განხორციელებას საჭიროებდა, დავით აღმაშენებელმა მაშინვე შემოიტანა ამისთვის აუცილებელი ახალი ტაქტიკური ელემენტი, საბრძოლო ოპერაციების განხორციელება მსუბუქი ცხენოსანი მოისრეებით (ყივჩაღებით), რაც დავით აღმაშენებლის სამხედრო ხელოვნებაში სტრატეგიისა და ტაქტიკის ჰარმონიული შერწყმის ნათელი მაგალითია.

რასაკვირველია, დავით აღმაშენებლის ტაქტიკური ხელოვნების მწვერვალი თრიალეთის და, განსაკუთრებით, დიდგორის ბრძოლებია, რომელთა დროსაც სრულად გამოვლინდა საქართველოს მეფის მხედართმთავრული უნარი. თუ თრიალეთის ბრძოლის დროს გამოყენებული ტაქტიკური ელემენტები, რაზედაც მეტნაკლები დამაჯერებლობით შეიძლება მსჯელობა (მონინააღმდეგის „გადაჭერა“ მისთვის არახელსაყრელ ადგილზე ფორსირებული მარშის მეშვეობით, მტრის არმიას თავდასხმა კოლონებად დაწყობისა და ბანაკის დატოვების მომენტში და ა.შ.) ისტორიულ მონაცემთა არარსებობის გამო საკმაოდ ცოტაა, ამას ვერ ვიტყვით დიდგორის ბრძოლაზე, რომელიც სამხედრო ტაქტიკის ერთ მთლიან შედეგს წარმოადგენს.

დავით აღმაშენებლის გადაწყვეტილება დიდგორის მიდამოებში ბრძოლის გამართვის შესახებ აერთიანებდა მრავალ სხვადასხვა ფაქტორს: მონინააღმდეგის ამ მონაკვეთში შეჩერების აუცილებლობას, რათა მას არ მიეღწია მისთვის სტრატეგიულად მომგებიან ნერტილამდე; ბრძოლის ველის რელიეფის თავისებურებებს, რომელიც მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში არ მისცემდა მონინააღმდეგს ძალების სწრაფი გადაჯგუფებისა და კონცენტრირების საშუალებას; ჩასაფრების ორგანიზებას და სრული მოულოდნელობის ფაქტორის შექმნას; თავდასხმის დროს, როდესაც მონინააღმდეგს გრძელ კოლონად გაშლილი და ალგეთის ხევის ნაპირებზე ორ ნაწილად გაყოფილი არმია ვერ შეძლებდა მთელი შემადგენლობით ბრძოლაში მონაწილეობის მიღებას, ავანგარდის ჩასაფრებაში შეტყუებით მონინააღმდეგის რიგებში დაბნეულობისა და გაურკვევლობის შეტანას და ამის შემდეგ დაუცველ ფლანგებზე ძირითადი შეტევის განხორციელებას და ა.შ. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ამდენი ტაქტიკური ელემენტის ერთ ბრძოლაში დაგეგმვა და ნარმატებით გამოყენება მხოლოდ დიდ მხედართმთავრებს შეეძლოთ, რომელთა რიგებსაც საქართველოს მეფე უდავოდ მიეკუთვნება.

დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქის ცნობილი მხედართმთავრები

თუ ჩვენ გავავლებთ ერთგვარ პარალელებს დავით აღმაშენებელსა და მისი ეპოქის (XI-XII საუკუნეები) სხვა ცნობილ მხედართმთავრებს შორის ადვილად დავრწმუნდებით, რომ საქართველოს მეფე თითქმის ყველა მათგანს აღემატებოდა ღირსებათა იმ კომპლექსით, რაც დიდ მხედართმთავრს „კარგი“ მხედართმთავრისგან გამოარჩევდა.

დავითის ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სამხედრო მოღვაწე იყო ჯვაროსნული ლაშქრობების ერთ-ერთი ლიდერი, ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი, რომელიც ძალიან მაღალი სამხედრო ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის. ბოემუნდი იყო უბადლო ტაქტიკოსი (რაც განაკუთრებით კარგად გამოჩნდა დორილეუმისა და ანტიოქიის ბრძოლებ-

ში) უაღრესად მამაცი და გამბედავი მეომარი (რაც მან არაერთგზის დაამტკიცა მრავალრიცხოვანი ომებისას), კარგი ორგანიზატორი (რაც მან გამოამჟღავნა ანტიოქიის სამთავროს დაარსებისას) მაგრამ სუსტი სტრატეგი და ერთგვარი „ავანტურისტი“ მხედართმთავარი იყო. ბოემუნდის სტრატეგიის სისუსტე კარგად გამოჩნდა მაშინ როდესაც არახელსაყრელ ვითარებაში და აშკარად არასაკმარისი რესურსებით სცადა ბიზანტიის იმპერიაზე შეტევა, რაც მისი სრული დამარცხებითა და მისთვის დამამცირებელი ზავის დადებით დამთავრდა. ხოლო მისი ავანტურიზმი გამომჟღავნდა მაშინ როდესაც (1101 წ.) სცადა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქის მელიტენას ხელში ჩაგდება, მაგრამ მოუმზადებელი და ნაჩქარევი ლაშქრობის შედეგად თავად ჩაუვარდა ტყვედ დანიშნენდილების ემირს და რამდენიმე წელი ტყვეობაში გაატარა, რაც ფაქტიურად მისი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეობის კრახი იყო.

დავითის ეპოქის ასევე ძალიან ცნობილი მხედართმთავარი იყო ბიზანტიის იმპერატორი ალექსეი კომნენოსი (1081-1118 წწ), რომელმაც დავით აღმაშენებლის მსგავსად დაშლილი, ტერიტორიებშემცირებული და მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა ჩაიბარა, რომელიც 37 წლიანი მმართველობის შემდეგ უძლიერეს იმპერიად აქცია. მიუხედავად იმისა, რომ თავისი იმპერატორობის მანძილზე მან უამრავი ბრძოლა გადაიხადა, ძირითად წარმატებებს მაინც დიპლომატიის მეშვეობით მიაღწია. ალექსეი კომნენოსი იყო სტრატეგიის, თუ შეიძლება ითქვას, პოლიტიკური სტრატეგიის დიდოსტატი, იგი ყველაზე უმძიმეს სიტუაციებშიც კი, ახერხებდა მის მოწინააღმდეგეთა შორის არსებული წინააღმდეგობების თავის სასარგებლოდ გამოყენებასა და სასურველი შედეგის მიღწევას. მაგალითად, მან ძალზედ მოხერხებულად შეძლო პაჭანიკებსა და ყივჩაღებს შორის არსებული დაპირისპირების გაღრმავება და ყივჩაღების ხელით პაჭანიკებზე გამარჯვების მოპოვება. ასევე ეფექტურად გამოიყენა რუმის სასულთნოსა და სელჯუკთა დიდ იმპერიას შორის არსებული წინააღმდეგობები, რომლის მეშვეობითაც შეძლო სინოპისა და ტრაპიზონის შენარჩუნება უმძიმესი კრიზის პირობებში. ფაქტობრივად, მან მოახდინა (ყოველ შემთხვევაში მისი სანცის ეტაპს ძალიან შეუწყო ხელი) ჯვაროსნული ლაშქრობების პროვოცირება, რომელთა შედეგადაც იმპერიის შემადგენლობაში დააბრუნა მნიშვნელოვანი ტერიტორიები მცირე აზიაში და ა.შ. ალექსეი კომნენოსი როგორც დიპლომატი აშკარად აღემატებოდა კომნენოს მხედართმთავარს. მართალია, მან მრავალრიცხოვან ომებში საკმაოდ ბევრი გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ მარცხიც ბევრჯერ იგემა, რის გამოც ისიც და მისი იმპერიაც რამდენჯერმე დალუპვის პირზე იდგნენ.

ალექსეი კომნენოსისგან სრულიად განსხვავებულ ფიგურას წარმოადგენდა ინგლისის ჯვაროსანი მეფე რიჩარდ ლომგული (1189-1199 წ.წ.) რომლის მეომრული თვისებები და რაინდული შემართება დღესაც კი, ლეგენდების საფუძველია. რიჩარდ ლომგული ითვლება შუასაუკუნეების ერთ-ერთ საუკეთესო მხედართმთავრად, სინამდვილეში კი, იგი უფრო არა მხედართმთავარი, არამედ პირველი რაინდი და საოცარი სიმამაცისა და გამბედაობის მქონე მეომარი იყო. ამასთან, მისი სტრატეგიული აზროვნება აშკარად ჩამორჩებოდა მის მართლაც და გამორჩეულ მეომრულ თვისებებს. რიჩარდ ლომგულმა, როგორც საფრანგეთში (იმ დროს თანამედროვე საფრანგეთის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა), ასევე წმინდა მიწაზე ჯვაროსნული ლაშქრობისას არაერთი ბრწყინვალე ბრძოლა მოიგო. შეიძლება ითქვას, რომ პირდაპირ შეტაკებაში იგი არასოდეს არ დამარცხებულა, მაგრამ უმთავრესი სტრატეგიული ამოცანების შესრულება მან ვერც საფრანგეთში შეძლო, სადაც ის ინგლისის მფლობელობის შენარჩუნებას ცდილობდა და ვერც პალესტინაში, სადაც მისი ბრძოლა იერუსალიმის დასაბრუნებლად მიუხედავად სამხედრო გამარჯვებებისა, მაინც უშედეგოდ დამთავრდა.

დავით აღმაშენებლის ეპოქის ცნობილ მხედართმთავრებს ასევე მიეკუთვნებოდა (თამარ მეფის თანამედროვე) მუსლიმური სამყაროს ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული გმირი სალადინი, რომელმაც დიდ წარმატებებს მიაღწია ჯვაროსნების წინააღმდეგ ბრძოლაში. მიუხედავად იმისა, რომ სალადინმა შეძლო იერუსალიმის პირველი სამეფოს განადგურება, მან მაინც საკმაოდ ბევრი სტრატეგიული ხასიათის შეცდომა დაუშვა (ყველაზე დიდი შეცდომა

იყო საპორტო ქალაქ ტირის ჯვაროსნების ხელში დატოვება, რაც შემდეგ ჯვაროსნებმა ახალი ლაშქრობის ბაზად გამოიყენეს) რითაც შესაძლებლობა მისცა ჯვაროსნებს უკან დაებრუნებინათ პალესტინის საგრძნობი ნაწილი. მიუხედავად მუსლიმურ სამყაროში დღემდე არსებული ლეგენდებისა სალადინის დაუმარცხებლობის შესახებ, რეალობაში ეს ასე არ იყო და სალადინმა რამდენიმე საკმაოდ სასტიკი დამარცხება იწვნია. პირველად იგი დაამარცხა 16 წლის მეფემ ბალდუინ IV მონგისარდის ბრძოლაში, როდესაც სალადინმა პირდაპირი მნიშვნელობით ძლივს დააღწია სიკვდილს თავი და ბრძოლის ველიდან სამარცხვინოდ გაიქცა. ასევე სასტიკი დამარცხებები იგემა მან რიჩარდ ლომგულისგან იაფესა და არსუფის ბრძოლებში. შეიძლება ითქვას, რომ თავისი უმთავრესი სტრატეგიული ამოცანის, ჯვაროსნების სირია-პალესტინიდან განდევნის შესრულება, სალადინმა ვერ შეძლო, თუმცა ჯვაროსანთა სიძლიერეს უდიდესი დარტყმა მიაყენა.

თუ ჩვენ მოვახდენთ ერთგვარ პირობით შედარებას დავით აღმაშენებელსა და დასახელებულ მხედართმთავრებს შორის, აშკარად დავინახავთ, რომ დავით აღმაშენებელი არათუ რამეთი ჩამორჩებოდა მათ, არამედ მხედართმთავრისთვის აუცილებელი ამა თუ იმ ღირსებების კომპლექსით აჭარბებდა კიდევ მათ.

დავით აღმაშენებლისთვის აბსოლუტურად უცხო იყო ანტიოქიის მთავრის ბოემუნდის ავანტურიზმი და გაუფრთხილებლობა, ალექსეი კომნენოსისგან განსხვავებით ბრძოლებში დამარცხება, რიჩარდ ლომგულის არათანმიმდევრობა სტრატეგიული მიზნების მიღწევისას და სალადინის შეცდომები სამხედრო კამპანიების წარმოებისას. **გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დავით აღმაშენებელი შემკული იყო დიდი მხედართმთავრისთვის საჭირო ყველა ღირსებით, რაც პირდაპირ პროპორციულად აისახა მისი მოღვაწეობის შედეგებსა და საქართველოს წარმატებებში.**

დავით აღმაშენებელს არ ნაუგია არც ერთი ბრძოლა. არ შეუწყვეტია შუა გზაზე არც ერთი თავისი სამხედრო კამპანია. მიუღწეველი არ დარჩენია არც ერთი სტრატეგიული მიზანი. დავით აღმაშენებლის მემატყიანე მიუთითებდა, რომ „თუმცა დავითს სპასთა ჰქონებოდა მეფობა, ანუ ბერძენთა და ჰრომთა ძალი, ანუ სხუათა დიდთა სამეფოთა, მაშინმცა გენახნეს ნაქმარნი მისნი, უაღრესნი სხუათა ქებულთანი“. ჩვენთვის, ეს ალბათ ერთადერთი მონაკვეთია დავით აღმაშენებლის მემატყიანის ქრონიკიდან, რომელსაც ყოველგვარი კრიტიკისა და შენიშვნის გარეშე უნდა დავეთანხმოთ. ასეთი გამორჩეული პირადი ღირსებების მქონე მეფე და მხედართმთავარი, ნამდვილად ჩანერდა არაერთ სასახელო ფურცელს მსოფლიო ისტორიაში, მისი მეფობის ქვეშ უფრო დიდი სამეფო და უფრო მეტი რესურსი რომ ყოფილიყო, მაგრამ **საბედნიეროდ, დავით აღმაშენებელი საქართველოს მეფე იყო და მან ამ რანგშიც დატოვა გამორჩეული კვალი როგორც საქართველოს, ასევე იმდროინდელი მსოფლიოს ისტორიაშიც.**

**სამეურნეო საქმიანობისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა საკითხები
 ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ვანის თემსაზოგადოების მიხედვით
 (გაგრძელება)**

ამდენად, რეორგანიზაციამ „სოფლის საზოგადოებების“ მმართველობათა სისტემა დატოვა უცვლელად. განმკარგულებელ ორგანოდ კვლავ დარჩა საზოგადოების ყრილობა, აღმასრულებლად-სოფლის კანცელარია თავისი აპარატით და სასამართლო სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული „მოსამართლეებით“. სოფლის საზოგადოებებს გაეზარდათ სამოქმედო სივრცეც. რადგანაც მათ საგამგებლო დაქვემდებარებაში მოექცა არაერთი, არამედ რამდენიმე სოფელი და დასახლებანი თავიანთი პრობლემატური საკითხებით. როგორც ზემოთ მივუთითეთ ციხესულორიდან სალომინაოს ჩათვლით სოფლები კვლავ დარჩა ქუთაისის მაზრის ბაღდათის, ციხესულორიდან დასავლეთით – ნიქვაძის ფონისა და ციციხეების (დღევანდელი ჭყვიშისა და მთისძირის ტერიტორიები) ჩათვლით ქუთაისის მაზრის სამტრედიის საპოლიციო უბნის შემადგენლობაში, საიდანაც ხორციელდებოდა საბოქაულო-საპოლიციო, ადმინისტრაციული ზედამხედველობა. დავამატებ ერთსაც: დაცულ მასალებში არაერთგან სოფელი ამალღება მოიხსენიება, როგორც გორას სოფლის საზოგადოებაში შემავალი სოფელი (ერთეული) ზოგჯერ განცალკავებულადაც, როგორც უბანი, (უჩხასტოკ) ტერმინი ძირითადად გვხვდება რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. ასეთი ტერმინის ხმარება ამალღებასთან მიმართებაში, განსაკუთრებულად 1909 წლის შემდეგ, არის ადრეჩამოყალიბებული ინერციის შედეგი. რადგანაც აქამდე არც თუ დიდი ხნით ადრე ამალღების, ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობას დაუსვამს საკითხი კავკასიის უმაღლეს ხელისუფლებაში გორას სოფლის საზოგადოებიდან სოფლების-ამალღების, ბზვანისა და ინაშაურის გამოყოფისა და სამივე ბაზაზე ახალი, სოფლის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. მიმართვას ხელს აწერს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 356 კომლის უფროსი¹, კავკასიის მეფისნაცვალის გაგებით მოკიდებია საკითხს და მითითებული სოფლების გამოყოფა დამოუკიდებელ სოფლის საზოგადოებად ჩაუთვლიათ უკიდურეს აუცილებლობად (крайне необходим). თუ რით იყო გამოწვეული ეს უკიდურესი აუცილებლობა ახსნილი არაა. თუმცა გადანყვეტილებაში კონკრეტულადაა საუბარი, რომ აღნიშნული სოფლების გლეხებმა აიღეს პასუხისმგებლობა, როგორც სოფლის კანცელარიის აგების, ასევე კანცელარიის აპარატის, დამატებითი შტატებისა და დარაჯთა და „სტრაჟნიკთა“ შენახვისათვის ხარჯების გაღების შესახებ. აქედან გამომდინარე და აღძრულ შუამდგომლობათა საფუძველზე „მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით ქუთაისის გუბერნიის მმართველობამ მოისმინა საკითხი: ქუთაისის მაზრის სოფელ ამალღების, ბზვანისა და ინაშაურის, გორას სოფლის საზოგადოებიდან გამოყოფის და ამალღების ცალკე სოფლის საზოგადოების შექმნის შესახებ... შემდეგ მოდის დადგენილება – „შეიქმნას ამალღების ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობისაგან ერთი, დამოუკიდებელი სოფლის საზოგადოება, ამალღების სოფლის საზოგადოების სახელწოდებით. გამოიყოს ეს სოფლები გორას სოფლის საზოგადოებიდან. სოფლის საზოგადოების მმართველობის ცენტრად მიჩნეული იქნას სოფელი ამალღება. გადანყვეტილების შესახებ მითითება გაეგზავნოთ ქუთაისის მაზრის უფროსს... ცნობის სახით ინფორმაცია მიენდოთ: გუბერნიის გლეხთა და სამხედრო ვალდებულებათა უწყების, მინისა და სახელმწიფო ქონების მართვის პალატებს, საოლქო სასამართლოს. 7 დეკემბერი. 1909 წელი“².

ამგვარად, 1909 წლიდან „ვანში“ ჩამოყალიბდა ახალი, რიგით მეექვსე-ამალღების სოფლის საზოგადოება.

1. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ სოფლის საზოგადოებების ყრილობაზე ხმის უფლება ჰქონდათ მხოლოდ საზოგადოებაში შემავალ კომლების უფროსებს
 2. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები. ფონდი 176 ანაწერი №1 საქმე №498.

არაა გამორიცხული, რომ პროცესი რამდენადმე განაპირობა მიმდებარე სოფელთა შორის ამაღლების დაწინაურებამ, სამივე სოფლის მცხოვრებთა სიმრავლემ, რომ მათში აღრიცხული იყო 489 ხმის უფლების მქონე კომლის უფროსი (ე. ი. კომლი). ხოლო, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი კომლების წევრთა მრავალრიცხოვნებას, მცხოვრებთა საკმაოდ სოლიდურ შემადგენლობას მივიღებთ.

ამასთან, მდ. რიონის საშუალებით (მხედველობაშია გადასასვლელი ბორნები) ამაღლება წარმოადგენდა მეზობელი სოფლების სატრანზიტო პუნქტს ქუთაისის მიმართულებით. აქვე ფუნქციონირებდა ბაზარი, ზოგიერთი კუსტარული ტიპის ორგანიზაცია და სამრეწლო ორკლასიანი სასწავლებელი განსაკუთრებული უფლებით, რომ მოემზადებინა სამრეწლო სკოლების პედაგოგებიც.

მაღე მაზრის ხელმძღვანელობის დავალებით აქ გაიმართა სოფლის საზოგადოების ყრილობა და მიიღეს გადაწყვეტილება საზოგადოების მამასახლისის, მამასახლისის თანაშემწეებისა და სოფლის მოსამართლეთა არჩევის შესახებ. პრაქტიკულად საზოგადოების ადმინისტრაცია დაკომპლექტდა. მამასახლისის თანაშემწეებად არჩეული იქნა ამაღლების საზოგადოების ცალკეული სოფლებიდან თითო წარმომადგენელი¹. თუმცა არა სჩანს ვინ იქნა მამასახლისად არჩეული. არაა გამორიცხული ე. წ. მთავრობის მამასახლისის დანიშვნაც, მითუმეტეს ამის პრეცედენტი იყო და რადგანაც საზოგადოება „უკიდურესად აუცილებლობით“ ჩამოყალიბდა გასაკვირი არაა ეს პროცესიც ამით აიხსნას. ეს ადასტურებს ვერსიასაც, რომ სოფლის მამასახლისები ინიშნებოდნენ სამაზრო ხელისუფალთა რეკომენდაციის საფუძველზე.

სოფლების საზოგადოებათა გამსხვილებას ერთმხრივად კი გაჰყვა ზოგიერთი დადებითი მომენტები, რაც აისახა საქმიანობის გაცოცხლების, ადმინისტრაციის შენახვის ხარჯების მობილიზების, საზოგადოების მართვის პროცესებში ინდივიდთა მონაწილეობის მისაღებად ერთგვარი დაინტერესებით, რომლისადმი მიდრეკილებასაც დადგენილი სახელფასო ანაზღაურებაც ზრდიდა, მაგრამ იმან, რომ გაფართოვდა სამოქმედო არეალი და მისი სივრცე უკვე შემოიხაზა რამდენიმე სოფლით, საკომუნიკაციო საშუალებათა უალრესად დაბალი დონისა და რიგ სიძნელეთა გამო, როგორც სჩანს მუშაობა რამდენადმე გადაიხარა ფორმალიზმისაკენ. რაც აისახა კიდევაც ამ ორგანოთა ოპერატიულ საქმიანობაზე. „ვანის“ სოფლების საზოგადოებებისათვის აქ ბიძგის მიმცემად მიჩნეულ უნდა იქნას სოფელთა და დასახლებული პუნქტების დაშორიშორებული განლაგება. რომელიც, როგორც ითქვა მაშინდელი საკომუნიკაციო საშუალებათა დაბალი დონე და სოფლების რთული რელიეფური განლაგების პირობები, საზოგადოებებს, როგორც თვითმმართველ ორგანოებს, ეკონომიკურ ფინანსურ სიღარიბესთან ერთად, აქტიურობის გამოვლინების თვალსაზრისით ნამდვილად შეუქმნიდა გარკვეულ ბარიერებს. ამის გამოც გართულებული სჩანს სოფლების საზოგადოებათა ყრილობების მოწვევაც, გადაწყვეტილებათა დადგენილ ერთობლივობაში მიღებაც, მიღებულ გადაწყვეტილებათა საშემსრულებლო კოორდინაციაც და იმის შედეგადაც, რომ, როგორც წესი, სოფლის აღმასრულებელი ორგანოები, ბოლო პერიოდებში პრაქტიკულად ვერ ერეოდნენ სამეურნეო მართვის საკითხებში და წარმოადგენდნენ ძირითადად, მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება უცხო ხილად არ უნდა მოგვეჩვენოს. თუნდაც იმის შემდეგაც კი, როდესაც 1880-იან წლებში გატარებული ხელახალი რეორგანიზაციის შედეგადაც სოფლის საზოგადოებების საქმიანობას შედარებით აქტიური, მიზანმიმართული ხასიათი უნდა შეეძინა. ესეც უდავოდ სჩანს. ამიტომაც საერთოდაც და არამარტო „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა დიდ ნაწილში ამავე საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოები იძულებულნი ხდებიან გადაწყვეტილებები მიეღოთ სოფლის ყრილობის მოწვევის გარეშეც და თვითონვე მოეყვანათ აღსრულებაში. ცხადია ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ მიზეზადაც როდესაც აღინიშნა, რომ ამ ორგანოთა საქმიანობაზე, თუ არ ჩავთვლით გადაწყვეტილებათა დიდ უმრავლესო-

1. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები-ფონდი 176 აანანერი №1 საქმე №498 ამავე საქმით მითითებულია ამაღლებაში არჩეულ პირთა გვარ-სახელებიც.

ბას, რომლებიც ინდივიდუალური ხასიათის მატარებელია და დაცული იყო მხოლოდ ინდივიდების მიერ, რაიმეგვარი წერილობითი დამადასტურებელი საბუთები იშვიათად არსებობენ. როგორც აღინიშნა ამ ორგანოთა საქმიანობის ფორმალობისაკენ გადახრის ერთ-ერთ მიზეზად მიჩნეული უნდა იქნას ადგილობრივი მმართველი კადრების კვლავ არაჯეროვანი დონეც. როდესაც მასალებს ეცნობი მიდიხარ დასკვნამდე, რომ კავკასიის მთავარმართველის საბჭოს წევრის იაკიმოვის შეფასება, რომელიც მან საკითხთა შესწავლის შედეგად წარუდგინა ხელმძღვანელობას ბევრ კომპონენტში ვრცელდება „ვანის“ სოფ-საზოგადოების ხელმძღვანელობის ნაწილზე მაინც. – „საქმიანობის ნაკლი-აღნიშნავს იაკიმოვი – განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობას არ მიუღია ხელმძღვანელი (მხედველობაში აქვს კომპეტენტურობა), რომელიც გამოიყვანდა მას ახალი ცხოვრების ფართო გზაზე“¹, რომ ერთმანეთის მოქიშპე ჩინოვნიკები სოფლის საზოგადოებათა თვითმმართველობებს ვერ უწევენ სათანადო კონტროლსა და მზრუნველობასო. მაშინ, როცა იგივე იაკიმოვი მიუთითებს: „რომ სოფლის საზოგადოებრივი თვითმმართველობის საქმეები... ქუთაისის გუბერნიაში... შედარებით კარგად არის დაყენებული მაგრამ სასურველი სრულყოფა არც მას ახასიათებს“² მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულმა პერსონამ დასვა საკითხი თუ როგორი და რა უფლებებით უნდა სარგებლობდეს სოფლების საზოგადოებათა უფროსები-საკითხს ძვრა ამის შემდეგაც არ მოჰყოლია და იგი არსებული ფორმით განაგრძობდა ფუნქციონირებას 1917 წლამდე. ასე იყო „ვანის“ სოფ-საზოგადოებებშიც. რაც შეეხება მაზრის ხელისუფალთა მხრივ საკურატორო ზონების საქმიანობასთან დამოკიდებულებას, ჩამოყალიბებულ ინდიფერენტობას პერიფერიებიდან, სოფლებიდან, დისტანცირებას და უკონტროლობას-კიდევ უფრო მოგვიანებით დაფიქსირებულია ერთ-ერთი მოხელის ოფიციალურ შეტყობინებაში, რომელშიდაც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მაზრის არაერთ წამყვან თანამდებობის პირს თავის საკურატორო, ყველაზე ახლო დასახლებაშიც თუ ვინმე გზის გამკვლევი არ გააყოლე ამ პუნქტამდე ჩაღწევას დროულად ვერ შეძლებსო.³ ის, რომ ადგილზე თვითკონტროლი ნაკლებად არსებობდა, ხოლო ზემოდანაც ეს პროცესი მთლად მოშლილი თუ არა შედარებით უფერული მაინც იყო, სჩანს სოფელ „ვანის“ საზოგადოების მაგალითზეც. ცხადია, ჩვენ, რადგან მასალები მწირადაა დაცული მასიური მაგალითები არ გვაქვს მამასახლისთა ინსტიტუტის მუშაკთა საქმიანობისა და ზნეობრივი მონესრიგებულობის შესახებ, მაგრამ რაც გვაქვს დაახლოებით წარმოდგენას ნამდვილად იძლევა პროცესებზე.

სოფელ „ვანის“ საზოგადოებიდან ორ პირზე შეიძლება ხაზგასმა: 1. – როდესაც საზოგადოების მამასახლისი რამდენადმე სარგებლობს თანამდებობრივი უფლებამოსილებით და შესაძლებლობათა ფარგლებში აგროვებს ქონებას, ხოლო მეორე მაგალითი გახმაურებული-ეხება ყოფილ მამასახლისს, ვინმე ს-ძეს (გვარს სრულყოფილად შეგნებულად არ ვუთითებ), რომელიც დარღვევითა გამო გაანთავისუფლეს დაკავებული პოსტიდან. მაგრამ ამის შემდეგაც კონკრეტულ პირთა მიერ ქუთაისის გუბერნიაში შეტანილია სარჩელები მის წინააღმდეგ, რის საფუძველზეც აღძრულია საკითხი თანამდებობაზე ყოფნისას განხორციელებული დარღვევების გამო. დღევანდელი გაგებით საქმე ეხება თანამდებობის ბოროტად გამოყენებას, სოლიდური თანხებით მანიპულირებას და დადგენილად მიიჩნიეს, რომ საქმის ირგვლივ შეგროვილი მასალები მთლიანად უჭერს მხარს წაყენებულ ბრალდებას.⁴ არის ზოგიერთი სხვა მინიშნებებიც კანცელარიის ზოგიერთ თანამშრომლებზე, მაგალითად მწერლებზე და ა. შ. მაგრამ ამ საკითხთა განხილვა ჩვენი საუბრის თემას არ წარმოადგენს. თანაც ფაქტები დაფიქსირებულია XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან განხორციელებული რეორგანიზაციის შემდეგ, XX საუკუნის საწყის წლებში. რაც ადასტურებს იმასაც, რომ რეფორმას სამართლებრივ-ზნეობრივი დანეს-

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტომიV გვ.311.
 2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები.ტომი V. გვ.311
 3. 1905-1907 წლების რევოლუციის დოკუმენტების კრებული (რუსულ ენაზე) საქართველოს შსს დოკუმენტები.
 4. ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები — ფონდი 8, ანაწერი №1, საქმე №763

რიგებანი რიგ მომენტებში დაშორდა. თუმცა ამ რამდენიმე მოხელის ან მოხელეთა ზნეობრივ-სამართლებრივი გადახრების გავრცელება, მთლიანობაში სოფლის საზოგადოებებში არჩეულ ხელმძღვანელ პირებზე არ იქნება სამართლიანი.

მიუხედავად ყველაფრისა XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან გატარებულ ღონისძიებებს სოფლის საზოგადოებებისთვის მმართველობის ორგანოებთან დამოკიდებულებაში ძვრები მაინც მოჰყვა, ეს ფიქსირდება „ვანის“ შესაბამისი უწყებების საქმიანობიდანაც. ადგილზე მოკვლეული მასალების ანალიზი, სხვა მასალებთან შეჯერება იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ რიგ საჭირობოროტო საკითხთა გადაწყვეტის თვალსაზრისით უკვე შესამჩნევია ცალკეული თემ-საზოგადოებების გააქტიურება. ირკვევა ისიც, რომ სოფლებისა და დასახლებული პუნქტების ერთ საზოგადოებაში გაერთიანებამ სამოქმედო სივრცის გაზრდასთან, პასუხისმგებლობის მატებასა და სოფლის მოხელეთათვის სახელფასო ანაზღაურების დანიშვნასთან ერთად საქმიანობაც შედარებით პრესტიჟული და საინტერესო გახდა. ალბათ ამის შედეგია, რომ ყრილობათა მიერ არჩეულ დეპუტატთა შორის უკვე გვხვდებიან თავადაზნაურთა, ვაჭართა და ახლადწარმოქმნილი კულაკური ფენების წარმომადგენლებიც: ჩიჯავაძეთა, მესხების, ლასხიშვილებისა და ა. შ. სახით, რომლებიც ასრულებენ, ან აღსრულებაში მოჰყავთ საზოგადოების წინაშე დასმული სხვადა-სხვა გვარი საკითხები და ამას აკეთებენ სოფლის საზოგადოების ყრილობის მიერ არჩეული დეპუტატების სახელით. როგორც ითქვა სამოქმედო არეალის გაზრდამ გამოიწვია მათი დაინტერესებაც და უკვე სათაკილოდ აღარ მიაჩნიათ სოფლის საზოგადოებაში საქმიანობა, რომელიც მანამდე მხოლოდ გლეხთა წარმომადგენლობად მოიაზრებოდა. მაგალითად: თავადი ჩიჯავაძე, იაგორ კონსტანტინეს-ძე მესხთან ერთად აწარმოებს მოლაპარაკებას ვინმე აბრამიძესთან, „ვანის“ საზოგადოების ცენტრში მისსავე საკუთრებაში არსებული აფთიაქის შესაძენად. მოლაპარაკება მიმდინარეობს საზოგადოების სახელით და საზოგადოებისათვის. პირდაპირ არის მითითებული: „ჩვენ – (შემდეგ მოდის აფთიაქის გამყიდველის სახელი და გვარი)... თქვენგან თავად ჩიჯავაძისა და იაგორ მესხისაგან, „ვანის“ საზოგადოების დეპუტატებისაგან მივიღეთ ამ საქმეზე 12000 მანეთი¹“ და ა. შ. მსგავსი რამდენიმე მაგალითი სხვადასხვა პრობლემატურ საკითხებზე ხდება ამ პირობაგანაც და არა მარტო მათაგან. თანაც მინიშნებულია, რომ ეს პირები არიან საზოგადოების ყრილობათა მიერ არჩეული დეპუტატები და გააჩნიათ შესაბამისი უფლებამოსილება. ამ პროცესში ჩანს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარე: სოფლის საზოგადოების შექმნის საწყის ეტაპზე დებულებით გათვალისწინებული ფორმულა, რომ ამ საზოგადოებებში ჩამოყალიბებული თვითმართველობის ერთეული, რომელიც წარმოადგენდა სუფთად გლეხთა წოდებრივ დანესებულებას და მისი იურისდიქცია არ ვრცელდებოდა არაგლეხური წოდების პირებზე, განიცდის ტრანსფორმაციას.

მისი მოქმედება ხდება შედარებით მასშტაბური და ყრილობის დავალებათა შესრულებაში არაგლეხური წოდების პირების, როგორც დეპუტატების მონაწილეობა, მათი დეპუტატებად არჩევაც მიაწინებს ყრილობის გადაწყვეტილებათა იურისდიქციის ამ წოდების წარმომადგენლებზე რამდენადმე გავრცელებაზეც და იმაზეც, რომ გლეხთა თვითმმართველობის ფუნქცია ნელ-ნელა გადის ადრემონიშნული საზღვრებიდან.

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან გააქტიურება გამოკვეთილია გორას სოფლის საზოგადოებაშიც. მათი საქმიანობა გაშლილია რამდენიმე მიმართულებით სოფლად სამრევლო სკოლის გახსნის საკითხებზე. ასევე გორას საზოგადოების ამაღლებისა და ბზვანის დეპუტატებს აქ მცხოვრებ გავლენიან პირებთან ერთად მიჰყავთ მუშაობა ამაღლების სამრევლო სკოლის აღდგენაზე, რომელიც კონკრეტულ მოსაზრებათა გამო მთავრობამ დახურა და აღადგინეს კიდევაც. აქტიურობს უხუთის საზოგადოება უხუთის სამრევლო სკოლის დამაარსებელ თვარაძესთან ერთად. სოფლის საზოგადოებათა უმრავლესობა ჩართულია გზათა მონესრიგების საქმეში, რაც მიაწინებს სოფელთა შორის საკომუნიკაციო საშუალებების მონესრიგებაზე. ტობანიერის საზოგადოება აქტიურადაა ჩართული საძოვრებისა და ტყით სარგებლობის მონ-

1. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა

ესრიგების საკითხებში. სოფლის კანცელარიის წარმომადგენლებს მიჰყავთ მუშაობა სამრევლო სკოლების მასწავლებელთა გასამრჯელოს მოსახლეობიდან აკრების თაობაზე. დადასტურებულია რამდენიმე ფაქტი გაჭირვებაში მყოფ ოჯახებისათვის საქველმოქმედო წესით ფინანსური დახმარების განხორციელების შესახებ და ა.შ. ასე, რომ, როგორც ირკვევა პროცესები პირობებთან შესაბამისობაში დაძრულია. რაც თავისთავად არ ნიშნავს პრობლემათა საშუალო დონეზე დაწესრიგებასაც, მაგრამ მოქმედების კვალი უკვე შეიმჩნევა. უფრო მეტიც: ზოგიერთი სოფლის საზოგადოებაში გაჩენილია მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებაზე პრინციპული დამოკიდებულებისა და შესრულების გარდაუვალობის მოთხოვნაც, რომელშიდაც სჩანს გადაწყვეტილების მიმღები უწყების სამსახურეობრივი თავმოყვარეობის კოდიც. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს „ვანის“ სოფლის საზოგადოების დეპუტატთა ზოგიერთი წარმომადგენლისა და სოფლის კანცელარიის პასუხისმგებელი მუშაკის უკომპრომისო დამოკიდებულება ქუთაისის გუბერნიის მაღალიერარქიული ჩინოვნიკებისადმი სოფელ „ვანის“ ცენტრში (დღევანდელ ქ. ვანში) ახალი სავაჭრო ბაზრის გახსნასთან დაკავშირებით. ამ საკითხში ჩართული აღმოჩნდნენ როგორც დეპუტატები ასევე არა დეპუტატებიც პრივილეგირებული ფენებიდან და ზოგიერთი გლეხიც.

დეპუტატებმა საზოგადოებისა და თავიანთი სახელით ბრალი დასდეს გუბერნიის ხელმძღვანელობას საზოგადოების ყრილობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების იგნორირებაში, ტენდენციურ გადახრაში. ხოლო ქუთაისის მაზრის ბალდათის საპოლიციო უბნის პასუხისმგებელი პირი ვინმე მაჭავარიანი პირდაპირ დაადანაშაულეს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში. როგორც სჩანს პროცესმა მიიღო იმდენად გამწვავებული ხასიათი, კარგად შედგენილი საპროტესტო განცხადება გაიგზავნა კავკასიის მთავარმმართველის თავად გრიგორი გოლიცინის სახელზე. დოკუმენტებიდან დასტურდება ისიც, რომ პრობლემის მოგვარებაში ვანის თვითმმართველობის დეპუტატებმა ჩარევა სთხოვეს პეტერბურგში იმპერიის სენატსაც. ყველაზე მაღალ ინსტანციას იმპერიაში. მოცემულ მტკიცებულებაში, რომელიც როგორც სჩანს, პროფესიონალი იურისტის მიერაა შედგენილი, მსჯელობის საყრდენად გამოყენებულია გუბერნიის ხელისუფლების მხრივ სოფლის საზოგადოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების უგულვებელყოფა. თუმცა ამ მიმონერათა ანალიზით იკვეთება განმცხადებელთა ზოგიერთი მიმართულების კერძო ინტერესებიც. მაგრამ აქ, დაბალი ინსტანციიდან ბრძოლის პროცესი და უკომპრომისობაა თვალში საცემი.

უფრო მოგვიანებით, განსაკუთრებით 1900-იანი წლებიდან 1917 წლამდე სამეურნეო საქმიანობისა და გლეხთა ოჯახებისათვის რამდენადმე მხარდაჭერის მიზნით სოფელ „ვანისა“ და ტობანიერის საზოგადოებები ჩართულნი სჩანან შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობების ფორმირებასა და მათი გააქტიურების პროცესებში. თუმცა ეს დაიწყო შედარებით ადრე შექმნილ სოფელ „ვანის“ საზოგადოებასთან, რომელთანაც ორგანიზაციის არსებობა დასტურდება მთავარმმართველის თავად გოლიცინის სახელზე გაგზავნილ საჩივარშიც. რა სახის მუშაობა გასწიეს ვანი-ტობანიერის შემნახველ გამსესხებელმა ორგანიზაციებმა ცნობები კონკრეტულობაში არა გვაქვს. მაგრამ ამავე სოფლების საზოგადოებებთან შექმნილმა „საკრედიტო ამხანაგობებმა“ რომელშიდაც, როგორც წესი სანესდებო კაპიტალს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის ნებაყოფილებითი ფინანსური შენატანები, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში მათივე სანესდებო კაპიტალის უზრუნველყოფას თხოვნისა და სახელმწიფოსაგან ნებართვის გაცემის საფუძველზე ახდენდნენ მოქმედი ბანკები, ნამდვილად შეასრულეს მნიშვნელოვანი როლი საზოგადოებების ზოგიერთი მაცხოვრებელთა ყოფითი და ფინანსური პრობლემების მოწესრიგებისათვის, მათზე შეღავათიანი სესხების გაცემით. აქ მნიშვნელოვანია ისიც, რომ კონკრეტული თანხები გამოყოფილი სპეციალური მუხლით – „მევახშეთა ვალების დასაფარავად“. რომელიც უმტკივნეულეს პრობლემას წარმოადგენდა. წინმსწრებად უნდა ითქვას, რომ ამ თხრობაში საკრედიტო ამხანაგობების მიერ გაცემულ თანხებზე, მისი ციფრობრივ მაჩვენებლებზე საუბარი გვექნება შესაბამის ადგილზე.

ასე რომ, როგორც აღინიშნა „ვანის“ ზოგიერთი სოფლების საზოგადოებების მეტნაკლე-

ბი გააქტიურებების პროცესი სახეზე გვაქვს. თუმცა ეს შეფასება ვერ გავრცელდება ყველა მათგანზე. სჩანს საკითხი წესრიგდებოდა იმ დოზითა და მიმართულებით რომლის და როგორ საშუალებასაც იძლეოდა ადგილობრივი შესაძლებლობანი და ადგილობრივ მცხოვრებთა, ძირითადად გლეხობის ფიზიკური მონაწილეობა პროცესებში. ამიტომაც „ვანის“ სოფლების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე მნიშვნელოვანი ძვრებით არ ხასიათდება. ვიმეორებ: მითუმეტეს პერიფერიებთან დამოკიდებულებაში სახემწიფოს ზრუნვა არც სჩანს და არც დასტურდება. ასეთად რჩება იგი 1920 წლის ბოლომდე.

როგორც ზემოდ აღინიშნა საინტერესო სურათს იძლევა სოფლების საზოგადოებების რეორგანიზაციის შემდეგ „ვანის“ სოფლების საზოგადოებათა ადგილობრივი სასამართლოების საქმიანობა. მათი ფორმირების პრინციპი კვლავ უცვლელად იქნა დატოვებული. როგორც წესი, ირჩევდნენ სოფლის საზოგადოებათა ყრილობები და წარმოადგენდნენ პირველი დონის სასამართლოებს. 1900-იანი წლების მიჯნიდან მასში ვხვდებით თავად აზნაურთა ერთეულ წარმომადგენლებსაც. რაც, როგორც ითქვა უნდა უკავშირდებოდეს საზოგადოებათა ტერიტორიალურ, საგამგეო საკითხთა ფუნქციონალურ გაფართოებას, რამდენადმე ავტორიტეტის ზრდასაც.

XX საუკუნის მიჯნიდან „ვანის“ სოფლის საზოგადოებათა სასამართლოები რამდენადმე გააქტიურებულნი სჩანან და განსაკუთრებულად ეს გამოკვეთილია სოფელ „ვანის“ საზოგადოების სასამართლოდან. დაცული მასალების დიდი უმრავლესობა სწორედ ამ სასამართლოს მიერ განხილულ საკითხებს ეყრდნობა. ყურადღებას იქცევს მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიც ზოგან იგი დაფიქსირებულია სოფლის საზოგადოების სასამართლოს სახელით (საზოგადოების „სუდმა“ გამოიტანა გადაწყვეტილება), მაგრამ აბსოლუტურ უმრავლესობაში გადაწყვეტილებები გამოტანილია მედიატორთა სახელით. არის შემთხვევები, სადაო პრობლემები განხილულია არჩეული ან შერჩეული ვექილების სახელით, თუმცა ყველა ამათგან გამოტანილი გადაწყვეტილება, როგორც წესი აღსრულებაში უნდა მოიყვანა, სოფლის მამასახლისს, როგორც საზოგადოების აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს. როგორც ჩანს აქ ან ტერმინის აღრევასთან გვაქვს საქმე, ან როგორც ითქვა სოფლის საზოგადოებათა გამსხვილების საფუძველზე, საკომუნიკაციო და ოპერატიული საქმიანობის გართულების შედეგად სოფლის საზოგადოებათა ყრილობების საქმიანობაშიც, მოსამართლეთა არჩევის საკითხებშიც სჭარბობს ფორმალიზმი. რის გამოც სულაც არაა გამორიცხული ადგილზე ეს პირები შეირჩნენ საზოგადოების ადმინისტრაციის შეხედულების საფუძველზე. ამ მოსაზრებას ამყარებს დაცული ზოგიერთი მასალაც, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ არაიშვიათად ე. წ. ვექილებიც და მედიატორებიც შერჩეულნი არიან მოდავე პიროვნებებისგან ურთიერთშეთანხმებით, საზოგადოებისათვის ავტორიტეტული პირებისაგან და საერთოდ არა ჩანს, რომ როგორც წესი ისინი არჩეულნი არიან საზოგადოების ყრილობათა მიერ. ყოველ შემთხვევაში ადგილზე დაცული მასალის ანალიზი ასეთი სურათის მომცემია, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სოფლების საზოგადოებების ყრილობებმა, როგორც განმკარგულებელმა ორგანოებმა რამდენადმე დასთმეს პოზიციები (უფრო სწორად აღარ ან ვეღარ ანხორციელებენ რეორგანიზაციით მინიჭებულ უფლება-მოსილებებს) და სოფლის საზოგადოებების ყრილობების მიერ აღარც „არანაკლები სამი კაცის შემადგენლობით“ მოსამართლეთა არჩევას ანიჭებენ უპირატესობას, ან დაშვებულია ადგილობრივ სასამართლოთა პარალელურად ე. წ. მედიატორთა ინსტიტუტის არსებობაც, რომელთა მიერაც გადაწყვეტილებანი მიღებულია „მედიატორთა განჩინების სახით“ სპეციალური სააღსრულებო ფურცლით. ხოლო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დაპირისპირებულ მხარეთა დავა ძირითადად გამორიცხული სჩანს შემდეგი გარემოებებიდან გამომდინარე: – როგორც ითქვა, ისე, როგორც საზოგადოებათა სასამართლოებში, ასევე მედიატორთა განხილვაზე საკითხთა მოსმენა არ ეყრდნობოდა წინასწარ მოკვლევას. მოპასუხე მხარეები მოწმეებთან ერთად პროცესის მსვლელობისას იძლეოდნენ ახსნა-განმარტებებს და ამის შემდეგ აზრთა შეჯერების კვალობაზე ხდებოდა შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანა. ხოლო მედიატორული მოსმენის წინ მოდავე მხარეები მათ მიერ შერჩეული მედიატორების

წინაშე დამატებით დებენ ხელწერილს ან ხელშეკრულებას ე. წ. „მედიატორული ხელწერილის“ სახით, რომლითაც ადასტურებენ, რომ ისინი ენდობიან და ემორჩილებიან მედიატორთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. პირობის დამრღვევი ისჯება წინასწარვე შეთანხმებული და დადგენილი საკმაოდ დიდძალი ფულადი ჯარიმის გადახდით¹. ამდაგვარი შეთანხმება და წერილობითი ფორმით ვალდებულების აღება თავისთავად ბლოკირებას უკეთებს მიღებული გადაწყვეტილების ირგვლივ რაიმე-გვარი დავის დაწყებას.

ზემოდ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით გავეცნოთ რამდენიმე დოკუმენტურ მასალას: ა – „ჩვენ მედიატორებმა, როგორც დაახლოებით მცოდნემან, ყოველივე საქმისა გრამოტისა, ჩვენის სინდისის სამართლის და შეხედულებით შეერთებულის აზრით ესრესთ დავადგინეთ“ (შემდეგ მოდის დადგენილება, რომელიც გამოტანილია სამედიატორო დადგენილების სახით და შესრულება სავალდებულო ხასიათის მატარებელია, ან წინააღმდეგ შემთხვევაში არ-შესრულებაზე გათვალისწინებულია ჯარიმა). ბ – „1902 წელს აგვისტოს 24-სა დღესა „ვანის“ სასოფლო სუდმა განიხილა საქმე ძიებისა გამო“ – მითითებულია პიროვნებები, რომელთა სადაო საკითხებსაც იხილავს ვანის სასოფლო სუდი და გადაწყვეტილებაც გამოტანილია ამავე „სუდის“ სახელით².

გ) – „ჩვენ მედიატორებმა განვსაზღვრეთ და განვაჩინეთ ჩვენის მიხედვით და სინდისითა²“. როდესაც ამ ადამიანთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეცნობი სჩანს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საქმენი მართლაც განსჯილია „მცოდნეთაგან ყოველივე საქმისა და გრამოტისა“ „სინდისის სიმართლის და შეხედულებით შეერთებულის აზრით“. რაც კიდევ ერთხელ მიანიშნებს ამ პირთა მიერ სინდისითა და კაცობით მოპოვებულ ავტორიტეტზე. თუმცა არის ერთეული გამონაკლისებიც, როდესაც მხარე არ ეთანხმება მიღებულ გადაწყვეტილებას და პროცესი გადააქვს შედარებით მაღალ ინსტანციაში. მაგალითად საპაიჭაოელ ადგიშვილებს კოლექტიურად დაუსვამთ საკითხი სანადელო მიწის გამოსყიდვის საკითხებთან დაკავშირებით, რომ მათი აზრით, სოფლის სასამართლომ მიიღო არასამართლიანი გადაწყვეტილება³ და განხილვის პროცესში უფლებამოსილებასაც გადაამეტა. რაც იმასაც მიუთითებს, რომ სოფლის სასამართლოთა საქმიანობა რიგ კონკრეტულ შემთხვევებში დაზღვეული არ იყო შეცდომებისაგან. რომლისგანაც პირობათა გამო, თითქმის დღემდეც კი, არც ერთი სასამართლო არაა დაზღვეული. თუ ჩავთვლით, რომ ყრილობათა მიერ არჩეული გლეხურ სასამართლოთა წევრები არ წარმოადგენდნენ იურისტებს, მითუმეტეს პროფესიონალებს. ამიტომაც სოფლის საზოგადოებების მოსამართლეთა საქმიანობაში ამგვარი გადახრა ძირითადად უნდა განვსაზღვროთ მათი დაბალი მომზადების დონითაც. ხოლო როგორ დონეზე იდგა პერიფერიებში განათლების სისტემა და მასთან დაკავშირებული საკითხები საერთოდ ცნობილია.

მიუხედავად ყველაფრისა აღნიშნული პირველი „ინსტანციის“ სასამართლოთა განხილვაში მოქცეულია მრავალგვაროვანი საკითხები: ოჯახურ პრობლემებზე, მემკვიდრეობით საკითხებზე, ოჯახების გაყოფათა შედეგად ქონების მიკუთვნებაზე, საადგილმამულო მონყობის, პიროვნულ და ოჯახურ დავებზე და ა. შ. იმ ფარგლებში, რომლის უფლებამოსილებანიც მათ გააჩნდათ. მათვე განუხილავთ რამდენიმე სპეციალური საკითხი – მარჩენალდკარგული ოჯახების, ობლების, ცალკეული უმწეოებისა და ზოგიერთ არასრულწლოვანთათვის მეურვის (ოპეკუნ) დანიშვნის თაობაზე და უნდა აღინიშნოს, რომ უმწეოებზე, არასრულწლოვანთა განსაკუთრებულ ნაწილსა და ზოგიერთ ოჯახებზეც კი მეურვეთა დანიშვნის ინსტიტუტი „ვანის“ სოფლებისათვის საკმაოდ გავრცელებულ და მიღებულ ფორმად სჩანს. მასალების ანალიზი ამაზე დადებით პასუხს იძლევა და კარგად მიუთითებს, რომ მეურვე შერჩეულია ან ოჯახის საახლობლო წრიდან ან შეიძლება გარეშე, ოღონდ ავტორიტეტული პირისაგან და მასვე „სასამართლოს“, „მედიატორთა“ და ა. შ. მიერ მიცემული აქვს უფლებამოსილება სიტუაციიდან

1. მასალა დაცულია ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დოკუმენტი № 139

2. ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მასალა დოკუმენტი №1192

3. ქუთაისის ცენტრალური არქივი. ფონდი 176 ანანური №1 – საქმე 434

გამომდინარე სამეურვეო პირის ან ოჯახის ირგვლივ მიეღო გადაწყვეტილება, ინდივიდუალურად კი, ვინმესთან შეუთანხმებლად და იგივე პირი ვალდებული იყო სამეურვეო სუბიექტების ინტერესები დაეცვა ნებისმიერ ინსტანციაში თუ ამის საჭიროება დადგებოდა. მეურვეობა გრძელდებოდა კონკრეტული დროის მანძილზე¹.

რაც შეეხებათ შედარებით მაღალი დონის სასამართლო ინსტანციებს, რომელთაც შეეძლოთ საჭიროებიდან გამომდინარე „ვანის“ მოსახლეობისათვის გაენიათ მომსახურება, უნდა ითქვას, რომ იმპერიის განაპირა მხარეებში, მათ შორის საქართველოშიც სასამართლო რეფორმა გატარდა შეკვეცილი სახით. მიზეზად აქაც დასახელდა „ადგილობრივი მოსახლეობის მოუმზადებლობა და სპეციფიური პირობები“. რითაც განპირობდა ახალ ბურჟუაზიულ სასამართლო სისტემასთან

მიახლოებული რიგი პრინციპების განუხორციელებლობა. რის გამოც მოსამართლეები უშუალოდ ინიშნებოდნენ მთავრობისაგან – გამოირიცხა არჩევითობა. არც ნაფიცმსაჯულთა ინსტიტუტი რომელნიც იმპერიის ცენტრალურ დასახლებებში ფუნქციონირებდნენ საქართველოში არ შემოუღიათ. სამაგიეროდ განხორციელდა შედარებით დაბალი ინსტანციის მომრიგებელ – მოსამართლეთა ინსტიტუტის დაფუძნება. ამის გამო, როგორც აღინიშნა სოფელ ციხესულორიდან აღმოსავლეთით სოფელ სალომინაოს ჩათვლით მოსახლეობას ემსახურებოდა ბაღდათის მომრიგებელ – მოსამართლეთა, ციხესულორიდან დასავლეთით მთისძირი-ჭყვიმის (ციცხვებისა და ნიქვაძის ფონის) ჩათვლით სამტრედიის მომრიგებელ მოსამართლეთა შემადგენლობა. აქ, უკვე სასამართლო საქმეთა წარმოება მიმდინარეობდა რუსულ ენაზე. ანალოგიური მასალები ერთეულის სახით ასევე დაცულია „ვანის“ მხარეთმცოდნეობის მუზეუმში. რომელთა შესწავლაც აჩვენებს, რომ განსახილველ საკითხთა დროში გაჭიანურება ჩვეულებრივი მოვლენაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ისიც, რომ აღნიშნული ტიპის სასამართლოები საქმიანობდნენ თვითდაფინანსების ფორმით. არაიშვიათი იყო საქმის წარმოების ტარიფის გაზრდაც, რომელიც ზემოქმედებდა მოსარჩელე პირთათვის წინასწარი ბაჟის შეტანის შესაძლებლობაზე და სარჩელის აღძვრისა და პრობლემის ოპერატიულ მოგვარება-გადაწყვეტილების მიღების შემფერხებელ ფაქტორად იქცეოდა. ჩვენ აქ არ ვლაპარაკობთ სამაზრო-საგუბერნიო-საოლქო უფრო მაღალ სასამართლო ინსტანციებზე.

დაახლოებით, მთლიანობაში ასეთ ფორმებს ინარჩუნებდა სასოფლო მმართველობის სისტემა 1864-1865 წლების რეფორმის შემდეგ 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციამდე. ასეთი იყო იგი „ვანის“ სოფლების საზოგადოებებში.

მინის მფლობელობა, სამეურვეო საქმიანობა და სამეურვეო სავაჭრო ურთიერთობანი

ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებულმა რეფორმამ, როგორც ვნახეთ, მოახდინა მინის მფლობელთა შედარებით ახალი დიფერენცირება, მსხვილ, საშუალო და წვრილ მინადმფლობელებად. ეს პოზიცია ახალჩამოყალიბებული სახით სიცოცხლისუნარიანობას ინარჩუნებს 1880-იან წლებამდე მაინც, რომლის შემდეგაც თანამიმდევრულად იცვლება მადიფერენცირებული ზღვარი, ირღვევა შედარებითი პროპორციებიც და ეს უკავშირდება საზოგადოებრივ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კანონზომიერებებსა და აქედან დამდგარ მიზეზშედეგობრივ კავშირებს. რომელიც სხვადასხვა ფორმით აისახა „ვანის“ სოფლების ცხოვრებაზეც. ხოლო XX საუკუნის მიჯნიდან ეს პროცესი სჩანს აშკარად.

დღევანდელი რაიონის სივრცეზე, მსხვილ და საშუალო მინათმფლობელთა დომინირება გარკვეულ დრომდე ნაწილდებოდა რამდენიმე ათეულ ოჯახს შორის, რომელთა მიერაც კონტროლდებოდა მთლიანი მინების ფონდის აბსოლუტურად დიდი ნაწილი. აქვე შეიძლება ითქვას ეს სუბორდინაცია დაცულად გამოიყურება მანამ, სანამ ცხოვრების დინებამ აქაური ფეო-

1. ამ საკითხზე არაერთი დოკუმენტია დაცული ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

დალები არ აიძულა მინა-წარმოების ძირითადი საშუალება-მოექცია ინტენსიურ ვაჭრობაში, ალებული კრედიტების სანაცვლოდ ჩაედოთ გირაოში და ა. შ. ვიდრე აგრარულ ასპარეზზე შემოვიდოდნენ სოფლის ბურჟუაზიული ელემენტები ადგილობრივი კულაკობის სახით, რომლებიც უკვე, ენევიან მინის შესყიდვებს. პროცესში ჩართული სჩანს სოფლის წარმატებული გლეხობაც, ერთეული ვაჭრებიც, ცოტა მოგვიანებით ბანკებიც, სახელმწიფო ხაზინაც და XX საუკუნის 10-იანი წლების მიჯნიდან უკვე საკრედიტო ამხანაგობები. „ვანში“ ასეთი გააქტიურება გამოკვეთილია 1890-1913 წლებში. პირველი მსოფლიო ომის საწყის ეტაპამდე. ხოლო მენშევიკურმა ხელისუფლებამ 1917 წლიდან დეკრეტით მინათმფლობელობის საკითხები ახალ სიბრტყეზე დასვა. ასე, რომ „ვანში“ მსხვილ მინათმფლობელებად 1917 წლამდე უნდა მოვიაზროთ ბარის ერისთავთა შტოს ზოგიერთი ოჯახი. ჩიჯავაძენი – თუმცა ისინი, ამ დროისათვის ერთ სათავადო სახლად არ მოიაზრებიან. თავად მიქელაძეთა 2 ოჯახი, ჩხეიძეთა რამდენიმე ოჯახიც. ამ რიგებს შეიძლება მივაკუთვნოთ ვინმე, აზნაური ქვარიანი, რომელიც მინას ფლობს ტობანიერის საზოგადოების რამდენიმე სოფელში. ამ ოჯახიდან მინის დიდი ოდენობით ფლობას ადასტურებს მათგან „სანადელო მინის“ გაცემის აქტიც, რადგან რეფორმის პირობათა საფუძველზე, მემამულე-მინისმფლობელთა ის ოჯახები, რომელთაც არ გააჩნდათ 60 დესეტინაზე მეტი მინის ნაკვეთი ვალდებული არ იყვნენ „სანადელო მინები“ გაეცათ გლეხებზე.

საშუალო მფლობელებად სჩანან ლორთქიფანიძეთა, აბაშიძეთა, ჭილაძის, ასევე მიქელაძის, არდიშვილის ოჯახები თუმცა ბოლო 3 ოჯახი „ვანის“ ტერიტორიაზე მაცხოვრებელი არ არის. მაგრამ, როგორც მინის ყიდვა-გაყიდვის აქტებიდან ჩანს მითითებულ ტერიტორიებზე ფლობენ მინის ნაკვეთებს. ამ გვართა წარმომადგენლებიდან სანადელო მინების გაცემა, მინის გაყიდვებში აქტიური მონაწილეობა მიანიშნებს იმაზე, რომ ფლობენ მინის სახით საკმაო რაოდენობის უძრავ ქონებას და დროთა სვლის, ბურჟუაზიულ განვითარებათა მახასიათებელი პერიპეტეებისა და აქედან გამომწვეული შეჭირვების გამო, ან საჭიროებიდან გამომდინარე მინები ჩართეს სავაჭრო მიმოქცევაში. პროცესში ჩართულია ზოგიერთ სხვა გვართა უმცირესობანიც, მაგრამ მათი მიკუთვნება მინის საშუალო რაოდენობის მფლობელთა რიგებზე, ალბათ სწორი არ იქნება. მითუმეტეს, მინებს ჰყიდიან გლეხებიც, მაგრამ ამ პროცესში მათი მდგომარეობა განსაკუთრებით სპეციფიურია.

XX საუკუნის დასაწყისიდან, საიდანაც შედარებით მოკრძალებულად, მაგრამ მაინც იკვეთება ბურჟუაზიულ ურთიერთობათა საწყისებიც, მსხვილ მინათმფლობელთა შორის შეიძლება მოვიხსენიოთ ძმები თვალავაძეები-ბაქოს ნავთობსარეწების აქციონერები, რომლებიც ვანი-ციხესულორის მიჯნაზე იძენენ სოლოდური რაოდენობის მინას და აქვე საფუძველს უყრიან კონცენტრირებულ მეზაღეობას. მაგრამ ეს ფაქტი სრულიად განსხვავებულია მემკვიდრეობითი მინათმფლობელობისაგან, რომელიც დამახასიათებელი იყო მემამულისათვის.

აბსოლიტურ უმრავლესობას წვრილი მინათმფლობელობისას განეკუთვნებიან „ვანის“ სოფლებში მაცხოვრებელი საბატონო-დროებით ვალდებული, სახაზინო-საეკლესიო და მესაკუთრე გლეხები. თუმცა სახაზინო-საეკლესიო გლეხთა პირობები სხვა კატეგორიის გლეხებისაგან ქვეყანაშიც და „ვანისთვისაც“ დადგენილი ნორმების თვალსაზრისით გაცილებით უკეთესი იყო. რომლის გამოც მინასთან დაკავშირებული რეფორმები სრული მოცულობით მათ არ შეეხებიათ. როგორადაც ეს შეეხოთ საბატონო-დროებით ვალდებულ გლეხებს.

ოფიციალური ლიტერატურიდან დასტურდება, რომ გლეხობამ განსაკუთრებულად ქუთაისის მაზრაში ვერ მიიღო ის დადგენილი ნაწილი, რომელიც რეფორმამ განსაზღვრა და იგი იშვიათი შემთხვევის გარდა არ აღემატებოდა 1-6 ქცევას. მასშივე შედიოდა ეზოც, ვენახიც, საყანე ნაკვეთიც და ა. შ. პროცესი განაპირობა იმანაც, რომ ქუთაისის გუბერნია საერთოდ გამოირჩეოდა მცირე მინიანობით, რომელშიდაც საშუალოდ ერთ სულზე 2 ქცევა მინა მოდიოდა, ხოლო ტყით სარგებლობა ხდებოდა დადგენილი წესით. აბსოლუტურად იდენტურია მდგომარეობა „ვანის“ სოფლის გლეხობისათვის და ამას ჩვენ ვნახავთ „მინის მიჩენილობის“ აქტის საფუძველზე, რომლის ორ მაგალითსაც აქვე გავშიფრავთ.

„ადგილ-მამულის მიჩენილობის ფურცელი“ (იგივე Надельный Листь)“

– დროებით ვალდებულ გლესს მახარა თუთაშვილს
 მებატონისა კუთვნილის აზნაურის, კნიაზის (გვარს შეგნებულად არ ვუთითებ)
 – მამულში სოფელს ბზვანში (ბზვანი იკითხება მხოლოდ რუსულ მინიშნებაში) ქუთაისის
 უეზდის (ე. ი. მაზრის მე-5 – მიროვის ოტდელში)

გლესს – მახარა თუთაშვილის ოჯახში არის მამაკაცის სული (არ იკითხება)
 – საფუძველსა ზედა დებულებათა 13-ის ოქტომბრის 1864-ის წლისა კანონთა გლესთათ-
 ვის, გამოსულთა ყმობითს დამოკიდებულებისაგან ქუთაისის გუბერნიაში დარჩა აღნიშნულს
 თუთაშვილს სარგებლობაში: 1) სამოსახლო ადგილი, რომელსაც უჭირავს
 მინა – 1 ქცევა. 2) მამული, რომელთაცა უჭირავს მინა 6 – ქცევა ან 375 კვადრატნი საჟენი.
 3) ველის მინა (არ იკითხება) ქცევა. 4) ველის მინა, დამატებით ნადელად ნაკვეთი
 სივრცით (ქართულად არ იკითხება ხოლო რუსულ ტექსტში რამდენადმე სჩანს, რომ საუ-
 ბარია 5 ქცევაზე).

..... გარდა ამისა მიეცა მას სასარგებლოდ:

- ა) საძოვარი ადგილი
- ბ) საქონლის სასმელი წყალი უფასოდ

– ყველა ამათვის დროებით ვალდებულმა გლესმა თუთაშვილმა უნდა შეიტანოს გარ-
 დასახადნი:

1. სამოსახლოსათვის 6 მანეთი.

2. მამულისათვის: ა) მალლარისათვის¹ მესამედი ღვინის მოსავლისაგან ანუ მეოთხედი,
 როგორც ღვინის მოსავლისაგან, საყანე ნათესისაგანაც იმ მამულებში (როგორც სჩანს მეო-
 თხედი – მამულში გამოთესილში სიმინდის ნათესისაგან)

– ველის ადგილებისათვის ძირითადის ნადელის:

- ა) სახნავ-სათესი მიწისათვის მეოთხედი მოსავლისაგან
- ბ) სათიბისათვის – მესამედი
- გ) საისლისათვის – მესამედი

– წყლის წისქვილისათვის – (ხაზგასმულია. როგორც ჩანს დაბეგრული არაა)

– კაკლის ხისათვის – მესამედი მოსავლისა²

– ძირის ხეხილისათვის – მესამედი მოსავლისა

ვადა გარდასახადისა შესატანად დაწესებისამებრ ქუთაისის გუბერნსკის დაინიშნებთან:

..... სიმინდი ძნებად ჩალიანად მონევის თანავე (ე. ი. მოსავლის ალების თანავე)

..... ლომი თაველად გამხმარი ჩალიანად მონევისთანავე ანუ 15-ს ნოემბრამდინ

..... პური ძნებად მონევისთანავე ხოლო მარცვლით 1-ს მარიამობისთვემდინ

..... ისლი 1-ს იანვრამდინ

..... ბამბა ერთი კვირის განმავლობაში მონევის შემდეგ

..... ცერცვი და ლობიო ერთი თვის განმავლობაში მონევის შემდეგ.

მიწის მოსავლის ნაწილნი, რომელნიცა ერგებიან მებატონეს თანახმად 76-77 მუხლის დამ-
 ატებითს კანონთა ქუთაისის გუბერნიისათვის გლესმა უნდა მიუტანოს თავის საშუალებით
 მებატონეს ეზოში. იმ სოფელში სადაც ცხოვრობს გლესი; მაგრამ თუ მებატონემ მოსთხოვა
 იმან უნდა მიუტანოს სოფლის გარეთაც სახელდობრ: სიმინდი გარჩეული ტაროდ ჩალიანად,
 ლომი გამხმარი, აგრეთვე ჩალიანად და პური ძნებად 10 ვერსტზე¹, მარცვლად 50 ვერსტზედ,

1. ვანის სოფლებში ამ დროისათვის ძირითადში სჭარბობდა მალლარი ვენახი, რომელზედაც ცალკე გვექნება საუბარი.

2. იმერეთში მიღებულია ხეხილისა და ნიგვზის ხეების გაშენება ვენახის კიდეებში, რომ ვაზი არ დაეჩრდილა, ძირითადად მისგან
 მოსავალსაც იღებდნენ და დასვენებისას საჩრდილობლადაც იყენებდნენ, ამაზე მინიშნებები გაკეთებული აქვს ივანე ჯავახიშვილს
 თავის ნაშრომში – საქართველოს ეკონომიკური ისტორია 1934 წლის გამოცემა... თუთუნი იმავე ვადაზე, როგორც ბამბა.

აგრეთვე თავისი საშუალებით ამ უკანასკნელის შემთხვევაში ბზე პურისა და ჩალა სიმინდისა და ლომისა უნდა დარჩნენ გლეხის სარგებლობაში (ე. ი. თუ 50 ვერსტზეა მითითებული პროდუქცია გადასატანი, ამ შემთხვევაში ჩალა რჩება გლეხს) რომელსაც მებატონემ უნდა მისცეს ჭურჭელი გარდასახად ღვინის მისატანად (შემდეგ მოდის ხელმოწერა). ახლა მეორე მაგალითი: „ადგილმამულის მიჩენილობის წიგნი“ აზნაურ ქვარიანსა და ადგილმამულზედ დაბინავებისათვის დროებით ვალდებულ გლეხს იორდანე მინაშვილს შორის². აქაც საუბარია 1864 წლის 13-ოქტომბრის კანონზე საფუძველსა ზედა დამატებითა დებულებისადმი კანონთა გლეხთათვის.

გამოსულთა ყუმურის დამოკიდებულებისაგან ქუთაისის გუბერნიაში დატოვებულია გლეხის მინაშვილის სარგებლობაში: 1 – სახლ-კარი, რომელიც შეიცავს მიწას (არ იკითხება) 2 – ვენახი ერთი ქცევა – 810 კვადრატნი საუენი. გარდა ამისა, მას აქვს უფლება ისარგებლოს საძოვარი ადგილებით სადაც არ არის დათესილი მიწები უფასოდ. სანამ ამის გარდასახად დაანესებს ნამესტინიკი კავკაზისა (ე. ი. კავკასიის მეფის ნაცვალი). საქონლის მისადენი საწყლოს პირები (უფასოდ) ხეხილებით და ნიგვზის ხეებით. ამებში დროებით ვალდებულმა გლეხმა მინაშვილმა უნდა აძლოს შემდგომი გარდასახადი წელიწადში:

1. სახლ-კარ ბინადრობისათვის (თანხა არ იკითხება, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით იგივე მოცულობისაა როგორც პირველ შემთხვევაში).
2. ვენახისათვის, მალღარისათვის.
3. მეოთხედი ნაწილი მოსავლისა ღვინით აგრეთვე ძირეული მოსავლისაგანაც. უკეთუ არ ექნება ნათესი, მაშინ მესამედი ნაწილი მოსავლისაგან ღვინისა ხეხილისათვის და ნიგვზის ხეებისათვის, რომელიც არის ვენახში.

შემდეგ მოდის ვალდებულებათა შესრულების დრო:

1. სამოსახლო ადგილისათვის ფულად იანვრის ნახევრიდან (შემდეგ მინიშნება რუსულად დო პიატნაცატოგო იანვარია)
2. სიმინდი – გარჩეული ტაროთი მოსავლის ალების შემდეგ
3. ლომი – თავთავად გამხმარი, თავის ჩალის ალების დროს.
4. ხორბალი – მოსავლის ალების შემდეგ.
5. ქერი – როგორც ხორბალი.
6. ღვინო – განურვის შემდეგ ერთი თვის განმავლობაშე.

შემდეგ მოდის სხვა „გარდასახდელ“ კულტურათა ჩამონათვალი: ბამბა, ფეტვი, თუთუნი, ცერცვი, ლობიო – მითითებულია გადახდის კონკრეტული ვადები. აქვეა განსაზღვრული დამატებითი კანონის საფუძველზე საგუბერნიო გადასახდელთა თაობაზეც. „განსაზღვრული საველე გადასახადი მიუტანოს მებატონეს მოთხოვნისამებრ“ (ე. ი. მებატონის მიერ გადასახადის მოთხოვნიდან იმ ადგილამდე მიტანა სადაც მებატონე მიუნიშნებს)

ზემოთ მოტანილი სანადელო ფურცლების გაშიფრვა იძლევა ერთ მთლიან დასკვნის გაკეთების საშუალებას:

ა – კარგად სჩანს, რომ გლეხმა მართლაც მიიღო თეორიული თავისუფლება, მაგრამ ძირითადი სანარმოო და საარსები საშუალების დაუფლების გარეშე. ამის გამო ე. წ. ყმობიდან გამოსული გლეხი კვლავ რჩება „ყმურ“ მდგომარეობაში და ეკონომიკურად დამოკიდებულია მებატონეზე. რადგანაც ამ აქტებით მიჩენილი მიწის ნაკვეთები ვიდრე გამოსყიდული არ იქნება კვლავ მებატონის საკუთრებას წარმოადგენს.

ბ – დროებით ვალდებულ გლეხს გამოსყიდვამდე მიწა გადაცემული აქვს მუდმივ სარგებლობაში და არა მუდმივ საკუთრებაში. ამ ორ ფორმას შორის არის საფუძვლიანი განსხვავება. ხოლო ამ მიწის ფლობისათვის, ვიდრე გამოსყიდვამდე, იგი დარჩა მებატონესთან დროებით

1. ვერსტი – 1კმ. და 60 მეტრი.
2. საბუთი №3135 – ვანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მასალა.

ვალდებულებაში და ვალდებულია სისტემატიურად გადაიხადოს მიწის გადასახადი, როგორც ფულით ასევე ნატურით, იმ ფორმითა და მოცულობით როგორცაა მითითებულია მიწის მიჩენილობის აქტებში და ატარებს სავალდებულო ხასიათს. ამას გარდა გლეხის მიერ მიწის დაუმუშავებლობა, გადასახადის გადაუხდელობასთან ერთად მემამულეს უტოვებდა უფლებამოსილებას გლეხისათვის ჩამოერთმია სანადელო მიწა. ასე, რომ ვალდებულებათა არ შესრულება იწვევდა დამსჯელი სანქციის გატარებას მიწის ჩამორთმევამდეც.

გ – მითითებული გადასახადები ნატურპროდუქტებითაც დროებით ვალდებული გლეხისა და მისი ოჯახისაგან მოითხოვდა მაქსიმალური ძალისხმევას ფიზიკურადაც და გადახდის ფორმებითაც, აქ მხედველობაშია მისაღები ისიც, ყველა ეს სამუშაო გლეხის მიერ ძირითადად მსრულდებოდა საკუთარ ხარჯებსა და საშუალებებზე დაყრდნობით.

დ – მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის მაზრის სახაზინო გლეხები, საბატონო გლეხებისაგან განსხვავებით შედარებით უკეთეს პირობებში ცხოვრობდნენ რომელთა რიცხვში „ვანში“ მცხოვრები სახაზინო გლეხებიც მოიაზრებიან, რეფორმის ძალაში შესვლამდეც 3,3% არ ჰქონია სახნავ-სათესი და სავენახე მიწა, ხოლო 87,7% საშუალო საკომლო ნადელი მერყეობდაო, 2-დან 6 დესეტინას შორის. მხოლოდ სახაზინო გლეხთა კატეგორიის 9% მფლობელობა, როგორც გამოჩაქისი აღწევდა 15-დან 20 დესეტინა მიწამდე. „თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ იმერეთში მინიშნებული პერიოდისათვის მშრომელი კაცის ოჯახის ცხოვრება-არსებობისათვის საჭირო იყო სულ მცირე 6 დესეტინა მიწა, იძულებული ვიქნებით ქუთაისის მაზრის ამ კატეგორიის გლეხთა 91% უმიწო და მცირემიწიან მშრომელებში მოვაქციოთ“¹. დაახლოებით ანალოგიურ ციფრებზეა საუბარი პროფესორ ალ. ბენდიანიშვილის ნაშრომშიც „რევოლუციის წინამძღვრები საქართველოში“ (გვ.61) მინათა ფლობის ასეთი პროპორცია თითქმის ხელუხლებელი სჩანს რეფორმის შემდგომ ხანგრძლივ პერიოდშიც.

ე – როგორც მასალები აჩვენებს, ჩვენს მიერ მიმოხილული პერიოდისათვის „ვანის“ სოფლებში უმთავრესად დროებით ვალდებულ, შემდეგში მესაკუთრე გლეხთა კომლები ცხოვრობენ, ეს ცხადია, მაგრამ კონკრეტულობაში რამდენ კომლს შეადგენდა აღნიშნული კატეგორიის გლეხობა ჯერ-ჯერობით დაუზუსტებელი რჩება. პროცესი განსაკუთრებულად საინტერესოა XX საუკუნის მიწიდან, საიდანაც შეიძლება დადგენა რა რაოდენობის გლეხობამ შესძლო თავდახსნა. ქუთაისის გუბერნიაში ასეთი მასალები დაახლოებით შესწავლილი აქვთ ამ ეპოქისა და საკითხთა მკვლევარებს. პროფესორებს – ირაკლი ანთელავას, ალექსანდრე ბენდიანიშვილს, ილია მირცხულავას, გერონტი გასვიანს და ზოგიერთ სხვასაც. ცნობები შესულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების შესაბამის ტომებშიც, მაგრამ, რადგან კონკრეტულად „ვანს“ ვეხებით ამ მასალათა გამოყენებას არ ვაპირებთ.

საინტერესოა ფაქტი იმაზე, რომ გუბერნიის ხელმძღვანელობის გადანყვეტილებით 1907 წელს დაუნყიათ ქუთაისის მაზრის დროებით ვალდებულ-საბატონი გლეხთა კარდაკარ აღწერა (თუმცა ამ პერიოდისათვის მათ გარკვეულ ნაწილს გამოსყიდული აქვს თავისუფლება) მაგრამ მასალები არასრულყოფილია და მასში შეტანილია ქუთაისის მაზრის მხოლოდ ზოგიერთი დასახლებანი (ქუთაისის ცენტრალური არქივის მასალები: ფონდი №8 ანაწერი №1 საქმე №809.) არცერთი მათგანი არ ეხება „ვანის“ სოფლებს. უნდა ვიფიქროთ, რომ ან მასალები სრულყოფილი სახით არ შემორჩა, ან მაშინდელი პირობებიდან გამომდინარე ვერ მოხერხდა აღწერის სრულყოფილად ჩატარება. ყოველ შემთხვევაში „ვანის“ სოფლებს ეს შეფასება ეხებათ.

„ვანში“ დროებითვალდებულ-საბატონო გლეხთაგან განსხვავებით შედარებით მცირეა სახელმწიფო-სახაზინო გლეხთა რაოდენობა და ისინი ძირითადად განსახლებულნი სჩანან იმ ტერიტორიებზე „რომლებიც თავის დროზე ხაზინამ დასპორა“ ე. ი. ეს მიწები მფლობელთა მიერ ჩადებული იყო გირაოში და რადგანაც დამგირავებელ ფეოდალთა მიერ ვერ მოხდა აღებული კრედიტების გადახდა, გირაოს პირობების შესაბამისად მათ ეს მიწები ჩამოერთვათ და გადავიდა ხაზინის მფლობელობაში, ამის გამოც მათზე განსახლებული კომლების უმ-

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომი V გვ.139.

რავლესობაც ხაზინის მფლობელობაში აღმოჩნდა. ასეთი რამ ზოგადად დასტურდება ბარის ერისთავთა ზოგიერთი ოჯახის საკუთრებაში არსებულ, როგორც სავარგულ, ასევე ტყის მასივებისა და საძოვარ მიწებთან დაკავშირებითაც. არის ზოგიერთი სხვა მაგალითებიც. მაგრამ, როგორც ითქვა სახაზინო მიწებზე მცხოვრებ გლეხთა კომლბთან დაკავშირებით დამოკიდებულება რამდენადმე განსხვავებული სჩანს. რადგანაც აღნიშნული კატეგორიის მიწის ფონდი ხაზინის საკუთრებაა, თუ ხაზინის ინტერესები ითხოვდა, უფლება გააჩნდათ გლეხი აეყარათ დასახლებული ადგილიდან და იმპერიის ცენტრალური ოლქებისაგან განსხვავებით სახაზინო გლეხებისათვის არც „ნადელების“ გამოსყიდვის უფლება მიუციათ.

რაც შეეხებათ ხიზან გლეხთა კატეგორიას იმის გამო, რომ ამ ეტაპზე მათზე მასალები მიკვლეული ვერ იქნა, მათი არსებობა „ვანის“ სოფლებში დაუდასტურებელია. ასევე, ჰიპოთეზის დონეზე შეიძლება საუბარი საეკლესიო გლეხებზეც. ოფიციალური ისტორიული ლიტერატურით დადასტურებულია ერთი ასეთი შემთხვევა ამალბებაში გლეხი ეკუთვნის გაენათს და მითითებულია ამ კომლის მიერ მფლობელობაში არსებული მიწის რაოდენობაც. რამდენიმე ასეთი კომლის არსებობა დაფიქსირებულია მუხალრუაშიც, რომელიც ადრე ჩიჯავაძეთა მფლობელობაში შედიოდა. მაგრამ გამორიცხულად მიმაჩნია, რომ მას შემდეგ რაც მეფე სოლომონ პირველმა ტოხანის ტერიტორია „შესწირა გაენათს“ აქ, გლეხთა კომლების კონკრეტულ რაოდენობას სტატუსი არ შეცვლოდათ და საეკლესიო გლეხების რანგში არ გადასულიყვნენ. მითუმეტეს აქაც და ზოგიერთ სხვა სოფლებშიც დადასტურებულია საეკლესიო გლეხთა რამდენიმე ათეული გვარი, მაგრამ არა კომლთა რაოდენობა.

ვ – ყველა ასპექტიდან სჩანს, დროებით ვალდებულ გლეხთა მიერ სანადელო აქტით მიჩენილი მიწების გამოსყიდვის და ამის საფუძველზე დროებით ვალდებულებიდან თავდაღწევისა და თავისუფლების მოპოვების სირთულე. რეფორმიდან არამცირე პერიოდის მანძილზე ამას მხოლოდ ერთეულები, შედარებით ნელმაგარი გლეხური ოჯახები თუ ახერხებდნენ. ცნობილია ისიც, რომ 1890-იან წლებამდე, სიტუაციათა რადიკალურ შეტრიალებამდე, გუბერნიის დროებით ვალდებულ გლეხთა კატეგორიაში 50000 კომლზე მეტი იყო ჩარჩენილი. დადასტურებულია და „ვანის“ სინამდვილიდანაც გვხვდება ზოგიერთი ფაქტი (კონკრეტულად აზნაურ ახვლედიანთა მიმართებაში და ა.შ.) როდესაც გლეხი დარწმუნებული იმაში, რომ საბოლოოდ ვერ შესძლებს მიწის დადგენილი ნორმის გამოსყიდვას, პირადი და ოჯახური თავისუფლების მიღების საფასურად იძულებული ხდება მიწა მთლიანად დაუტოვოს მის ადრინდელ მფლობელს. მხედველობაშია მისაღები ის, რომ გლეხს რომელიც მატერიალური სიღნოგის გამო განკუთვნილ მიწის ნაკვეთს ტოვებდა, უნდა ჰქონოდა ოჯახის შენახვის რალაც სხვა, ალტერნატიული წყარო. ან წინააღმდეგ შემთხვევაში იგი უნდა აყრილიყო „ადგილის ფუძიდან“, ექებნა ახალი დასახლებისა და ოჯახის შენახვის წყარო, ასევე ახლადწარმოქმნილ სავაჭრო სამრეწველო დაბებში, რომლებიც უკვე ძირითადად ყალიბდებოდა „ვანის“ მეზობელ ტერიტორიებზე, ან ქალაქებში, რის შემდეგაც გლეხი გადადიოდა ნახევრადპროლეტარის ან პროლეტარის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში.

„ვანთან“ მიწის მფლობელობის საკითხებთან შეხებაში საინტერესოა დასავლეთ საქართველოს ფეოდალური ხანის ცნობილი მკვლევარის, მეცნიერის, ქალბატონ ოლდა სოსელიას მიერ თავის ნაშრომში „დასავლეთ საქართველოს გლეხობის ეკონომიკური მდგომარეობა XVI საუკუნიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე“ – მოტანილი ერთი ცნობა. ცხადია, ნაშრომში საუბარი არ მიდის 1864-1865 წლების რეფორმის შემდგომ პერიოდებზე, მაგრამ ყურადღებას იქცევს თავადის, გიორგი ერისთავის მიერ მაშინდელ დროში, როგორც სჩანს შესაბამის ინსტანციაში მიწოდებული ინფორმაცია. რომელსაც მსჯელობისას ეყრდნობა პატივცემული ავტორი: „გლეხების საკომლო მამულები შედარებით დიდია ქუთაისის მაზრაში გვაქვს ერთი ცნობა, რომელიც მონიშნავს, რომ გლეხებს შეიძლება უფრო მეტი ადგილმამული ჰქონოდათ თავადი გიორგი ერისთავის ყმა გლეხებიდან სოფელი ძულუხსა და რომანეთში¹ 30-40 წლებში ზოგს ეჭირა სამოსახლო 1 ქცევა, მამული 6 – ქცევა, საყანე 7 – ქცევა, ტყე 100 – ქცევა. ზოგს სამოსახლო 4 – ქცევა, მამული 16 – ქცევა ტყე 100-ქცევა და ა.შ.

გამოყოფთ რამდენიმე მომენტს:

1. ძულუხი, რომანეთი სოფლებია ვანის რაიონში

1 – სადღაც, მიწის ფართობთა ეს მოცულობა, მეტნაკლებად უტოლდება 120 – ქცევას, დაახლოებით 22 ჰექტარს.

2. – ისტორიულად ცნობილი ფაქტია, რომ 1864-1865 წლის რეფორმამდეც საქართველოში არსებობდნენ, ცალკეული მატერიალურად ფესვმაგარ გლეხთა ოჯახებიც, რომლებიც ფლობდნენ 20-30 – ქცევას (და არა ჰექტარს) მაგრამ ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში სადაც დასავლეთ საქართველოსაგან განსხვავებით სავარგული მიწების უფრო დიდი რაოდენობაა, ზოგჯერ შეიძლება მეტსაც. ასეთთა შორის შესაძლებელია ყოფილიყო ძულუხელი და რომანეთელი ზოგიერთი გლეხი და არა გლეხები. მაგრამ აღნიშნული სოფლების ტერიტორიალური სივინროვე, რელიეფური განლაგება და იმ დროისათვის მოსახლეობის მჭიდრო დასახლება, იმასთან ერთად, რომ თავადი ერისთავი კერძო საკუთრებაში აქვე ფლობდა მონიშნულ მიწებსაც, გამონაკლისს ხდის ეს შეფასება განვაზოგადოდ ამ სოფელში მცხოვრებ გლეხთა უმცირესობაზეც კი. თუმცა, როგორც ითქვა უდაოდ შესაძლებელია მხოლოდ ასეთი, ერთეული ოჯახის არსებობა. ან უკეთეს შემთხვევაში ამის სრული შესაძლებლობა იქნებოდა ცალკეული ოჯახებისაგან „ერისთავის მიწების საზიარო“ ფორმით დამუშავების შემხვევაში. თუმცა მეზატონის მიერ გლეხისათვის მიზარებული მიწა კვლავ მეზატონის საკუთრებაა და არა გლეხის. ხოლო 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში გატარებული რეფორმის შემდეგ ზემოდ მოყვანილი ციფრები ამ სოფლებთან მიმართებაში უკვე საეჭვო სჩანს და გვაფიქრებინებს, რომ ხსენებულმა თავადმა ეს მონაცემები რამდენადმე გააზვიადა.

ახლახან მიკვლეულია „ბარის ერისთავთა“ იმავე შტოს წამყვანი ოჯახის წარმომადგენლის და თანამედროვის მემუარული სტილის ჩანაწერები, რომელიც ადასტურებს, რომ ეს გვარი თავის სამფლობელო სოფლებსა და მის გარეთ ფლობდა დიდძალ მიწებს სავარგულების, ტყისა და ალპური საძოვრების სახით, მაგრამ იძლევა მინიშნებასაც, მიწის აღრიცხვის და ზომითი რაოდენობის განსაზღვრა – მოუნესრიგებლობის შესახებაც. „ძნელი იყო ამ ვეებერთელა მიწების გაზომვა, საზღვრების დადგენა“ და როდესაც გაყიდვაში მოუქცევიათ 1900-იანი წლების მიჯნაზე „ვყიდდით პირდაპირ ამ გორიდან იმ გორამდე“. ამდაგვარი შეფასება უკვე ეჭვს ბადებს ძულუხელ-რომანეთელ გლეხთა მიწების რაოდენობრივი ფლობის სიზუსტეზეც. და საერთოდ ოფიციალური ლიტერატურითაც ცნობილია, რომ ქუთაისის მაზრაში მიწის კადასტრი იყო არანორმალურად მოუნესრიგებული.

ამ სირთულეს, როგორც ვთქვით წაანყდა ქუთაისის გუბერნიაში რეფორმის შემუშავებელი კომისიაც და მასზე ცალკე ამახვილებდა ყურადღებას გუბერნატორი სვიატოპოლკ – მირსკიც. აღრევა, ეგრეთნოდებულ საკარმიდამო ადგილების საზღვრებში დასტურდება „ვანის“ სოფლების მიწებთან დაკავშირებითაც.

„ვანის“ ზემოდ მითითებულ სოფლებსა და საერთოდ გლეხთა მიერ, ასევე ზემოდ აღნიშნული რაოდენობის მიწების ფლობის ტენდენცია გამორიცხულად სჩანს რეფორმიდან 15-20 წლის შემდეგაც, როდესაც ქუთაისის მაზრაში, რომელშიდაც „ვანის“ სოფლებიც შედიოდნენ, ნამდვილად თანამიმდევრულად ირღვევა მინათმფლობელობის ბალანსი ყოფილ მემამულეთა საზიანოდ. რადგანაც ერთეულ შეძლებულ პირთა მიერ მიწის გამოსყიდვა-შესყიდვის პროცესებმა გლეხთა გარკვეული ნაწილი აქცია კონკრეტულ მესაკუთრედ და გამოჩნდა გლეხთა კულაკური ზედაფენაც, ამ დროიდანაც კი მაზრაში მხოლოდ „95 კომლი ფლობდა 20-30 დესეტიანას; 31 გლეხი 30-40 დესეტიანას; 13 გლეხი 40-50 დესეტიანას; 4 გლეხი 80-90 დესეტიანას და ერთი გლეხი 120 დესეტიანას“.¹ არის მონაცემები ამ პერიოდისათვის რომელშიც მითითებულია მიწის მსხვილ მფლობელ გლეხთა გვარ-სახელებიც.² და არ განეკუთვნებიან არათუ ძულუხელ, არამედ „ვანის“ არცერთი სოფლის მაცხოვრებელ გლეხებს. დაახლოებით იგივე სურათს იძლევა XX საუკუნის დამდეგს ჩატარებული აღწერით დასავლეთ საქართველოს მესაკუთრე გლეხთა და მათ მფლობელობაში არსებული მიწათა რაოდენობრივი მონაცემებიც.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტომიV გვ. 350.

2. პროფესორი ალექსანდრე ბენდიანიშვილი – კაპიტალიზმის განვითარება საქართველოში რეფორმის შემდეგ (1865–1890წ.)

რომ ქუთაისის მაზრაში 213 გლეხი ფლობს 10-15 დესეტინა მიწას, 22 კომლი 20-30 დესეტინას; 40 დესეტინაზე მეტს ორი კომლი. რამდენადაც ზემოთ მითითებულ კონკრეტული სოფლების წარსულზე მაქვს შედარებითი წარმოდგენაც, შეიძლება ითქვას: მიწით, როგორც საარსებო საშუალებით გალალემა არცერთი კუთხით არ ასახულა აქაურ მაცხოვრებლებზე. პირიქით, ისე როგორც „ვანის“ მთიანი სოფლებისათვის, ასევე ძულუხელ, რომანეთელ მცხოვრებთათვისაც გარკვეულ დრომდე სამწუხარო მახასიათებელი იყო მკვეთრი მატერიალური მოუწესრიგებლობა. ამას ადასტურებს სოფელ რომანეთში სამრევლო სკოლის გახსნის თაობაზე წამოჭრილი სირთულეც, სადაც პირდაპირ მიუთითებს, რომ აქაური მოსახლეობა უკიდურესად შეჭირვებულად ცხოვრობს და ეექვებათ, რომ სამრევლო სკოლის მასწავლებელთა გასამრჯელოს გადახდა შესძლოს მოსახლეობამ. მითუმეტეს გლეხობას აუცილებლად ახდევინებდნენ სხვა არაერთი სახის გადასახადსაც.

„ვანში“ ყმობიდან გამოსული დროებით ვალდებული გლეხისა და მიწის მფლობელ-მებატონეს შორის ურთიერთობათა ფორმებისა და ვალდებულებების შესახებ არაერთ მიმართულებიანი დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა „მიწის მიჩენილობის“ ფურცლებიც. საიდანაც არაორაზროვნად დასტურდება მათი სამეურნეო ურთიერთობანიც, ურთიერთობათა ვალდებულებითი ხასიათი და სამეურნეო საქმიანობათა მიმართულებანიც. უფრო სწორად, ამ „ფურცლით“ დადასტურებულია ასევე „ვანის“ სოფლებისათვის მადომინირებელი სასოფლო სამეურნეო კულტურები, რომელთა მოყვანაც სასიცოცხლო ინტერესებთანაა დაკავშირებული:

1. მარცვლეული კულტურები და მისი მრავალსახეობა – უპირველესად სიმინდის, ხორბლის, ღომის, ქერის, ფეტვის სახით. ქართული ისტორიოგრაფია მდიდარია სასოფლო სამეურნეო კულტურებზე გამოკვლევებით, გავრცელების არეალის შესწავლით, კულტურათა უპირატესობის ახსნით და ქართველთა დამოკიდებულებით მათ მიმართ. ჩანს, რომ იმ დროისათვისაც ესენი არსებობის უპირველესი საშუალებანია.

„ვანის“ ბარის ზონის სოფლებისათვის საუკუნეთა მანძილზე გაბატონებულ კულტურად ხორბალი სჩანს ღომთან ერთად. ხოლო, რაც შეეხება ღომს, იგი განსაკუთრებულად მოჰყავდათ „ვანის“ თითქმის ყველა სოფელში და საერთოდ იმერეთისთვისაც ეს კულტურა კვების მთავარი წყაროა. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს – „სთესენ ღომსა ფრიად მრავლად და გამოიზრდებიან მითი“¹. მაგრამ ამის შემდეგ რაც XVII საუკუნიდან სიმინდის კულტურა იწყებს გავრცელებას, დასავლეთ საქართველოში მან ძირითადად ჩანაცვლა ხორბალიც და ღომიც. თუმცა XX საუკუნის 20-30-იან წლებამდეც ეს კულტურები, როგორც საკვები პროდუქტები ასრულებდნენ ყოფით მნიშვნელოვან როლს და ეს დასტურდება შემდეგშიც „ვანის“ სამეურნეო ცხოვრებიდანაც. დაცული მასალები მიუთითებენ „ვანის“ მაღალმთიან სოფლებში და არამართო აქ ღომის კულტურისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულების შესახებაც. მოჰყავდათ მნიშვნელოვანი რაოდენობითაც. ხოლო მოსავლის აღების შემდეგ მისი დამუშავება ხდებოდა ხელითაც და სადაც საამისო საშუალება იყო ე. წ. წყალზე მონყობილი საცეხველებითაც, სპეციალურ ქვის გვიმებში (ე. წ. როდინებში) ამას ადასტურებს სოფელ ყუმურში გაკეთებული ჩანანერები.² ანალოგიური მდგომარეობაა დაფიქსირებული სოფელ ძულუხსა და სულორში და ზოგიერთ სხვა მაღალმთიან ადგილებშიც. ამდენად ნატურგადასახადთა ნუსხაში ამ კულტურების შეტანა, როგორც ითქვა მათ ანიჭებს გამოკვეთილ უპირატესობას. თუმცა, ღომის ადგილს „ვანის“ მაღალმთიან სოფლებში დროთა სვლაში ასევე მიზანმიმართულად იჭერს სიმინდი და ამ კულტურის გაბატონება ემთხვევა ჩვენს მიერ მიმოხილულ პერიოდსაც.

ნატურგადასახადთა ვალდებულებებში შეტანილია ცერცვიც. თუმცა „ვანის“ სოფლებში ჩვენს მიერ მიმოხილული პერიოდისათვის მოჰყავთ მუხუდოც და ამ საკითხებთან დამოკიდებულებაში მინდა დავიმონმო დიდი ისტორიკოსი ბატონი ივანე ჯავახიშვილი. – „იმერეთისათვის დამახასიათებელი იყო ცერცვიც, რომელსაც მარხვის დროს იყენებდნენ. სამარხვო

1. ვახუშტი ბატონიშვილი – აღწერა სამეფოსა საქართველოსა გვ.145

2. ჩანანერი დაცულია გალაკტიონ ტაბიძის სახლმუზეუმის ფონდში.

ცერცვი, თუმცა ეს კულტურა დროთა განმავლობაში შეავიწროვა ჩვეულებრივმა ლობიომ და უპირატესობა მიენიჭა ე. წ. წითელ და თეთრ ლობიოს ცილოვანი ნივთიერებებით მდიდარია ლობიოს მარცვლეული, იმდენად მდიდარია ცილებით, რომ თითქმის ხორცეულის მაგივრობასაც კი გაუწევს. გამოცდილებამ დაანახა ადამიანს თუ როგორი სინოყვირე ჰქონდა ამ მარცვლეულობას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯამრთელობისათვის“ და შემდეგ – „საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვისაც პარკოსან კულტურებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ. ეს გარემოება ეხლაც მით უფრო ცხადი შეიქმნა თუ გავიხსენებთ, რომ ძველად ადამიანის ყოველდღიურ კვებაში ხორციელის ჭამას არ მისდევდნენ, როგორც ეხლაც მიღებული. ამიტომ ცილოვანი ნივთიერებების ნაკლებობას ადამიანის კვებაში მაშინ პარკოსან მარცვლეულთა აზოტიანი ნივთიერება ავსებდა და კიდევ ერთიც – „ძველად ხალხი ხორცეულს ყოველდღიურ ჭამას ეხლანდელივით მიჩვეული არ იყო. თანამედროვე საქართველოშიც კი სოფლის მოსახლეობა ხორცეულ საჭმელს მხოლოდ დღესასწაულებსა და მძიმე სამეურნეო მუშაობისას ანდა წვეულების დროს აკეთებს ხოლმე. ჩვეულებრივ დღეებში ქართველი წველის ნაწარმითა და მცენარეული მარცვლეულით იკვებებოდა. ამის გამო პარკოსანი მარცვლეული ძველად რა თქმა უნდა ეხლანდელზე გაცილებით მეტი სჭირდებოდა ადამიანს“¹. ცხადია აქ საუბარია არა მარტო პარკოსან კულტურათა დანიშნულებაზე, არამედ ადამიანთა ყოფით პირობებზეც, ცხოვრების ყოველდღიურობაზე და დიდი მეცნიერის შეფასება იდენტურია „ვანის“ სოფლების მცხოვრებთა ყოფითი პროცესებისა. ეს დადასტურებულია ჩანაწერებით, ტრადიციით, ჯერ კიდევ შემონახული ფორმებით, გადმოცემებით, რომლებიც დღეის მდგომარეობიდან გამომდინარეც საფუძვლიანად ინარჩუნებს არსებობას და არა მარტო ვანში, არამედ თითქმის დღევანდელ აგრარულ რაიონებში. ამიტომაც პარკოსანთა ეს კულტურები სხვა მარცვლეულ კულტურებთან ერთად უნდა განვიხილოთ არა მარტო ნატურგადასახადთა ფორმით, არამედ როგორც პროდუქცია, რომელსაც მიცემული აქვს სარეალიზაციო საქონლის სახეც და უპირატესად ქცეულია გლეხთა ოჯახების კვებისა და არსებობის მთავარ საშუალებად. აქედან მისადმი დამოკიდებულებაც მარცვლეულ კულტურებთან ერთად განსაკუთრებულია.

საინტერესოა, რომ პარკოსან მარცვლეულ კულტურებთან ერთად საერთოდ არაა მოხსენებული სოიო. იგი არაა შეტანილი „ვანის“ სოფლებთან დაკავშირებულ სანადელო აქტით განსაზღვრულ, არსებულ საგადასახადო ჩამონათვალშიც და დაცულ მასალებში იშვიათად ვხვდებით მითითებებს ამ მრავალგამოყენებით სახეობაზე. როგორც სჩანს, ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექონდეს შემდეგ მომენტთან:

1. – „ვანისათვის“ იმ დროის საარსებო და გავრცელებულ აგრარულ სახეობათა შორის ამ კულტურას ჯერ კიდევ ნაკლები მნიშვნელობა აქვს განკუთვნილი და ამის გამოც XIX საუკუნის მეორე ნახევრის 60-70-იანი და შემდეგ წლებში შედგენილ „სანადელო აქტებში“, რომლებიც დროებით ვალდებულ გლეხებზე გაიცემოდა, ვერ მოხვდა.

2. – ან, უნდა დავეყრდნოთ გალაკტიონ ტაბიძის სახლმუზეუმის ფონდში დაცულ მასალას, რომელშიდაც საუბარია, რომ სოიო „ციცხვებისა“ და „ნიქვაძის ფონის“ დასახლებებსა და ახლო-მახლო ტერიტორიებზე გავრცელებას იწყებს 1900-იანი წლების დასაწყისიდან. მითითებულია პიროვნება, რომელმაც მისი თესლი „სადღაც იშოვა, დათესა და ორი წელი დასჭირდა იმისათვის მოემრავლებინაო“. ამით შეიძლება მივიჩნიოთ, რომ დღევანდელ შუამთას, და შესაბამისად „ვანის“ ბარის ზონებში, სადაც ეს კულტურა დღეს უხვი მოსავლიანობით ხასიათდება, იგი ან არაა კულტივირებული, ან როგორც ითქვა, ნაკლებ მნიშვნელოვანია. ეს კულტურა დანერგილად არა სჩანს იმ სოფლებშიც რომელთა „სანადელო ფურცლებიც“ ჩვენს ზემოთ გავშიფრეთ.

„სანადელო ფურცლებში“ არაა შეტანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ზოგიერთი

1. ივანე ჯავახიშვილი – საქართველოს ეკონომიკური ისტორია გვ.72

სახეობაც, რომლებიც „ვანში“ იმ დროისათვის და შემდეგაც XIX საუკუნის პირველი ნახევრიდანაც ჯეროვან ადგილს იძენდნენ. მაგალითად ბრინჯი. როგორც სჩანს სიმინდის ნათესების გამასიურებამ ისე, როგორც გარკვეულ დრომდე ღომისა და ხორბლისა, მათ გავრცელების არე შეეზღუდათ. ამასთან ბრინჯის კულტურა, როგორც განსაკუთრებული პირობების მომთხოვნი, და სპეციფიურად შრომატევადიც, ვანელმა გლეხებმა გვერდზე მისწიეს. ამის განმაპირობებლად სხვა ფაქტორებიც უნდა მივიჩნიოთ, რომელიც უკავშირდება სამიმოსვლო არტერიის შედარებით მონესრიგებას. რომლის მეშვეობითაც ბრინჯი იღებს იმპორტული პროდუქციის სახეს და იგი შემოტანილი სახით სჩანს კერძო სავაჭრო ობიექტებში. ეს ფაქტები ვანთან მიმართებაში დადასტურებულად შეიძლება ჩაითვალოს და შეიძლება ვიფიქროთ, ბრინჯის მოყვანა მეტ დანახარჯებს იწვევდა, ვიდრე მოგებას და შესყიდვაც ალბათ იაფი უჯდებოდათ.

სანადელო ფურცლებით სჩანს, გლეხთა ნატურგადასახდელები განერილია პურის, ბზის, სიმინდის, ასევე ღომის ჩალის სახითაც. ეს პროცესი საერთოდაა დამახასიათებელი და აიხსნება იმით, რომ პირუტყვის მომრავლების შემთხვევაში საძოვართა ნორმა შემცირდა. რაც პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფას პრობლემურს ხდიდა.

ჩვენ აქ, როდესაც გარკვეულ სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ზოგადად ვამახვილებთ ყურადღებას და აქცენტს ვაკეთებთ სანადელო ფურცლების ჩამონათვალში შეტანილ კლასიფიკაციაზე მიზანი ასეთია: ამ კლასიფიკაციის საფუძველზე პრაქტიკულად კონკრეტდება მაშინდელი „ვანის“ მოსახლეობისათვის დამახასიათებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახეობები და მათი უპირატესობა დანარჩენ კულტურებთან შედარებით იძლევა რეალურ წარმოდგენას აგრარული სფეროს წამყვან კულტურებზე და არა მარტო მარცვლეულის სახეობის მიხედვით, არამედ სამეურნეო სახეობათა მიმართულებებზეც. მეორეც: ნათქვამი სულაც არ ნიშნავს, რომ ხსენებული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები მოჰყავდათ მხოლოდ ნატურ- გადასახდის დაფარვის მიზნით. პირიქით, იგი ემსახურებოდა გლეხური ოჯახების საარსებო მინიმუმის დაკმაყოფილებას და ჭარბი პროდუქციის სახით თუ ასეთი რჩებოდა, ან ოჯახური სხვა მოთხოვნილების უკიდურესობიდან გამომდინარე, გადიოდა ბაზარზე, როგორც სარეალიზაციო საქონელი. ქცეული იყო ოჯახის შემოსავლის წყაროდ.

საერთოდაა ცნობილი ქართველი კაცის დამოკიდებულება ვაზის კულტურისადმი –მევენახეობისადმი. მიღებული გამოთქმით „მამულისადმი“, რომელიც არაიშვიათად სამშობლოს სინონიმადაა ქცეული. რაც ქართველთა და გლეხთა ცხოვრებაშიც ამ კულტურისადმი დამოკიდებულების განსაკუთრებულობაზეც მიუთითებს. ამის გამოც სამეურნეო დარგთა შორის მარცვლეულთან ერთად წამყვანი პოზიცია მევენახეობა-მელვინეობას განეკუთვნებოდა და დამოკიდებულებაც მისადმი განსაკუთრებულად გამოიყურება. ეს სჩანს იქედანაც, რომ უძრავი ქონებით, მინით ვაჭრობის ისეთ მოჭარბებულ შემთხვევაშიც კი, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან „ვანის“ მაგალითზე დგინდება, ვენახით დაფარული ნაკვეთების გასხვისების მხოლოდ რამდენიმე ფაქტია აღნიშნული და ამას გაბატონებული ფსიქოლოგიური მომენტიც ხსნის. რადგან უღვინო ოჯახი ქართველთა ტრადიციულ ფენომენში ვერ ჯდება და ასეთები ალბათ უკიდურეს ღარიბთა რიგებს შეიძლება მიეკუთვნონ. ღვინის მარაგის არსებობა ქართველთა ოჯახებში ღირსების მიმათითებელიცაა და არ ნიშნავს არც ლოთობისაკენ მიდრეკილებას. ეს გამორიცხულია, რადგანაც კლასიკური მევენახეობა-მელვინეობის ქვეყნებში ამდგვარი მიდრეკილება ერთეულ დაავადებულ გარდა იშვიათად შეინიშნება. ანალოგიურია „ვანშიც“ და ღვინოს აქაც თავისი პენი აქვს. გარდა კულტურული სმისა იგი სხვა ქართულ ტრადიციათა დაცვა-გამრავლებას ემსახურება, ამასთან, ყურძენიც და დაწურული ღვინოც ატარებდა და ატარებს სასაქონლო – სარეალიზაციო პროდუქციის სახეს, წარმოადგენდა ოჯახის შემოსავლის წყაროს.

რელიგია და მენშევიკების ხელისუფლებისდროინდელი პრესა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ-ერთ უპირველეს მმართველ ძალას სდმპ (მენშევიკებისა) წარმოადგენდა, რომლის მთავარ მიზანს სოციალიზმის აშენება წარმოადგენდა. მენშევიკებისათვის კი, პრინციპულად მიუღებელი იყო რელიგია და აქედან გამომდინარე, მათ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე დაიწყეს რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ ენერგიული ბრძოლა.

ამის საილუსტრაციოდ გამოდგება თუნდაც ასეთი ფაქტი. 1918 წ. ქართულმა ეკლესიამ და მთლიანად პატრიოტულმა ძალებმა დიდი დანაკლისი განიცადეს – მოჰკლეს დიდი პატრიოტი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II. მის დაკრძალვას პრესა ძალზე ძუნწად გამოეხმაურა, უფრო მეტი, ადგილი მას ისევ ეროვნულ-დემოკრატების გაზეთებმა „საქართველომ“ და „ჩვენმა ქვეყანამ“ დაუთმეს. მაგალითად, „საქართველოში“ დაიბეჭდა ი. აბაშიძის „კირიონ II დაკრძალვა“, რომელშიც მოკლეთა საუბარი კირიონ II პიროვნებაზე. ავტორი განსაკუთრებით ვრცლად ჩერდება და აქებს ნ. სულხანიშვილის საგალობლებს, რომლებიც სწორედ იმ დღეებში შესრულდა. წერილის ძირითად ნაკლად უთუოდ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მასში უპირატესად საუბარი საგალობლებზეა და კირიონ II სიკვდილზე, მხოლოდ გაკვრითაა ნათქვამი. სამაგიეროდ, უფრო ვრცლად გააშუქა კირიონ II სიკვდილი „ჩვენმა ქვეყანამ“.

იგივე განმეორდა 1919 წ., კათალიკოს-პატრიარქ ლეონიდეს კურთხევის დროსაც, რასაც უფრო ფართოდ მხოლოდ გაზეთი „საქართველო“ გამოეხმაურა.

ეკლესიის შევიწროებაში ხელისუფლება იქამდეც მივიდა, რომ 1919 წ. კათალიკოს-პატრიარქს სამსახურებრივი ავტომობილიც კი ჩამოართვეს.

1918 წლის 4 აგვისტოს დიდუბის ეკლესიაში ხელისუფლებამ მოაწყო მრევლის კრება, სადაც განიხილეს ეკლესიის ძვირფასი ნივთების საქართველოს რესპუბლიკის ფონდის გასაძლიერებლად გამოყოფის საკითხი.

ხელისუფლებისა და მენშევიკური პრესის ბრძოლის ძირითადი აქცენტი რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფაზე იქნა გადატანილი, (თუმცა ხელისუფლება არც შიშველ და უხეშ ადმინისტრირებაზე ამბობდა უარს, რის მაგალითადაც, 1919 წლის განათლების სამინისტროს წინადადებაზე დაყრდნობით, მთავრობის მიერ თბილისში კარის ეკლესიის გაუქმება გამოდგება.) რაშიც ტონის მიმცემად გაზეთი „ერთობა“ გამოდიოდა. მან 1919 წლის მარტში დაბეჭდა მონინავე წერილი, რომელშიც კატეგორიულად იყო დასმული ეს საკითხი. კიდევ უფრო გაძლიერდა ეს ბრძოლა 1920 წელს. „ერთობამ“ თებერვალში დაბეჭდა ს. მაჭავარიანის „სამღვდელოება და ეროვნული საკითხი“, რომელშიც ისევა დასმული ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის მოთხოვნა. განსაკუთრებით უტყვედა ეკლესიას, რელიგიასა და სამღვდელოებას „ერთობა“ მონინავე წერილში „ეკლესია და სახელმწიფო.“ გაზეთს მიუღებლად მიაჩნდა ის, რომ მათ ხელში იყო თავმოყრილი ქორწინების, ნათლობის, გარდაცვალების, განქორწინების და სხვა აქტების შედგენა, თანაც მათზე დაწესებული არ იყო არავითარი ნიხრი და ეს მომსახურეობა სულ უფრო და უფრო ძვირდებოდა. წერილში მოთხოვნილი იყო, რომ ჩამორთმეოდა ყველაფერი ეს ეკლესიას და იგი საერთოდაც გამოყოფოდა სახელმწიფოს. „ერთობამ“ შემდეგშიც არაერთხელ დააყენა ეს საკითხი ძალზე მწვავედ, თანაც იგი დიდი მონონებით შეხვდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტში მე-16 თავის შეტანას ამ გამოყოფის თაობაზე. მისი აზრით, საქართველოში არცერთ რელიგიას არ უნდა მისცემოდა უპირატესობა, ან რაიმე პრივილეგია. ამის მონინააღმდეგე, გაზეთის აზრით, მხოლოდ ჩამორჩენილი და ბნელი სამღვდელოება თუ იქნებოდა. ეკლესიის გამოყოფასთან ერთად, მალე „ერთობამ“ საეკლესიო ქონებასაც შეუტია და მონინავეში „ჩვენ და ეკლესია“ ეს ქონება მან ხალხის, სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა. ეკლესია-მონასტრებში არსებულ დიდძალ სიმდიდრეს სამღვდელოება, მისი აზრით, ვერ დაიცავდა და ამიტომ იგი სახელმწიფოს უნდა ჩაბარებოდა. ერისა და

კულტურის ინტერსებისათვის მას აუცილებლად მიაჩნდა ეკლესიის სახელმწიფოსაგან დაუყო-
ნებლივ გამოყოფა. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ერისათვის ფასეულ სიძველეთა
დაცვას ზოგჯერ მართლაც ემუქრებოდა საფრთხე. ამის მაგალითად გამოდგება 1919 წ. ქართ-
ველ ქალთა საზოგადოების მიერ გადადგმული ყოვლად გაუმართლებელი ნაბიჯი, როცა მათ
მ. უორდროპის შვილს ნინოს, წმინა ნინოს ისტორიული ჯვარი მიართვეს საჩუქრად.

პრესამ ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში ხალხიც აიყოლია და დაიწყო ცალკეული მუშების
წერილების ბეჭდვა სახელმწიფოსაგან მისი გამოყოფის მოთხოვნით. მაგალითად, დაიბეჭდა
ვინმე გურული მუშის წერილი, რომელიც ლანძღავდა რა ეკლესიას, მისი სახელმწიფოსაგან
გამოყოფას მოითხოვდა. იგივე აზრისაა ბ. თეკლათელიც თავის წერილში და თან რელიგიის
მსახურებს საეკლესიო ქონების გაყიდვაში სდებს ბრალს. მისი აზრით, პრესაში ატეხილი ხმაუ-
რი და მთავრობის ლანძღვაც იმას გამოუწვევია, რომ ხელისუფლება წინ აღდგომია ქონების
ასეთ განიავებას.

მსგავსი მოთხოვნები იქნა წამოყენებული 1920 წლის 18 დეკემბერს შორაპანში გამართულ
კრებაზეც, სადაც დაგმეს საკათალიკოსო საბჭო და მოინონეს მთავრობის პოლიტიკა საეკლე-
სიო ქონების საკითხებში. ასეთივე კრება 1921 წელს ოზურგეთშიც ჩატარდა, სადაც საეკლე-
სიო სიმდიდრის ჩამორთმევის მოთხოვნით თვით მღვდელი ე. ჩხაიძე გამოვიდა. მან დაგმო რა
კათალიკოსი, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა მოითხოვა. ქონების ჩამორთმევა ასევე
მოინონეს სხვა მღვდლებმაც.

„ერთობაში“ განის ფსევდონიმით დაბეჭდილ წერილში „საეკლესიო ქონება“, ავტორი ამტ-
კიცებდა, რომ საეკლესიო ქონებას თვითონ მღვდლები იტაცებდნენ და რაკი ეს სიმდიდრე
მთავრობის საკუთრებად მიაჩნდა მას, ამიტომ მისი წაღებაც სამართლიანად მიაჩნდა. ამ
პოზიციის გასამაგრებლად გაზეთმა იმავე ნომერში წალენჯიხის ეკლესიის გაქურდვაზე და-
ბეჭდა წერილი, რომელშიც მღვდლებიც მონაწილეობდნენ. ეს წერილი გაზეთს იმისათვის დას-
ჭირდა, რომ წინა პლანზე წამოენია ვითომდა ეკლესიის მსახურთა უნდობლობა ქონების შენახ-
ვის საქმეში.

ზოგჯერ საქმე კუროიზამდეც კი მიდიოდა ასე მაგალითად, სოფელ ჭაგანის მოსახლეო-
ბამ გადაწყვიტა გაეუქმებინა ღვთისმშობლის დღესასწაული, რადგან იქ სკოლა შენდებოდა.
მეორე – შორაპნის სამღვდლოებამ 1920 წ. თვითონ დაადგინა რკინიგზის ეკლესიის გაუქმება
და იქ ელექტროსადგურის გახსნა (რკინიგზაზე მღვდლებისათვის შტატები მანამდე, 1919 წ.
გაუქმდა).

გაზეთმა „ერთობამ“ გაზეთ „საქართველოსაც“ შეუტია იმის გამო, რომ მან გამართლებუ-
ლად არ მიიჩნია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საქმეში აჩქარება. „ერთობასთან“
ერთად ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლაში გაზეთი „სახალხო საქმეც“ აქტიურობდა.

მთავრობამ თვით რელიგიურ მოღვაწეთა შორისაც გაიჩინა დასაყრდენი და შეიქმნა ე.წ.
საეკლესიო განახლების ჯგუფი, რომელმაც გამოაქვეყნა საპროგრამო ხასიათის წერილი
„ეკლესიის საკითხი“ და მასში თავისი მოთხოვნები ასეთნაირად ჩამოაყალიბა: სახელმწიფოსა-
გან ეკლესიის გამოყოფა, ეკლესიის განმენდა, ეკლესიებში სკამების დადგმა, მუსიკის გამოყ-
ენება რელიგიური მსახურების დროს, რელიგიური წიგნების მხედრულად და თანამედროვე
ენაზე გადმოტანა, დღესასწაულებისათვის ახალი სტილის შემოღება, ცრურწმენის მოსპობა,
ეკლესიის დემოკრატიულ საწყისებზე მართვა, მორწმუნეთა კავშირის დაარსება, ანაფორის
ყოველთვის ტარების მოთხოვნის გაუქმება და მისი მხოლოდ მღვდელმსახურებისას ტარება,
ეპისკოპოსებისათვის ქორწინების უფლების მიცემა, მღვდლებისათვის მეორედ ქორწინების
დაშვება, სამღვდლოების სხვა მოქალაქეებზე უფლებებში გათანაბრება, ბერობის გაუქმება
და ა.შ.

საბოლოოდ ბრძოლამ შედეგი მაინც გამოიღო და 1920 წლის 16 ოქტომბერს კანონების გად-
ამსინჯავი კომისიის სხდომაზე განიხილეს სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფის საკითხი.
შესდგა კანონ-პროექტიც, რომელიც სულ 24 მუხლისაგან შესდგებოდა და ითვალისწინებდა
ერთ წელიწადში მთელი მათი მოძრავ-უძრავი ქონების რელიგიური საზოგადოების ხელში

გადასვლას, გარდა იმ შენობებისა, რომელთაც ისტორიული და მხატვრული ღირებულება გააჩნდათ. ეს შენობები თავისი მოძრავ-უძრავი ქონებით სახელმწიფოს — განათლების სამინისტროს უნდა გადასცემოდა. განისაზღვრა მისი შესრულების ვადაც — სამინისტროს ერთ წელიწადში უნდა შეედგინა ასეთი შენობათა სია და შემდეგ იგი დასამტკიცებლად მთავრობისათვის წარედგინა. კანონპროექტი ასევე ითვალისწინებდა იმ რელიგიურ საზოგადოებების დაშლასაც, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში არ შეასრულებდნენ მღვდელმსახურებას, არ მოემსახურებოდნენ უშუალოდ თავიანთ საქმეს და გააჩაღებდნენ სახელმწიფოს საწინააღმდეგო საქმიანობას. სახელმწიფო უფლებას იტოვებდა ფინანსურად ეკონტროლებინა რელიგიური საზოგადოებანი.

რელიგიის წინააღმდეგ ხელისუფლების ბრძოლა საღვთო სჯულთან მიმართებაშიც გამოიხატა. პრესაში დაიწყო აქტიური პროპაგანდა მისი გაუქმების მოთხოვნით. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდნენ მენშევიკური გაზეთები „ერთობა“, „სოციალ-დემოკრატი“, „ხალხის მეგობარი“, სოციალისტ-ფედერალისტთა „სახალხო საქმე“ და სხვები. ასევე მაგალითად, 1918 წლის მაისში „ხალხის მეგობარში“ დაიბეჭდა ვინმე „სფინქსის“ დიდი წერილი „საღვთო სჯული და სკოლა“, რომელშიც მკაცრადაა გალანძღული რელიგია და ეკლესია და კატეგორიულადაა დასმული საკითხი სკოლებიდან მისი გაძევების თაობაზე.

საღვთო სჯულის საწინააღმდეგო გამოსვლები იმით დასრულდა, რომ 1918 წლის 21 ნოემბერს მაშინდელმა პარლამენტმა მართლაც მიიღო კანონი ამ საგნის სწავლების გაუქმებაზე. „ერთობა“ სიხარულით შეხვდა ამ გადაწყვეტილებას და მას ვრცელი წერილებიც მიუძღვნა ერთი უცნობი ავტორისა და მეორე მუშა ს. ელიაძის ავტორობით.

იმავე წელს, პარლამენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, განათლების სამინისტრომ სკოლებს დაუგზავნა ცირკულარი საღვთო სჯულის გაუქმების თაობაზე.

საღვთო სჯულის საწინააღმდეგო გამოსვლები 1919 წელსაც გრძელდებოდა. „ერთობამ“ დაბეჭდა სარედაქციო წერილი, რომელშიც მკაცრადაა გალანძღული გაზეთი „საქართველო“ იმის გამო, რომ მან საღვთო სჯულის დაცვა გაბედა. „ერთობის“ აზრით, ამ საგნის გაუქმებას თურმე ხალხის დიდი კმაყოფილება გამოუწვევია და მხოლოდ ფარისევლებს („საქართველოს“ სახით — ა.ნ.) შეეძლოთ იმის მტკიცება, რომ სამღვდლოებისათვის უპირატესობის შენარჩუნება სარწმუნოების დაცვას არ ნიშნავდა.

1919 წლის 27 აპრილს ზესტაფონში გაიმართა შორაპნის მაზრის მასწავლებელთა ყრილობა, სადაც დაადგინეს, რომ გამოერკვიათ სკოლის და ეკლესიის ურთიერთობა, რელიგიის სწავლება მიეჩნიათ კერძო საქმედ და აქედან გამომდინარე სკოლებს ეს არ ევალებოდათ.

ხელისუფლება ხშირ შემთხვევაში უკადრის მეთოდებსაც არ ერიდებოდა, ოღონდ საქმე მისთვის სასურველად წარმოეჩინა. მაგალითად, 1920 წელს გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ დაიბეჭდა წერილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ თურმე საჩინოს თემში¹ ზოგიერთ სკოლაში მშობლები ბავშვებს იმიტომ არ უშვებდნენ, რომ იქ საღვთო სჯული მაინც ისწავლებოდა.

საღვთო სჯულის გაუქმების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ ეროვნულ-დემოკრატიები და მათი პრესა — „საქართველო“, „კიდევ“, „ჩვენი ქვეყანა“ და სხვები. მაგალითად, „საქართველოში“ დაიბეჭდა რაფიელ ინგილოს, „კლდეში“ რ. გაბაშვილის, „ჩვენს ქვეყანაში“ „ქრისტეანის“ და სხვათა საპროტესტო წერილები. აღსანიშნავია, რომ „საღვთო სჯულის“ სწავლების მხარდასაჭერად 1919 წლის 12 თებერვალს თბილისში სვანეთიდან საგანგებო დელეგაციაც კი ჩავიდა მანგლიანის ხელმძღვანელობით.

საპასუხო რეაქცია არ დააყოვნა „ერთობამაც“ და მან დაბეჭდა სარედაქციო წერილები ჯერ რ. ინგილოსი რელიგიის მკაცრი კრიტიკით, სადაც კატეგორიულადაა დასმული რელიგიის სახელმწიფოსაგან გამოყოფის საკითხი, რომლის პირველ ნაბიჯად სწორედ საღვთო სჯულის გაუქმება იქნა მიჩნეული, ხოლო შემდეგ რ. გაბაშვილის საწინააღმდეგო სტატია გამოაქვეყნა, რომელიც საღვთო სჯულს იცავდა. „ერთობა“ ინონებს მის გაუქმებას და უშვერი სიტყვებით

1. დღევანდელი ვანი (რედ.)

ლანძღავს რ. გაბაშვილს – „ღვარძლიანი და შხამიანი ვაჟბატონი შორსაა ქრისტიანული მორალისაგან, მას გააჩნია დედაბრული შეხედულება და დედაბრული სისულელე“. რ. გაბაშვილი, „ერთობის“ აზრით რენეგატიც იყო.

ბუნებრივია, საღვთო სჯულის შენარჩუნებას და დაცვას ყველაზე ენერგიულად თვით სამღვდლოება შეეცადა. ჯერ 1919 წლის 20 დეკემბერს დუშეთში გაიმართა სამღვდლოების კრება, სადაც დაგმეს საგნის გაუქმება და თან დაადგინეს, გაუქმებინათ რუსული ჯვრების ტარება და შემოეღოთ ქართული-ხუცურ წარწერებიანი ბეჭდები, ხოლო შემდეგ სამღვდლოების კრება თბილისშიც გაიმართა, სადაც დაადგინეს, რომ თუ საღვთო სჯულის სწავლებას ხელისუფლება იმის გამო აუქმებდა, რომ არ ჰქონდათ ფული ხელფასისათვის, მაშინ ეკლესიის მსახურნი ვალდებულებას ლეზულობდნენ საგანი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ესწავლებინათ, თანაც საკითხი ხალხის აზრის გათვალისწინების გარეშე არ გადაეწყვიტათ. აღსანიშნავია, რომ უფრო მეტი სიფრთხილე გამოიჩინა ხელისუფლებამ რელიგიისადმი სამუსულმანო საქართველოში, სადაც როგორც ბათუმის ოლქის საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი წერდა, საღვთო სჯულის (ყურანის) სწავლება სკოლებში შენარჩუნებული იქნა და მას მოღები ასწავლიდნენ.

მთავრობამ სასულიერო სასწავლებლებსაც შეუტია და 1918 წ. ქუთაისის სასწავლებელი გიმნაზიად გადააკეთა. თუმცა ერთბაშად ყველგან ეს ვერ გაბედა და თბილისში დროებით დატოვა ვაჟთა სასულიერო გიმნაზია, ქალთა საეპარქიო გიმნაზია და სასულიერო სემინარია. მაგრამ 1919 წ. სასულიერო სემინარია თბილისის უნივერსიტეტს მაინც გადასცეს. (გამოსავალი იმაში მოინახა, რომ 1919 წ. თბილისში კერძო სასულიერო სასწავლებელი დაარსდა) მიტროპოლიტ ნაზარის თხოვნა ნ. ჟორდანიასადმი, ქუთაისში სასულიერო სასწავლებლის ქონება მაინც დაეტოვებინა მათთვის განათლების სამინისტროს, არ დაკმაყოფილდა.

1920 წელს „საქართველოში“ დაიბეჭდა მღვდელ ა. ოქროპირიძის წერილი „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას დაღუპვა მოელის“, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ როგორ ავინრობდა ხელისუფლება ეკლესიას, როგორ დახურა სასულიერო სასწავლებლები, გააუქმა საღვთო სჯულის სწავლება და ა.შ.

ასევე იცავდა ეკლესიას მ. ჯანაშვილიც. თავის წერილში „საქართველოს საყდარი“, იგი წერდა ქართული ეკლესიის ეკონომიკურ გასაჭირზე, დევნა-შევიწროებაზე და იხსენებდა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ეკლესიის როლსა და მნიშვნელობას.

ძალზე საყურადღებო წერილი – „ქართული აკადემია“ გამოაქვეყნა მ. ჯანაშვილმა გაზეთ „საქართველოში“ 1919 წელსაც. მასში ავტორმა გაუმართლებელ ნაბიჯად ჩათვალა ერთადერთი სემინარიის დახურვა და თვლიდა, რომ პირიქით, ის აკადემიად, ხოლო სასულიერო სასწავლებლები სემინარიებად უნდა გადაეკეთებინათ მით უმეტეს, რომ ამის ძალები ქვეყანას ჰყავდა. მაგალითად, რექტორად ასახელებდა ა. ცაგარელს, პროფესორებად გ. რობაქიძეს, მ. კელენჯერიძეს, ვ.ბარნოვს, ი. ვართაგავას და ა.შ.

იმდროინდელმა ხელისუფლებამ სკოლებიდან მღვდელი მასწავლებლების გამოძევებაც დაიწყო და ეს მაშინ, როცა კატასტროფულად არ კმაროდა პედაგოგები. ყოველივე ამას კი ტონი მისცა დამფუძნებელი კრების განათლების კომისიაზე ლ. ნათაძის მოხსენებამ, რომელშიც მან აღნიშნა, რომ დაბალი ტიპის სასწავლებლები თითქოსდა მღვდლების ხელში იყო ჩაგდებული, რასაც ბოლო უნდა მოღებოდა.

1919 წლის 14 აპრილს ოზურგეთში გაიმართა მასწავლებელთა ყრილობა, სადაც დაადგინეს აეკრძალათ მღვდლებისათვის მასწავლებლობა.

21 სექტემბერს ისევ გაიმართა გურიის მასწავლებელთა ყრილობა, სადაც კვლავ განიხილეს მღვდელი მასწავლებლების საკითხი. გამომსვლელებმა აღშფოთებით აღნიშნეს, რომ მაინც განაგრძობდნენ მასწავლებლობასა და იმავდროულად მღვდელმსახურებას. დაადგინეს, რომ მიეღოთ მკაცრი ზომები, რათა მსგავსი რამ აღარ მომხდარიყო.

მღვდელი მასწავლებლების წინააღმდეგ სამეგრელოშიც გაილაშქრეს – 1919 წლის 20 ივნისს სენაკის მაზრის სახალხო მასწავლებელთა ყრილობამ დაადგინა, აკრძალვოდათ მღვდელ მასწავლებლებს ერთსა და იმავე დროს მრევლში სამსახური და მასწავლებლობა.

არანაკლები მონდომებით ებრძოდა მღვდელ მასწავლებლებს გაზეთი „სახალხო საქმეც.“ მასში 1920 წ. დაიბეჭდა ვინმე ო.ე-ლის წერილი, რომელიც იმაზეა აღშფოთებული, რომ თურმე მისი მოთხოვნა, არ დაეშვათ მღვდლების მასწავლებლობა და რასაც თავისი დადგენილებით მხარი რაჭის მაზრამაც დაუჭირა, თურმე ონში არ სრულდებოდა (სხვაგან ყველგან შეუსრულებიათ). აქ ორი მღვდელი მაინც დაუტოვებიათ მასწავლებლად. ავტორი ლანძღავს რა ონის ერობას, მოაგონებს მათ, რომ ძველი დრო აღარ იყო და საქმე დროულად გამოესწორებინათ.

ცეცხლზე კიდევ უფრო დაასხა ნავთი გაზეთ „ერთობაში“ ი. გომართელის წერილმა, რომელიც გულისწყრომით წერდა, რომ თელავში, ერეკლეს სასახლეში მოთავსებული სასწავლებლის, გვერდით ხუთი ოთახი ეპისკოპოსს ეჭირა. მისი აზრით, ყოვლად დაუშვებელი უნდა ყოფილიყო ერთ შენობაში სულიერი მამისა და სასწავლებლის არსებობა.

ბუნებრივია, რელიგიაზე ხელისუფლების ასეთმა შეტევამ წააქეზა სხვადასხვა ჯურის ბოროტმოქმედნი და დაიწყო ეკლესია-მონასტრების ძარცვა. მაგალითად, გაიძარცვა წალენჯიხის მონასტერი, საიდანაც რამდენიმე მილიონი მანეთის ღირებულების ხატები, ჯვრები და სხვა ძვირფასეულობა წაიღეს. ხელისუფლებამ დააპატიმრა 10 მძარცველი, რომელთაგან 6 სასულიერო პირი იყო. ასევე გაიძარცვა მონამეთაც, სადაც ქურდი ვინმე გ. კაპანაძე აღმოჩნდა. 1919 წლის თებერვალში გურიაში გაძარცვეს შემოქმედის მონასტერიც, საიდანაც ხატები, ჯვრები, მიტრა, სახარება, 400 ბრილიანტის თვალი და ოქრო-ვერცხლის ნივთები გაიტანეს. 12 დამნაშავეს შორის ორი ბერი და სამი ბოლშევიკი აღმოჩნდა. სამწუხაროდ ნივთები ვერ იპოვეს, რადგან დამნაშავეებს ისინი თურქეთში გაუყიდიათ. დამნაშავეთა სასამართლო ქუთაისში გაიმართა და ოთხ მათგანს 10-12 წლით პატიმრობა მიესაჯა.

1919 წლის 2 ივნისს ოზურგეთში გატეხეს ვანისქედის ეკლესიაც, საიდანაც წაიღეს ნათლისმცემლის უძველესი დიდი ვერცხლის ხატი, ოქროს ხატი და სხვა ძვირფასეულობა.

1919 წელს თბილისში გაიძარცვა მამადავითისა და დიდუბის ეკლესიები, 1920 წელს ქუთაისში, ბერების მიერ, გელათის მონასტერი და ა.შ. ცალკე უნდა შევეხოთ ხელისუფლებასა და ეკლესიის მესვეურთა შორის გაჩაღებულ ბრძოლას გელათის მონასტრის სიძველეთა შესახებ, რომელიც 1919 წელს დაიწყო. 1919 წლის 12 ივლისს მთავრობამ დაადგინა შეეკეთებინა გელათის მონასტერი და იქ მდგომარეობის შესასწავლად და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად არქიტექტორი გააგზავნა. იმავდროულად მთავრობამ დაადგინა ჩაეტარებინა ეკლესია-მონასტრების ქონების აღწერაც, რისთვისაც 20 000 მ. გამოჰყო. ძვირფასეულობის აღწერა და შესწავლა ე. თაყაიშვილს დაევალა.

1919 წელს ქუთაისში გამომავალმა გაზეთმა „სოციალ-დემოკრატებმა“ დაბეჭდა წერილი „გელათის გარშემო“, რომელშიც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა „რალაც ავტოკეფალურ მოძრაობადაა“ მონათლული. გაზეთის თქმით, 1917 წლის 8-14 სექტემბერს გამართული პირველი ქართული საეკლესიო კრება ყოფილა... პირველი დებიუტი ნაციონალისტური ინტელიგენციისათვის, სადაც გამოჩენილა კიდევ სამღვდელოების გაკოტრება („სიკოტრე“). გაზეთი არც ცილისწამებას ერიდებოდა და წერდა, რომ თითქოსდა კათალიკოსის არჩევის მეორე დღესვე სამარცხვინო ბრძოლა გაჩაღებულ იქნა სამღვდელოებაში. გაზეთი უხამსად ლანძღავს ქართულ ეკლესიას, იმერეთის ეპარქიას, მიტროპოლიტ ნაზარის და იცავს გელათის მონასტრის გადაყენებულ წინამძღვარ ნიკოლოზს იმის გამო, რომ იგი თურმე რევოლუციის მომხრე ყოფილა.

იმავე გაზეთში მალე კვლავ დაიბეჭდა წერილი მონასტრის კომისიის თავმჯდომარის ხელისმონწილეთ მონასტრის ისტორიულ ნივთებზე. ავტორის აზრით სწორედ ეს ნიკოლოზი იცავდა თურმე ამ ნივთებს და ამის გამო ებრძოდა მას ნაზარი. სახელმწიფო იცავდა ნიკოლოზს, რომელიც გაზეთის აზრით, სწორად მოქცეულა, როცა ეს ნივთები, როგორც ერის საკუთრება, ხაზინისათვის ჩაუბარებია.

მონასტრის სიძველეებისათვის ბრძოლა კვლავ გამწვავდა 1920 წლის 20 ნოემბერს, როცა ნ. ჟორდანიამ მიიღო ქუთაისის მაზრის უფროსის დეკრეტი, რომ თითქოსდა გელათელი ბერები ყიდდნენ ძვირფას საეკლესიო ნივთებს. ნ. ჟორდანიამ მიიღო სასწრაფო ზომები და გაგზავნა

იქ თავისი რწმუნებული, რომელსაც დაავალა ზომების მიღება განძეულის დასაცავად იქამდე, რომ თუ საჭირო იქნებოდა, გადაეტანა ისინი ხაზინის სალაროში. კომისიამ გაარკვია, რომ მიტროპოლიტი ნაზარს აგვისტოში გელათელი მღვდელმსახურებისათვის მიუცია ნებართვა გაეყიდათ ის ნივთები, რომელთაც საეკლესიო მსახურებისას აღარ ხმარობდნენ. კომისიამ ისიც გაარკვია, რომ გამორღვეული იყო მონასტრის საუნჯის სამალავი და ერთ ხატს ახლად ამოცლილი ჰქონდა რამდენიმე ძვირფასი თვალი. გაჭირდა იმის დადგენა, თუ საერთოდ რა გაიყიდა აქ აგვისტოს შემდეგ. რწმუნებულმა გ. ცინცაძემ განძი საიმედო ადგილზე, ხაზინაში გადაიტანა.

საკითხის ირგვლივ სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა მას შემდეგ, რაც 6 დეკემბერს ნ. ჟორდანიამ მიიღო საკათალიკოსო საბჭოს დელეგაცია კათალიკოს-პატრიარქის ლეონიდეს მეთაურობით. შეხვედრაზე ლეონიდემ გააკიცხა ნ. ჟორდანი და გამოთქვა პროტესტი და გულისწყრომა მისი გადაწყვეტილების გამო.

ლეონიდეს მიერ ნახმარმა სალანძღავმა, უდიერმა და შეუწყნარებელმა სიტყვებმა გაანაწყენა ნ. ჟორდანი და მან ასეთი შეურაცხმყოფელი სიტყვების მოსმენის შემდეგ უარი თქვა გაეგრძელებინა აუდიენცია დელეგაციასთან. დელეგაცია იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო.

ამის შემდეგ მთავრობამ მოისმინა ნ. ჟორდანიას მოხსენება ეკლესიათა და მონასტერთა, კერძოდ კი გელათისა და მღვიმევის მონასტრების ძვირფასი განძის დაცვის შესახებ და დაადგინა, რომ მთავრობა დაიცავდა ყოველივე იმას, რასაც გააჩნდა ისტორიულ-არქიტექტურული ღირებულება და არ იხმარებოდა მღვდელმსახურების დროს. ეს საქმე შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა. განძის დასაცავად მთავრობამ დაადგინა 1 დეკემბრიდან ყოველ თვეში შესაბამისად გამოყოფილიყო 30 და 10 ათასი მანეთი, ხოლო სოხუმის ეპარქიისთვის 25 000 მ.

მთავრობის მეთაურსა და ლეონიდეს შორის მომხდარმა ინციდენტმა ეკლესიის წინააღმდეგ გაზეთ „ერთობის“ ახალი ძალით გალაშქრება გამოიწვია. გაზეთში დაიბეჭდა მონინავე სტატია „დემოკრატიული სახელმწიფო და სამღვდელოება“, რომელშიც ეკლესია რეაქციულ ძალადაა მიჩნეული. გაზეთის აზრით, იგი საერთოდ აფერხებდა კაცობრიობის წინსვლას და მხოლოდ ხალხს ღლეტდა, საქართველოს მთავრობა კი მაინც არ ეპყრობოდა მას მკაცრად და მხოლოდ მიწების ჩამორთმევით, საღვთო სჯულის გაუქმებითა და უახლოეს მომავალში სახელმწიფოსაგან მისი გამოყოფით დაკმაყოფილდა. „ერთობა“ აღშფოთებულია მთავრობის მეთაურთან მომხდარი ინციდენტით და მკაცრადაა გალანძღული მიტროპოლიტი ნაზარი. მისი თქმით, თვით სამღვდელოების დამცველი გაზეთი „საქართველოც“ კი ვერ მალავდა, რომ მღვდლები ჰყიდდნენ საეკლესიო ქონებას, რომელიც ხალხის საკუთრებას წარმოადგენდა.

ხელისუფლების მიერ მონასტრისათვის მიწების ჩამორთმევამ ძალზე მძიმე დღეში ჩააყენა სამღვდელოება, რის გამოც გელათის არქიმანდრიტი იძულებული გახდა დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიისათვის მიემართა თხოვნით, ჩამორთმეული მიწების უკან დაბრუნების, ანდა შემოსავლის სხვა წყაროს გაჩენის თაობაზე, მაგრამ ამას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია.

მალე გაზეთმა „ერთობამ“ კვლავ დაბეჭდა ახალი მონინავე „სამღვდელოება საომრად“, რომელშიც ისევ ეკლესიის, სამღვდელოებისა და ლეონიდეს ლანძღვა და მონათლულია ისინი შავ ლაშქრად, რადგან თურმე ბედავდნენ და ებრძოდნენ სოციალისტურ მთავრობას. მთელი სიმკაცრითაა გაკრიტიკებული გაზეთი „საქართველოც“, რომელშიც დაიბეჭდა ნ. ჟორდანიასადმი მიმართული ლეონიდეს წერილი. „ერთობა“ თვლის, რომ ეს იყო ეკლესიისადმი განეული დათვური სამსახური და ლეონიდე კი არ წარმოადგენდა გელათის ქონების დამცველს, არამედ სახელმწიფო, ხოლო თვითონ ლეონიდე მიჩნეულია საიქიოს მოციქულად, რომელსაც საეკლესიო ქონება თავისად მიაჩნდა და მოითხოვდა გელათის ქონების გელათშივე დაბრუნებას, მაშინ როცა იგი ხალხის, მთავრობის ქონებად იყო მიჩნეული და ხალხის მტრებს, – ეკლესიას ვერ ანდობდნენ მის დაცვას.

გაზეთის ამავე ნომერშია მოთავსებული წერილი „აჯანყებული ბერები“, რომელშიც კვლავ

გალანძლია ლეონიდე და „საქართველო“, იმის გამო, რომ მასში დაიბეჭდა გელათის განძის თაობაზე ატეხილი დავის მთელი ისტორია.

მომდევნო ნომერში „ერთობა“ „საქართველოსთან“ ერთად არც გაზეთ „ივერიას“ ინდობს და მათ ბერების ორგანოს, კათალიკოსის დამცველებს, სპეკულიანტების იდეოლოგებს უწოდებს. კვლავ ლანძღავდა რა ლეონიდეს, მას უმძიმეს დანაშაულად უთვლიდა ნ. ჟორდანიასთან შეკამათებას და ამართლებდა მთავრობას ქონების ჩამორთმევის საქმეში.

„ერთობაში“ მალე ვინმე სეფისკვერის „წმინდა მამანი და სათნო შვილი“ დაიბეჭდა, რომელშიც ეკლესიასთან ერთად „საქართველოცაა“ გალანძლილი მასში დ. ჯაფარიძის სტატიის დაბეჭდვის გამო, რომელიც ეკლესიას იცავდა.

ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა „ერთობაში“ დაბეჭდილი ვინმე უბირი მღვდლის წერილი „ხმა ქრისტიანისა“, რომლის აზრით, ძველად, როცა ქვეყანას უჭირდა, ეკლესია თვითონ სწირავდა ქონებას მას, მაგრამ ახლა იგი საწინააღმდეგოდ იქცეოდა და დახმარების ნაცვლად ხელის შეშლას ცდილობდა. ავტორი ამართლებს მთავრობას განძის ნაღების საკითხში.

„ერთობიდან“ ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. ასე მაგალითად, აგრძელებდა რა ლეონიდეს ლანძღვას, გაზეთმა მას უცხო ძალებთან კავშირიც კი დააბრალა, ხოლო მღვდლები სოფლებში დადიოდნენ, რაღაც ქალაქები დაჰქონდათ და ხალხს სახელმწიფოს წინაშე აბუნტებდნენ.

არანაკლებ აქტიურობდნენ ეკლესიის საწინააღმდეგო კამპანიაში და კერძოდ, გელათის განძის გარშემო ატეხილ დავაში, ქუთაისში გამომავალი გაზეთები „ხალხის მეგობარი“ და „სოციალ-დემოკრატიც“. ასე მაგალითად, 1920 წელს ამ უკანასკნელში დაიბეჭდა წერილი „გელათის ინციდენტის გამო“, რომელშიც მკაცრადაა გაკრიტიკებული გაზეთი „საქართველო“, ეკლესია და კათალიკოსი.

მენშევიკებზე არანაკლები სიძულვილი ჰქონდა რელიგიის მიმართ სოციალისტ-ფედერალისტთა გაზეთ „სახალხო საქმესაც“. გელათის ინციდენტში რა თქმა უნდა, ისიც ჩაება და მას არა ერთი და ორი პუბლიკაცია უძღვნა, თან ყოველ მათგანში ლეონიდეს ლანძღვითა და ნ. ჟორდანიას დაცვით გამოდიოდა. გაზეთის აზრით, განძი მთავრობას იმიტომ წაუღია, რომ მისი გაყიდვა თვით სამღვდლოებას დაუწყია, თანაც ამისი მიზეზი გამხდარა მიტროპოლიტ ნაზარის მითითება გელათის სამღვდლოებისადმი, გაეყიდათ ის ნივთები, რასაც მათ ხალხი შესწირავდა და იმით ერჩინათ თავი. ასეთი გაყიდვები როცა დაუწყიათ, მთავრობა იძულებული გამხდარა განძი შესანახად ხაზინაში გადაეტანა.

„სახალხო საქმემ“ დაბეჭდა პ. მირიანაშვილის წერილიც, რომელშიც აბუჩადაა აგდებული საეკლესიო ყრილობა. დასცინის მას და უწოდებს ხუცების ყრილობას. არასწორადაა მიჩნეული დადგენილება განძის ეკლესიისადმი მიკუთვნების თაობაზე და ჩათვლილია, რომ განძი ეკუთვნოდა ხალხს, სახელმწიფოს და დემოკრატიას. გაზეთი სხვა ნომერებშიც დაუზოგავად ლანძღავდა ეკლესიას.

როცა ეკლესიაზე ხელისუფლებისა და პრესის ასეთი მასიური შეტევა წარმოებდა, რა თქმა უნდა, გაკვირვება არ უნდა გამოიწვიოს იმან, რომ ზოგან მოახერხეს და ეკლესიას მრევლიც აუმხედრეს. ასე, მაგალითად, 1920 წელს ხარაგაულში გაიმართა კრება, სადაც მკაცრად დაგმეს ეკლესია და ლეონიდე და მხარი მთავრობის პოლიტიკას დაუჭირეს ეკლესიასთან მიმართებაში. ასეთი კრებები სხვა ადგილებშიც იმართებოდა. თუმცა არც იმის უგულვებელყოფა შეიძლება, რომ ხელისუფლების საეკლესიო პოლიტიკას უკმაყოფილონიც მრავლად ყავდა. ამის მაგალითად გამოდგება 1920 წლის იანვარში გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილი გ. იმნაიშვილის წერილი, რომელიც მან საშუალო სასწავლებლების მასწავლებელთა კონფერენციას გაუგზავნა. წერილის ავტორი გულისტკივილით წერდა, რომ სოციალისტურმა მთავრობამ მოსპო ეროვნული დღესასწაულები – ნინობა, გიორგობა, მცხეთობა, ალავერდობა და სხვა, მაშინ როცა სხვა ეროვნებებს თავიანთი დღესასწაულები დაუტოვა. გ.იმნაიშვილი მოითხოვდა აღდგენილიყო ეროვნული დღესასწაულები, ანდა სხვებისთვისაც გაეუქმებინათ ისინი.

სრულიად განსხვავებული პოზიცია ეჭირა რელიგიასთან და კერძოდ გელათის განძთან

მიმართებაში ეროვნულ-დემოკრატიების გაზეთ „საქართველოს“. იგი სინანულით აღნიშნავდა, რომ ეკლესიის მსახურთა უკიდურესი გასაჭირი გამოიწვია მთავრობის გადანყვებილებამ, ჩამოერთმიათ ეკლესიისათვის მათ საკუთრებაში მყოფი მიწები. სწორედ ამის გამო გახდნენ იძულებულნი ეკლესიის მსახურები, დაეწყოთ ზოგიერთი ისეთი ნივთების გაყიდვა, რომლებიც რაიმე ისტორიულ ან მხატვრულ ღირებულებას არ წარმოადგენდნენ.

გაზეთი „საქართველო“ შემდეგშიც ბევრჯერ გამოესარჩლა ეკლესიას გელათის გამო. იგი თვლიდა, რომ გელათში არ მომხდარა არავითარი უკანონობა სამღვდელოების მხრიდან და მათ მთავრობა უსამართლოდ მოექცა. გაზეთი ეკლესიისადმი მხარდაჭერას იმითაც გამოხატავდა, რომ საკმაოდ ხშირად ბეჭდავდა რელიგიური თემებისადმი მიძღვნილ მასალებს. მაგალითად 1919 წელს დაიბეჭდა ვრცელი მასალა ბოდბის დედათა მონასტერზე (№31), 1920 წელს წმინდა ნინოს ცხოვრებაზე (№19) და ა.შ.

ეკლესიისა და, კერძოდ, გელათის ამბებთან დაკავშირებით პოზიციათა მკვეთრი განსახვავების გამო იქამდე გამწვავდა ურთიერთობა მთავრობასა და გაზეთ „საქართველოს“ შორის, რომ საქმე მის დახურვამდეც კი მივიდა. როგორც გაზეთი წერს, შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა გაზეთს იმ შემთხვევაში აღუთქვა ხელშეუხებლობა, თუკი იგი შეწყვეტდა მასალების ბეჭდვას გელათის ინციდენტის გამო. მაგრამ რედაქცია ამ მოთხოვნას არ დაეთანხმა. გაზეთის ასეთი პოზიციის მიუხედავად გაცემას ინვესტის მის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილი ვინმე ზ.ედილის ქართული ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული წერილი. ზ. ედილი იწონებდა იმას, რომ განხირობულია მღვდლების გარეშე დაკრძალვები და ჯვრისწერის გარეშე ქორწილები. იგი ასევე იწონებდა გორში სასულიერო სასწავლებლის გაუქმებას, თუმცა უმჯობესად მიიჩნევდა იგი არა გიმნაზიად, არამედ სამეურნეო სასწავლებლად გადაკეთებულიყო. წერილის ავტორი იმითაც იყო აღშფოთებული, რომ (და ამაში იგი უდაოდ სწორია) ფრონეს ხეობაში მღვდელთა შორის თურმე ყაჩაღი და ძმის მკვლელებიც ყოფილა.

გაზეთ „საქართველოსთან“ ერთად ეკლესიის მომხრედ და დამცველად ქუთაისში გამოჩნდა მავალი ეროვნულ-დემოკრატიების მეორე გაზეთი „ჩვენი ქვეყანაც“ გამოდიოდა. მაგრამ აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი სულაც არ გვევლინებოდა რელიგიის ბრმად დამცველის როლში. იგი თუ საჭირო იყო, ეკლესიის ნაკლებზეც არ ხუჭავდა თვალს. ასე მაგალითად, 1918 წლის მაისში მასში დაიბეჭდა მ.ბუაჩიძის წერილი „სამხედრო ეკლესიების ნაციონალიზაცია“, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამ ეკლესიებში ჯერ კიდევ არ შეეღწია თავისუფლების შუქს და იქ სულიერად დამახინჯებული მღვდლები თვითონაც რუსულად ლოცულობდნენ და მრევლსაც რუსულად ალოცვინებდნენ, თან ცინიკურად აცხადებდნენ, რომ ღმერთს ყველა ენა ესმოდა და ამიტომ სულერთი იყო, თუ რა ენაზე იქნებოდა ლოცვა. დაბეჩავებულ ხალხს პროტესტის ნიშნად ეკლესიიდან გაქცევა თუ შეეძლო მხოლოდ. ავტორი გმობს ასეთ მღვდლებს და სამაგალითოდ მოჰყავს ქუთაისის ეკლესიაში ახლად დანიშნული დიდი პატრიოტი მღვდელი ტ. ივანიცკი, რომელიც დაულალავად იბრძოდა ეკლესიის გაქართულებისთვის.

მწვავე დავა გაიმართა თბილისში, რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ალ. ნეველის სახელობის სამხედრო ტაძრის ირგვლივ, რომელშიც რუსული ეპარქია იყო მოთავსებული. ქართული სამღვდელოება კანონიერად მოითხოვდა ტაძრის მისთვის გადმოცემას. რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი ქვეყნისათვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო დედაქალაქის ცენტრში უცხო ქვეყნის ეპარქიის არსებობა და მართლაც დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან რამდენიმე დღის შემდეგ 1918 წლის 1 ივნისს, მთავრობამ ტაძარი საქართველოს სამხედრო ტაძრად გამოაცხადა, თუმცა თავისი უპრინციპობის გამო, მასში წირვა-ლოცვა სლავურადაც დატოვა. მიუხედავად ამისა, რუსები მაინც განაწყენდნენ და ტაძრის შენარჩუნების მიზნით იგი თბილისის მიტროპოლიტისა და კავკასიის ეგზარქოსის კათედრად გამოაცხადეს. ამის საპასუხოდ, საქართველოს სამხედრო მინისტრის თანაშემწემ 1919 წლის 3 ივნისს გასცა ბრძანება, რათა ტაძარი კომისიას ჩაეხარებინა. კომისია მართლაც გამოცხადდა ტაძარში 4 ივნისს, მაგრამ

წინამძღვარმა სმირნოვმა მის ჩაბარებაზე რუსეთის მთავრობის კავკასიის ეგზარქოსისა და პროტოპრესვიტერის ნებართვების გარეშე უარი განაცხადა. მაშინ კომისია იძულებული გახდა მათთვის გასაღებები ჩამოერთმია და ტაძარი თვითონ ჩაებარებინა. დღის წესრიგში ტაძრისათვის სახელის შეცვლა დადგა და მალე მას დიდების ტაძარი უწოდეს.

1920 წელს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის რუსული ეკლესიისაგან სრული ჩამოშორების გზაზე. შინაგან საქმეთა მინისტრმა მთავრობას წარუდგინა მოხსენება, რომ 1920 წლის 17 თებერვლის დადგენილებით მან გააუქმა კავკასიის სინოდალური კანტორა. ამ დადგენილების საფუძველზე, 17 აგვისტოს მთავრობამაც გამოიტანა გადაწყვეტილება და საქართველოში მცხოვრებ რუსთა, ბერძენთა და ოსთა მრევლები საქართველოს ეკლესიას დაუმორჩილა. აიკრძალა საქართველოს ეკლესიაში უცხო ქვეყნის ან მოქალაქეთა შესახებ ლოცვა-ვედრებათა აღვლენაც.

1919-1920 წლებში მწვავედ დადგა საბერძნეთში ათონის ქართული მონასტრის შენარჩუნების საკითხიც. 1919 წელს სტამბოლიდან თბილისში ჩამოვიდა მონასტრის დელეგაცია, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრმა მიიღო. აქ მყოფი ქართველი სასულიერო პირები ძალზე მძიმე დღეში იმყოფებოდნენ, განიცდიდნენ დევნასა და შევიწროებას. დელეგაციამ თხოვა მინისტრს, რათა მას მიემართა საბერძნეთის მთავრობისათვის, რომ შეწყვეტილიყო იქაურ ქართველთა შევიწროება.

ათონის საკითხზე კვლავ გაამახვილა ყურადღება „საქართველომ“ 1920 წელსაც. გაზეთის ორ ნომერში დაიბეჭდა დეკანოზ ტ. ივანიცკის ვრცელი წერილი, რომელშიც მოთხრობილია მონასტრის ისტორია და დასაბუთებულია მისი ქართველებისადმი საკუთრების უფლება. მიუხედავად ამისა, იქ ქართველ ბერებს მაინც დევნიდნენ და ცდილობდნენ მონასტრიდან მათ გამოძევებას.

გაზეთმა „საქართველომ“ მოგვიანებითაც დაბეჭდა ათონის მონასტერზე გ. ნადარეიშვილის წერილი, რომელმაც თვითონ იმოგზაურა და მოინახულა იგი. მასში მოთხრობილია მონასტრის ისტორია და აღწერილია მისი მდგომარეობა იმ დროისათვის.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლების ცდას, შეენარჩუნებინა ათონის ქართული მონასტერი, რაიმე შედეგი არ მოჰყოლია.

უნდა ითქვას, რომ ქართულმა ეკლესიამ, მიუხედავად თავისი საქმიანობის უმძიმესი პირობებისა, 1918-1921 წლებში საერთოდ ბევრი სასარგებლო საქმე გააკეთა. მაგალითად, 1918 წელს ქუთაისში პატრიოტულად განწყობილმა სასულიერო პირებმა თავიანთ კრებაზე საფუძველი ჩაუყარეს მიტროპოლიტთან გალობის გუნდის შექმნას, რომელიც ძველ საგალობლებს აღადგენდა და მათ ეკლესიებსაც მოუწოდეს ყურადღება მიექციათ ამ საქმისათვის.

ეკლესია ცდილობდა ღირსეული პატივი მიეგო ერის გამოჩენილი შვილების ხსოვნისადმი და ამით ხალხის სულიერი და პატრიოტული განწყობა აემალლებინა. ასე, მაგალითად, 1919 წლის 27 იანვარს კათალიკოსმა ლეონიდემ აკაკის, ილიას და დიმიტრი ყიფიანის საფლავებზე გადაიხადა წირვა, რაც 1920 წლის 18 იანვარსაც განმეორდა. 18 იანვარს წირვას წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნით, ნ. ჟორდანიას და მთავრობაც ესწრებოდა. აქ სიტყვებით გამოვიდნენ ა. პაპავა, ვ. კოტეტიშვილი და დ. მეგრალი. 1920 წლის 25 იანვარს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო პანაშვიდი დიდუბეშიც გაიმართა გამოჩენილ მამულიშვილთა საფლავებზე, სადაც სიტყვებით დ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, ა. პაპავა, პ. იაშვილი და გ. ლეონიძე გამოვიდნენ.

1920 წლის 6 მაისს სამხედრო ტაძარში ლეონიდემ წირვა ასპინძის ომში დაღუპულთა სულის მოსახსენიებლად აღავლინა, რომელსაც მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ.

დიდი პატივი მიაგო ეკლესიამ 1919 წელს კირილე ლორთქიფანიძის ხსოვნასაც. ჯერ მიტროპოლიტმა ნაზარიმ მისი ხსოვნის პატივსაცემად ქუთაისის ისტორიულ და ეთნოგრაფიულ საზოგადოებას 500 მ. გამოუყო, ხოლო შემდეგ სიტყვით გამოვიდა მის დაკრძალვაზე. ეს სი-

ტყვა და წერილი კ. ლორთქიფანიძეზე დაბეჭდა გაზეთმა „ჩვენმა ქვეყანამ“.

1920 წელს პატრიარქ ლეონიდეს ინიციატივით პარლამენტის ხელოვნების კომისიამ მცხეთის ტაძრის სახურავის შეკეთების საკითხიც აღძრა. მიუხედავად მძიმე პირობებისა, ეკლესიამონასტრებს ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც ეხმარებოდნენ ცალკეული პიროვნებებიც. მაგალითად, 1919 წლის 14 ოქტომბერს გამართულ სვეტიცხოვლობაზე (მას სხვათაშორის მთელი მთავრობაც ესწრებოდა) ა. ხოშტარიამ ეკლესიას 150 000 მანეთი შესწირა. 1919 წელს მცხეთის დედათა მონასტერსა და მანგლისის ტაძარს შესაბამისად 5000 და 3000 მანეთი ნატალია ბარათაშვილმაც უანდერძა, მიუხედავად მატერიალური გასაჭირისა, თავის მხრივ, ეკლესიაც ცდილობდა სხვათა დახმარებას. მაგალითად, 1920 წელს ბათუმში გამართული იქნა ნინოების ზეიმი, სადაც ორ მილიონამდე მანეთი შეგროვდა. ეს თანხა მთლიანად ბათუმის ქართულ სასწავლებელს გადაეცა საჩუქრად.

ცალკე უნდა გამოვყოთ ქართველ კათოლიკეთა საკითხი 1918-1921 წლებში. საქმე იმაშია, რომ მათთვის საქართველოში არ არსებობდა კათოლიკური ეკლესია, სადაც მორწმუნეებს შესაძლებლობა ექნებოდათ დაეკმაყოფილებინათ თავიანთი რელიგიური მოთხოვნილებანი. მორწმუნეთა დიდი ნაწილი სომხურ კათოლიკურ ეკლესიას იყო მიკუთვნებული, რაც, ფაქტიურად, მათ გასომხებას უწყობდა ხელს. ამ მდგომარეობით მარტო საქართველოში არ იყვნენ შენუხებულნი და ქართველ კათოლიკეთა ბედზე უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეებიც ფიქრობდნენ. 1918 წელს საქართველოში საგანგებო მისიით ჩამოვიდნენ სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის წინამძღვარი შ. ვარდიძე და იქაური პროფესორი ს. გოზალიშვილი, რომელთა მიზანს საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში ქართული ტიპიკონის აღდგენა წარმოადგენდა. ეს ქართველ კათოლიკეებს გასომხების პროცესისაგან დაიცავდა. ადრე თუ ამ საქმის მოგვარებას ხელს რუსები და სომხები უშლიდნენ, სამწუხაროდ ბოლო დროს გამოიკვეთა ზოგიერთი ქართველი კათოლიკე მღვდელი, რომელიც დაჟინებით ცდილობდა ხელი შეეშალა ქართული ტიპიკონის მიღებისათვის. 1919 წელს ახალციხეში დაარსდა ქართველ კათოლიკეთა კომიტეტი, რომელსაც სომხური ეკლესიიდან ჩამოშორება და ქართული ტიპიკონის მიღება სურდა. მაგრამ საქმეს ართულებდა ის, რომ საკითხი ვატიკანს უნდა გადაეწყვიტა. კიდევ უფრო ცუდი ის იყო, რომ, თვით ქართველთა შორისაც გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ლათინურ ტიპიკონს მოითხოვდნენ. ამ მდგომარეობით ძალზე შენუხებულმა კ. გვარამაძემ გაზეთ „სახალხო საქმეში“ გამოაქვეყნა ვრცელი სტატია და ამით შეეცადა საზოგადოების ყურადღება გაემახვილებინა ამ მეტად მტკივნეულ პრობლემაზე.

გაზეთმა „სახალხო საქმეში“ კ. გვარამაძის საპასუხოდ დაბეჭდა ზ. დიდიმამიშვილის დიდი წერილი „ახალციხის ქართველი კათოლიკენი“, რომელშიც იგი ცდილობდა დაესაბუთებინა, თუ რით იყო გამონეული მის მიერ ლათინური ტიპიკონისათვის მხარის დაჭერა. მისი აზრით, მხოლოდ ამით იქნებოდა შესაძლებელი სომხური ეკლესიისაგან თავის დაღწევა, რომელიც იძულებით ასომხებდა ქართველებს.

ზ. დიდიმამიშვილს თავისი პოზიციის სისწორის დასასაბუთებლად მოჰყავდა ასეთი მაგალითი: ახალციხის ქართველ კათოლიკეთა კრებას ადრეც აღუძრავს საკითხი ქართულ ტიპიკონზე გადასვლის შესახებ, მაგრამ ამის წინააღმდეგი წასულა რომის პაპი. ამიტომ, თავი რომ დაეღწიათ სომხური ტიპიკონისაგან, აქ გამოსავალს ლათინურის მიღება წარმოადგენდა, რაც საშუალებას მისცემდა იქაურ ქართველობას შეენარჩუნებინა თავისი ეროვნება. მოგვიანებით კი, ალბათ, ლათინურიდან ქართულ ტიპიკონზე გადასვლაც მოხერხდებოდა.

მალე ახალციხეში კათოლიკე ქართველთა მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ამის თაობაზე „სახალხო საქმეში“ ისევ დაიბეჭდა ზ. დიდიმამიშვილის ვრცელი წერილი „საქართველოს მთავრობის და ქართველ კათოლიკეთა კომიტეტების საყურადღებოდ ახალციხიდან,“ რომელშიც იგი ჩიოდა, რომ იქაური ქართველები მოქცეულნი იყვნენ სომხური ეკლესიის გავლენის ქვეშ და ვერანაირად ვერ ახერხებდნენ იქედან თავის დაღწევას, რაც მათ გასომხებას

უნყობდა ხელს. ზ.დიდიმამიშვილი დახმარებას ითხოვდა ეროვნების აღდგენასა და სომხური ეკლესიისაგან გამოყოფაში. იგი თვლიდა, რომ ქართველი კათოლიკე მღვდლების ნაწილი მოლა-ლატეობის გზას ადგენენ და მხარს სომხებს უჭერდნენ. ამ მღვდლების მოქმედებაზე მათ 12 იანვარს დეპუტები გაუგზავნეს იუსტიციის და შს მინისტრებს, პარლამენტის სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციას და ქართველ კათოლიკეთა ცენტრალურ კომიტეტს (დეპუტა დაიბეჭდა გაზეთ „სახალხო საქმის 1919 წელს №330-ში), მაგრამ მას არ მიაქციეს ყურადღება. სომხების მხარეს აქტიურად მოქმედებდა მღვდელი ა. თათენაშვილი, ხოლო ქართველთა ინტერესებს იცავდნენ მღვდლები: ა.მეფისაშვილი და ა.ბათმანიშვილი, რომლებსაც ა.თათენაშვილი (თათენოვი) სომხური ეკლესიის მხარდაჭერით, დაუფარავად დევნიდა.

მალე ზ.დიდიმამიშვილს კვლავ მოუწია თავისი პოზიციის დაცვა იმავე გაზეთში მღებრიშვილთან დისკუსიაში.

„სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა მესხი კათოლიკეს დიდი წერილი „რა მოგვიტანა რომის პაპის დელეგატმა ანტონი დელფუშიმ ახალციხის ქართველ კათოლიკეებს? წერილში მხილებულია ტერ-აბრამიანის აგენტებისა და მისი ერთგული დამქაშის კალატოზიშვილის საქმიანობა ქართველი კათოლიკეების საწინააღმდეგოდ. სწორედ მათ არ სურდათ, სომხური ტიპიკონისაგან გამოყოფა და ცდილობდნენ ამაში სხვებიც დაერწმუნებინათ. თან არგუმენტად იშველიებდნენ იმას, რომ თუ ისინი ქართველები იყვნენ, მაშინ აუცილებლად მართლმადიდებლებიც უნდა ყოფილიყვნენ. მიუხედავად ამ სიძნელეებისა, იქაური 500-მდე კათოლიკე ქართველი ვერ გასტეხა ვერაფერმა და ისინი მაინც დაჟინებით ითხოვდნენ ქართულ წიაღში დაბრუნებას. ახალციხეში მათ სულ ოთხი ეკლესია ჰქონდათ. მესხი-კათოლიკე დიდად სწუხდა იმაზეც, რომ მოლალატე თათენაშვილის წყალობით სომხები იმდენად მომძლავრებულან, მათ რომის პაპის დელეგატიც კი გადაუბირებიათ.

„სახალხო საქმეში“ ა. ჯაჯანაშვილიც ჩაება პრობლემის ირგვლივ გამართულ დავაში და პროტესტი გამოთქვა მთავრობის მიმართ, რომელიც ნაკლებად ერეოდა რა კათოლიკეთა საქმეებში, არც კი ცდილობდა მათი ინტერესების დაცვასა და ტერ-აბრამიანთა და კალატოზიშვილის ალაგმვას.

საყურადღებოა 1920 წელს „სახალხო საქმეში“ დაბეჭდილი ვინმე ზარიფების წერილი „კიდევ ქართველ კათოლიკეთა შესახებ“, რომელშიც ავტორი წერს, რომ მრავალი საუკუნეა მათ წინაპრებს აიძულებდნენ სომხურ ენაზე ელოცათ და ჩასჩინებდნენ ვითომ და მათ სომხობას. იგი ხაზგასმით აღნიშნავდა თავის ქართველობას და მთავრობას სთხოვდა დახმარებოდა ქართულ ეკლესიაში დაბრუნებაზე. ზარიფები კატეგორიული წინააღმდეგი იყო როგორც სომხური, ისე ლათინური ტიპიკონისა.

ქართველ კათოლიკეთა მხარისდამჭერ კამპანიაში გაზეთი „საქართველოც“ ჩაება და დაბეჭდა ი. მარუშიძის „ქართველ კათოლიკეთა გადაგვარება“ და ზ. წინინაძის „ქართველ კათოლიკეთა შესახებ.“ ი. მარუშიძე ხაზს უსვამდა იმას, რომ იქ არა მარტო გაასომხეს ეკლესიის გამო ქართველები, არამედ ენაც სრულიად დაავიწყეს მათ.

1919 წლის ბოლოს ახალციხელმა ქართველმა კათოლიკეებმა მიიღეს მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება, რომელიც შს მინისტრს წარუდგინეს. დადგენილება მოითხოვდა თბილისში საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას, მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკეთა სომხურ-კათოლიკური ეკლესიისაგან ჩამოშორებას, ქართული ტიპიკონის შემოღებას და ა.შ. ასევე სურდათ ქართულ წიაღში დაბრუნება კარტიკის, ბავრას, ხულგუმოსა და ტურხას ქართველობას, მართალია, მათ უკვე დაკარგული ჰქონდათ დედაენა და თურქულად საუბრობდნენ, მაგრამ სარწმუნოება კათოლიკური ჰქონდათ.

ახალციხელმა ქართველმა კათოლიკეებმა თავიანთი მოთხოვნები რომის პაპთანაც გაგზავნეს, სამი კაცის ხელით. მათ პაპისაგან მოითხოვეს ლათინური ტიპიკონის ქართულად თარგმნა წირვა-ლოცვისათვის, რადგან არ იცოდნენ ლათინური ენა. ასევე ითხოვდნენ თბილისში

საეპისკოპოსო კათედრის აღდგენას და ეპისკოპოსად ქართველის დანიშვნას, სემინარიის გახსნას და იმ ქართველთა სომხური ეკლესიიდან გამოყოფას, რომელთაც ამის სურვილი ჰქონდათ. ეს უკანასკნელნი თანახმანი იყვნენ უკიდურეს შემთხვევაში ლათინურზე მაინც გადასულიყვნენ. მათ სურდათ შეერთებოდნენ თბილისის, ქუთაისის და გორის კათოლიკეებს. კრების დადგენილება, მოეცილებინათ სომხური ტიპიკონი და დაედგათ ლათინური უღელი, რა თქმა უნდა, არ იყო სწორი. მართებული იქნებოდა ისინი პირდაპირ გადასულიყვნენ ქართულზე, მაგრამ ამას სხვა გარემოებებთან ერთად, ხელს ისიც უშლიდა, რომ ქართული ტიპიკონის წინააღმდეგნი თბილისის, ქუთაისისა და გორის ქართველი კათოლიკეები იყვნენ. ახალციხელი კათოლიკეები მზად იყვნენ, თუ რომის პაპისაგან უარს მიიღებდნენ, მაშინ ტიპიკონის თარგმნა კონსტანტინეპოლელი მღვდლის – ხარისჭირაშვილისათვის ეთხოვათ.

1919 წელს საქართველოში ჩამოვიდა რომის პაპის წარმომადგენელი ანტონ დელფიუში. იგი უნდა გასცნობოდა ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობასა და მოთხოვნებს და თავისი მოსაზრებები პაპისათვის მოეხსენებინა. მან მოიარა მთელი საქართველო. ახალციხეში გაახსენებინა დახურული ეკლესია, სადაც წირვა სომხურად, ხოლო გალობა ქართულად გაიმართა. აქაურმა ქართველმა კათოლიკეებმა მას კატეგორიულად მოსთხოვეს გამოსულიყვნენ სომხური ეკლესიის იურისდიქციისაგან, აღმდგარიყო საქართველოში ქართველ კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა, ეკლესიებში ლოცვები ყოფილიყო ქართულად და ქართულად ეთარგმნათ ტიპიკონი.

ა. დელფიუში იძულებული გახდა პასუხი გაეცა პრესაში მესხი-კათოლიკესთვისაც. იგი შეეცადა დაეცვა ტერ-აბრამიანი და ისე გამოიყვანა, თითქოსდა სწორედ აბრამიანი, გამოიანი და კალატოზიშვილი იბრძოდნენ რომში, რათა ქართველები გამოყოფოდნენ სომხურ ტიპიკონს.

მესხმა-კათოლიკემ ა.დელფიუში მთელი სიმკაცრით ამხილა სიცრუეში და დაუსაბუთა მას აბრამიან-გამოიან-კალატოზიშვილის ორპირობა.

1920 წელს ურთიერთობა გართულდა თბილისის ქალაქის გამგეობასა და თბილისის კათოლიკურ ეკლესიას შორისაც. საქმე იმაშია, რომ 1919 წელს კათოლიკური ეკლესიის თხოვნით, თბილისის ქართულ კათოლიკეთა სკოლა, 170 მოსწავლით, ქალაქის თვითმმართველობას გადაეცა. ამან კათოლიკეთა უკმაყოფილება გამოიწვია და ეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საღვთო სჯულის სწავლება ყველგან გაუქმდა, აქ კი იგი მაინც იქნა შენარჩუნებული. სკოლაში, მართალია, გამგესა და მასწავლებლებს ქალაქის გამგეობა ნიშნავდა, მაგრამ ეს არც იყო გასაკვირი, რადგან მისი შენახვა ხომ წლიურად სახელმწიფოს ნახევარი მილიონი მანეთი უჯდებოდა. ეკლესიამ ქალაქის გამგეობას სკოლის უკან დაბრუნება მოსთხოვა, რაზეც უარი მიიღო. უარის მიზეზი იყო ის, რომ ხელისუფლებას არ სურდა განათლება პატრების ხელში ჩაეგდო. სწორი იყო ქალაქის გამგეობა, როცა ამბობდა, რომ სკოლაში განათლება უნდა ყოფილიყო ქართულ ენაზე, რაც არ სურდათ პატრებს. მაშინ როცა საქართველოში ყველა სამრევლო და სამონასტრო სკოლა ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში გადავიდა, ბუნებრივია, ხელისუფლება არ დაუშვებდა ეს სკოლა კერძო პირთა ხელში დაბრუნებულიყო და თანაც იგი არაეროვნულ ნიადაგზე მდგარიყო. მიუხედავად ამისა, პატრი გაზალოვი (გოზალიშვილი) ყველა გზით ცდილობდა სკოლის უკან დაბრუნებას. მან ამ საქმეში დახმარება საქართველოში რომის პაპის დელეგაციასაც კი სთხოვა, რაც რა თქმა უნდა, ზნეობრივს რომ თავი დავანებოთ, არც კანონიერი ნაბიჯი იყო, რადგან ეს პაპის მხრიდან საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა იქნებოდა. საბოლოოდ კათოლიკურ ეკლესიას სკოლის დაბრუნებაზე უარი ეთქვა.

1920 წლის 3 ღვინობისთვის ქართველ კათოლიკეთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენა მოხდა. თბილისში აღსდგა XIV ს. დახურული კათოლიკური საეპისკოპოსო კათედრა, სადაც მიუხედავად ქართველთა მოთხოვნისა, პაპმა ეპისკოპოსად მაინც რომელიღაც გაბრიელ მორიონტო დანიშნა. ზეიმს საქართველოს მთავრობაც ესწრებოდა, სადაც სიტყვით ზ. ჭიჭინაძეც გამოვიდა.

გ. მორიონდომ საკმაოდ აქტიური საქმიანობა გააჩაღა. იგი დაუყონებლივ ჩავიდა ახალციხეშიც და იქაურ ქართველ კათოლიკეებს შეხვდა, რომლებმაც მას პრინციპულად მოსთხოვეს სამხური ეკლესიისაგან გამოყოფა და ქართული ტიპიკონის შემოღება. უნდა ითქვას, რომ გ. მორიონდომ შეასრულა ქართველთა მოთხოვნა და 1920 წლის 8 ოქტომბერს ახალციხის ქართველი კათოლიკეების სომხურ ეკლესიას გამოეყვნენ. მათ დაჰპირდნენ, რომ ქართულ ტიპიკონს უახლოეს ორ-სამ თვეში უთარგმნიდნენ.

გამოყენებული ლიტერატურა

გაზეთები:

1. „ჩვენი ქვეყანა“ – 1918, 1919, 1920 წ.წ.
2. „საქართველო“ – 1918, 1919, 1920 წ.წ.
3. „ერთობა“ – 1918, 1919, 1920წ.წ.
4. „ხალხის მეგობარი“ – 1918 წ.
5. „სახალხო საქმე“ – 1919 წ. 1920 წ.
6. „სოციალ-დემოკრატი“ – 1919, 1920 წ.წ.
7. „საქართველოს რესპუბლიკა“ – 1918, 1919, 1920 წ.წ.
8. „ხალხის მეგობარი“ – 1920 წ.
9. „ახალი საქართველო“ – 1919 წ.

კრებული „მატიანე“ კვლავ აგრძელებს საუბარს ქართველთა წარმომავლობის მეტად მნიშვნელოვანი თემის შესახებ. იმთავითვე უნდა ითქვას, რომ ჩვენს მკითხველთან ერთად, გვექონდა ბედნიერება, არსებული საკითხის ირგვლივ გვესაუბრა და მსჯელობა გაგვეგრძელებინა მთელ რიგ უნიჭიერეს და ჭეშმარიტად ღირსეულ მეცნიერებთან (ამირან ნიკოლეიშვილი, გია კვაშილავა, ბადრი ბუხაიძე და სხვ.), რომლებმაც ჩვენი ერის მსოფლიო მესარძიკვლეობა და უნიკალურობა გრანდიოზული მასშტაბებით გამოიტანეს სამზეოზე. ამჯერად, ისევ გთავაზობთ ინტერვიუს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ცენტრის „ენის, ლოგიკის, მეტყველების“ მეცნიერ-მკვლევართან, პროფესორ გია კვაშილავასთან

4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელი...

თიხის ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი ტექსტი უძველესი ქართული ენით არის დაწერილი

3 ივლისს 101 წელი გახდა კუნძულ კრეტაზე ფესტოსის დისკოს აღმოჩენიდან. იტალიელი არქეოლოგის ლუიჯი პერნიეს მონაპოვარმა მეასე წლისთავზე თავდაყირა დააყენა ევროპის უძველესი ისტორია. 16 სმ დიამეტრის მქონე 380-გრამიან ფირფიტაზე ტექსტი დაწერილია პროტოქართული ენით, ანბანის შემოღებამდე არსებული პიქტოგრაფიული დამწერლობით, ნახატ-ნიშნებით.

ფესტოსის დისკო დაახლოებით ძვ. წ. 1850-1600 წლებით თარიღდება. ფირფიტაზე საგალობელია ამოტვიფრული. დისკოს ავტორები უძველეს დედალვთაება ნენა-ნანას უგალობდნენ. გამოდის, ქართველთა უძველესი ლიტერატურული ძეგლი ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის “შუშანიკის წამება” კი არა, 4000 წლის წინანდელი პროტოქართული საგალობელია. დისკოს გაშიფვრით მტკიცდება ცნობილი ევროპელი მეცნიერების თეორიები, რომ პროტოქართულები და მათი მონათესავე ტომები მესოპოტამიის, წინა აზიის, შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზის ტერიტორიებზე სახლობდნენ და ჰქონდათ მაღალი კულტურა, დამწერლობა და ხელოვნება. შედეგად, ევროპული კულტურის საფუძველი არა უძველესი ბერძნული კულტურა, არამედ მასზე უფრო ძველი, პროტოქართული კულტურა გამოდის.

ფესტოსის დისკოს იდუმალებით მოცული ტექსტის ამოხსნას საუკუნის განმავლობაში ამოცდილობდნენ ევროპელი მეცნიერები. მხოლოდ ავსტრიელმა დოქტორმა ჰერბერტ ძე ბიშმა აირჩია კვლევის განსხვავებული მიმართულება, – შექმნა კომპიუტერული პროგრამა (პკ), რომელშიც ნებისმიერი ენის ჩასმა შეიძლება და შემდეგ ხდება მათი შედარება დისკოს ნიშანთა განაწილებისთვის. პროგრამას ერთადერთმა, პროტოქართულურმა ენამ უპასუხა. ძე ბიშმა გადაწყვიტა, ძველი ქართული ენა შეესწავლა, მაგრამ არ დასცალდა, 1993 წელს გარდაიცვალა. როგორც ჩანს, უძველესი ქართული ენით შესრულებულ ტექსტს ისევ ქართველის ხელით ენერა ახსნა. ძე ბიშის ნაშრომებმა 19 წლის წინ ჯერ კიდევ სკოლის მოწაფეს, ამჟამად ცნობილ მეცნიერ გია კვაშილავას დაუკარგა მოსვენება და ფესტოსის დისკოს შესწავლა დაიწყო. შედეგმა ევროპა გააოცა.

2008 წლის 1-ელ ნოემბერს, ლონდონში, ბერლინგტონის სასახლეში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში ქართველმა მათემატიკოსმა სამეცნიერო საზოგადოებას ამცნო, რომ თიხის ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი ტექსტი უძველესი ქართული ენით არის დაწერილი და საგალობელი „ნენანა“ პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დედალვთაება ნანას ეძღვნება. მასში გამოყენებულ სიტყვებს კი დღემდე ხმარობენ სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში.

გია კვაშილავას არგუმენტირებულმა ლინგვისტურმა თეორიამ ჩიხში მოაქცია პროტოქართული კულტურის აღიარებისადმი ყველაზე რადიკალურად განწყობილი მეცნიერებიც კი და ფესტოსის დისკოს საიდუმლო ამოხსნილად აღიარეს.

რას ხსნის უძველესი პროტოქართული ენით დაწერილი ფესტოსის დისკო და საიდან მოხვდა იგი კუნძულ კრეტაზე? ამ და სხვა კითხვებით გია კვაშილავას მივმართეთ:

– ბატონო გია, თქვენი კვლევებით გამოდის, რომ 4000 წლის სახელმწიფოებრივი ისტორია გვაქვს?

– ამას ჯერ სამეცნიერო წრეების აღიარება სჭირდება. ფესტოსის დისკომ დაადასტურა აქამდე საორჭოფო თეორიები. კერძოდ, ჰუმბოლდტის თეორია იმის შესახებ, რომ ძველი ნელთალრიცხვის 4000 წლამდე ქართველური ტომები ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე ცხოვრობდნენ, მანამდე, ვიდრე ამ ტერიტორიებზე ინდოევროპული ტომები გამოჩნდებოდნენ. ევროპული ტომების მიგრაციის თეორია ქართველმა მეცნიერმა თამაზ გამყრელიძემ და რუსმა ვიარქესლავ ივანოვმა ჩამოაყალიბეს და 1984 წელს გამოსცეს ნიგნად „ინდოევროპელები და ინდოევროპული ენა.“

– სად წავიდნენ ევროპის ტერიტორიიდან წინარე ქართველები?

– სამი რამ მოხდა: დამპყრობლებში აირივნენ, გადაასახლეს და განყვიტეს. ინდოევროპული ტომები არ იყვნენ დამხვედურების კულტურის დონის მქონენი და ამიტომაც ადგილობრივი ტომებისგან ისეხეს სიტყვებიც. ჰოლანდიელი ენათმეცნიერი ფურნეი ამბობს, რომ ბერძნულ ენაში 5000 სიტყვაა, რომლის ძირეული ახსნა შეუძლებელია ინდოევროპულ ენებზე, არადა, ამ დროს ბერძნულიც ამ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება. მან ქართველურ ენათა ჯგუფები მოიშველია და დიდი ალბათობით გამოთქვა, რომ ბერძნულში 5000 სიტყვა ქართველური წარმოშობისაა.

– კრეტაზე საიდან უნდა მოხვედრილიყო ქართულენოვანი ტექსტი?

– დოქტორი ძეზიში აცხადებდა, რომ წინაბერძნული მოსახლეობის ენა – პელაზგური ქართველურ ენათა დედაა. სტრაბონი კი ამბობს, რომ კოლხური ტომების ქურუმები კორიბანტები კრეტაზე სახლობდნენ და კოლხეთის მეფე აიეტის ნახევარძმები იყვნენ. კორიბანტებს ჰქონდათ საკრალური დამწერლობა, ქრისოგრაფია, ანუ ოქროდამწერლობა. პავლე ინგოროყვასა და შალვა ნუცუბიძის აზრით, სწორედ ეს საიდუმლო იყო დატანილი ვერძის ტყავზე და მის მისათვისებლად ესტუმრნენ ბერძენი არგონავტები კოლხეთს.

აიეტის და ბარსიფაე კრეტის მეფე მინოსის მეუღლე იყო. მოკლედ, უამრავი ფაქტი ადასტურებს კრეტასთან წინარე ქართველების მჭიდრო კავშირს ბერძნებამდე ბევრად ადრე. აქედან გამომდინარე, უძველეს ქართველურ ენაზე შესრულებული ტექსტის კრეტაზე აღმოჩენა გასაკვირი არ არის. ბერძნები კრეტას მხოლოდ ძვ. წ. აღ. მე-15 საუკუნეში დაეუფლნენ.

– ტექსტში მოყვანილი სიტყვები რომელ ქართველურ ენას ან ქართულ კილოკავს უახლოვდება?

– თამაზ გამყრელიძისა და გივი მაჭავარიანის თეორიის მიხედვით, 5000 წლის წინ უძველესი, პრექართველური ენა დაიშალა. საერთო ძირს პირველად სვანური ჩამოშორდა. დარჩა პროტოქართველური, ანუ საკუთრივ ქართული და მეგრულ-ლაზური ერთად. ძველი ნელთალრიცხვის 2000 წელს შეიმჩნევა პროტოქართველური ენების დაშლაც. ფესტოსის დისკოზე ტექსტი სწორედ საერთო ქართულ-ზანურ ენაზეა შესრულებული, რაც ადასტურებს გამყრელიძე-მაჭავარიანის თეორიას. ფესტოსის დისკოზე შეიმჩნევა სვანურის გავლენაც.

– ფესტოსის დისკოზე მოყვანილი სიტყვები თუ გამოიყენება დღევანდელ სვანურში ან მეგრულ-ლაზურში?

– დიახ, სიტყვები იგივეა ძირით, სხვანაირად 4000 წლის წინანდელი ენის შინაარსს ვერ გავიგებდი. სვანური და მეგრულ-ლაზური რომ დაგვეკარგა, ვერ გავშიფრავდი ფესტოსის დისკოს, რადგან ეს ენები ქართული ენის საფუძვრებია. ამასთან, გამოყოფის შემდეგ კი არ შეცვლილან, ისეთივენი დარჩნენ, როგორც 4000 წლის წინ.

ფესტოსის დისკოს გაშიფრვის შემდეგ საშუალება მომეცა, მისი მსგავსი დამწერლობის სამი არქეოლოგიური დოკუმენტიც წამეკითხა. მალის ქვის ბლოკი, არკალოხორის ცული და ფესტოსის ლარნაკი. შემდეგში ალგორითმი შევიმუშავე და კითხვის მასშტაბები გავზარდე. ამ ოთხ დოკუმენტზე დაყრდნობით წავიკითხე თიხის 1600 ფირფიტა, რომელსაც ა – ხაზოვანი დამწერლობა ჰქვია; წავიკითხე 370 თიხის სხვა ფირფიტა, რომლებიც შესრულებულია კრე-

ტული იეროგლიფებით. დიახ, ყველა მათგანზე ერთი და იგივე ენაა გამოყენებული, მაგრამ ა ხაზოვანში შეიმჩნევა ჯერჯერობით დაუზუსტებელი, ქართველურის მონათესავე სხვა ენაც.

აქამდე არსებობდა აზრი, რომ მთელი ევროპული უძველესი კულტურა ეფუძნებოდა უძველეს ბერძნულს, მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ ეფუძნება უფრო ძველს, ხმელთაშუა ზღვის მოდგმის ხალხთა კულტურას.

– მაინც რა იყო ის მთავარი მანიშნებელი, რამაც კვლევის პროცესში სწორ გზაზე დაგაყენათ?

– ჩემი კვლევებიც ასი წლის განმავლობაში დაგროვებულ მასალებს ეყრდნობა. დაახლოებით 1500 სამეცნიერო წიგნი და ნაშრომი შევისწავლე და გავაანალიზე. ასი წლის განმავლობაში ფესტოსის დისკოს გაშიფრვა ყველა ენაზე სცადეს, მაგრამ არც ერთი თეორია ლინგვისტურად არ იყო წარმოდგენილი. ჩვენი თეორია კი ლინგვისტურადაც ჩამოყალიბებულია. ალბათ, ისიც დამეხმარა, რომ კონფერენციაზე მონვეული ყველა მეცნიერის თეორიას ვიცნობდი და ხელალებით კი არ უარყავი, არამედ გამოვიყენე ყველა საგულისხმო ინფორმაცია. შესაბამისად, ევროპელებმა ჩემი თეორია იოლად გაიგეს.

– თქვენ მითხარით, რომ უძველესი ღვთაება ნანას სავედრებელს ივერონის მონასტრის ბერები ათონის წმინდა მთაზე უგალობდნენ ღვთისმშობელს.

– 1845 წელს ოდესის სასულიერო აკადემიის რექტორმა პორფირი უსპენსკიმ ათონის წმინდა მთაზე მოისმინა, როგორ უგალობდნენ ბერძენი ბერები ღვთისმშობელს „ნენანას“. უსპენსკის გადმოცემით, ბერებმა არ იცოდნენ ამ სიტყვის მნიშვნელობა. ეს ფაქტი შემდეგნაირად იხსნება: ძველი, წარმართული დედაღვთაება ადამიანების ცნობიერებაში ქრისტიანულ დედაღვთაებას შეერწყა და „ნენანა“ ქრისტიანულ საგალობელში დამკვიდრდა. ძველი წარმართული დედაღვთაების სიმბოლოები ასახულია ღვთისმშობლის ხატზეც. საქართველოში ფესტოსის დისკოს ნიშნები გაფანტულია სხვადასხვა ტაძრის ორნამენტებზე. იგივე ნიშნები არქეოლოგიურ ნიმუშებზეც არის დაფიქსირებული. მაშინდელ დამწერლობაში მზეს გამოხატავდნენ რვაფოთლიანი ყვავილით. სულხან-საბას ლექსიკონშიც მზის სიმბოლო რვაფოთლიანი ყვავილია. იგი ამბობს, სადაც „ეს ჯდეს, არის მზეო.“ გონიო, რომელიც ფესტოსის დისკოზეც არის გამოსახული, ჩვენს ანბანურ დამწერლობაშიც არის ასახული. ასო „განი“ მისგან არის მიღებული. დარბაზის ტიპის დედაბოძზე ხშირად გვხვდება სამკუთხა ნიშანი, რომელიც ასევე აღბეჭდილია ფესტოსის დისკოზე.

P.S. მიუხედავად იმისა, რომ გია კვაშილავას აღმოჩენა სენსაციურია, რატომღაც საქართველოში გამოძახილი ვერ ჰპოვა. არადა, კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის და განათლების და მეცნიერების სამინისტროები ასეთ პროექტებს უნდა კურირებდნენ და აფინანსებდნენ. გია კვაშილავა და მისი ასისტენტები კი სრულიად უანგაროდ შრომობენ და ცდილობენ, დაანახონ მსოფლიოს საქართველოს როლი უძველესი დროიდან დღემდე. როცა ლონდონში მიიწვიეს, გია კვაშილავა ისევ მისმა უცხოელმა კოლეგებმა დააფინანსეს. იქაური ქართველი ბიზნესმენი ლუკა ჩაჩიბაია და რუსეთის მოქალაქე ნოდარ გაგუაც ამოუდგნენ მხარში.

„ბრიტანეთში ერთკვირიანი მივლინებისთვის დაახლოებით 8 ათასი დოლარია საჭირო. აღარაფერს ვამბობ ხარჯებზე წიგნისათვის, რომელიც ფესტოსის დისკოზე უნდა გამოვცეთ. მივმართე ხელისუფლებას, მაგრამ ჯერ პასუხი არ მიმიღია. არადა, დრო გადის“, – ამბობს ახალგაზრდა მეცნიერი, რომელსაც, ალბათ, დაბალი განვითარების ქვეყანაშიც კი არ დააკარგვინებდნენ დროს ფულზე ფიქრში.

**ინტერვიუ ამოღებულია გაზეთ „კვირის პალიტრას“ მასალებიდან.
2009 წელი**

„მატიანე“ მკითხველს სთავაზობს საინტერესო მონაკვეთს¹ ბატონ ოლეგ ალავიძის ფართო ფორმატიანი სტატიიდან „ყველაფერი არის ძლიერ კარგად“.

ბატონი ოლეგ ალავიძე – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი კრებულ „მატიანეს“ სარედაქციო კოლეგიის წევრიცაა.

სტატია აქტუალური და მრავალმხრივ საინტერესოა. იგი ეხება ხელოვნებისა და კულტურის ისეთ მძლავრ მიმართულებას, როგორც ქართული ქორეოგრაფიაა, მაგრამ მსჯელობა განსაკუთრებულობით სცილდება მხოლოდ ქორეოგრაფიულ ჩარჩოებს და საფუძვლიანადაა ასახული ის გლობალური ფაქტორებიც, რომლებიც ბარიერად (ქართველთა ნებითაც) აღსდგომია ეროვნულ-სოციალურ სივრცეს, როგორც ზედნაშენურ სფეროს. ეკონომიკურსაც, როგორც ბაზისს, საერთოდ ეროვნულ ღირებულებათა განვითარების ტენდენციებს, რომლის შედეგები უკვე ჩანს, ძალიან მალე კიდევ უფრო იჩენს თავს და გლობალურად შეიძლება შემოტრიალდეს სამშობლოსა და ქართველი ერის საზიანოდ.

ოქტომბერი – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

„ყველაფერი არის ძლიერ კარგად...“

„მთვარის ჩრდილი ბალს ეფინა ქარგად,
მაშინ, როცა სადღაც ხმაა თარის,
ყველაფერი არის ძლიერ კარგად
ყველაფერი ძლიერ ცუდად არის...“

დიდი გალაკტიონის ერთ უსათაურო ლექსში ჯერ კიდევ ამ ასიოდე წლის წინ ფორმულირებულ-გაცხადებული ზემოთ მოტანილი პარადოქსი, რომელიც ეპიგრაფად წარვუძღვარეთ ჩვენი და თქვენი გაზეთის ამჟამინდელ სარედაქციო გვერდისათვის განკუთვნილ წინამდებარე მასალას, ვფიქრობთ, კარგად, უფრო ზუსტად, სრული სისავსით წარმოაჩინეს ქართულ ქორეოგრაფიულ კულტურაში სადღესოდ არსებულ რეალურ ვითარებას.

დაინტერესებული და გულისყურიანი მკითხველი უსათუოდ დაფიქრდება, მერე კი, ალბათ ჩაგვეძიება კიდევაც – თუ ყველაფერი კარგად, თანაც „ძლიერ კარგად“ არის, მაშინ ცუდის ნიშნები საიდანღა მოდის, ან საერთოდ როგორღა იკითხებაო?

ჩემო ძვირფასო, „დაინტერესებულ და გულისყურიანო“ მკითხველო, აღნიშნულ სავარაუდო კითხვაზე ჯერჯერობით ასეთნაირად უნდა გიპასუხო – დიდი გალაკტიონი, საზოგადოდ, არ ცდებოდა, ის საქვეყნო საქმეებზე მსჯელობდა, ზოგადქართულ ყოფიერების მაჯისცემაზე ფიქრობდა და, შესაბამისად, ყოვლისმომცველ პრინციპს აყალიბებდა. დასკვნა კი მართლაც უღმობელი იყო:

**„ო, დაჩუმიდი მოკაკანე თარო, ყოველ ქუჩის, ყოველ გზის და შარის,
შენს სიმბეჭში მე მომწყურდა წყარო, წყარო ჩანს და წყალი არსად არის...“**

1914 წლისათვის, როდესაც ზემოაღნიშნული „უსათაურო“ დაინერა, მართლაც ძნელი იყო სადმე მაღალქართული ყოფიერების სხივნათელი მომავალი დაგენახა და მისი ცალკეული სფეროების აყვავების იმედი გაგჩენოდა. გავიდა დრო და ქვეყნის ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა, მათ შორის ქართული ქორეოკულტურული ტრიუმფის მოწმენიც გავხდით, თუმცა

¹ გამოქვეყნებულია გაზეთში, „საქართველოს ქორეოგრაფია“ №15-18. 2017 წელი.

ჩვენდა გასაოცრად, არც გალაკტიონისეულ პარადოქსს დაუკარგავს თავისი სიმწვავე და არც მისი მართებულობა დამდგარა ეჭვის ქვეშ. ცხოვრებამ თუ ყოფამ იარა, იბორგა, გადადულ-გადმოდულდა და ზუსტად ასიოდ წელიწადში ისეთი განზომილებები შეიძინა, რომლის კონტურების დანახვა დასაწყისში სწორედ გალაკტიონისეული გრძნეულებითა თუ გენიალური ინტუიციით დაჯილდოებულ ადამიანებს ხელეწიფებოდათ.

თუ დავუშვებთ, რომ ის, რაც აქ და ამჯერად ითქვა, საზოგადოდ, სიმართლესთან ახლოსაა და ჩვენი ცხოვრებისეული ყოფა მაღალტემპერატურულ რეჟიმში გადასახარში პრობლემების შეხლა-შემოხლის გზით მიედინება, მაშინ ნურც იმის ილუზია გვექნება, თითქოსდა არსებული რეალობიდან გამოსვლას იოლად მოვახერხებთ. მიუხედავად ამისა, მოცემულ ეტაპზე ჩვენ ყველამ, საერთო ძალისხმევით, მწვავე საკითხებზე რეაგირების მიზნით, პასუხების რალაც ვარიანტები უნდა მოვძებნოთ, მთავარი და მეორეხარისხოვანი გავმიჯნოთ, მიზეზი და შედეგი ერთმანეთისაგან განვაცალკევოთ. დანარჩენს კი, ალბათ, მომავალი თაობა გააკეთებს.

პირველი და უმთავრესი რის შესახებაც აქვე უნდა შევთანხმდეთ, ალბათ იმ სააზროვნო სივრცის განსაზღვრა-შემოფარგვლა იქნება, რომლის თაობაზეც ჩვენი შეხედულებები უნდა გამოვთქვათ. ზოგადად ეს, რასაკვირველია, ქართული საცეკვაო კულტურა, მისი ტრადიციული იერ-სახე და თანამედროვე მდგომარეობა უნდა იყოს. კაცმა რომ თქვას, ამაზე მეტი ჩვენ ალბათ, არც გვევალება, მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილეში აღნიშნული საკითხი მარტივად, ცალკე აღებული, აბსტრაქციის სახით ძნელად მოსახელთებელია. ეს კი იმიტომ ხდება, რომ ქორეოგრაფიული კულტურა საერთოდ დიდი კულტურული სივრცის ნაწილია და აქ მიმდინარე საერთო პროცესებში გარკვევის გარეშე ცალკეული შემადგენელი ნაწილების თავისებურებების წვდომა თითქმის შეუძლებელია. სამწუხაროდ, პრობლემა მარტო ეს არ არის. თანამედროვე კულტურული ყოფა უკვე კარგა ხანია იქცა მსოფლიო გლობალური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების მყარ ელემენტად, რაც, თავის მხრივ, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული. ასეთ განზომილებებში წარმოდგენილი ქორეოკულტურა და მასზე მსჯელობის პროცესი კი უმეტესწილად გადის ესთეტიკური, ხელოვნებათმცოდნეობითი და ქორეოლოგიური თვალსაზრისიდან. მოცემულ შემთხვევაში თავი, ზემოთ უკვე თქმულისა არ იყოს, ადამიანმა შეიძლება იმით დაიმშვიდოს, რომ აქ ქორეოგრაფიის სფერო მარტო არ არის და ყველა ნახსენები პრობლემა თანაბრად ვრცელდება კულტურული სივრცის შემავსებელ სხვა ფენომენებზე, თუმცა ამით ჩვენთვის საინტერესო საკითხთა სიმწვავე არც ნეიტრალდება და არც უფერულდება.

ახლა კი საუბარი ძალიან ზოგადი რომ არ გამოგვივიდეს, ვეცადოთ და დავახასიათოთ წარმოდგენილი პრობლემების ზოგადპოლიტიკური, თუმცა მაორიენტირებელი კონტექსტი.

ესეც თავის მხრივ ვრცელი საკითხია და ამიტომ ზოგიერთი ძირითადი ასპექტის ხაზგასმით უნდა შემოვიფარგლოთ, რათა ჩვენს უშუალო თემასთან მისასვლელი გზები უკეთ გამოჩნდეს. ახალს ალბათ არაფერს ვიტყვით თუ კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ XXI საუკუნის პირველსავე 20 წელიწადში საკაცობრიო ყოფა ოდნავ განსხვავებული ფორმით, თუმცა შინაარსობრივი თვალსაზრისით ზუსტად მიუბრუნდა საუკუნისწინანდელ ვითარებას. თითქოს დირიჟორის ერთი ხელის აქნევა იყო საჭირო და მთელი მსოფლიო ყოფა სრულად აირ-დაირია. მკითხველთაგან იქნებ ზოგიერთმა ისიც თქვას – რაში მაინტერესებს მსოფლიოს ამბები ან რა ხდება დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში, მე ჩემი ქვეყანა, ჩემი საქმე მაქვს და იმას უნდა მივხედო, იმაზე უნდა ვიფიქროო. ნეტამც ასე იყოს, მაგრამ რომ აღარ ხერხდება სააზროვნო სივრცისა და საქმის ასეთნაირი ლოკალიზება?

გასაოცარი ფაქტია – რაც არ უნდა გააკეთოს ნებისმიერი ქვეყნის, მათ შორის დღევანდელმა ჩვენმა სახელისუფლებო სტრუქტურებმა, რა მაღალი მიზნებითაც არ უნდა გაამართლოს საკუთარი ქცევა-მოქმედებები, საბოლოო ჯამში, თითქმის ყველა შემთხვევაში, შედეგები უარყოფითია. ეკონომიკას და სხვა მომიჯნავე პროცესებს რომ თავი დავანებოთ, აღარც კულ-

ტურის სფეროს მოვლა-პატრონობა ხერხდება. ეს კი იმიტომ, რომ ყველა ამ მოვლენას შორის მჭიდრო კავშირ-ურთიერთობები ფიქსირდება. უფრო მეტის თქმაც შეიძლება – როგორც ჩანს დღევანდელ ეპოქაში, რაღაც ახალი კანონზომიერებები აღმოცენდა და შესაბამისად, გააქტიურდა კიდევაც. ეტყობა საზოგადოებრივი პროცესების შიდა, გამაერთიანებელი საზრისი და მისი გამოვლენის ფორმები იმდენად მიახლოებულია კრიტიკულ მდგომარეობასთან, რომ მისი მიმართვა დადებითისაკენ, ფაქტობრივად აღარ ხერხდება. ყველაზე დიდი უბედურება კი მაინც ისაა, რომ ყოფის ამგვარი მდგომარეობა ლამის პლანეტარულ მოვლენად იქცა. თუ სოციალურ ქსელებსა და მედიას დაეჯერება, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში თითქმის არეულობამდე მისული ქაოსის სული მძვინვარებს. ეს, ერთ დროს დალაგებული ქვეყნებიც რომ აირივნენ! ტერორიზმის ამგვარ აფეთქება-აყვავებას ვინ ელოდა! ბებერი, მშვიდი ევროპაც რა დღეშია?!

მახლობელი აღმოსავლეთის, აზიის, აფრიკისა და, საერთოდ, სხვადასხვა კონტინენტიდან დაძრული ხალხის მასები აზანზარებს „მულტიკულტურულ“, „ეგალიტარიზმის“ პრინციპებით მონყობილ საკუთარი მოსახლეობის შობადობაზე ჩაფიქრებულ, ცხოველ-ფრინველთა და მწერთა უფლებებზე მკაცრად მიყურადებულ ევროპას. არც ამერიკა-კანადის საქმეა უკეთ. საფრანგეთი კარგა ხანია კრებსით აფრიკად იქცა. ინგლისმა უკვე ევროპას უგანა, თუმცა არავინ იცის აქედან რა გამოვა.

მეზობელი თურქეთის პირველი პირი ევროპის ქვეყნებსა და ქალაქებში უკვე კვარტალებად ჩასახლებულ თანამოდემებს, საქვეყნოდ მოუწოდებს – შობადობის ტემპებში ცოტა რიცხოვნობას, რაოდენობას უმატეთ და ევროპა ხვალ-ზეგ თქვენიანო. ნურავინ მეტყვის ეგ პროგნოზი მცდარიაო. ამას რა დიდი გამოთვლა უნდა-დაიხიეთ უკან, თუნდაც ოთხიოდე ათეული წლით ისტორიაში, მაშინდელი მდგომარეობა დღევანდელს შეადარეთ და მერე იმაზეც იფიქრეთ, ვთქვამთ 2050 წლისათვის რა იქნება!

უდავოდ მართალს ბრძანებდა ისრაელის ერთი სახელმწიფო ჩინოვნიკი ბრიუსელის ტერაქტის შედეგებს რომ ეხებოდა – შოკოლადის ჭამა და ლლაბუც-გართობა თუ დროზე არ დაამთავრეთ, უარესი წინ გელოდებათო! ის სიტყვები (ისრაელის დაზვერვის შეფის მიერ ნათქვამი), ჯერ კიდევ მელანშეუმშრალი იყო, როდესაც აგერ გუშინ თუ გუშინწინ აფეთქებები გაისმა საფრანგეთის ქალაქებში, ეგვიპტის ქრისტიანულ ეკლესიებში, პეტერბურგში, შვედეთის სამეფოში, სკანდინავიის ქვეყნებში, ერთდროულად 59 ამერიკული ტომაჰავკით დაიბომა ისედაც მიწასთან თითქმის გასწორებული სირია... მთავარი მაინც ისაა, რომ არავინ იცის, რა იქნება ხვალ...

სხვამ თავისი იკითხოს, ჩვენ ჩვენი გავგჳირვებია.

ერთ კვირაზე მეტია, ხელისუფლება და ადამიანთა გარკვეული კატეგორია ე.წ. დაფინანსებული ცნობადი სახეები „ზეიმობენ“ და მშვენივრადაც ერთობიან ვიზალიბერალიზაციის თემაზე. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კი, რომ იტყვიან „ბაიბურში“ არ არის, ისევე თავჩაქინდრული დადის ქუჩაში, როგორც ეს დღემდე იყო.

28 მარტის საღამოს, თუ არ ვცდები „მაესტროს“ ტრადიციულ თოქშოუ „ცეცხლის ხაზზე“ ირჩეოდა თემა: „მოუტანს თუ არა ვიზალიბერალიზაცია სიკეთეს თქვენს ოჯახს?“ ილაპარაკეს, იდავიდარაბეს, იჩხუბეს, სმს-შეტყობინებებიც მიიღეს და აღმოჩნდა, რომ საქართველოს მოსახლეობის 91%-ზე მეტი ფიქრობს – მის ოჯახს, ამ საქმიდან არანაირი ხეირი არ ექნება. აღნიშნული პროცენტი, ცხადია იმ რაოდენობიდან არის გამოყვანილი, ვინც მონაწილეობა მიიღო გამოკითხვაში, მაგრამ აქტიური პოზიციის მქონეთა შორის ასეთი რიცხოვრივი მაჩვენებელი განა დასაფიქრებელი არ არის?

მე რომ მკითხოს კაცმა, ხმათა რაოდენობის სწორედ იდეალურ განაწილებასთან გვაქვს საქმე. 8-9 %-ს ნამდვილად არ გასცდება იმ ხალხის რაოდენობა, ვისაც ე.წ. შენგენის ზონაში საქმიანი თუ უსაქმო ვოიაჟებისათვის სცალია...

2016 წლის 16 დეკემბრის საღამოს, რაღა თქმა უნდა, „რუსთავი 2“-ის ეთერით გაჟღერდა მანამდე აქა-იქ კულუარული შიშის სახით ნაჩურჩულევი იდეა, რომ საქართველოს უსათუოდ მოუწევს არაბული ქვეყნების, კერძოდ სირიის ქალაქებიდან აყრილ-აშლილი ლტოლვილების

მიღება. დაუკვირდით, როგორ აქვთ ანყობილ-გადაბმული უბოროტეს მსოფლიო ძალებს მოვლენები, მოქმედებები და როგორაა გათვლილი მისით მოტანილი სავარაუდო ხდომილებები.

დავინწყოთ, თუნდაც უკანასკნელი ათწლეულებიდან:

XX-ის ბოლოსათვის დემოკრატიის აკვნად წოდებულ ამერიკაში მოიფიქრეს ე.წ. „ფერადი რევოლუციებისა“ და „არაბული გაზაფხულის“ ყბადაღებული მოდელები. მისი პროგრამული შინაარსის სარეალიზაციოდ ააოხრეს ცენტრალურ ევროპაში იუგოსლავია, შექმნეს ახალი კვაზი სახელმწიფოები, მიანგრ-მოანგრის ავღანეთი, ნაცარტუტად აქციეს ერაყი, ლიბია, ახლა უკვე სირია და სხვა მიმდებარე ქვეყნები, დაშალეს საბჭოთა კავშირი, გააუბედურეს საქართველო და უკრაინა, მთელს ამ პროცესებში ჩაითრეს ევროპისა და აზიის ლამის ყველა ქვეყანა, არნახული მასშტაბი შესძინეს ტერორიზმს, საფუძველი ჩაუყარეს, ვითომ „ეგალიტარული“ საზოგადოებრივი მოწყობისა და „მულტიკულტურალიზმის“ ბოღვით იდეებს, გლობალიზაციის ხელოვნურად დაჩქარებულ პროცესებს; ლამის ახალ რელიგიად აქციეს ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებებზე საუბარი, ლგბტ თემის ოჯახური ძალადობის, ქალთა უფლებების დაცვის, ერთსქესიანთა ქორწინების და მათი მსგავსი იდეები, თითქმის ყველა ქვეყანაში შექმნეს რაღაც „ენჯელები“, გამოზარდეს ახალი ყაიდის თაობები, ვისთვისაც აღარაფერია არც სამშობლოს განცდა, არც მორალი და არც ზნეობა...

ყველაფერ ამას უკვე მოჰყვა განუჭვრეტელი თუ განჭვრეტელი შედეგები, თუნდაც ლტოლვილთა, საკუთარი საცხოვრებელი სივრციდან განდევნილი ადამიანების არმიების გაჩენით, მსოფლიო ქაოსით და ბუნებრივია, ტერორიზმმაც არ დააყოვნა.

პროცესი, სამწუხაროდ კვლავ გრძელდება, რადგან უმდიდრესი არაბული ქვეყნები, მერე ირანი, თურქეთი, რუსეთი, აშშ-სა და ინგლისთან ერთად ბომბავენ პოლიტიკურ-მსოფლმხედველობის მიხედვით კვარტლებად გადანაწილებულ სირიას, ქვას ქვაზე არ ტოვებენ მახლობელი აღმოსავლეთის ულამაზესი ქალაქებიდან, ანგრევენ ინფრასტრუქტურას, მერე ქვეყნების მეთაურები იკრიბებიან, ერთმანეთის საქციელს ვითომ გმობენ, რაღაც დადგენილებებს იღებენ, ე.წ. „ჰუმანიტარულ კორიდორებს“ ხსნიან და ავტომობილების უგრძესი კოლონებით ბოვიკებს, მათი ოჯახების წევრებს, დიდსა და პატარას სადღაც უშვებენ.

პარალელურად ევროპის ქვეყნები საქართველოსა და უკრაინისათვის სრულიად უაზრო ე.წ. ვიზალიბერალიზაციაზე ყბედობენ (ვითომ ქვეყნიდან გამქცევი უამისოდაც ვერ მიდიოდეს), ჟამიდან-ჟამზე ნატოს გაფართოება – არგაფართოებაზე ჩამოაგდებენ სიტყვას და ა.შ. ამასობაში რუსეთი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს გასამხედროებული სივრცის ატრიბუციას აძლევს, საზღვრებს კეტავს, შავი ზღვის აკვატორიას, რაც შეიძლება სრულიად ითვისებს, ყირიმის სანახებს ამაგრებს, ბლოკირებას უკეთებს და დემონსტრაციულად ტოვებს ე.წ. „ჟენევის ფორმატით“ მიმდინარე სამხრეთ შეხვედრებს. სადაც კი ხელი მიუწვდება ყველგან, მათ შორის მეზობელ სომხეთში უახლესი ტიპის სარაკეტო სისტემებს ათავსებს...

ჩვენ კი რას ვაკეთებთ? ვერც ვერაფერს! ველაბუცებით ლარის კურსს, ვგმობთ ცხინვალის რეფერენდუმს, ვლაყობთ „კომბლესა“ თუ „რწყილსა და ჭიანჭველაზე“, ვოცნებობთ თითქმის ჩამოშლილ ევროკავშირზე, „კაზანტიპის“ აღდგენაზე, ვისმენთ ათასნაირი სახელწოდების ქვეშ გაერთიანებული პარტიების ლამის უსაქმური წევრების პოლიტოლოგიურ საუბრებს, რომან გოცირიძისა და „ქართლის დედასთან“ ხმალამოლებული მებრძოლის ზურაბ ჭიბერაშვილის ეკონომიკურ თეორიებს, „თეთრი ხმაურის“ (აჯობებდა „თეთრი ცხელება“ ყოფილიყო!) და „გირჩის“ ნაოცნებარი ნარკომანიის აღორძინების იდეებს და ა.შ.

ამასობაში თუ კარგად მიიხედ-მოიხედავ, აღმოაჩენ, რომ ქართველს საქართველოში თითქმის აღარაფერი ეკუთვნის. მინა, ბანკები, მთელი საქალაქო კვარტლები სხვისია, კაცმა არ იცის საზღვრებს ვინმე საერთოდ აკონტროლებს თუ არა, სასკოლო განათლება და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გაშლილი საუნივერსიტეტო კამპუსების საქმიანობის შინაარსი ლამის ანეკდოტს დაემსგავსა, განუხრელად იზრდება მედრესეჯამე-მეჩეთების რიცხვი, აღარც წარმოება, აღარც საქმე... ერთი სიტყვით სახეზეა „ბედნიერი ერის“ გნიასი, ფუთფუთი და ჟამიდან ჟამზე სადღესასწაულო მზადების თუ თავის შექცევის ნიშნები.

სამყარო, ადამიანთა ყოფა და, შესაბამისად, საზოგადოება, არ არის ისე მარტივად მოწყობილი, რომ ყოველ მოკვდავს ჰქონდეს მასზე ზეგავლენის ან კიდევ ადეკვატური ყოველდღიურ ხდომილებათა შეფასების უნარი თუ შესაძლებლობა. მსჯელობის, აზრის გამოთქმის უფლებას ვინ წაგართმევს, ვინ აგვიკრძალავს შენი კერძო მოსაზრება გამოთქვა და შენნაირების წრეში „იქადაგო“, მაგრამ აზრი, გონება და შეფასების უნარი თუ ღმერთს შენთვის მართლაც მოუცია, მაშინაც კი მალევე ვერ მიხვდები, რომ საქმე, საზოგადოდ არც ისე მარტივადაა შენს პატარა თავს თუ შენს თვალსაწიერს რომ ეჩვენება. დღეს ჩვენში მოდად იქცა ხელისუფლების საქმე – საკეთებლის შეფასება, მასზე აზრის გამოთქმა და მსჯელობა. დიდი და პატარა „ექსპერტად“ იქცა. ყველამ ყველაფერი „იცის“, ყველა ყველა საკითხში „ერკვევა“, თანაც ზოგი „ლაითად“, ზოგიც, მისი გაგებით მეტისმეტად „სიღრმისეულად“. ამას რა სჯობიაო, იტყვის მავანი! კაი დაგემართოთ, მაგრამ უბედურება ისაა, რომ ეს „ყოვლისმცოდნეობა“ მაშინვე სადღაც ქრება, როდესაც ჩვენს მიერ „არჩეული“ თუ სამთავრობო სტრუქტურების მიერ კონკრეტულ საქმესთან მიყვანილი პიროვნება პრაქტიკულ მოქმედებას იწყებს. აი, სწორედ მაშინ ირკვევა, რომ თურმე უამრავი კანონი, წესი, გადაწყვეტილება რითაც საქმის მონესრიგება უნდა მოხერხდეს, ჯერ კიდევ არ არსებობს – იმას თურმე არ დაუდგენია, ამას ვერ მოუცლია, პარლამენტს ჯერ სხვა საქმე ჰქონია, პოლიტსაბჭო კი შეკრებილა, მაგრამ ვერ გადაუნყვებია, „ვენეციის კომისიას“ არ მოსწონებია, ევროკომისიას ნება არ დაურთავს, მსოფლიო ბანკის ტრანშს დაუგვიანია, პრეზიდენტს რეკომენდაცია ჯერ არ გაუცია და რომც გაეცა, მას კანონის ძალა არ ჰქონია. ამასობაში მდინარეები აღიდებულა და მიმდებარე ტერიტორიები წაუღეკავს, სამთო გადასასვლელებზე თოვლი მოსულა, „ოპეკს“ ნავთობპროდუქტები გაუძვირებია, სააფთიაქო ქსელის მაფიოზებს კარტელური გარიგება მოუკვარახჭინებიათ და ნამლები გაძვირებულა, სასწავლო წელიც ჩათავებულა, დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს ატესტატი კი მიუღიათ, მაგრამ ახლა რაღა ქნან არ იციან და უკვე მოქმედი, მთლად თუ ნახევრად ბრიყვული წესის საფუძველზე ერთბაშად 15 თუ 20 უმაღლეს სასწავლებელში დარეგისტრირებულან ეგების რომელიღაცაში მოხვდეთო!

ვგონებ, გაგრძელებას აზრი აღარ აქვს, რადგან ფაქტია, რომ ნებისმიერი ე.წ. „ექსპერტის“ დონეზე ასული ჩვენებური სპეციალისტი, სულ რომ „საზეპირობებით“ (განათლებისა და მეცნიერების მინისტრს რომ ეჯავრება!) ფლობდეს კანტის, ჰეგელის, ადამ სმიტის, რიკარდოს, მარქსის, ეკონომისტ ლეონტიევის, (გნებავთ, ფსიქოლოგ ლეონტიევის თუ დ. უზნაძის) და სხვა მათ მსგავს, ნამდვილად მოაზროვნე პიროვნებების მიერ ნაქადაგევ იდეებსა თუ ცოდნებს, საბოლოო ჯამში, ფაქტობრივად, ხელ-ფეხს ვერ ანძრევს და, შესაბამისად, ვერც ვერაფერს აღწევს. მეტიმეტი ორ-სამ მისნაირს აჯობოს, ვიღაცას გადაასწროს, ცოტა, რამ სასარგებლოც გააკეთოს და პირადი ცხოვრება აიწყოს.

აღბათ ბევრს ახსოვს ერთი ზომა-წონითა და არც თუ ურიგო ცოდნით გამორჩეული ახალგაზრდა პოლიტიკოსის (გვარს არ ვასახელებ!) სასონარკვეთილი ფრაზა (საკაპვილისტებმა რომ ჩაუწერეს და ტელეეთერში გაახმოვანეს!) – კისერიც მოგიტეხიათ, მე პირადად მილიონი უნდა ვიშოვოო! არ არის ის კაცი უღირსი პიროვნება, არც ურიგო ოჯახშია აღზრდილ-გაზრდილი და არც პატრიოტიზმი აკლია ბევრისგან განსხვავებით. მას მართლაც ეგონა, პოლიტიკაში მოვალ და ქვეყანას რამეს შევძენო, მაგრამ აღმოაჩინა, რომ საქმე ასე მარტივად არ არის!

დღევანდელ სამყაროში დიდსა და პატარა ქვეყნებს, ყველას თავისი საფიქრალი აქვს (ეს ადრეც ასე იყო და მომავალშიც იგივე გამეორდება!). ქართველებმა საუკუნეების განმავლობაში, მართლაც შევექმენით ძალიან მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობა და ამით იქნებ, ბევრსაც კი ვაჯობეთ, მაგრამ სადღეისოდ და სამომავლოდ ეს ყველაფერი საკმარისი აშკარად აღარ არის. ომი, ბრძოლა, სხვისი ტერიტორიების მითვისება, ძარცვა-გლეჯა და სხვა მისთანანი საკაცობრიო ისტორიული ყოფისათვის უცხო არასოდეს ყოფილა. ეს ყველაფერი ადამიანური არსებობის წესის თანამდევია პროცესები იყო და აღბათ კიდევ დიდხანს იქნება. სამწუხაროდ, ცხოვრების ამგვარმა წესმა ბევრი მაღალკულტურული ხალხი და სახელმწიფო შეიწირა. აღნიშნული საფრთხისაგან არც სადღეისოდაა დაცული ცალკეული ხალხები და სახ-

ელმწიფოები, პატარა, ქვეყნები მით უფრო! პესიმიზმი და ხელების ჩამოშვება, ცხადია არავის არგებს, მაგრამ როგორ გინდა მშვიდად იყო, როდესაც შენსავე ქვეყანაში, შენ, მის მოქალაქეს თითქმის აღარაფერს გეკითხებიან! კაცმა არ იცის ვინ მართავს სამთავრობო სტრუქტურებს, ვინ განსაზღვრავს ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ კურსს, ვინ პატრონობს აქა-იქ კიდევ არსებულ რაღაც საწარმოებს, ვისია ქვეყანაში შესასვლელ-გამოსასვლელი ჭიშკრები, ვის ეკუთვნის მშენებარე თუ აშენებული ტრასები... რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს! თუნდაც მედიასივრცე ავიღოთ. ვინმეს შეეძლო წარმოედგინა, რომ ტელეეკრანი სიბილწის, სიბინძურის, გარყვნილების, პროპაგანდის ძირითად წყაროდ იქცეოდა და ყველაფერ ამას თავისუფლება, დემოკრატია თუ პროგრესი დაერქმეოდა? იქნებ ვინმე ფიქრობს, რომ ეს ადვილად მოსავლელ-მოსაგვარებელი საკითხია. ძალიან ცდება!

სპეციალისტებმა კარგად იციან, რომ ენა, ლექსიკური მარაგი, ლექსიკური ერთეულები სარკისებრი სიზუსტით ასახავს და ინახავს ყოფის, ადამიანთა ურთიერთობების შესახებ წარმოდგენებს. ქართულ ენაში არის სიტყვები: „აღვირახსნილი“, „ბილწი“, „გადაგვარებული“ და სხვა ბევრი მისთანანი. ეტყობა იმ ეპოქაში, როდესაც ეს და ბევრი მათი მსგავსი სიტყვაცნება გაჩნდა, არსებობდა რაღაც წესის, რაღაც ნორმირებული ქცევა-მოქმედების მოდელები, რომელთა უგულუბელყოფაზე იტყოდნენ „აღვირახსნილიაო“, „თავხედიო“, „გადაგვარებულიაო“ და ა.შ. დღეს ვის, რომელ ინდივიდს, რომელ სუბიექტს შეიძლება მიუყენო ამგვარი ცნება? სხვადასხვა ტელეარხზე, სხვადასხვა დროს, სხედან ფიზიკური გარეგნობით არც თუ ურიგო ახალგაზრდები, რომლებიც დაწვრილებით და სიამაყით საუბრობენ იმის თაობაზე თუ რამდენი პარტნიორი ჰყავთ გამოცვლილი, რა აცვიათ (გამოსაჩენი თუ გამოუჩინებელი), როგორ უყვარს კაცს-კაცი, ქალს-ქალი, როგორ „ეზიზღებათ“, საკუთარი, „ჩამორჩენილი“ ქვეყანა, როგორ ოცნებობენ ნარკოტიკებზე და იმ ქვეყნებზე, სადაც, როგორც იტყვიან „ძალი პატრონს ვერ სცნობს“, სადაც დაშვებულია ყველანაირი საქციელი (გარდა კანონის მუხლის დარღვევისა!), რა სასაცილოა ეკლესია, რელიგიური მორალი, ზნეობა, ტრადიცია, უფროს-უმცროსობა, წესი, რიგი, და ა.შ. აბა, გაბედე და ასეთებს უთხარი, რომ „აღვირახსნილია“, „უზნეოა“, „გადაგვარებულია“ და ა.შ. იმ წამსვე, იგივე ეკრანზე გამოვარდებიან „ენჯელონიკები“, „ექსპერტები“, „უფლებადამცველები“, დანი და ძმანი მათნი, სხვათა შორის უცხოელებიც, მათ შორის ელჩები... დაგინწყებენ ახსნა-განმარტებას რომ „ადამიანის უფლებათა დეკლარაციის“ ამ და ამ მუხლით, „ევროკომისიის მონიტორინგის“ ჯგუფის დასკვნით, უცხოპლანეტელი ჰუმანისტების განჩინებით – „შენი საქციელი ეწინააღმდეგება დემოკრატიისა და თავისუფლების იდეებს“, რომ შენ იჭრები პროგრესით შეპყრობილი ინდივიდის პირად სივრცეში და ა.შ.

„აღვირახსნილთა“ საპარპაშო სივრცე ისეთი ვრცელია, მათ ხელში იმდენი „იარაღია“ თავმოყრილი, რომ ღირსების მქონე ოპონენტთა და ადამიანური სახის მატარებელთა დემონიზაცია, მათი გაბიაბურება ძალზედ გაიოლებულია. ამ მიმართულებით მძლავრი ნაბიჯებით მიდის ჩვენი ყოფაც. ამის მაგალითია, კაცმა არ იცის ვის თავში მომწიფებული თუ ვისგან ნაკარნახევი საკანონმდებლო ინიციატივა, რომლის მიხედვითაც თურმე ციხის გზას უნდა გავუყენოთ ჩვენი საზოგადოების ის წევრები, რომლებიც გაბედავენ და რუსეთთან დაკავშირებულ რაიმე თემას პოზიტიურ კონტექსტში წარმოაჩენენ. სამაგიეროდ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ, რომ ნარკომომხმარებელი შეამონმო, იგი ეჭვმიტანილად აქციო, საკუთარ ბალ-ბოსტანში ნარკოტიკის მომცემი მცენარეები მოაშენო და მერე, რაკი მისგან „წნილი“ არ კეთდება, ბაზრის მიდამოებში კლიენტების ძებნა დაიწყო და ა.შ.

ახლა ძნელია იმის თქმა თუ ვინ იყო ის ადამიანი, ვინც პირველი მიხვდა, რომ ბოთლიდან ჯინის ამოშვება კი შეიძლება, მაგრამ სახიფათოა, რადგან ამის მერე ისეთი მოვლენები იწყება, რომელსაც ვეღარ შეაკავებ. დიდი ილია ბრძანებდა (ვილაც ალბათ გაიცინებს – არ შეჭამეს გული ამ თავისი ილიათიო!): პაჭიჭს რომ თვალი მოერღვევა, თუ მაშინვე არ ამოკემსე, მერე რღვევის პროცესი ბოლომდე თავისით წავაო. მართალიცაა, თუ საქმე „პირადი სივრცის შემოუზღუდაობაზეა“ და აქ რასაც გინდა იმას გააკეთებ (როგორც ეს ერთმა ყვეყნმა გააკეთა სვანური სოფლის, სხვამ კიდევ ბაკურიანის ფონზე თავისი შიშველი სურათის ინტერნეტვერსიით), მაშინ იმ ტერორისტს რას ერჩი, საკუთარ თავს რომ იფეთქებს ტრანსპორტში და ამით იმას აკეთებს, რისი გაკეთებაც ძალუძს პროტესტის მიმართულებით? აა! ის სხვის ფიზიკურ

ჯანმრთელობას აზიანებს? კი ბატონო, მაგრამ შენ, სხვის სულიერ ჯანმრთელობას აზიანებ, მაინც წრეშეუნერულ დემოკრატად რჩები? ეს არაფერია? კარგად დავაკვირდეთ და ვიფრთხილოთ! მთელი მსოფლიოს სამხედრო შენაერთები თუ საპოლიციო ძალები დაირაზმნენ დღეს ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ შედეგი რატომღაც არ ჩანს. სამწუხაროდ, უფრო პირიქით მიდის საქმე! მეტსაც ვიტყვი, მეჩვენება, რომ ტერორისტული აქციების ორგანიზება-ჩადენა უკვე ცხოვრების წესი ხდება და ამ საქმეს უფრო და უფრო მეტი ადამიანი მოჰკიდებს ხელს. არც ის არის გამორიცხული, რომ საზოგადოდ ტერორიზმი „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ ბიზნესის წყაროდ იქცეს (თუ უკვე არ ქცეულა, ესეც საკითხავია!).

სწორად მიფიქრია, ზედმეტად პესიმისტი ხომ არ ვარ და მოვლენებს ძალიან მუქ ფერებში ხომ არ წარმოვაჩინე? ნეტამც ასე იყოს, მაგრამ ანალიზი სხვა რამეს გკარნახობს. დააკვირდით სოციალური პროცესების წინსვლის ლოგიკას, გადახედეთ თუნდაც ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს და დასკვნა მერე გააკეთეთ. ნგრევა, გაპარტახება, სულიერების დაკარგვა, მოჩვენებითი პროგრესულობა და ამ ფონზე ქალაქში ერთი-ორი საცხოვრებელი სახლის აგება, მთელი ქვეყნის ფაქტობრივ დუქან-ბაზრობა-მარკეტად ქცევა, ტერიტორიების დაკარგვა, ახლობელთა მომდურება და გადამითვლებთან ვითომ დამეგობრება, ძირძველი მოსახლეობის თითქმის მსოფლიო მანანწალად ქცევა, პატრიოტიზმის თამაში.. რომელი ერთი უნდა ჩამოითვალოს! კი, აქა – იქ რაღაც, როგორ არ კეთდება, მაგრამ ეს ყველაფერი მთავარია? ძირითადია? სტრატეგიულია? მერე რა, რომ ოჯახი აღარაა საქართველოში, 1-2 მსუბუქი მანქანა რომ არ ედგეს ეზოსთან. ასე თითო-ორი ცხენი ყოველ მონღოლს, რომაელსა თუ ბიზანტიელს ყავდა, არც საჭმელ-სასმელს იკლებდნენ, მაგრამ სად არიან დღეს ისინი და მათი მსგავსნი, თუნდაც უდიდესი იმპერიები?

თქვენი არ ვიცი და მე ნამდვილად ცუდად მენიშნა 22 დეკემბერს რუსეთის იმპერიის პირველი კაცის მიერ გენერალიტეტთან ნათქვამი ფრაზა: „ჩვენ ნებისმიერ პოტენციურ მონინააღმდეგეზე ძლიერები ვართ“. დიახ ძლიერებით, გააგრძელა, მერე კი დასძინა – ამ ტემპის დაგდება არ შეიძლებაო, ამით მსოფლიოსაც აგრძნობინა – ჭკუით იყავითო! ცხადია, ვ.პუტინის განცხადების ადრესატი საქართველო, ბოლივია და ლიხტენშტეინი ან მათი მსგავსი ქვეყნები არ ყოფილა. ეს ყველაფერი სწორედ უდიდესი ქვეყანა იმპერიების, „ნატოსა“ და ევროატლანტიკური ქვეყნების მიმართ ითქვა. არც ის მგონია შემთხვევითი, რომ სათქმელად სტალინის დაბადების მომდევნო და სსრ კავშირის შექმნის დღე შეირჩა... მართალს ბრძანებდა ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი „ჭკუით ქართველებო“, რომ მოგვიწოდებდა, „ჩვენ მსოფლიოში უპატრონო ვართო!“ ვის ებღანდები ფეხებში, რა მსოფლიო მედროშეობა აგიტყდა? მართლა ჭკუით თორემ, შენ რომ მეგობარი გგონია, სწორედ ისინი შემოგისახლებენ საქართველოში ერაყსირია და მასთან ახლო მყოფი ქვეყნებიდან დაძრულ შიშველ-ტიტველთა არმიებს და მერე ჰკითხე ჭკუა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“, მის მსგავს ათასნაირ უფლებადამცველ ენჯეოშნიკს და იმ მოპარტიო მოლაყბებს ხან დემოკრატის ოაზისობის, ხან ლგბტ-თა უფლებადამცველის, ხან კიდევ რაღაც ფობიებზე საუბრით რომ იქცევენ თავს, ხანაც კი ნარკოტიკების ლეგალიზაციაზე ოცნებობენ და ხალხსაც აბოლებენ.

აგერ, გუშინ თუ გუშინწინ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი გვესტუმრა, მშვენიერი მასპინძლობაც იგემა და წასვლისას დაგვიბარა: საქართველოში, ეგვიპტეში და ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიის ზოგიერთ ნაწილში ლტოლვილთა ბანაკების გახსნის იდეა გაგვიჩნდა ჩვენ ევროპელებს და ღმერთი არ გაგინყრეთ, ხელი არ შეგვიშალოთო. აღშფოთდა ამის გამგონე ვითომ პოლიტიკელიტა, ინტელიგენცია, მაგრამ რა? აკი ევროკავშირი და „ნატო“ გვინდაო, აკი სათაგურში ჩადებული მუქი ყველი გვინდაო?! ეგრე სად არის?!

აი, დაახლოებით ასეთია ის პოლიტიკური ამინდი თუ კონტექსტუალური ფონი, რომლის წინააღმდეგ ქართული კულტურული ყოფა და მისი შემადგენელი ცალკეული მიმართულებები უნდა გაიშალოს, უნდა განვითარდეს. სამწუხაროდ, არის სხვა პრობლემებიც, თუმცა ამის თაობაზე და კონკრეტულ ქორეოკულტურულ რეალობებზე უკვე სხვა ნერილში, სხვა გაგრძელებაში ვისაუბროთ.

პროფესორმა ცინცაძემ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი ჰემატრიით გაშიფრა

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ სამეცნიერო და სასულიერო წრეების ყურადღება არასოდეს აკლდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც დოქტორმა, პროფესორმა ალექო ცინცაძემ შესძლო მისი შიფრის გასაღების – ჰემატრიის მიგნება და აღდგენა, ამ საკითხებით დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა. მან სამიოდე წლის წინათ აუწყა საზოგადოებას ამ აღმოჩენის შესახებ, მაგრამ იქვე აღინიშნა, რომ სამუშაო დასრულებული არ იყო. სამუშაოს შედეგებით საინფორმაციო სააგენტო „პირველი“ დაინტერესდა.

– ბატონო ალექო, იქნებ მოკლედ შევახსენოთ საზოგადოებას, როგორ გაიშიფრა იოანე-ზოსიმეს მეთავე საუკუნის ხელნაწერი ან რატომ გადავიდა კვლევები წინარექრისტიანული პერიოდის კვლევაზე.

– როგორც არაერთხელ ითქვა, ბიბლიის გაშიფვრის სამი უძველესი მეთოდი არსებობს: ნოტარიკონი, თემურა(ჰ) და ჰემატრია (გემატრია). მათგან ყველაზე საიმედო ჰემატრიაა. იგი რიცხვითა თეორიის ელემენტებს და რიცხვით სიმბოლიზმს ეყრდნობა. ჰემატრიის საფუძველი ალგორითმია, რომლითაც ასო, სიტყვა ან ფრაზა რიცხვად გადადის და ამ რიცხვითა ურთიერთმიმართებით დგინდება ამ სიტყვებსა და ფრაზებს შორის კავშირები. სრულიად ლოგიკურად ითვლებოდა, რომ ბიბლიის დაშიფვრა-გაშიფვრის მეთოდები ბიბლიის შემქმნელ ხალხებს უნდა ჰქონოდათ; ამიტომაც, ჰქონდათ იგი ებრაელებსა და ბერძნებს. იმავე ლოგიკით, იგი ქართველებს არც უნდა გვექონოდა. ამ დროს, ამ ლოგიკის სანინააღმდეგოდ ქართული ჰემატრია არსებობს. ხომ წარმოგიდგენიათ, უკვე ეს როგორ ცვლის ყველაფერს, არა მხოლოდ ენათმეცნიერებასა და ისტორიოგრაფიაში, არამედ სარწმუნოების პირველ ისტორიაშიც.

იოანე-ზოსიმეს ტექსტმა მიგვიყვანა ჰემატრიაში. იგი თავის ხელნაწერში შეფარულად მიუთითებს მასზე. ხელნაწერმა მოითხოვა და აღდგენილ იქნა ქართული ჰემატრიის ნუსები. როგორც გაირკვა, სხვათაგან განსხვავებით ქართული ჰემატრია გაცილებით მარტივია, სადა და თვისობრივად განსხვავებულ, მაღალ დონეზე დგას. დღეს დარწმუნებით შეგვიძლია გითხრათ, რომ მას პირველადობის ყველა თვისება აქვს. ხომ გესმით, რა თვისობრივ ცვლილებებს მოითხოვს ეს ბიბლიის ისტორიის ჭრილში... როგორც გაირკვა, იოანე-ზოსიმემ ჰემატრიის გამოყენებით თვითონ გაშიფრა ძველი ქართულის უმთავრესი მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი ლექსიკა და ნანახით აღფრთოვანებულმა დაწერა „ქებაი და დიდებაი“, სადაც მოკლედ თუ ვიტყვით, ამბობს: ქართული უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი, მეორედ მოსვლის შემდეგ ღმერთი ქართულად განიკითხავს. ამიტომაც აქვს ხელნაწერს უდიდესი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა. თან იოანე-ზოსიმემ თავისი ხელნაწერი იმავე შიფრით დაშიფრა (ანუ ჰემატრიით), რითაც თვითონ გაშიფრა ძველი ქართული. ის, ვინც მის ხელნაწერს გაშიფრავდა, ხელთ ძველი ქართულის შიფრის გასაღები აღმოაჩნდებოდა. ესეც იყო მისი მიზანი. ასე აღმოგვაჩნდა ხელთ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის გაშიფვრის შემდეგ ძველი ქართულის უმთავრესი ლექსიკის შიფრის გასაღები. ამიტომაც გავიდა კვლევები წინარექრისტიანულ პერიოდზე, ამიტომაც გაცდა იგი მეთავე საუკუნეს და წარსულის მიღმეთმი გადაინაცვლა. ე.ი. გაიშიფრა არა მხოლოდ იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი, არამედ კვლევები ძველი ქართულის გაშიფვრაზე გავიდა, ანუ იმაზე, რასაც იოანე-ზოსიმე „ამას ენასა შინა დამარხულ... ყოველი საიდუმლო“-ს უწოდებს.

– მე მახსოვს, რომ თქვენ ძველ ქართულში მიგნებულ ქურუმთა ფარული ენის ნაშთებზე საუბრობდით. რა იშიფრება ასე მნიშვნელოვანი მასში და რატომ გვგონია, რომ იგი სხვა უძველესი ხალხების ენებში არსებულ ინფორმაციებისგან განსხვავდება?

– მოკლედ მოგახსენებთ. შუამდინარეთი კანონზომიერად ითვლება მსოფლიო ცივილიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს კერად. შუმერმა სულ მცირე ათასი წლით დაასწრო ეგვიპტურ

და ინდურ საწყისებს. ამ დროს შუმერის ნაშთებზე აღმოცენებული ძველი ბაბილონის მიღწევების დიდი უმრავლესობა მის ერთ-ერთი მხარეს – ქალდეას სახელს უკავშირდება. ბაბილონის დიდება ქალდეამ გამოჟღერა. ეს მან შექმნა ასტრონომიის, მათემატიკის და საერთოდ, დღევანდელი სარწმუნოების პირველისტორია. ქალდეა ქურუმთა, ვარსკვლავთმრიცხველთა და წინასწარმეტყველთა მხარედაა ცნობილი. ძველ ქართულში ჰემატრიის გამოყენებით სწორედ ქალდეური ცოდნის დაფარული ინფორმაცია იშიფრება. როგორც მოსალოდნელიც იყო, გაშიფრული ინფორმაცია მათემატიკური, ასტრონომიული და კალენდარული ხასიათისაა. ხომ საინტერესოა, როგორ დადგინდა ამ ინფორმაციის მოპოვების დრო? საქმე ისაა, რომ ძველი ქართულის უმთავრესი ლექსიკის შემქმნელები ჰემატრიულ რიცხვებს შემთხვევითად არ იღებდნენ. ისინი ვარსკვლავთმრიცხველები იყვნენ და ყველა მნიშვნელოვანი რიცხვი მათი ღვთაებების – მზისა და მთვარის ცდომილების პარამეტრებიდან მიიღებოდა. ამითაც განსხვავდება ქართული ჰემატრია ყველა დანარჩენისგან და ეს თვისობრივი სხვაობაა. მაგრამ ცის სურათი ათასწლეულებში მუდმივი არ რჩებოდა, იგი იცვლებოდა და ამ ცვლილების თაობაზე კარგადაა ცნობილი ასტრონომიაში. იმის მიხედვით, როდის გავზომავთ ასტრონომიულ ობიექტთა პარამეტრებს და ჩავიტანთ სიტყვაში, შეიძლება დადგენილ იქნას ამ რიცხვის ანუ მისი მატარებელი სიტყვის შექმნის პერიოდი, რადგან გარკვეული დროის შემდეგ ის პარამეტრი იცვლება, ცაზე სხვა სურათი გვაქვს. თუ მაგალითად, რომელიმე სიტყვათა ჯგუფი მზის ღვთაებისადმი მიძღვნილი და მათში ერთი და იგივე მზის პარამეტრი, მაგალითად, დედამინაზე მზის ამოსვლის წერტილის კუთხური გადახრაა მოცემული, იმის მიხედვით, როდის ჩნდებოდა დედამინაზე მზის ამოსვლის წერტილის გადახრის კუთხე ამ გრადუსით (წრის ნაწილით) შეგვიძლია დავადგინოთ განსახილველი სიტყვის შემოტანის პერიოდი. ასე ჩადის ასტრონომიული ინფორმაცია სიტყვაში და თუ ეგვიპტის პირამიდების კვლევისას შეიქმნა მეცნიერების დარგი „ასტროარქეოლოგია“, ახლა უკვე, ძველი ქართულის კვლევისას შეგვიძლია ვილაპარაკოთ სრულიად ახალი დარგის „ასტროენათმეცნიერების“ შესახებ. ამ ფაქტს მსოფლიო მეცნიერებაში პრეცედენტი არა აქვს. ასეთი გახლავთ ქურუმთა ფარული ენა. ქურუმთა საიდუმლო ენა – ასტრონომიული, მათემატიკური ინფორმაციის გათვალისწინებით სიტყვანარმოქმნილთა მიღებული და დიდი ალბათობით, ეს ძველი ქართულია; აქედან გამომდინარე, ყველა მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი, ისტორიული მომენტის სრულიად ახლებური გააზრებით. ის საიდუმლო ცოდნა, რაც დევს ეგვიპტურ პირამიდებში, კორელირებულია ძველ ქართულში არსებულ ინფორმაციასთან.

– რას ამბობენ მეცნიერები, როგორია მათი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი?

– პირველ რიგში, მინდა, ვთქვა, რომ ზემოგანხილული პრობლემა არ მიეკუთვნება კლასიკური გაგებით ენათმეცნიერების სფეროს. იმ დროს არც იყო გამიჯნული (შემოფარგლული) მეცნიერების დარგები. დაშიფვრის მეთოდი მოიცავს მათემატიკური ლინგვისტიკის, მათემატიკური ლოგიკის, მათემატიკური მოდელირების, რიცხვთა თეორიის პირველ ელემენტებს. ძველი ქართულის მკვლევართათვის ეს ახალი დამხმარე მეთოდოლოგიური აპარატია და ითხოვს ძველი ქართული ლიტერატურული და ბიბლიური ტექსტების ჰემატრიულ ანალიზს. რაც შეეხება ისტორიკოსებს, ისედაც ბოლო პერიოდის არქეოლოგიური აღმოჩენები მიუთითებდნენ, რომ საჭირო იყო წინარეჟისტიანული პერიოდის საქართველოს ისტორიის ახლებურად გააზრება. კვლევა შუმერ-ბაბილონ (ქალდეა) – წინარესაქართველოს კავშირების ჭრილში უნდა გაგრძელდეს. არქეოლოგიური ნიმუშებისგან განსხვავებით, რომლებიც მაინც წერტილოვან, მეტ-ნაკლებად ერთჯერად ინფორმაციას იძლევიან. მიგნებული მეთოდი საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ დროში სიტყვანარმოქმნას, ისტორიულ ქრონოლოგიას. ქართული სიტყვა წერილობითი წყაროს ფუნქციას იძენს. ამდენად, ეს შედეგები მათთვის ახალ შემოქმედებით იმპულსად უნდა იქცეს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება.

აქვე, არ შეიძლება, დიდი მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო ქართველ ენათმეცნიერთა და ისტორიოგრაფთა ყველა თაობა. სწორედ მათ მოამზადდეს ის საფუძველი, რამაც ასეთ ფანტასტიკურ შედეგებამდე მიგვიყვანა. სახლის აშენება რომ გინდოდეს და სამშენებლო

მასალა მიზიდული და მომზადებული დაგხვდეს, სწორედ ასე იყო. ამ საკითხებზე ყოველგვარი ყალბი თავმდაბლობის გარეშე შემოიძლია ვილაპარაკო, რადგან ჩემი წვლილი მასში მხოლოდ ამომშვიფრავის როლით შემოიფარგლება, მთავარი ის ჩვენი წინაპარია, ვინც თავის დროზე მოიფიქრა ასეთი დიდებული, გასაშიფრად მარტივი, მაგრამ გენიალური სისტემა და გაასაიდუმლოა ცოდნა, ღვთის საიდუმლო. ეს საკითხები უმჭიდროესად უკავშირდება სარწმუნოებას და დღეს ყოველი მეცნიერი მისადმი დამოკიდებულებით ამ ჭეშმარიტების საკითხს კი არ არკვევს, არამედ თავისას.

არ მინდა, გამომჩეს, გაშიფვრის შედეგების გათვალისწინებით, სრულიად ახლებურად დათარიღდა ქართული ანბანის შესაქმნე, ქართული მოქცევა, ქართული დასაბამითგანი და ა.შ. ჩვენ დღეს შეგვიძლია წინარექართულ ცივილიზაციაზე ვისაუბროთ და ეს არაა ფანტასტიკა.

– კი, მაგრამ ახლადგამოსულ ისტორიის ოთხტომეულში ძირითადად, ის აზრია გატარებული, რომ ქართული ანბანი ახალი წელთაღრიცხვის მეოთხე-მეხუთე საუკუნეშია შექმნილი.

– ავტორები ძირითადად იქიდან ამოდიან, რომ არაა უფრო ადრინდელი წერილობითი წყარო მიგნებული. ამასაც თავისი მიზეზები აქვს და მასზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ვთქვათ, რაც უმნიშვნელოვანესია: ჰემატრიული სიტყვა ანბანის გარეშე ვერ იქმნება, თუ არ გაქვს ანბანი, სიტყვაში სასურველ რიცხვს ვერ დაშიფრავ. ამ დროს სრულიად ცხადია, რომ უმთავრესი სარწმუნოებრივ-მსოფლმხედველობრივი ქართული ლექსიკა სწორედ ჰემატრიულია, მათ შორის ისეთები, როგორცაა ღმერთი, ღორონთი (მეგრ. ღმერთი), ღერბეთ (სვ. ღმერთი), ქართველური ენების თვლა და ა.შ. (მიგნებულია ასეთი 500-მდე სიტყვა). თუ ანბანი მეხუთე საუკუნეში შეიქმნა, რა გამოდის, მეხუთე საუკუნემდე ქართველებმა ღმერთის სახელი ან თვლა და უამრავი უმნიშვნელოვანესი სიტყვა არ ვიცოდით?! უფრო მეტიც, სრულიად ცხადია წარმართულ ღვთაებათა პანთეონის ჰემატრიული წარმოშობა, რა, ჯერ გავქრისტიანდით და მერე მივიღეთ წარმართობა და აღვმართეთ კერპები? ასე ამხელს ღვთიური ფაქტორის გამოჩენა (და ჰემატრია ღვთიური საიდუმლოს დაფარვის ხერხია) „ფარისეველთა და მწიგნობართა“ სიყალბეს. ქართული ანბანის შექმნის პერიოდი სულ მცირე 1500 წლით იწევს დროის მიღმეთში.

– იოანე-ზოსიმეს ხელნაწერს სარწმუნოებრივი ღირებულება აქვს, როგორია საპატრიარქოს პოზიცია ამ კვლევისადმი?

– ეს უმთავრესია. ჩვენ ბრძენი პატრიარქი გვყავს. თუ გახსოვთ, ჯერ კიდევ შარშან ქალდეა ჩვენმა პატრიარქმა თავის საშობაო ეპისტოლეში ახსენა... ჩემთვის დიდი პატივი იყო ამ საკითხებზე ახლახან მესაუბრა მასთან. მე დღემდე მომყვება ის სიტბო, რაც იმ შეხვედრიდან გამოვიტანე. და მაინც, ეს საკითხი ჯერ მეცნიერების განხილვის საგნად უნდა ქცეულიყო და ასეც არის.

– და ბოლოს, როგორც ვიცით ამ საკითხებზე წიგნიც დაიწერა, რა უახლოესი გეგმები გაქვთ?

– დაწერილია ტრილოგია: „მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა“, სწორედ იგი გამოიცა. „ცის შვილების უამბობელ ამბავთა ისტორია“ და უმთავრესი – „ყოველი საიდუმლო ამას ენასა შინა.“ ბოლო ორი გამოცემის სტადიაშია. იყო სამეცნიერო და საჯარო ლექციები თსუ-ში, სტუ-ში, ეროვნულ და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკებში, საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრში და ა.შ. რა თქმა უნდა, კვლევებს სჭირდება გაფართოება და პირველ რიგში, ჯეროვანი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა. რაც მთავარია, სახელმწიფოს ინტერესში უნდა იყოს მისი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებამდე მიტანა. კვალი ხომ ცივილიზაციის პირველ ისტორიამდე მიდის. ეროვნულ სამეცნიერო აკადემიაში განხილვით რაღაც ეტაპი სრულდება, მაგრამ უმთავრესი წინაა.

ანოტაცია:

იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“ მეათე საუკუნის ხელნაწერია. „ქართული ენა, უფლის ენაა, სხვაზე აღმატებული და უკეთესი, მეორედ მოსვლის შემდეგ ღმერთი ქართულად განიკითხავს“ – ასე განმარტეს იგი ა. ცაგარელმა (მისი მპოვნელი), კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ. მაგრამ ვერ იქნა გახსნილი წერილის ვერც ერთი რიცხვული სიმბოლიკა, ამავე

დროს, იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი რომ დაშიფრული ტექსტია, მეცნიერებაში ეჭვს არ იწვევდა.

130 წელი ქართულმა ენათმეცნიერებამ იმიტომაც ვერ გაშიფრა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი, რომ მასში დასმული ამოცანა არც მიეკუთვნება კლასიკური გაგებით ენათმეცნიერების სფეროს. იმ დროს არც იყო გამიჯნული (შემოფარგლული) მეცნიერების დარგები. დაშიფვრის მეთოდი მოიცავს მათემატიკური ლინგვისტიკის, მათემატიკური ლოგიკის, მათემატიკური მოდელების, რიცხვთა თეორიის პირველ ელემენტებს, ხოლო დაშიფრული ინფორმაცია, მათემატიკური, ასტრონომიული და კალენდარული ხასიათისაა.

„უძველეს ტექსტებში ცოდნის საყრდენი ასტრონომია, კალენდარი და მათემატიკა“ (ზ. სიტჩინი, „კოსმიური კოდი“, 2006). ეს ზოგადი დასკვნა გაშიფვრის შედეგებმა ცხადად დაადასტურა.

გამიფვრამ დაადასტურა, რომ უძველესი ხელნაწერების კვლევით მიღებული კიდევ ერთი დასკვნა გამოსადეგი აღმოჩნდა იოანე-ზოსიმეს ხელნაწერისთვისაც (ე.ი. ტექსტი შედგენილია იმდროინდელი დაშიფვრის წესების დაცვით): „კოდის გაშიფვრის გასაღები თვითონ მასშივეა დამარხული.“ კვლევამ დაადასტურა, რომ ეს ასეცაა და შიფრის გასაღები სწორედ ბიბლიის გაშიფვრის ერთ-ერთ მეთოდს ემთხვევა.

როგორც გაირკვა, იოანე-ზოსიმემ ჰემატრიის გამოყენებით თვითონ გაშიფრა ძველი ქართულის უმთავრესი მსოფლმხედველობრივ-სარწმუნოებრივი ლექსიკა და ნანახით აღფრთოვანებულმა დაწერა „ქებაი და დიდებაი“, თან თავისი ხელნაწერი იმავე შიფრით დაშიფრა (ანუ ჰემატრიით), რითაც თვითონ გაშიფრა ძველი ქართული.

იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი“ გაშიფვრის საერთო დასკვნა: 1. ყველა სხვა ღირსებებთან ერთად, რომელიც იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ აქვს, იგი გვევლინება, იქამდე არსებული და მისგან აღდგენილი ქართული ჰემატრიის (გემატრიის) ფუძემდებლურ ძეგლად; 2. ხელნაწერის კულმინაციური სტრიქონი „და სასწაულად ესე აქუს ოთხმეოც და ათოთხმეტი...“ ქართული (უზუსტესი) კალენდრის შიფრია, რომელიც 1980 წელს ენათმეცნიერებმა ანბანში ამოიკითხეს, ახლა იგივე კალენდარი მიკვლეულია უკვე ქართულ სიტყვაში. თანაც აბსოლუტურ იდენტურობასთან, ანბანური და სიტყვისმიერი კალენდრების ყოველმხრივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე. მიგნებულია კალენდარული განვითარების მწყობრი, ლოგიკურად მთლიანი, ლექსიკურად სარწმუნოებრივი გარდატეხის ამსახველი სქემა; 3. ქართული რწმენისა და ენის საგალობელის – „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ საიდუმლო მექანიზმი გახსნილია. შიფრის თანხვედნილი და ლოგიკურად ერთიანი სისტემა სრულიად გამორიცხავს სხვა კერძო ამონახსნის არსებობის შესაძლებლობას და არა მარტო ჰემატრიის ქრილში; 4. წინარექართულმა ცივილიზაციამ დიდწილად განსაზღვრა ქრისტიანობის პირველი ისტორია და დასავლური ცივილიზაციის დღევანდელი სახე.

პრაქტიკული შედეგები: 1. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრი გემატრიაა (ჰემატრია); 2. ქართული ჰემატრია არსებობს, ე.ი. ქართულ ენაში არსებობს დაშიფრული სიტყვები. 3. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერში დაშიფვრის მეთოდის (ჰემატრიის) არჩევის მიზეზი ქართული ჰემატრიის კვალზე გამიფრავის დაყენება იყო; 4. ქართულში მიგნებულია ასტრონომიული ინფორმაციის მომცველი სიტყვების მთელი სიმრავლე; ძველი ქართულის უმთავრესი სარწმუნოებრივი და მსოფლმხედველობრივი ლექსიკა ღვთის ნებით, ნათელხილვით, იმდროინდელი სიბრძნის გათვალისწინებითაა შექმნილი, ე.ი. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის შიფრის გამოყენებით მიგნებულია ქურუმთა (ღვთიშვილთა) ფარული ენის ნაშთები ქართულში; 5. ქურუმთა (ღვთიშვილთა) ფარული ენა ჰემატრიული ენაა; 6. პირველი ჰემატრიული სიტყვის და ასტრონომიულად არსებული (და დათარიღებული) ცის სურათის ურთიერთშედარება საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქართული ანბანის შექმნის პერიოდი; 7. ქართული ანბანი თანამედროვე სახით (სახელდებებით, რიცხვ-მნიშვნელობებითა და დალაგებით) ძვ.წ.აღ. 2200 – 1000 წლების პერიოდშია შექმნილი; 8. იოანე-ზოსიმეს ხელნაწერის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ გაშიფვრის შედეგების გათვალისწინებით წინარექრისტიანული საქართველოს ისტორია თავიდანაა გადასაწერი.

თურქეთში – ჩვენაზურაბთან

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ჩვენს ქვეყანასა და თურქეთს შორის დამკვიდრებული კეთილმეზობლობა, თურქეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან საუკუნეების მანძილზე განყვეტილი ურთიერთობის აღდგენა-განმტკიცებაზეც ახდენს არსებითად კეთილისმყოფელ ზეგავლენას. სწორედ ამ ურთიერთობის დიდმნიშვნელოვან მონაპოვრად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს დღეს ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევისა და ბიუროკრატიულ სირთულეთა გარეშე შეუძლია როგორც თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული ისტორიული ძეგლების მონახულება, ისე ამ ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ეთნიკურ ქართველთან კავშირის დამყარება.

ქართველები კი დღევანდელი თურქეთის რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ ამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უაღრესად დინამიკურ და უსწრაფესად განვითარებად პროცესში. ნათქვამის დასტურად აქ ვფიქრობ, თუნდაც იმ ფაქტის ხაზგასმაც იქნება საკმარისი, თურქეთის ამჟამინდელ უმაღლეს ხელისუფლებაში საკმაოდ მრავლად არიან ეთნიკური წარმომავლობით ქართველი მოქალაქეები. ხსენებული მოვლენა გამონაკლის შემთხვევას არ წარმოადგენს და თურქეთის სახელმწიფო მოღვაწეთა კოჰორტაში ქართული ფესვების მქონე მაღალჩინოსნებს ყოველთვის ეჭირათ გამორჩეულად მნიშვნელოვანი პოსტები (მინისტრებისა, გუბერნატორებისა, ქალაქების მერებისა, უმაღლესი სასულიერო პირებისა...).

პირველ ყოვლისა სწორედ ჩვენს ქვეყნებს შორის ბოლო ხანს დამკვიდრებული ზემოთ აღნიშნული კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა გახდა საფუძველი იმ იდეისა, რომლის უმთავრესი მიზანიც თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებთან (როგორც იქაური ქართველები უწოდებენ ხოლმე თავიანთ თავს) სარფის კარის გახსნის შემდეგ აღდგენილი კავშირების შემდგომი განმტკიცებისა და გაღრმავების საქმეში ჩვენც, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ერთ ჯგუფსაც, შეგვეტანა ჩვენი მოკრძალებული ნვლილი.

პირველები, ვისაც ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელებაში მონაწილეობის მიღება ვთხოვე, უნივერსიტეტთან არსებული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფ. ტარიელ ფუტყარაძე და ქუთაისის რეგიონული ტელეკომპანია „რიონის“ გენერალური დირექტორი, პროფ. თამარ (თამილა) ღვინიაძე იყვნენ. ხსენებული იდეის პრაქტიკული განხორციელების პროცესში ბატონი ტარიელის ჩართვა არსებითად განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი მეცნიერული და პრაქტიკული საქმიანობის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად თურქეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი სამყაროს შესწავლაა ქცეული. რაც შეეხება ქალბატონ თამილას, პროექტის რეალური ხორცშესხმის დროს მისი უმთავრესი საქმე თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურებზე დოკუმენტური ფილმების შექმნის ორგანიზება უნდა გამხდარიყო.

დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მკვიდრობა უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის ისტორიის ორმა მოვლენამ განაპირობა არსებითად: ძირითადად ქართველებით დასახლებული რეგიონების მოქცევამ მეზობელი ქვეყნის შემადგენლობაში და მუჰაჯირობის შემდეგ (1828-29 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროიდან დაწყებული 1921 წლამდე) საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი ქართველის აყრა-გადასახლებამ თურქეთში.

საუკუნეთა მანძილზე უცხო სახელმწიფოში მკვიდრობის მიუხედავად, ხსენებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა არც თუ მცირე ნაწილმა მაინც შეძლო წინაპართა ენისა და ადათ-ტრადიციების შენარჩუნება. თუმცა გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ურბანიზაციის პროცესის ფართოდ და მასშტაბურად განვითარებამ, რასაც შედეგად მშობლიური ადგილებიდან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დიდ სავაჭრო და ეკონომიკურ ცენტრებში გა-

დასახლება მოჰყვა, თურქეთში მცხოვრები ქართველების ეროვნული თვითმყოფადობაც დააყენა რეალური საფრთხის წინაშე.

გარდა ტერიტორიულად უშუალოდ საქართველოს მიმდებარე რეგიონებისა, ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი დღესდღეობით ქვეყნის სხვა რეგიონებშიც (სტამბოლი, ანკარა, ბურსა, ინეგოლი, სამსუნი, სინოპი, ფაცა, გირესუნი, ორდუ, უნიე, ტრაპიზონი, იზმითი, ადაფაზარი, ამასია, დუზჯე, გებზე, გოლჯუკი, ხენდეკი, იზმირი, ადანა, საკარია, მარმარილოსა და ხმელთაშუა ზღვების სანაპიროები...) ცხოვრობს კომპაქტურად.

ხსენებულ რეგიონებში ქართული მოსახლეობის ფართოდ დამკვიდრების პროცესისთვის ხელშემწყობ უმთავრეს ფაქტორად პირველ ყოვლისა მუჰაჯირობა იქცა. ფაქტობრივად, თითქმის მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მეტ-ნაკლები ინტენსივობით განხორციელებული ამ ტრაგიკული მოვლენის შედეგად, საქართველოდან თურქეთში გადასახლებულ ქართველთა უდიდესი ნაწილი აჭარიდან იყო. ბევრი სოფელი მაშინ თითქმის მთლიანადაც კი დაიცალა მოსახლეობისაგან.

ბევრი მუჰაჯირი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ მშობლიურ ფუძეს ისინი მხოლოდ დროებით ტოვებდნენ და მალევე დაბრუნდებოდნენ უკან. მაგრამ ოსმალეთში გადახვეწილნი სულ სხვა რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ – რუსეთის იმპერიის ძალადობრივ პოლიტიკას სამშობლოდან თურქეთში იმის იმედით გამოქცეულნი, რომ ამ ქვეყნის ხელისუფლება წინასწარ დაპირებულ მფარველობასა და მზრუნველობას არ მოაკლებდათ, სრულიად უსახსროდ და ულუკმაპუროდ დარჩნენ.

ერთ-ერთი ქართველი მუჰაჯირის შთამომავალი ამ ტრაგიკულ მოვლენას შემდეგნაირად იხსენებს: „თურქიეში, ოსმანლიში, წამოსულ ხალხსა ეგონენ, კიდო გადმულთ საქართველოშიო. ამა რუსებმა კარები დააყაფანეს, კინის ფერდე ააფარეს. ჩიტმა ველარ გადმოუფრინდა ბილა აქეთ. მე ბალვი ვიყავ, თქვენიდან გადმოსულები რომე იტირებდენ ბათუმის მოგონებაზე, ჰალადვენ (დღემდე – ა. ნ.) მახსოვს. სულ ტიროდნენ: – ეი, კიდი, მემლექეთო, შორიდან ვიციცქირებით, ველარ გნახეთო“ (ნერილში დამონმებული ციტატების უმეტესობა ამოკრებილია შ. ფუტკარაძის ნიგნიდან „ჩვენებურების ქართული,“ ბათუმი, 1993 წ.).

როგორც ჩვენებურების საუბრებიდან ნათლად ჩანს, თაობებისათვის ეროვნულ ტრაგედიად ქცეულ ამ მოვლენას მუჰაჯირ ქართველთა დღევანდელი შთამომავლებიც ხშირად იხსენებენ უდიდესი გულისტკივილით. მშობელ ქვეყანასთან სამუდამო განშორებით გამონვეული ამ უმწვავესი ტკივილის ანარეკლი მათი ზეპირსიტყვიერების არაერთმა ნიმუშმაც შემოგვინახა ემოციურად შთამბეჭდავი ფორმით. მაგალითად, ერთ-ერთ ხალხურ ლექსში ეს ტკივილი ასეთი სულისშემძვრელი ფორმითაა გამოხატული:

**ავდგეთ, ნევდეთ მუჰაჯირათ, რა ლამაზი დარიაო,
ჩუენ გემში რო ჩაჟუდებით, ჩენი გული კდარიაო.**

დიდი მემლექეთისადმი სიყვარულის ეს უწმინდესი და უძლიერესი გრძნობა ქართველმა მუჰაჯირებმა თავიანთ შთამომავლობასაც რომ გადასცეს მემკვიდრეობით, ეს საქართველოზე მათი ემოციური ნაუბრებიდანაც თვალნათლივ ჩანს. მიუხედავად იმისა, რომ წინაპართა სამშობლო ქართველი მუჰაჯირების მემკვიდრეებს თვალთაც კი არ ჰქონდათ ნახული (დამონმებული საუბრების უდიდესი ნაწილი სარფის კარის გახსნამდეა ჩანერილი), ისინი უნახავადაც კი თავდავინწყებით იყვნენ შეყვარებულნი მასზე. ამ სიყვარულის განმამტკიცებელ უმთავრეს ძალად პირველ ყოვლისა ის ნოსტალგიური და რომანტიკული საუბრები იყო ქცეული, რითაც მშობლიური ქვეყნიდან სამუდამოდ აყრილ-გადახვეწილი ქართველები იხსენებდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოს.

მაგალითად, ერთ-ერთი ქართველი მუჰაჯირის შთამომავალი თავისი წინაპრებისაგან გენეტიკურად გადაცემული სიყვარულის ამ უწმინდეს გრძნობას – საკუთარი თვალთა ჯერაც უნახავი სამშობლოსადმი შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩუენი ძუელების ნათქუამი სოფლების სახელები მახსოვან... ბითთუმ (მუდამ – ა. ნ.) იქვრობა მაგონდება, ბაბუას ბაბუას ადგილები მენატრება. მე იქა ვთვლი ჩემ თავსა... გურჯები გვენატრებიან, ჰადქი (თითქოს – ა. ნ.) და-

ძმანები ვართ. გვიყუარან უდღუნახველი ძმები. გულით გევხსნებით, იმა რომ დევნახავთ.“

როგორც ჩვენებურების ნაუბრებიდან თვალნათლივ ჩანს, პირველ ყოვლისა სწორედ თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი ქართველი მუჰაჯირებისა და მათი შთამომავლების ასეთი ფანატიკური და დაუცხრომელი სიყვარული წარმოადგენს იმ დიდი ნოსტალგიის უმტკიცეს საფუძველს, რასაც ბევრი მათგანი გამოხატავს ხოლმე ძალზე ხშირად უმძაფრესი ემოციური ექსპრესიით. მაგალითად: „ხეები რომ კალმათ იქცენ, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – ზღუები რომ მელნათ იქცენ, ჩემ დერდს ვერ დასწერს.“

მიუხედავად დედა საქართველოსადმი ჩვენებურების ამგვარი დაუცხრომელი სიყვარულისა, მათი დიდი ნაწილი იმდენად შეეგუა და შეესისხლხორცა თავის ახალ სამშობლოს, რომ იქიდან აყრასა და უკან, წინაპართა ნაფუძვარზე, დაბრუნებას უკვე აღარ აპირებს. ამას ბევრი მათგანი იმით ხსნის, რომ თურქეთში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, ამ ქვეყნისთვის მათ არასოდეს უღალატიათ და მისი „მინები მათი დედიების სისხლითაცაა მორწყული.“ „ამიტომაც არ უნდათ მათ იქიდან აყრა და „გურჯისტანში დაუდომა. „ჩუენ აქნა ვიყოთ, – ამბობენ ისინი, – სხუას არ დუუტევთ ჩუენ დედიების სისხლით მორწყულ მინასა. ჩუენ გვინდა, რომე ჩუენ აქ კარგად ვიყოთ, თქუენ იქა კარგად იყოთ, ერთმანებთან გედევდეთ-გადმოვდეთ, კაი მეზობლობა ვქნათ...“

ჩვენებურების მონათხრობში არაერთგზის ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ გურჯები დღესდღეობით „თელ თურქედში არიან მოთესილი და სინათლეს აძლევენ თურქედესა.“ კერძოდ, დღევანდელ თურქეთში არსებული ვილაიეთებიდან „გურჯი ჰამანაქი (თითქმის – ა. ნ.) ყუელგან არი. თხუთმეტში არ იქნება მარტო.“

მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, დღევანდელი ჩვენებურების უდიდესი ნაწილის წინაშე რეალურად დგას ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების პრობლემა. თავად მათივე განმარტებით, ეს გარემოება პირველ ყოვლისა იმითაა განპირობებული, რომ ისინი ძველებურად კომპაქტურ ცხოვრებას უკვე ნაკლებად ახერხებენ. მაგალითად, აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი: „ერთი ნათქუამია: ყურძენი ყურძენსა შეხედავს და გამავდებო. ჩუენც ისე ვართ. თურქებში გავერიეთ და გავშავდით, ასიმილა გავხდით.“

– ჩუენ რატომ დევკარგეთ, იცი? ჩუენ ახლა დაპანტული ვართ, იმისთვინ ასეა. ჩუენ აქ გამოველით, ადაფაზარ დავჯექით, ზოგმა ბურსას დაჯდა, ზოგმა – იზმირ, ზოგმა – გირესუნ, ზოგმა – ჰად და ზოგმა – ჰად დევპანტეთ. ერთ ადგილში არ ვართ, რომე ერთმანებ გურჯიჯა ველაპარაკოთ. ლაპარაკი დაგვაგინწყდა. სიმღერა აღარ ვიციით.“

ეროვნული გადაგვარების ამ მოვლენით შეწუხებული და გულნატკენი ბევრი ჩვენებური შეძლებისდაგვარად ცდილობს ასიმილაციის პროცესს წინ აღუდგეს, თავისი ეროვნული იდენტობა დაიცვას და მშობლიური ენა და წინაპართა ადათ-ტრადიციები შეინარჩუნოს. მაგალითად, სალხინო სუფრების გამართვის დროს ჩვენებურთა ნაწილი უპირატესობას ქართულ მოლხენას ანიჭებს. „ქორწილ რომ ვიქთ, – ამბობს ერთ-ერთი მათგანი, – სულ გურჯულა, სულ ქართულა არი ყუელამფერი, სიმღერა, ლაპარაკი, ადეთები.“

ეროვნული ტრადიციების დაცვა-შენარჩუნების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში წინაპართა მიერ დამკვიდრებული სახალხო დღესასწაულების ფართოდ აღნიშვნაც წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს იმერხევში ყოველი წლის აგვისტოში გამართული მარიამობის დიდი დღესასწაული, რომელსაც თურქეთის სხვადასხვა კუთხეებიდან მრავლად ჩასული ქართველებიც ესწრებიან.

ამგვარ სახალხო ზეიმებზე ყველაზე მეტ სიყვარულსა და პატივისცემას პირველ ყოვლისა ის ადამიანები იმსახურებენ, რომლებიც ქართული სიმღერებითა და ცეკვებით ისახელებენ თავს. მაგალითად, აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ჩვენებური: „შუანთობაზე იტყოდნენ გურჯულ სიმღერეფს. თენზილასი ანაი იმღერებდა გურჯულ სიმღერებს. შამუყყვირებდა იმფერ ვორირამას, რომე ტანში გაგაკანკალებდა.“

საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის გადარჩენისა და შენარჩუნების მიზნით, რამდენა-

დაც ვითარება ამის შესაძლებლობას აძლევთ, ჩვენებურები ერთად, კომპაქტურად, ცხოვრების შენარჩუნებასაც ცდილობენ და ერთმანეთზე თხოვა-გათხოვების წესის დაცვასაც. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, „ჩვენ ენა რომ არ გამეიცვალოს და არ დაგვაინყდეს, სხუა ხალხსა, ქართულის გარდა არ ვუშვებთ ჩვენ სოფლებში. არ ვუშვებთ ქი, სისხლი არ გამეიცვალოს, ენამ არ გამეიცვალოს. სოფელში რომ დააჟღელეფ (დაასახლებ – ა. ნ.) სხუა მილეთის კაცსა, ია გოგონა ითხოვ მისი, ია ბიჭუნა დააქორწილო იმიდამ. ამიტომ არ ვუშვებთ ქი ში სოფელში.“

მეორე ჩვენებური კი ამბობს: „მეზელულში (სასაფლაოზე – ა. ნ.) ვიტირეფ სხუა სისხლის ქალი რომ მეიყუანონ და სახლში ალაჟღნონ. სახლში დავალპოფ პრატ (ქალიშვილს – ა. ნ.) გუუთხუარსა სხუა სისხლის ინსანსა (ადამიანსა – ა. ნ.) არ მივცემ.“

ერთ-ერთი სტამბოლელი ჩვენებურის თქმით, უმთავრესი სიძნელე, რაც მათ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების გზაზე ელობებათ წინ, ერთმანეთისაგან განცალკევება და არაქართულ გარემოში ცხოვრებაა. „თქვენ საქართველოში ხართ, რა გიდარან. რუსი ბევრ ვეეფერ დაგმართვეს. ჩვენ გვეშველება თვრემ? აღარც თურქი ვართ, აღარც გურჯი.“

ბევრი ჩვენებური უდიდეს გულისტკივილს გამოთქვამს იმის გამო, რომ ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა შედეგად, წინაპრების მიერ მიტოვებულ ეროვნულ ტრადიციათაგან დროთა განმავლობაში ბევრი რამ დაიკარგა და გადასხვაფერდა არსებითად. მაგალითად, თუ რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი მათგანი: „დედოფალი მეიყუანეს კარზე. უკრენ მუზიკას. ქართულათ აღარ იციან მღერა. მღერიან თურქჩაზე. თურქებმა ეს სიმღერა არ იციან. გურჯების სიმღერა თურქჩაზე გადატანილი.“

ჩვენებურების მონათხრობში გამორჩეულად მნიშვნელოვან წვლილსაც არაერთგზის ესმება ხაზი, რაც თურქეთში მცხოვრებ ქართველებს აქვთ შეტანილი მათ მეორე სამშობლოდ ქცეული ქვეყნის ისტორიაში. მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის თქმით, „ჩვენ თურქეთლების პირველი ხალხი ვართ იქა... ჩუნა რომე თურქეთის პირველი ხალხი ვართ, ეს იციან ყუელამ აგერაქა. ჩუენი დერნეგები (გაერთიანებული – ა.ნ.) გუაქ... ერთმანეფზე მოხმარება არი... ასე ვიკავეფთ ერთმანეფსა...“

ოდაში თუ ვჟდავართ და გურჯი შამოიდა, სელამის მიცემაზე ფეხზე ავდგებით. ამას თურქეთში ხედვენ და თვითონაც დგებიან ფეხზე, გურჯი კაცი, დიდი კაცი შამოვდაო.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსაკუთრებულ პატივისცემას პირველ ყოვლისა იმ გურჯების მიმართ იჩენენ, რომლებიც თავიანთი ეროვნული მოღვაწეობით გამორჩეულ პიროვნებებს წარმოადგენდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი სიყვარულითა და ავტორიტეტით ახმედ ოზქანი (მელაშვილი) სარგებლობდა, თავისი ქართული საქმიანობის გამო მთელ თურქეთში ფართოდ პოპულარული დიდი მამულიშვილი, რომელიც თურქმა ტერორისტებმა ბარბაროსულად მოკლეს 1980 წელს მისი აქტიური ეროვნულ-მამულიშვილური მოღვაწეობის გამო.

სწორედ ახმედ მელაშვილისა და თურქეთში მოღვაწე სხვა ქართველ მამულიშვილთა დამსახურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მოყოლებული, ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ არაერთ რეგიონში, ქართული სათვისტომოებიცა და კულტურის კერებიც შეიქმნა. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფართო მასშტაბები საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფართოდ აღზევების შესაბამისად შეიძინა. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თურქეთთან კეთილმეზობლური კავშირურთიერთობის დამყარებისა და ადრე არსებული სასაზღვრო ბარიერების მოშლის შემდეგ კი ეს პროცესი კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

სამწუხაროდ, არაქართულ გარემოში საუკუნეების განმავლობაში ცხოვრების გამო ჩვენებურების მნიშვნელოვანი ნაწილი მშობლიურ ენაზე უკვე საერთოდ ვეღარ საუბრობს, ქართულად მოსაუბრეთა ენა კი იმდენად შეიცვალა და გადასხვაფერდა, რომ საქართველოსა და თურქეთში მცხოვრები ქართველების მეტყველება ხშირ შემთხვევაში არსებითადაც განსხვავდება ერთმანეთისაგან.

ჩვენებურების მართებული დაკვირვებით, ამ სამწუხარო მოვლენამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბები გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან, ურბანიზაციის პროცესში ჩვენი თანამემამულეების აქტიური ჩართვის შემდეგ, შეიძინა. ქართული ენის არცოდნა, სხვა გარემოებასთან ერთად, იმანაც განაპირობა, რომ ქართული სკოლების არარსებობის გამო, თურქეთში მცხოვრებ ქართველებს შორის ქართული წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელი იყო და არის.

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები განსაკუთრებით უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ ენობრივი თვალსაზრისით ისინი ნახევარი საუკუნის წინათ გაცილებით უკეთეს დგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვიდრე დღეს არიან. მათი თქმით, „მოზდაათი წლის წინ სუფთა იყო ქართული ენა ჩუენისა. ოქულეთი (სკოლები – ა.ნ.) რომ გეიხსნა, თურქქა შემოვიდა. ბაღნები თურქულს სწავლობდნენ ოქულეთში და გურჯიჯას აღარ ეტანებიან. ნორეთ აღარ მივა საქმე.“

ზოგიერთი ჩვენებურის შეფასებით, ამ მოვლენის გამო ჩვენი ენის გავრცელების არეალი დროთა განმავლობაში იმდენადაც კი შემცირდა, რომ იგი რეალურად დადგა შენარჩუნება-არ-შენარჩუნების საშიშროების წინაშე. „ჩუენი ეშები (ტოლები – ა. ნ.) რომ წავიდნენ ამ დუნიიდან (ქვეყნიდან – ა.ნ.), დარჩენილები გურჯიჯას აღარ ილაპარაკებენ.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ამგვარი გულმტკიცენუელი საუბრები მშობლიური ენის გადარჩენა-შენარჩუნებასთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზე არა მარტო იმიტომაც საინტერესოა, რომ მკითხველს ამ თვალსაზრისით იქ არსებულ სინამდვილეზე ექმნება ზუსტი წარმოდგენა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ ჩვენებურების ერთი ნაწილი შექმნილ ვითარებაზე შეგუებას არ აპირებს და ამ პრობლემათა მოსაგვარებელი გზის მოძებნასაც ცდილობს შეძლებისდაგვარად.

მაგალითად, ბურსას ვილაიეთში მცხოვრები ერთ-ერთი ჩვენებური, მისი და მისი თანამემამულეების რომანტიკულ სიყვარულს, დიდი მემლექეთისა და მშობლიური ქართული ენისადმი, შემდეგნაირად გამოხატავს: „ჩემი ანადილი (დედაენა – ა. ნ.) გურჯია. არ დავკარქავთ გურჯის ენასა. წინიებზე მიველ ოქულში (სკოლაში – ვუთხარ ორეთმენსა (მასწავლებელსა – ა. ნ.) ჩემი დედეი რომ მემლექეთ მეიგონებდა, ერთ ჰავთას (კვირას – ა. ნ.) იტირებდა, შუიდ დღე იტირებდა, კერაზე მიდებდა თავსა და იტირებდა... მერმე ანჯახ (ძლივს – ა. ნ.) ადგებოდა, თუალ გაახილებდა. რატომ ტირიო, – ვკითხვედით ბადიშები. – ჩემი მემლექეთი, ჩემი ანაი, ჩემი ძმები მემენატრა და იმიტომ ვტირიო... მეცოდვებოდა ჩემი დედეი.“

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურები თავიანთი ეკონომიკური მდგომარეობის გამო უკმაყოფილებას იშვიათად გამოთქვამენ, ბევრ მათგანს თვალი და გული მაინც საქართველოსკენ მოუწევს და ისტორიულ სამშობლოსთან საუკუნეების წინათ განწყვეტილი კავშირ-ურთიერთობის აღდგენასა და კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას ცდილობს.

საქართველო მათთვის მარადიული ნატვრისა და ოცნების ქვეყანაა, რომელსაც უცრემლოდ და უემოციოდ ვერასოდეს იხსენებენ. მართალია, ქართველ მკვლევართა მიერ თურქეთში მცხოვრები ჩვენებურებისაგან ზემოთ დამონშებული ტექსტების ჩაწერის დროს მათი აბსოლუტური უმრავლესობა წინაპართა ისტორიულ სამშობლოში ფიზიკურად ნამყოფი არ იყო, მაგრამ დიდი მემლექეთისადმი სიყვარულის გრძნობა ბევრი მათგანისათვის მაინცაა ქცეული ცხოვრების სისხლხორცეულ ნაწილად.

როგორც ჩვენებურთა ნაუბრებიდან თვალნათლივ ჩანს, ეს გარემოება პირველ ყოვლისა იმ ცრემლიანმა საუბრებმა განაპირობეს არსებითად, რითაც მათი მამა-პაპანი საქართველოსთან დაკავშირებულ ამბებს იხსენებდნენ გაუთავებლად. იმის გამო, რომ სარფის კარის გახსნამდე საქართველოში სტუმრობაზე ფიქრიც კი აუხდენელი ოცნების საგანს წარმოადგენდა, აქ ნამყოფ კაცთან შეხვედრა მათთვის ფაქტობრივად სანატრელი ქვეყნის ნახვასთანაც იყო გაიგივებული.

მაგალითად, ერთ-ერთი ჩვენებური საქართველოში ნამყოფ მის თანამემამულესთან შეხვედრის დროს თავისი უნახავი ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულს ასეთი ემოციური

ფორმით გამოხატავს: „რომ ვიცოდე ჩუენ ნასახლავებზე ფეხი დიგიდგამს, ფეხის გულეებზე მოგიკითხავთ. მინა ნამოგელო ერთი მუჭა, დემენახა, რანაირი მინაა... სიზმარში ვითამ დედეს სახლში მიველ გოგნიავრზე. ეზოში ჩიჩეგები (ყვავილები – ა. ნ.) იყო ამოსული, წყაროც მოდიოდა ცივი. ჩემი დედი წყალ სუემდა. რომ დიმინახა, ხის საფლი წყლით აამსო, მომცა და მითხრა, ეს ეზო-კარი მენატრებოდა და ძვილაი მუელ აქაო. წყალი ვსვი და გემელვიდა. გერმელი წყალი იყო, სუბუქი. ალადვენ (ჯერ კიდევ – ა. ნ.) გიგვისადოს მემლექეთის ნახვა, იქავრი ცივი წყლების სმა.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების მიერ თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობის ამგვარი სენტიმენტალური ფორმით გამოხატვა ყველაზე მეტად გილს იჭერს მათ ნაუბრებში. მათგან პირველ ყოვლისა ის მუჭაჯირები უნდა გავიხსენოთ, რომელთაც ბედის უკუღმართობის გამო მოუწიათ აქაურობის დატოვება და უცხო ქვეყანაში სამუდამოდ გადახვეწა.

ნათქვამის ნათელსაყოფად, ვფიქრობ, ერთ-ერთი მუჭაჯირის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების გახსენებაც იქნება საკმარისი: „ყუელას მისი ვათანი (სამშობლო – ა. ნ.), მისი მემლექეთი უყუარს, ენატრება... ხანდახან ძილი გამიტყდება და მევიარ ვითანსა ჰაიალში (ოცნებაში – ა. ნ.)... სინდავრზე, ჩემ სოფელში, ბევრი კაკლები იყო... ახლაც იქ მინდა გავლა. ითხმოზდა ხუთი წელიწადი გევდა, აქ ვართ.“

მეორე, 95 წლის, მუჭაჯირი კი ამბობს: „ღამეში მემლექეთში რამდენჯერ მივალ-მოუალ... სიზმარში სულ იქ ვარ. აქავრობა მაიდამაი არ დემესიზმრება. იქავრობას ვყაჟიროფ სიზმარში. მევიარ, ეზოკარ, ჯუმუშავრ გავხედავ, წისქვილში შევალ, მევიარ... ეი, მემლექეთო, მემლექეთო! რაფერ მენატრები! შენ უნახველაი ვკდები ღალიბა (მგონია – ა. ნ.) თუალები ღია დამირჩება, იმა ვჩივი.“

ჩვენებურების ნაუბრები მეტად საინტერესო იმითაცაა, რომ მათში საბჭოთა პერიოდის ჩვენი ყოფისათვის დამახასიათებელი სირთულეებიც ირეკლება თავისებური ფორმით. იმჟამინდელ საბჭოთა კავშირში დამკვიდრებული უმკაცრესი პოლიტიკური რეჟიმის გამო ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, თუკი ამას მოახერხებდა, უცხოეთში გაქცევით შველოდა თავს. ემიგრაციაში წასვლა მაშინ ყველაზე მეტად თურქეთში ფარულად გადასვლის გზით იყო შესაძლებელი. მიუხედავად იმისა, რომ ამის გაკეთება უდიდეს სიძნელეს წამოადგენდა, ბევრი მაინც მიდიოდა ამ რისკზე და საკუთარი სამშობლოდან იძულებით გაქცევით სამუდამოდ წყდებოდა მშობლიურ გარემოსაც და უახლოეს ადამიანებსაც.

იმის ნათელსაყოფად, ამის გაკეთება რაოდენ დიდ ტრაგედიასაც წამოადგენდა არა მარტო ამ ნაბიჯის გადამდგმელი ადამიანისათვის, არამედ მისი ოჯახის წევრებისთვისაც, აქ „ბერიას დრუებს“ გამოქცეული ერთ-ერთი ემიგრანტის ცხოვრებისეულ ტრაგედიასთან დაკავშირებულ იმ ამბებს გავიხსენებ, რომელიც ბურსას ვილაიეთში ჩაუნერია ქალბატონ შ. ფუტკარაძეს:

„ზამანუნდა (ერთხელ – ა. ნ.), ორმოზდაათ წელ უკან, ერთი დემურალაი გადმუახტა აქა. მეგემ (თურმე – ა. ნ.) ქალის ერთათ წასულა ტყეში ნეკრი საკაფავათ. ზარმელზე (სადილზე – ა. ნ.) რომ დამყდარან, ქალისათვის უთქუამს: – ქალოო, ეს ჩუენი ერთათ ბოლო ნეკრი კაფვა არიო, ჩუენი ბოლო ერთათ ყოფნა არიო. მენა გადავხტე სერზე, სინორზე (საზღვარზე – ა. ნ.) და თურქეთშინა გედევდე, აქ აღარ დემედგომილება, დიმიჭირავენო. ბერიას დრუები ყოფილა მეგემ. ხალხ იჭირავდენ...“

– ჩემო თუალის სინათლევ, ჩუენ როის შევხთებით ერთმანებო, – კითხა ქალმა.

– თუარესი თხუთმეტი რომ დადგებაო, მე იქიდან თუარეს შევხედავ თხუთმეტში, შენ აქედან შეხედავ თხუთმეტში და ერთმანებ დევნახავთ მაშინო. ამას მეიგონებდა დემურალ დედი, თუალებიდან ცრემლები წამოდინდებოდა, ჩუენც გვატირებდა.“

თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების ეროვნული მრწამსის გასააზრებლად საინტერესო მასალებს ვხვდებით მათი პოეტური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებშიც. მიუხედავად იმისა, რომ თავიანთი მხატვრული ღონით ისინი ოდნავადაც კი ვერ შეედრებიან ქართული ხალხური პოეზიის ფართოდ ცნობილ ქმნილებებს, ჩვენებურების ეროვნულ-პატრიოტულ

გრძნობათა გულწრფელად გამომხატველი ეს ლექსები მკითხველზე გარკვეულ ეფექტს მაინც ახდენენ და ყოველგვარი შელამაზებისა და სიტყვიერი არტისტიზმის გარეშე წარმოაჩენენ მათ სიყვარულს „ნატრულ სამშობლოდ“ სახელდებული დიდი მემკლექეთისადმი.

თურქეთში მცხოვრები ქართველების პოეტური ზეპირსიტყვიერება მეტად საინტერესო იმ შეფასებებითაცაა, რასაც ჩვენი მაჰმადიანი თანამემამულეები საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ეროვნულ და რელიგიურ მოღვაწეობას აძლევენ. მაგალითად:

**შენ, ჩვენი რწმენის ამშენებლო კათალიკოსო,
შენ განათლებულო ქართლის უმფოსო,
ჩვენ ღმერთს ვებვნებით, წმინდა გიორგის დაგამსგავსოსო...
შენს საქებლად ჩემი ენა ვერ შეწვდება,
აქედან უნდა გაკოცო ხელზე, ჩემი გონება მაქ ვერ მოწვდება.
ღმერთის მოციქულო, ჩემგან ბოდიში,
ვერ მივხვდები და სიტყვა დამოცდება,
შენზე მოცემული ღმერთის ჭკუით და მიხდენილობით
მკვდარიც ფეხზე წამოდგება.**

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის განსადიდებლად აღვლენილ ამ პოეტურ ხოცბასში მისი უცნობი ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას პირველ ყოვლისა იმ როლს მიაპყრობს, რომელიც ილია მეორემ ცხრა აპრილის სისხლიანი ტრაგედიის პერიოდში შეასრულა განსაცდელისაგან ჩვენი ხალხის დასაცავად. მისი შეფასებით, პატრიარქი ღვთისგან მოვლენილი ის ადამიანია, რომელსაც „ტალახში დარჩენილი საქართველოს“ გადარჩენა შეუძლია:

**შენ ცხრა აპრილში ხალხის ერთად დაჯექი ქუჩაში,
შენ თურქეთიდან მადლობას გიგზავნით, თუ მოაწვეს სიტყვაში,
გვჯერა შენი დიდობა, ჭკუა ავსილი გაქვს შენ თავი,
შენ უნდა გადაარჩინო საქართველო, თუ არა დარჩენილია ტალახში.
საქართველოს ახლა ჭირია შეკავშირება და ერთობა,
ჩვენ ძმანები ვართ, არ იქნება აფხაზობა, ოსეთობა, აჭარლობა,
გვჭირია ჩვენ ჩვენი სახელმწიფო და თავისუფლება...**

როგორც ითქვა, ჩვენებურების ეროვნული თვითშეგნების განმტკიცებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და სარფის კარის გახსნამ მოახდინა. ამ მოვლენების შემდეგ მათ არა მარტო საქართველოში შეუზღუდველად ჩამოსვლის შესაძლებლობა მიეცათ, არამედ ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესში აქტიური მონაწილეობის მიღებისაც.

ვიდრე ჩვენს ექსპედიციას თურქეთში შესვლის უფლებას მისცემდნენ, თურქ მესაზღვრეებთან პირველი და უკანასკნელი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდა. იმის გამო, რომ ჩვენი მიკროავტობუსის მძღოლს რეზო კანდელას თურქეთის რომელიმე ტურისტულ კომპანიასთან შეღშეკრელება არ ჰოქნდა გაფორმებული, მას თავისი მიკროავტობუსით თურქეთში შესვლაზე უარს ეუბნებოდნენ. ამ ბარიერის გადალახვა იმდენადაც კი გაძნელდა, რომ მისი მოგვარება მხოლოდ თურქული საბაჟოს უფროსის აქტიური ჩარევის შედეგად გახდა შესაძლებელი. ანკარის შესაბამის სამსახურთან დაკავშირებისა და იქიდან თანხმობის მიღების შემდეგ საბაჟოს უფროსმა სასაზღვრო ჭიშკრამდე გამოგვაცილა, გზა დაგვილოცა და წარმატებები გვისურვა.

ეს, ერთი შეხედვით, უბრალო ბიუროკრატიული ეპიზოდი მე აქ მხოლოდ იმის ნათელსაყოფად გავიხსენე, როგორ საიმედოდ იცავს ჩვენი მეზობელი ქვეყანა არა მარტო თავის საზღვარს, არამედ მის სამომხმარებლო ბაზარსაც და სამუშაო ადგილებსაც. სხვა ქვეყნიდან ავტობუსების შესვლაზე ამგვარი შეზღუდვების დაწესებით თურქები პირველ ყოვლისა თავიანთი სატრანსპორტო სამსახურის წარმატებულ საქმიანობას უწყობენ ხელს.

საუკუნის მხედრობა ვანში

ქართული საზოგადოების დიდმა ნაწილმა კარგად იცის ვანის უძველესი ისტორიის, მისი წარსულის შესახებ. მართლაც და იმერეთის ამ პატარა კუთხეში კარგად შემოგვინახა ისტორიის გაუხუნარი საინტერესო ფურცლები, რომლებიც ღალადებენ ნეოლითიდან დღემდე უძველეს ადამიანთა ნამოქმედარს, კულტურისა და ხელოვნების სწრაფვას დიდი ცივილიზაციისაკენ. მათი მოქმედებები, მსოფლიო კულტურის დიდ შემოქმედებით ნაწილს წარმოადგენს, რაც ღრმა ინტერესს იწვევს მსოფლიო საზოგადოების წინაშე. ამ გათხრებმა, აღმოჩენებმა, ვანში ჩატარებულმა მსოფლიო არქეოლოგთა სიმპოზიუმებმა, თავისი სიტყვა თქვეს საქართველოს ისტორიის, არაერთ, აქამდე უცნობ საკითხთა კვლევისა და დაზუსტების საქმეში, რომ საქართველო მსოფლიო უძველესი ცივილიზაციის სათავეებთან მდგომი და ცივილიზაციის რენესანსის მესაძირკვლე ქვეყანაა, ხოლო ქართველობა ამ უძველესი ცივილიზაციის შემქმნელი ხალხია და მსოფლიოს საზოგადოების წინაშე თავისი ვალი აქვს მოხდელი, რომელსაც აღიარება და შენახვა-დაფასება სჭირდება.

ასეთმა ინტერესმა განაპირობა შექმნილიყო იმერეთის ამ პატარა კუთხეში პირველი არქეოლოგიური მუზეუმი. მუზეუმის დაფუძნების იდეა აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძეს ეკუთვნის, რომელმაც ამ ხანგრძლივი ჩანაფიქრის გამოტანა შეძლო 1983 წელს ვანის რაიონში, საქართველოს მაშინდელი პირველი ხელმძღვანელის ედუარდ შევარდნაძის სტუმრობისას, რომელსაც საკითხის დადებითად გადაწყვეტა მოჰყვა. არქიტექტორ გიორგი ლეჟავას პროექტის მიხედვით 1983 წელს დაიწყო იმ დროისათვის საკმაოდ ორიგინალური და ტევადი მუზეუმის მშენებლობა, რომელიც 1985 წელს იქნა დასრულებული, მუზეუმის გახსნა დაემთხვა „შავი ზღვისპირეთის პრობლემებისადმი მიძღვნილ მსოფლიო არქეოლოგთა III სიმპოზიუმს, რომელიც წყალტუბოში გაიხსნა და შემდეგ მუშაობა ვანში გააგრძელა. ამ სამეცნიერო ფორუმის ჩატარებისათვის ვანში ყველა პირობა იყო შექმნილი, მათ შორის სტუმართა განსათავსებლად ახლადდაგებული სასტუმროც.

მუზეუმის გახსნას ესწრებოდნენ უცხოელი და ქართველი მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მაშინდელი საქართველოს უმაღლესი სახელისუფლებო წარმომადგენლობა და ისტორიით დაინტერესებული პირები, მათ შორის პეტერბურგის ერმიტაჟის დირექტორი, აკადემიკოსი ბორის ბორისის ძე პიოტროვსკი, რომლის დასწრებაც იმ პერიოდისათვის ძალიან დიდ პატივს წარმოადგენდა სამეცნიერო სამყაროსათვის.

საპატიო ლენტის გაჭრა მუზეუმის ოფიციალური გახსნისათვის საქართველოს რესპუბლიკის მაშინდელ პირველ ხელმძღვანელს ბატონ ჯუმბერ პატიაშვილსა და ბორის პიოტროვსკის ერგო წილად და პირველი დამთავარიელებლებიც ბატონ ოთარ ლორთქიფანიძესთან ერთად ისინი აღმოჩნდნენ.

მუზეუმის გახსნისათვის თაობები მაღლიერებით და პატივით უნდა იხსენიებდეს იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც მუზეუმის შექმნის, მისი დაფუძნებისა და სრულყოფისათვის ლომის წილი გაიღეს და ამით ეროვნული მნიშვნელობის საქმე დააგვირგვინეს. ინდივიდუალური ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ თაობებმაც უნდა იცოდნენ, რომ მასში ჩართული იყო ვანის რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელობის მთელი გუნდი ნოდარ ანდრიაძის ხელმძღვანელობით. აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ამ მუზეუმს ანალოგი არ გააჩნდა იმ დროინდელი კავშირის მასშტაბით და თუ გნებავთ ევროპაშიც, რადგანაც იგი წარმოადგენდა მხოლოდ ერთი რაიონის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ექსპონატების სადემონსტრაციო სივრცეს, თავისი კვლევისათვის დამხმარე სათავსოებითა და საშუალებებით.

დროს თავისი მიაქვს, აღმოჩენების რეზონანსულობამ და ინტერესმა დღის წესრიგში დასვა დროსა და ახალ მოთხოვნათა შესაფერისობაში მოქმედი, ახალი მუზეუმის შექმნა, თუმცა, როგორც ადრე ვწერდით ეს პროცესი რამდენადმე პოლიტიკური დაპირისპირების გავლენის ქვეშ

მოექცა და საბედნიეროდ, სადღეისოდ, ეს პრობლემა მოხსნილია. სამუშაოები დაიძრა, რომელიც საბოლოო ვარიანტით გამოინვევს ვანის უნიკალური გათხრების არა მარტო ტურისტულ მარშუტში ჩასმას, არამედ მიმდებარე ტერიტორიის ინფრასტრუქტურის საფუძვლიან ცვლასაც.

გასული 2015-2016 წლებში დასრულდა მიშენებითი სამსართულიანი ნაგებობის, ხოლო 2017 წლის დასაწყისში დაიწყო ძირითადი სამუშაოები ოთხსართულიანი შენობის მშენებლობა. საამისოდ ძველი შენობიდან საფუძველიც კი იქნა დანგრეული. ახალი პროექტი ითვალისწინებს 8-ბალიან მინისძვრისაგან მის უსაფრთხოებას. მუზეუმში გათვალისწინებულია საექსპოზიციო დარბაზს დაეთმოს 598 კვადრატული მეტრი ფართობი, ორჯერ მეტი წინათ არსებულზე, დროებით გამოფენისათვის – 84მ², რომელიც ძველ მუზეუმს საერთოდ არ გააჩნდა. ყოფილი მუზეუმის საერთო ფართი შეადგენდა 1435მ², ახალის კი განსაზღვრულია 3242მ²-ზე. მინის ნაკვეთი, რომელიც დატვირთული იქნება ტურისტების მომსახურებისთვის შეადგენს 5327 კვადრატულ მეტრს, მუდმივი საფონდო სივრცესა და ლაბორატორიას დაეთმობა 262მ², ბიბლიოთეკას და მედიატეკას – 60მ², საგანმანათლებლოს – 115მ² მოცულობით, საზოგადოებრივ სივრცეს – 50მ².

მუზეუმს მოემსახურება ორი კაფე 111მ², საგამოფენო სივრცის აივანი – 55მ², მაღაზია სუვენირებისა და ბუკლეტებისათვის – 76მ², ეზოს საზოგადოებრივი სივრცე – 800მ² იქნება.

მუზეუმში გათვალისწინებულია ექსპონატების დაცვისა და უსაფრთხო გარემოს შესაქმნელად ტემპერატურული რეჟიმი, მათ შორის მონესრიგდება ბუნებრივი გაზით მომსახურება და საკანალიზაციო სისტემები. უნარშეზღუდულთათვის გათვალისწინებულია გარე პანდუსები, ლიფტი, სველი წერტილები, მუზეუმის სამეცნიერო საქმიანობისათვის გამოიყოფა საკონფერენციო დარბაზი 98 კაცზე.

გათვალისწინებულია ასევე გაზით, საკანალიზაციო და წყლით მომსახურება. ნაქალაქარზე არსებულ ექსპედიციის ბაზისათვის – წყლით უზრუნველსაყოფად ნაქალაქარის გარეთა ნაწილში შენდება 50 ტონიანი აუზი, საიდანაც დაკმაყოფილდება ექსპედიციის ბაზა და მუზეუმი. როგორც ითქვა, მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა 2015-2016 წლებში ნაქალაქარის ძეგლების უსაფრთხოებისათვის.

პირველ ეტაპზე არსებულ ძეგლებიდან დაცვითი სამუშაოები შერჩეული იქნა „კარიბჭის კომპლექსზე“, „მრგვალ ტაძარზე“, მოზაიკურ იატაკიან სამსხვერპლოსა და პირველ უბანზე აღმოჩენილი ბავშვის „ქვყუთი“ სამარხზე, რომლის გადახურვასთან ერთად ჩამოისხა რკინა-ბეტონი, როგორც სამარხის დამცავი კედელი 40-მეტრის სიგრძით 4 მეტრის სიმაღლეზე, გადაიხურა საკულტო ნაგებობა, დამთავრების ფაზაშია მუზეუმისა და ნაქალაქარის დამაკავშირებელი საჰაერო ხიდის რეაბილიტაცია.

დაგეგმილია ძეგლების გადახურვითი პროექტების გაგრძელების შემდეგი ეტაპი, რომელიც ითვალისწინებს ნაქალაქარის მთლიან ტერიტორიაზე არსებულ არქეოლოგიური ძეგლების მოვლა-პატრონობას და მათ ტურისტებისთვის, დამთვალიერებლებისათვის მზადყოფნაში მოყვანას.

მიმდევრულ სამუშაოებზე, რომელიც ითვალისწინებს ძეგლებზე მისასვლელი გზა-ბილიკების დამცავი კედლების, მოსახლეობის ეზოს გასწვრივი ლობებისა და აბრა-ნარწერების სრულყოფას, რომლის მეშვეობითაც ჩამოსული ტურისტები გზამკვლევის გარეშე შესძლებენ ვანის არქეოლოგიურ ძეგლებზე მისვლასა და მისი ისტორიის გაცნობას.

მუზეუმის დასრულებასთან დაკავშირებულია ქალაქ ვანის კეთილმოწყობის მომავალიც. ვანი უნდა იქცეს მუზეუმ-ქალაქად, რისთვისაც მიმდინარეობს უამრავი სამომავლო პროექტების დამუშავება, აქედან მხოლოდ მუზეუმისა და გათხრების დაცვაზე გაიხარჯება 14,5 მილიონი ლარის ფარგლებში.

საერთო მოცულობითი სამუშაოების შესასრულებლად უამრავი თანხების მოზიდვაა საჭირო, რასაც საქართველოს მთავრობა, რაიონის ხელმძღვანელობა, რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი, მსოფლიო ბანკთან, მუნიციპალური განვითარების ფონდთან და ეროვნული მუზეუმის ხელმძღვანელობასთან ერთად დიდი რუდუნებით ანხორციელებს.

მინდა დიდი მადლიერება გამოვხატო მათ მიმართ ვინც იღწვის იმერეთის ამ კუთხიდან საქართველოს ისტორიის გაუხუნარი ფურცლები გადაუშალოს მსოფლიოს საზოგადოებას.

ვანის სასწავლებლები

ეპოქა და განვითარებული მოვლენები, გარკვეული დროის მონაკვეთში საზოგადოებას ყოველთვის აყენებს ჩამოყალიბებული პოზიციათა ცვლების წინაშე. ვანისათვის, როგორც ქუთაისის მაზრაში შემავალი მსხვილი დასახლებული პუნქტისათვის, XX საუკუნის ოციანი წლების დასაწყისისათვის მთავარ გამოწვევად მაინც დარჩა განსაკუთრებული აქცენტის გადატანა საგანმანათლებლო სფეროს გაყინული წერტილიდან (შეიძლება ვინმართ გამოთქმაც არარაობიდან) დაძვრისათვის, რადგანაც არც რუსეთის იმპერიის მმართველ წრეებს და არც მენშევიკურ ხელისუფლებას საგანმანათლებლო სფეროს განვითარებისათვის (პერიფერიებთან დამოკიდებულებებში მაინც) საფუძვლიანად არ უზრუნვია. პირველის – იმის გამო, რომ მათ ინტერესებში არც შედიოდა ამდგვარ დასახლებებში საყოველთაო განათლებაზე დიდი ძალისხმევის განწევა, მეორეს იმიტომ, რომ სიტუაციათა და ქვეყანაში შექმნილი პირობების გამო ამის არც საშუალება გააჩნდათ და არც დიდად ქმედითი ნაბიჯები გადაუდგამთ. აქცენტები გადატანილი იყო ძირითადად მაშინდელი კომპაქტურ, ქალაქურ დასახლებათა მიხედვით, პრიმატის შექმნაზე და ვერც მაშინდელი ვანელი მმართველი წრეები და შეძლებული პირები დაიკვებნინან მაინცდამაინც საქმის მოგვარებაზე ზრუნვით, ეს რეალობაა და დადასტურებულია ფაქტებით.

„ზემოთნახსენები 20-იანი წლებიდან რამდენადმე გამოკვეთილია სახელმწიფოებრივი ზრუნვა საკითხის მოსაგვარებლად, მაგრამ ეს პერიოდი არ ემთხვევა არც მეფის რუსეთის იმპერიულ ძალისხმევას და არც მენშევიკური ხელისუფლების არსებობას.“ 1926 წლისათვის, უკვე ვანის თემსაზოგადოებების თითქმის ყველა სოფელში ძირითადად შეიკრა დაწყებითი სწავლების საგანმანათლებლო წრედი, მოქმედებას იწყებენ ოთხწლიანი და შვიდწლიანი სკოლები, ამოქმედდა წერაკითხვის უცოდინარების სალიკვიდაციო სკოლებიც. XX საუკუნის 30-იანი წლების მიჯნასთან უკვე დგება საკითხი ვანისათვის საშუალო დონის პროფესიონალი კადრების მომზადების თვალსაზრისით რაც განპირობებული იყო უკიდურესი საკადრო დეფიციტით, რომლებიც სწავლებას გაივლიდნენ ადგილობრივ სასწავლო ბაზაზე და დასაქმდებოდნენ ადგილობრივ აგრარულ სექტორში. ეს პროცესი დაიძრა, ხოლო 1930 წელს ვანის რაიონის, როგორც ადმინისტრაციული ერთეულის ჩამოყალიბებამ შექმნა პირობები უფრო კონკრეტულად მიეხედათ ამ პრობლემისათვის. როგორც ითქვა გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო აგრონომიაში უკიდურესი საკადრო დეფიციტი, არამარტო ვანისათვის, არამედ ქვეყანაშიც, ამ ნიადაგზე ჩამოყალიბებული გარემო ითხოვდა საქმის ფორსირებას. რიგ საგანმანათლებლო მიმართულებებთან ერთად საპროგრამო დატვირთვა მიეცა ე.წ. შრომის სკოლების ორგანიზებას. ყოველივე ეს ჯდება მაშინდელი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში და მიუხედავად ყველაფრისა საერთო საგანმანათლებლო საკითხებზე ყოველწლიური გამოიყოფოდა ბიუჯეტის 35 პროცენტზე მეტი.

ამდენად: 1922 წლიდან ვანში (თემსაზოგადოების ცენტრში) უკვე ფუნქციონირებდა ვანის შრომის სკოლა (დირექტორი იოსებ ნადირაძე). 1926-1927 წლებში ამ ბაზაზე ჩამოყალიბდა გიმნაზია და გარკვეული დროის შემდეგ, სიტუაციიდან გამომდინარე, გიმნაზია გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმად უმცროსი აგრონომების მომზადებისათვის. ასე, რომ მითითებული გიმნაზიის ბაზაზე 1930 წელს იხსენიება ვანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელიც, როგორც შემდეგში აკადემიკოსი (ხოლო იმხანად ვანის განათლების განყოფილების გამგე) დავით ლორთქიფანიძე იგონებს, იმავდროულად იყო ერთ-ერთი საშუალო ტიპის სასწავლებელიც, როგორც ჩანს ვანში (დღეს ქალაქი ვანი) ტექნიკუმი ფუნქციონირებდა 1934 წლამდე. რის შემდეგაც იგი გადატანილი იქნა სოფელ შუამთაში აქ უკვე არსებული სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციის ბაზაზე. სასწავლებლის შენობად რეკონსტრუქციის შემდეგ გამოყენებული იყო არსებული მეურნეობის მუშათა საცხოვრებელი შენობა, ხოლო სასწავლო

და სანარმოო პრაქტიკის ობიექტებად ადგილობრივი აგრარული მეურნეობის მიწის ფართობის ნაწილი, საიდანაც სახნავ-სათესი იყო 2,5; დეკორატიული ბაღი 1,5; შენობა-ნაგებობების და მისასვლელი გზების 1-ჰექტარი სულ დაახლოებით 10-ჰექტრამდე.¹ დაახლოებით იგივე მონაკვეთებია დაფიქსირებული ზემოთმითითებული აკადემიკოს დავით ლორთქიფანიძის მოგონებებშიც. შუამთაში ახალგახსნილი ტექნიკუმის საკუთრებაში შედიოდა აგრეთვე „ერთი უღელი ხარი, ერთი წყვილი ცხენი, ერთი ურემი, ერთი ფურგუნი, ერთი ეტლი სატარებლად, რომლის ცხენებსაც გამოიყენებდნენ ნიადაგის მოსახნავად“... სასკოლო შენობა შედგებოდა 16 ოთახისგან, ექვსი ოთახი სამეცადინოდ, ორ ოთახში მოწყობილი იყო კლასკაბინეტი და ლაბორატორია, 8 ოთახი ტექნიკუმის ადმინისტრაციული მოსამსახურე პერსონალისათვის... სასკოლო შენობა იყო ხის, მცირე მოცულობის, გარდა ამისა ტექნიკუმისათვის გადაუციათ ხის ორი, ორსართულიანი შენობა, რომელიც გამოყენებული იქნა მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლად, გათვლილი იყო 15 მოსწავლეზე. სასწავლებლის პირველი დირექტორი იყო ბენია აბრამიძე, მოადგილე, სასწავლო ნაწილში იულია დადუნაშვილი. სწავლა-განათლების სამეს ემსახურებოდა 9 მასწავლებელი, ტექნიკური პერსონალი 5; სულ 14 კაცი.

დაარსების პირველ წელს ტექნიკუმში გაიხსნა მეაბრეშუმეობის განყოფილება, რომლის პირველი გამოშვება მოხდა 1933 წელს. გამოშვებულ იქნა 45 მეაბრეშუმე აგროტექნიკოსი, შემდგომ წელს დაემატა მემინდვრეობის განყოფილება. 1934 წელს გამოშვებული იქნა 32 მეაბრეშუმე და 30 მემინდვრე აგროტექნიკოსი.

1934 წლიდან მეაბრეშუმეობის განყოფილებაზე მოსწავლეთა მიღება შეწყდა.

1934 წლიდან 1945 წლამდე ტექნიკუმი ამზადებდა მემინდვრე აგროტექნიკოსებს.

1945 წელს გაიხსნა საბუხჰალტრო-ეკონომიკური განყოფილებაც, რომელიც არსებობდა 1951 წლამდე. აღნიშნულ ფაკულტეტზე მომზადებული კადრების პირველი გამოშვება მოხდა 1948 წელს, გამოშვებული იქნა 27 ბუხჰალტერი. 1949 წელს ტექნიკუმში იხსნება მეხილეობა-მებოსტნეობის განყოფილებაც. ამრიგად, 1949 წლიდან ტექნიკუმში ფუნქციონირებდა ორი განყოფილება: მემინდვრეობის და მეხილეობა-მებოსტნეობის. ამ განყოფილების კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვება მოხდა 1953 წელს.

1955 წლიდან მეხილეობა-მებოსტნეობის განყოფილებას დაემატა საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ჯგუფის მიღებაც. 8-კლასდამთავრებულთათვის სწავლის განსაზღვრული ვადა იყო 3 წელი და 6 თვე, საშუალო სკოლადამთავრებულთათვის 2 წელი და 6 თვე. 8-კლასდამთავრებულები მაპროფილებელ დისციპლინებთან ერთად გადიოდნენ იმ საგნების სწავლებასაც, რომელიც საშუალო სკოლებში იხსნებოდა. და ამ გზით ისინი სპეციალობასთან ერთად იღებდნენ საშუალო განათლებასაც და შესაბამის ატესტატსაც.

1964 წელს ტექნიკუმში გაიხსნა აგროქიმიური განყოფილება, რომელზედაც 8-კლას-დამთავრებულთა ბაზაზე მიღებული იქნა 30 მოსწავლე, ხოლო 1965 წელს საბუჰხალტრო აღრიცხვის განყოფილება. 1976 წელს ამ განყოფილებას დაემატა საშუალოდამთავრებულთა ბაზაზე დაკომპლექტებული ჯგუფიც.

1967 წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე ტექნიკუმს დაემატა ხილისა და ბოსტნეულის შენახვა-გადამუშავების ტექნოლოგიის განყოფილება, რომელზედაც მოსწავლეთა მიღება მიმდინარეობდა 1973 წლამდე.

დღიდან დაარსებისა 1974 წლის თებერვლის თვის ჩათვლით ტექნიკუმმა გამოუშვა:

მეაბრეშუმე აგროტექნიკოსი	77
მემინდვრე	774
მეხილ-მებოსტნე	460
აგროქიმიკოსი	41

1 ივერიკო ყუბანეიშვილი – „მოსხენება შუამთის სასოფლო ტექნიკუმის შესახებ“

ბუხჰალტერი 351

ტექნოლოგი 136

ამრიგად, სულ გამოშვებულია 1839 კურსდამთავრებული. ტექნიკუმს ემსახურებოდა 25 – მასწავლებელი და 25 ტექნიკური პერსონალი.

XX საუკუნის 60-იანი წლების მიჯნასთან დაიგეგმა და თანამიმდევრულად განხორციელდა სასწავლო ინფრასტრუქტურის მაქსიმალური რეკონსტრუქცია, პარალელურად ახალი კაპიტალური სასწავლო ოთახების აგება, რის გამოც სასწავლო მატერიალური ბაზა ძირითადად მონესრიგდა და გაუმჯობესდა სასწავლო ტექნიკური პროცესიც. ტექნიკუმის განკარგულებაში იყო: კეთილმონყობილი ორსართულიანი სასწავლო კორპუსი რომელიც გაიხსნა 1967 წელს ცენტრალური გათბობით, ძველი სასკოლო შენობა რეკონსტრუქციის შემდეგ გამოყენებული იქნა კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის, აიგო მოსწავლეთა სამსართულიანი საერთო საცხოვრებელი 106 მოსწავლეთათვის. კარგად მონყობილი მოსწავლეთა სასადილო და სხვა დამატებითი სათავსოები – ტექნიკუმის ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, პირველ სართულზე მოენყო მოსწავლეთა სააქტო დარბაზი. ტექნიკუმს ჰქონდა 5 ლაბორატორია, აღჭურვილი საპროგრამო მასალის გავლისათვის საჭირო ხელსაწყო იარაღებით. სასწავლო-სააღმზრდელო საქმეს ემსახურებოდა, ბოტანიკის, ფიზიკის, ქიმიის, ს.მ. სან., ეკონომიური ორგანიზაციის, მეხილ-მეზოსტნეობის, ნიადაგმცოდნეობის, ს.მ. მექანიზაციის, ს.მ.სან. ბუხჰალტერიის, მეცხოველეობა-მეფუტკრეობის, მათემატიკის, აგროქიმიის, ფიზკულტურის, რუსულის და პედაგოგიური კაბინეტები.

აქვე ვათავსებთ ცნობებს (ტექნიკუმში წლების მიხედვით პედაგოგთა) მასწავლებელთა რაოდენობის და მოსწავლეთა კონტინგენტის დინამიკისა შესახებ.

წლები	მასწავლებელთა რაოდენობა	უმალლესი განათლებით	დამსახურებული მასწ. წოდება	25 წელზე მეტი სტაჟის მქონე
1930-1934	8	6		
1935-1938	10	7		1
1940	10	7		1
1945	15	10		1
1950	16	13		1
1955	16	13		1
1960	16	13	1	1
1965	19	16	1	3
1968	26	23	2	5
1973	25	23	2	5
1974	25	23	2	5

მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა

წლები	მიღებული იქნა	მოსწავლეთა რაოდენობა	დაამთავრა ტექნიკუმი	წლები	მიღებული იქნა	მოსწავლეთა რაოდენობა	დაამთავრა ტექნიკუმი	შენიშვნა
1933			45	1976	76	285	38	
1934			32	1968	94	244	71	
1940			17	1969	109	325	65	
1951			23	1970	94	220	77	
1952			19	1971	70	219	74	
1953		132	41	1972	71	220	85	
1954			34	1973	37	229	77	
1955			38	1974	37	214	-	
1956			51					
1957			48					
1950			22					
1959			29					
1960		174	18					
1961	31	167	38					
1962			46					
1963			13					
1964			19					
1965		182	-					
1966	80	231	51					

მოტანილი მონაცემების მიხედვით კარგად ჩანს მოსწავლეთა კონტინგენტის რაოდენობა, რომლის დინამიკაც ცხადია იცვლებოდა პერიოდებისა და სიტუაციების მიხედვით, მაგრამ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის სასწავლებლის პოპულარობის შესახებ. მოსწავლეები მისულია სხვადასხვა რაიონებიდან. მათ შორის ძირითადი ბირთვი, ვანის რაიონიდან, მაიაკოვსკის (დღეს ბალდათის) რაიონიდან სამტრედიიდან ქარელის, ნულუკიდის 9დღეს ხონის), ჩოხატაურის, ქიათურის, თერჯოლის, ზუგდიდის, ხელვაჩაურის რაიონებიდან.

1957 და 1958 წლებში ტექნიკუმის 50 მოსწავლე და 2 მასწავლებელი მონაწილეობდა ყაზახეთის რესპუბლიკაში ყამირ მინებზე მოსავლის აღბაში, რისთვისაც ტექნიკუმი დაჯილდოვებული იქნა სიგელით ხოლო მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებით. ტექნიკუმს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ვანის რაიონის კეთილმოწყობითი სამუშაოების შესრულებაში, მათ შორის დღევანდელ მშვიდობის გორაზე ხეივნის (ნაძვნარის) გაშენების საქმეში, აქტიური დახმარებას უწევდნენ გალაკტიონ ტაბიძის ახლად ჩამოყალიბებული მუზეუმის განაშენიანების და სოფელ შუამთის ცენტრს კეთილმოწყობის საქმეს და ა.შ.

1934 წლიდან 1937 წლამდე ვანის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორობდნენ ერმილე ენუქიძე, (სასწავლო ნაწილის გამგე იყო ბენია აბრამიძე – ყოფილი დირექტორი); 1937 წლიდან 1940 წლამდე ვარლამ ძაგნიძე (სასწავლო ნაწილის გამგე აბრამ კუკავა); 1940 წლიდან 1978 წლამდე (ხანგრძლივად) ნინა აფხაზავა – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი (სასწავლო ნაწილის გამგე 1957 წლამდე, იუღია დადუნაშვილი – ასევე დამსახურებული მასწავლებელი).

შუამთის (ვანის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი არსებობის მანძილზე დაამთავრა 2421-ახალგაზრდამ. დასაქმების ადგილზე მათი განაწილება ხდებოდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, ძირითადად ვანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო დანაყოფებში, ასევე იმერე-

თის რეგიონისა და აჭარის რიგ სასოფლო-სამეურნეო რაიონებში. ტექნიკუმის ყოველწლიური კონტინგენტი გაუქმებამდე მეტნაკლები ამპლიტუდით შეადგენდა 280 კაცს.

აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულთა ნაწილი შემდეგში მოღვაწეობდნენ ქვეყნის სამეცნიერო წრეებში: გიორგი ნიკოლეიშვილი – აკადემიკოსი სასოფლო-სამეურნეო უნივერსიტეტის ლექტორი – პროფესორი, მეცნიერებათა კანდიდატები გურამ სანიკიძე, პავლე შარაშენიძე, გიგუშა გაბუნია, ასპირანტურა დაასრულა და შემდეგ ვანის რაიონში უმაღლეს პარტიულ და სამეურნეო პოსტებზე მუშაობდა გიორგი (ჟორა) ჩახუნაშვილი, ოთარ გიორგაძე, სულიკო ხანთაძე, გურამ მინაშვილი, ისმაილ მილორავა, ივერიკო ყუბანიშვილი, გრიგოლ ოჩხიკიძე, ანზორ ნაფეტვარიძე და არაერთი სხვა შემდეგში უდიდესი გამოცდილებისა და პასუხისმგებლობის მქონე პირები. სასწავლებლის კურსდამთავრებულები არიან ცნობილი ქირურგი აბესალომ აბრამიძე და პედიატრი, სათნო ქალბატონი ნინა დუბროვა, ცხადია ამ ადამიანებისა და არაერთ კურსდამთავრებულისათვის ტექნიკუმი გახდა ტრამპლინი, რომლებმაც შემდგომში დაამთავრეს ქვეყნის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლები ასეთები ასეულობითაა და თავიანთი წვლილი შეიტანეს საქართველოს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული სფეროს აღმშენებლობის და სრულყოფის საქმეში.

1978 წლიდან, ქვეყნის აგრონომიულ სფეროში საკადრო დეფიციტის გასწორების შემდეგ, და იმის გამოც, რომ დღის წესრიგში დადგა საკითხი უფრო მაღალი მომზადებისა და კვალიფიკაციის კადრებზე, სასწავლებელმა შეწყვიტა საქმიანობა და იგი საკმაოდ მძლავრი ბაზით გადაკეთდა შუამთის №118 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად რამდენადმე შეინარჩუნა პროფილიც.

სამწუხაროდ, დღეისათვის ვერ იქნა მოკვლეული საარქივო მასალები 1930 -იანი წლების ბოლოდან 40-იანი წლების გარკვეულ ეტაპამდე ვანში (დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე იმ ხანად უკვე გახსნილი და ახლადაგებული საშუალო სკოლის ბაზაზე არსებული) პედაგოგიური ტექნიკუმის ფუნქციონირების შესახებ, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე დირექტორობდა მანუილ მესხი, უაღრესად განათლებული და გამორჩეული მორალის მქონე პიროვნება. ამ საკითხზე ვიცით, ის, რომ ეს სასწავლებელი ანხორციელებდა დაწყებითი სკოლებისათვის კადრების მომზადებას და შეეხიდა ამ სფეროში უაღრესად რთული საკადრო დეფიციტის გასწორებას. კურსდამთავრებულები სამუშაოდ იგზავნებოდნენ არა მარტო ვანის სკოლებში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, განსაკუთრებულად აჭარის მაღალმთიან დასახლებებში და მაშინდელი კურსდამთავრებულთა შემადგენლობის მცირე ნაწილი მოღვაწეობას აგრძელებდა ვანის რაიონის დაწყებითი სკოლების ბაზაზე. 1960-იანი წლების ბოლომდეც. აღნიშნულ საკითხზე ვანის რაიონის ოსტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრში დაცულია მასალა ყოფილი დირექტორის ბატონ მანუილ მესხის მიერ შედგენილი საკუთარი ბიოგრაფიის სახით, მაგრამ უმცირესი მონაკვეთის გარდა იგი არ ეხება მითითებული სასწავლებლის ფუნქციონირების დეტალებს¹ მიუხედავად ყველაფრისა ფაქტია, რომ ვანში აღნიშნული სასწავლებელი ფუნქციონირებდა გარკვეული წლების მანძილზე.

ვანის №118-ე საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი

ეს სასწავლებელი შეიქმნა ვანის, ცნობილი, სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმის ბაზაზე, აღნიშნული ტექნიკუმის ლიკვიდაციის შემდეგ, საქმიანობდა ვანის რაიონის სოფელ შუამთაში და უნდა ითქვას, რომ ახლადამოცენებულმა სასწავლებელმა მემკვიდრეობად მიიღო უაღრესად სრულყოფილი სასწავლო მატერიალური ბაზა, რომლის განკარგულებაშიც გადავიდა 1960-იან წლებში შექმნილი სასწავლო კორპუსები, 1967 წელს აგებული ორსართულიანი კაპიტალური ნაგებობა ათი სასწავლო კაბინეტით, სააქტო დარბაზით, 106-ადგილიანი

¹ ცნობისათვის შეიძლება ითქვას მ. მესხი ამ სასწავლებლიდან გადაყვანილი იქნა რაიონის მაღალსაპასუხისმგებლო პოსტზე სადაც იგი ათეული წლების მანძილზე მოღვაწეობდა.

მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, სასადილოთი. ამდგვარ სიტუაციაში ვანის რაიონში 1978 წელს ფუნქციონირებას შეუდგა რიგით მეორე №118-ე საშუალო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი (პირველი იყო ვანის №68 – სამხატვრო (სახელოვნებო)-საამშენებლო სასწავლებელი, რომელიც 1971 წლიდან მოქმედებდა (ამაზე ქვემოთ). სასწავლებელმა რამდენადმე შეინარჩუნა პროფილი, დაემატა ახალიც, საწარმოო ბაზად დამტკიცდა საქართველოს სოფლის მეურნეობის აგროსამრეწველო გაერთიანების სახელმწიფო კომიტეტი, კურსადამთავრებულთა დასაქმების ადგილებად განისაზღვრა ვანის რაიონის სასოფლო-სამეურნეო (აგრარულ) და რაიონს გარეთ არსებული აგრარული ორგანიზაციები კონტინგენტის სადაურობის მიხედვით, თუმცა ასეთი დიდ რიცხვს არ წამოადგენდა, რადგანაც სასწავლებელი ძირითადად კომპლექტდებოდა ვანის სოფლების მოსწავლეთა შემადგენლობიდან ამ ახალგაზრდებს ამზადებდნენ „რთული შრომისათვის“ (ე.ი. რომელიც საჭიროებდა სპეციალურ მომზადებას) მოსწავლეთა სასწავლო პროცესს ემსახურებოდა 60- მასწავლებელი და ტექნიკური პერსონალი, რომელთა საქმიანობა იშლებოდა შემდეგი მიმართულებით.

ა – არასრულ საშუალო სკოლადამთავრებულთა ბაზაზე – ზოგადსაგანმანათლებლო დისციპლინების სწავლება, რადგანაც ასეთი კონტიგენტი აქვე იღებდა საშუალო განათლებას და ცხადია, საშუალო განათლების ატესტატსაც.

ბ – პროფესიული სწავლება შეთავსებული საწარმოო საქმიანობასთან, რომელ განხრითაც ისწავლებოდა საგნები არჩეული სპეცილობის მიხედვით. აქ, სათანადო თეორიულ-საგნობრივ სწავლებასთან ერთად მომდინარეობდა პრაქტიკის დაუფლებაც და აღმზრდელობითი საქმიანობა მთელი თავისი ფართო პროფილით.

საშუალო სასწავლებლის კურსადამთავრებულთა ბაზაზე სასწავლებელში არსებობდა ტექნიკური ჯგუფებიც, საერთოდ სასწავლებელში ცხრაკლასადამთავრებულთა ბაზაზე ფუნქციონირებდა სპეციალობები: ფართო პროფილის ტრაქტორისტმემანქანე, „ბც“ კატეგორიის მძღოლი.

– სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შემკეთებელი ზეინკალი.

– ხილ-კენკროვანთა გადამუშავების ოსტატი (აღნიშნული სპეციალობა მზადდებოდა ძირითადად ვანის საკონსერვო ქარხნისათვის, რომლის საწარმოო მოცულობამ ფართო პროფილით მიაღწია 13-მილიონ პირობით ქილა კონსერვს).

– ქიმიურ-ბაქტერიოლოგიურ ანალიზის ლაბორანტები.

საშუალო სკოლის კურსადამთავრებულთა ბაზაზე:

– III-კლასის ტრაქტორისტი; მეხილეობა-მეზოსტნეობის ოსტატი, სოფლის მეურნეობის დარგის აღრიცხვის ბუხჰალტერი, სულ საწყისი ეტაპისათვის ფუნქციონირებდა 13-ჯგუფი.

რვაკლასის კურსადამთავრებულთათვის სწავლების ვადა იყო სამი წელი, საშუალო განათლებულთათვის (ე.წ. ტექნიკური ჯგუფებისათვის) ერთი წელი.

სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მომსახურე ყველა პედაგოგი და საწარმოო სწავლების ოსტატს უკლებლად გააჩნდათ უმაღლესი განათლება და პედაგოგიური გამოცდილებაც, რის გამოც შეფერხებები სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა საკადრო დეფიციტთან გამორიცხული იყო, მიუხედავად ამისა საქართველოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მივიდა დასკვნამდე, რომ, რადგან საშუალებები არსებობდა, საქმიანობაც პროგრესირებადი იყო, სასწავლო თეორიული და საწარმო ბაზა უნდა ჩამოყალიბებულიყო იმდროინდელ მოთხოვნათა დონეზე, სასწავლო პროცესები დაფუძნდებოდა დროის შესაბამისობის მიხედვით – საუკეთესო აღჭურვილობას, გათვალისწინებული იყო პროფილთა გაფართოება და კონტინგენტის რიცხოზობრივი გაზრდაც, ამის საფუძველზე დაპროექტებული იქნა 480 მოსწავლეზე გათვლილი ახალი ოთხსართულიანი შენობის აგება სასწავლებლის სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა აუცილებლობით. დაიწყო მშენებლობა 1986 წელს და ექსპლუატაციაში გაეშვა 1989 წელს, ახალი კლასკაბინეტებით, სააქტო დარბაზით, სპორტული დარბაზით, სპორტული ბაზებით. საწარმოო სწავლება უზრუნველყოფილი იქნა შესაბამის აღჭურვილობით, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, ავტომობილებით, ტრენაჟორებით, ავტოდრომით, კლასკაბინეტები და აუდიტორები შეივსო შესაბამისი ინვენტარით.

კაპიტალურად შეკეთდა არსებული 106 -ადგილიანი მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი. 1987 წელს აგებული იქნა სასწავლებლის 1200-კვ.მეტრის მოცულობის მექანიკური სახელოსნო. 1988 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ტიპური სასაბავშვო 250 -მოსწავლეზე (მთლიან კონტინგენტზე) უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ტიპის სასწავლებელთა მოსწავლეები, იღებდნენ ტანსაცმელს, ჰქონდათ უფაო სამჯერადი კვება ჯეროვანი და შემონმეხული პროდუქტებით.

სასწავლებლის პირველი დირექტორი იყო იოსებ ტყეშელაშვილი, (მანამდე დირექტორობდა აქვე არსებულ ტექნიკუმს) მოადგილეები ოთარ ჭოხონელიძე, ივერიკო ყუბანიშვილი, მაგული კაკუბავა, შემდეგში სხვადასხვა დროს სასწავლებელს ხელმძღვანელობდნენ სიმონ ხარციშვილი, ოთარ ჭოხონელიძე, ალექო ხურციძე.

საინტერესო იყო სასწავლებლის კონტაქტები მაშინდელი „კავშირის“ რიგ ქალაქების (კრასნოფრანსკის, ლიპეცკის) კოლეგებთან, სასწავლებლებთან, და ამ უკანასკნელთა მოსწავლეების ვიზიტები ვანში.

რადგან პედაგოგიურ შემადგენლობას ჰქონდა სასწავლო-სააღმზრდელო საქმიანობის სრულყოფილი გამოცდილება, მას დაემატა სასწავლებელში ახალჩარიცხული მოსწავლეთა უმრავლესობის ენთუზიაზმიც, სწავლისა და პროფესიის დაუფლებისათვის, საქმიანობა გაშალეს მრავალპროფილიანი მიმართულებით, რომელსაც ავსებდა საგნობრივი წრეების, მეთოდური საქმიანობის და ა.შ. სასწავლებლის შიგა და მთელი ე.წ. კლასგარეშე და სკოლისგარეშე საქმიანობის ფორმებიც, რის გამოც სასწავლებელი დამსახურებულად წარმოჩინდა, რაიონის და შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტის თვალში, რასაც მოჰყვა ახალი ღონისძიებები სასწავლებელზე დამატებითი ხელშეწყობის განხორციელების სახით, ნათქვამის დასტურად, მხოლოდ ორი-სამ მაგალითის მოყვანაც იკმარებს: სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით დაინტერესებულმა მოსწავლეთა ჯგუფმა განახორციელეს სპეციალური მოტობილიკის შექმნა (კონსულტანტი პროფესორი მურმან ტყეშელაშვილი) რომელსაც შეეძლო შეესრულებინა რამდენიმე მიმართულების სასოფლო-სამეურნეო ოპერაცია, იგი სახელმწიფო კომიტეტის ინიციატივით გაიგზავნა მოსკოვში სპეციალურ გამოფენაზე და მიიღო მაღალი შეფასება. ხოლო საქართველოს პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა ტექნიკურ-შემოქმედებით ნაკეთობათა გამოფენაზე აღნიშნული გამოგონების ავთორთა ჯგუფი დაჯილდოვდა უმაღლესი ხარისხის ჯილდოთი. (ოქროს მედლით და ფულადი პრემიებით).

მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ამ სასწავლებლის ინიციატივით გადადგმული ნაბიჯები ე.წ. „ვაიოს“ ველების ასათვისებლად მათ (ცნობილი კინოფილმის „მშობლიურ ჩემო მინავ“ პერიფრაზიდან) სწავლის პარალელურად და პროფილიდან გამომდინარე, ე.წ. „ვაშლარას უბანში“ ათულობით ჰექტარი მიგდებული მიწის გაკულტურებას ჩაუყარეს საფუძველი და შესძლეს დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანაც (დღეს აქ აჭარელ ეკომიგრანტები ცხოვრობენ). საინტერესო იყო ის, რომ ამ ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა მოსწავლეთა მიკრომეურნეობა, სადაც დირექტორად და უბნების უფროსებად დაინიშნენ სასწავლებლის მოსწავლეები იმ განზრახვით, რომ მიეღოთ მეურნეობის მართვის უნარჩვევები. პროცესი ყურადღების ცენტრში მოექცა რაიონული და შესაბამისი სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელთა მხრიდანაც. ეს პროცესი წარმოადგენდა გარკვეულ სიახლესაც, რომელიც ფართოდ გაშუქდა როგორც ადგილობრივი, ასევე რესპუბლიკის საინფორმაციო საშუალებების მიერ, როგორც სიახლე და როგორც მაგალითი.

მოლოდინს გადააჭარბა სასწავლებლის მხატვრული შემოქმედებითი წრეების საქმიანობამ, რომელიც ასევე პოულობდა წახალისებებს რაიონული უმაღლესი რგოლისა და პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის მხრივაც.

1982 წელს აქ მოსწავლეთა ძალებით განხორციელებულ სპექტაკლს – „ღირსების მსხვერპლის“ დემონსტრირებას (დადგა მ. პირველაშვილმა) მოჰყვა რესპუბლიკური დონის რეზონანსი, რის გამოც იგი გადაიღო და სრულყოფილად უჩვენა საქართველოს ტელევიზიამ, დადგმას დაეთმო თბილისის მარჯანიშვილის თეატრის სცენაც. გაკეთდა შეფასებები, რის საფუძველზეც თეატრალურ კოლექტივს მიენიჭა „ახალგაზრდა მუშის თეატრის“ სახელწოდება, ხოლო

ცოტა მოგვიანებით ამავე კოლექტივის მიერ განხორციელებული დადგმების საფუძველზე იგი გადაკეთდა მოსწავლეთა სახალხო თეატრად, რაც პირველი შემთხვევა იყო საქართველოს რესპუბლიკის მასშტაბით. მნიშვნელოვანი იყო მაშინდელი პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტის მხარდაჭერა სასწავლებლისა და მოსწავლე-მასწავლებლებისადმი, როგორც სტიმული საქმიანობის გაძლიერებისა.

წარმატებული იყო სასწავლებლის სპორტსმენთა შედეგებიც, სასწავლებელში წარმოჩნდა სწავლით დაინტერესებულ მოსწავლეთა შემადგენლობაც, რომელმაც საწარმოო პრაქტიკის გავლის შემდეგ სწავლა გააგრძელეს ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში.

სასწავლებელმა არსებობის მანძილზე გამოუშვა 3200-მდე კვალიფიციური სპეციალისტი.

ვანის №68 – სამხატვრო (სახელოვნებო) და სამშენებლო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი

ანუ დაახლოებით უნივერსალური სასწავლებელი, რომელიც იმავდროულად იწოდებოდა სახელოვნებო და სამშენებლო პროფლის სასწავლებლად. ორივე პროფილი თავისთავად განსხვავებულია, მაგრამ რადგანაც მენებლობა თავის მხრივ დაკავშირებულია სილამაზესთან ესთეტიკურ შესაბამისობასთან სასწავლებელმა ასეთი აბრევიატურა მოირგო. თუმცა სწავლება მიმდინარეობდა ორი განსხვავებული მიმართულებით.

აღნიშნული სასწავლებლის ანალოგი საქართველოში გარდა თბილისის №11 სამხატვრო პროფტექსასწავლებლისა არ არსებობდა.

მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბითაც საქმიანობითა და შინაარსობრივი დატვირთვით, როგორც ზემონახსენებ თბილისის №11 და ვანის №68 სასწავლებლებს ანალოგი არ ჰყავდათ.

აქ სამხატვრო ჯგუფებში მიღებული იქნა იმერეთის, სამეგრელო-გურიის, ქართლის რეგიონების შესაბამისი უნარისა და ნიჭის მქონე ახალგაზრდები, ამ სასწავლებელში გაიარეს სწავლება მოსწავლეებმა ბელორუსიდან, ყაზახეთიდან, რუსეთიდან ცხადია ერთეულებმა, მაგრამ ამდაგვარი ცოდნის მიღებით დაინტერესებულმა ახალგაზრდებს. გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ათეულობით განცხადება შემოდიოდა ყოველწლიურად მაშინდელი კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდებისაგან №68-ე სასწავლებელში ჩარიცხვის თხოვნით, განსაკუთრებულად მაშინდელი ბალტიისპირეთის რესპუბლიკიდან. თუმცა სამწუხაროდ რიგ პრობლემათა გამო მათი მასიური მიღება ვერ მოხერხდა.

№68 პროფესიული ტექნიკური სასწავლებლის გზა იწყება მაშინდელი ვანის რაიონის პიონერთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სკოლის სპეციალური წრისგან, სადაც ასევე, კლასგარეშე სწავლების სახით ვანელი მოსწავლეების ნაწილი იღებდა მხატვრის პროფესიულ ჩვენებს, მათი წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ რაიონის ხელმძღვანელობა გივი ყიფიანის ხელმძღვანელობით საგანგებოდ დაინტერესდა ამ ბავშვებით და იმითაც არსებობდა, თუ არა შესაბამისი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდობის კონტინგენტი და რა რაოდენობის შეიძლებოდა ყოფილიყო იგი. აღმოჩნდა, რომ კონტინგენტი ნამდვილად არსებობდა საჭირო იყო ზრუნვა და მათთვის გზის გაკვალვა. გადანყდა, სანყის ეტაპზე შექმნილიყო „ინტერნატის“ ტიპის მინიდანესებულება (სასწავლებელი), რომელშიდაც კლასგარეშე საქმიანობის დროში სათანადო ნიჭისა და მონაცემების ბავშვები პროფესიონალთა ხელმძღვანელობით მიიღებდნენ შესაბამის დანყებით განათლებას. ამდაგვარი ინტერნატის სრული უზრუნველყოფა რაიონმა აიღო თავის თავზე, შედეგები იყო განსაცვიფრებელი.

„ინტერნატს“, რომლისთვისაც მატერიალური ბაზა მზადდებოდა, ე.წ. მშვიდობის გორაზე ერთი კორპუსის სახით (დღეს გივი ყიფიანის სახელობის დასასვენებელი პარკი – გორა) სანყის ეტაპზე სათავეში უდგნენ ქალბატონი სუზი და ბატონი დიმიტრი ყიფშიძეები. ორივე ცნობილი პიროვნება ქართულ მხატვრობაში, განსაკუთრებულად დიმიტრი ყიფშიძე – მოქანდაკე,

რომელსაც გარკვეული როლი მიუძღვის ქართული ჭედური ხელოვნების აღორძინების საქმეში. იდეალური იყო მათი დამოკიდებულება აღსაზრდელებთან და შეიძლება ითქვას, ეს იყო იშვიათი ნიმუში აღსაზრდელთა და პედაგოგთა დამოკიდებულებისა, გნებავთ მეგობრობისა. წარმოჩინდა ნიჭიერ მოსწავლეთა პლეადა, მაშინდელი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის მასშტაბებით მოწყობილ სხვადასხვა გამოფენებზე. გახმაურებული ნაშრომებით, რომლებიც არაერთხელ აღნიშნულა დიპლომებითა და მედლებით. ჯგუფი აქტიურად იყო ჩართული რაიონის შემოქმედებით ცხოვრებაში და რადგანაც ამ პერიოდს დაემთხვა რაიონის ცენტრისა და სოფლების იერსახის ცვლაც და გაკეთილშობილებისაკენ ნაბიჯების გადადგმაც, რაიონმაც მნიშვნელოვანი საფუძველი შეუქმნა მათ დაბის ცენტრში ნამუშევართა დემონსტრირებისათვის (200 მეტრიანი დეკორატიული კედელი ცენტრალურ სტადიონთან, გალაკტიონ ტაბიძის სკვერი, შრომის ამსახველი ქანდაკებები რაიონის აღმოსავლეთიდან შემოსასვლელში, მედეა და ა.შ. რომელთა ნაწილი შემორჩენილი დღესაც).

სიტუაციიდან და პროფილის გაფართოებიდან გამომდინარე 1971 წლის მაისში ეს ე.წ. სკოლა გადაკეთდა (როგორც ითქვა) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად. იგი დაფუძნდა როგორც სამხატვრო-სახელოვნებო და სააღმშენებლო მიმართულების სასწავლებელი. 1976 წლიდან კი როგორც საშუალო პროფესიულ ტექნიკური სასწავლებელი. შემდეგში სასწავლებელზე შეფობა აიღო და სასწავლო-საწარმოო სწავლების ბაზად დამტკიცდა საქართველოს სასაოფლო მშენებლობის სამინისტრო.

მხედველობაშია მისაღები ის, რომ სასწავლებლის გახსნის მომენტისთვის პროცესები წარიმართა იმდენად ფორსირებულად, სასწავლო მატერიალური ბაზა, რომელიც ითვალისწინებდა აღსაზრდელების პანსიონატურ უზრუნველყოფას მარავლირიცხოვანი ატრიბუტიკით, როგორც იყო ვანის სოფლებიდან, ასევე სხვა არაერთი რაიონიდან ჩამოსულ მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი უზრუნველყოფას, კვების სპეციალურ ბლოკს (სასადილოს სახით) და თვით დამატებითი სასწავლო კორპუსებიც კი, რომელიც დაიტევდა ახალ მიღებულ 350-მდე მოსწავლეს ჯერ კიდევ არ არსებობდა. ვიდრე პროფტექგანყოფილების სახელმწიფო კომიტეტი (თავმჯდომარე მიხეილ ჩიხლაძე) და სამშენებლო საბაზო ორგანიზაცია უშუალოდ ჩაერთვებოდა სასწავლებლის მატერიალური ბაზის სრულყოფის საქმეში რაიონული ხელმძღვანელობის დადგენილებით გადაწყდა მოსწავლეთა საერთო საცხოვრებლად გამოყენებულიყო პიონერთა სასახლის ყოფილი შენობა, რომელშიდაც საბავშვო ბაღიც იყო განთავსებული (დღეს ცენტრალური ბიბლიოთეკა თავისი ნიგნსაცავებით) ამ უკანასკნელთ გადაეცათ ახლადგებული შენობები, სასადილო განთავსდა რაიონის ცენტრში არსებულ რესტორანში, რომელთა აღჭურვილობა და ფართიც თითქმის აკმაყოფილებდა მოთხოვნებს. ასეთი სახელდახელო გადაწყვეტილებანი მიღებული იქნა თუნდაც იმიტომ, რომ დიდი იყო შესაბამისი უნარით დაჯილდოებულ მოსწავლეთა (ახალგაზრდობის) ლტოლვა სამხატვრო-სახელოვნებო ჯგუფებში და ამ კონტინგენტის არ მიღებაზე აქცენტის გაკეთება სასურველად არ იქნა მიჩნეული.

სასწავლებელში მოსწავლეთა მიღება განხორციელდა შემდეგ ფაკულტეტებზე (განხრებზე):

1. ხის მხატვრული დამუშავება
2. ფერმწერ-დეკორატორი
3. არქიტექტურული დეტალების მძერწავ-მემოდელი
4. ქვის მხატვრული დამუშავება, მიღებული იქნა 10 ჯგუფი 355 მოსწავლით.

ისწავლებოდა სპეციალური საგნები, მათ შორის ქანდაკების საფუძვლები, გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა მიმართულებიდან, ესთეტიკა და ზოგადსამეცნიერო დისციპლინები ჯგუფების მოსწავლეთა ასაკობრივი მონაცემების გათვალისწინებით. ასწავლიდნენ პროფესიონალები: დიმიტრი და სუზი ყიფშიძეები, პროფესიონალი მხატვრები, ლეჟავა, ნულაია, დავით ტყეშელაშვილი, იგორ მინდელი, ბეჟან კიკვაძე, თენგიზ კოპალეიშვილი, მურთაზ ხანთაძე. ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ აკაკი ქემერტელიძე, ანგუს ჩუბინიძე, ილო ჯავრიშვილი, რომელთაგან ზოგი მათგანი თბილისიდან სპეციალურად იქნა გადმოყვანილი და ა.შ. – სას-

ნავლებელში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა რაიონის პედაგოგიური ინტელი-
გენციის მეტრი მანუელ მესხი და არაერთი სხვა.

რაც შეეხება სამშენებლო განხრას წამყვანი იყო მშენებელთა ჯგუფი, რომელსაც შესაბამის
ორგანოთა რეკომენდაციით დაემატა მკერავთა ტექნიკური ჯგუფები (ერთნობიანი სწავლებით)
რომლის დასაქმების ბაზად დამტკიცებული იქნა რესპუბლიკის ცეკავშირის ვანის საწარმო-
სამკერვალო კომბინატი. დაკომპლექტებული იქნა იგი რაიონში მცხოვრები შესაბამისი ასაკის
(100-მდე მოსწავლე) გოგონებით, რომელთაც სასწავლო კლას კაბინეტებად სათანადო რეკონ-
სტრუქციის შემდეგ გადაეცათ რაიონული საავადმყოფოს ყოფილი შენობა, ხოლო რაიონული
საავადმყოფო გათვლილი 115 პაციენტზე გადავიდა ახლად აგებულ შენობაში, რომელიც უზ-
რუნველყოფილი იქნა სათანადო აღჭურვილობით.

ამდენად, როგორც მოსწავლეთა ასევე პედაგოგ -აღმზრდელთა კორპუსი დაკომპლექტებუ-
ლი იქნა სრულყოფილად სამშენებლო ჯგუფებს ხელმძღვანელობდნენ და ლექციებს უკითხ-
ავდნენ პროფესიონალი გამოცდილი და ახალგაზრდა ინჟინრები, მათ შორის იური ავალიანი,
იოსებ მაღლაკელიძე, ბრუნო დუბროვი, ტრისტან კალაძე, შალვა ხურციძე.

1973 წელს მდინარე სულორის მარჯვენა ნაპირზე საფუძველი ჩაეყარა და 1975 წლისათ-
ვის ექსპლუატაციაში გაეშვა სასწავლებლის ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსი, სააქტო
და სპორტდარბაზით, სპეციალური სასადილო, სასწავლო სახელოსნოები, ცოტა მოგვიანებით
მოსწავლეთა ორსართულიანი საერთო საცხოვრებელი 107 მოსწავლეზე, სამედიცინო მომსახ-
ურების პუნქტი და ა.შ. ამდენად აღნიშნული სასწავლებელი პრაქტიკულად თვითკმარი გახდა.

დიდი დრო და ფართო ფორმატი დასჭირდება აღნიშნული სასწავლებლის მომსწავლეთა
შემოქმედებისა და საქმიანობის დემონსტრირებას. მოკლედ შეიძლება ითქვას:

1. აღნიშნული სასწავლებლის არაერთი მოსწავლეა მოსკოვსა და თბილისში სახალხო მეურ-
ნეობის მიღწევათა სხვადასხვა დროს გამართული გამოფენის მონაწილე და კარგი ისაა თითქ-
მის ყველა მათგანის შემოქმედება აღინიშნა მაღალი შეფასებებით, სპეციალური მედლებითა
და დიპლომებით.

2. სამხატვრო ჯგუფების არაერთი მოსწავლე იქნა ჩართული ინდივიდუალურ ნამუშევართა
ადგილობრივ და ქალაქ თბილისში გამართულ სპეციალურ გამოფენებში. განსაკუთრებით ამ
საქმეში აქტიურობდა პროფტექგანყოფილების სახელმწიფო კომიტეტი.

3. მათ ნამუშევარზე დაბეჭდილა არაერთი სპეციალური სტატია და რეპორტაჟი...

4. 1980-იანი წლების მიჯნასთან სასწავლებელში მძლავრად ამოქმედდა მოსწავლეთა და
პედაგოგთა მხატვრული თვითშემოქმედებითი კოლექტივი, მომღერალთა ფოლკლორული გუნ-
დი, რომელსაც ხელმძღვანელობდა სოსო ფერაძე, როგორც ითქვა ძირითადად ფოლკლორული
რეპერტუარით. შესანიშნავი ქორეოგრაფიული ნომრები უჩვენეს მოცეკვავეებმა ბათუმელი
ქორეოგრაფის ნოდარ ლობჯანიძის ხელმძღვანელობით, რომლებიც სახელმწიფო კომიტეტმა
უზრუნველყო შესაბამისი ფორმებით. საინტერესო გამოდგა მათი გასტროლები და ურთიერთო-
ბა რუსეთის ფედერაციის (მოსკოვი-ლენინგრადი) მხატვრულ კოლექტივებთან, რომელშიდაც
თავისი წვლილი შეიტანა ბადრი სავანაძემ, რომელიც დირექტორის მოადგილედ მუშაობდა
(დირექტორი ჯ. ერემეიშვილი).

5. საინტერესო და შინაანრსიანი გამოდგა მოსწავლეთა საწარმოო პრაქტიკის პროცესებიც,
სამტრედიის, ცხაკაიას (სენკის), ჩხორონყუს, ლანჩხუთის, აბაშის, ზუგდიდის, გაგრისა და სოხ-
უმის ობიექტებზე. ამ სასწავლებლის მოსწავლეთა ძალებით იქნას შესრულებული სარესტავრა-
ციო სამუშაოები ქალაქ ქუთაისის, ბათუმის, ბიჭვინთის არაერთ ობიექტზე. ასეთი დასაქმება
ატარებდა სპეციფიურ ეფექტსაც – ობიექტებზე გამომუშავებული თანხის 33%-ით უშუალოდ
ფინანსდებოდნენ სამუშაოთა შემსრულებელი მოსწავლეები. მიუხედავად იმისა, რომ ყველა
მათგანი განურჩევლად იმყოფებოდა სახელმწიფო კმაყოფაზე.

6. მაღალი იყო კურსდამთავრებულთა საბოლოო დასაქმების კოეფიციენტიც, მათ შორის
რაიონს ფარგლებს გარედაც.

7. უნდა აღინიშნოს სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულთა შესახებაც. მათ თითქ-

მის მიზერული კონკურსით გახსნილი ჰქონდათ გზა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო ქ. როსტოვის უმაღლესი საინჟინრო-ტექნიკური სასწავლებელი ლეზულობდა ყოველგვარი გამოცდების გარეშე და ეს ფაქტორი თავის დროზე გამოიყენეს აქაურმა კურსდამთავრებულებმა და არა მარტო ვანელთა კონტინგენტიდან.

თავისი თეორიული და პრაქტიკული საქმიანობიდან გამომდინარე სასწავლებლის პედაგოგიურ (ინჟინერ-ტექნიკური) ინტელიგენცია რაიონის ხელმძღვანელი რგოლისათვის ერთგვარად იქცა კადრების მომზადების კერადაც. ამის საფუძველს იძლეოდა ის, რომ ამ სფეროში (№68 სასწავლებელში) დასაქმებული ხელმძღვანელი კადრი იღებდა საგანმანათლებლო დარგის პროფესიონალის და იმის გამოც, რომ სასწავლებელი განსაზღვრული კუთხით წარმოადგენდა წარმოებასაც, ეუფლებოდა წარმოების სფეროს გაძღოლის უნარჩვევებსაც, როგორც ჩანს ამან განაპირობა სასწავლებლის ფუნქციონირებიდან სამ-ოთხ წელიწადში აქ დასაქმებული ახალგაზრდა კადრები გადაენაწილებინათ რაიონული მასშტაბის მართვის რგოლებში. ბრუნო დუბროვი რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსის პოსტზე, შემდეგ, ამ სტრიქონების ავტორი მაშინდელ რაიონულ კომიტეტში მალალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე, შემდეგში კი რაიონის პირველ ხელმძღვანელად, იური ავალიანი საყოფაცხოვრებო მომსახურების უფროსად, სოსო მალაკელიძე გახდა რაიონის მთავარი არქიტექტორი შემდეგში ვანის ახალგაზრდობის ლიდერი, შემდეგში ხელმძღვანელობდა ადგილობრივ სანარმოო კომბინატს, სამშენებლო ორგანიზაციას, ბოლოს კი ვანის ინფრასტრუქტურის სამსახურს, კონსტანტინე გურგენიძე შემოყვანილი იქნა რაიონის ხელმძღვანელობის უმაღლეს რგოლში, შემდეგში კი გახდა ვანის რაიკომის მეორე მდივანი, ალ. ჩხიროძე ყოფილი ჯგუფის ოსტატი, მშენებელ-ინჟინერი, მის სახელს უკავშირდება №118 საშუალო პროფტექსასწავლებლის კომპლექსის მშენებლობა და ტრისტან კალაძე რაიონის კომუნალური სამსახურის უფროსად და ა.შ.

თუ ვიმსჯელებთ მიღწეულით, იმითაც, რომ სასწავლებლის კურსდამთავრებულთა პირველი გამოშვებიდან მოკლე პერიოდში ჩვიდმეტმა კურსდამთავრებულმა სწავლა გააგრძელა თბილისის სამხატვრო აკადემიასა და სამხატვრო ტექნიკუმში, ხოლო ათეულობით ჩაირიცხა ქვეყნის სახვადასხვა ინსტიტუტების საინჟინრო ფაკულტეტებზე და ა.შ. საქმიანობა გამოვიდა და ეს განაპირობა მოცემულ ეტაპზე კარგად შეკრულმა ახალგაზრდულმა ხელმძღვანელმა ბირთვმა, ძლიერ და მიზანსწრაფულ, ასევე ახალგაზრდულ კოლექტივზე დაყრდნობით, რომელმაც თავის თავზე აიღო არაერთგანზომილებიანი ურთულესი ამოცანის გადალახვა დანყებული კონკრეტული სასწავლო პროცესებიდან ქ. გაგრასა და სოხუმში და ა.შ. არაერთ ქალაქსა და რიგ სხვა რაიონებში განხორციელებული სანარმოო პრაქტიკით, მძლავრი მატერიალური ბაზის შექმნით და იმითაც რომ ვანის №68 სამხატვრო (სახელოვნებო) სამშენებლო პროფესიულ ტექნიკურ სასწავლებელს გაუხსნეს ფილიალი თერჯოლის რაიონში, რომელიც წლების მანძილზე ფუნქციონირებდა. სასწავლებლის საქმიანობაზე მოსკოველი რეჟისორის კისელოვის მიერ გადაღებულია მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელიც არაერთხელ იქნა ნაჩვენები მაშინდელი საკავშირო ტელეარხებით. როგორც ითქვა იგი არაერთი შემოქმედებითი დათვალეირების ლაურეატია, მათ შორის რამდენჯერმე მოსკოვის სახალხო მეურნეობის გამოფენისაც, ბოლოს ამას დაემატა 80-იანი წლების შუა ხანებში აღსაზრდელების საქართველოს ჩემპიონობა შრომითი რეზერვის სისტემაში სპორტის არაერთ სახეობაში და მხატვრულ თვითშემოქმედებითი კოლექტივის ლაურეატობაც. სასწავლებელს პროპაგანდა ეწეოდა არამარტო რესპუბლიკურ და რაიონულ პრესით, არამედ „საკავშირო დონეზეც“. განსაკუთრებით ანებივრებდნენ მოსკოვში გამომავალი ჟურნალები „ოგონიოკი“ და „სმენა“, ამ პროპაგანდის შედეგი იყო ის, რომ სასწავლებელში როგორც ითქვა სწავლობდნენ ახალგაზრდები ბელორუსიიდან, მოლდოვიდან, ყაზახეთიდან, რუსეთის ფედერაციიდან.

როდესაც ვანის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოღვაწეობის საკითხს შევეხეთ, რამდენადმე იგი წარმოჩინდა საკმაოდ იდეალურად, მიუხედავად იმისა, რომ ვანის არეალში და საერთოდ სისტემაშიც ეს იყო რეალობა, საფუძვლიანად ჩანდა პრობლემატური სფეროც, რაც ნარევი კონტიგენტის სააღმზრდელო პროცესებს თან ახლავს, მითუმეტეს ამდგავარ კონტინ-

გენტთან მუშაობის გამოცდილება №68 სახელოვნებო და სააღმშენებლო სასწავლებელს, განსხვავებით შუამთის №118-საგან არ გააჩნდა. პირველი იყო ახალდაფუძნებული, არამარტო კონტინგენტი, არამედ კადრებითაც, რომლის საწარმოო ჯგუფების ოსტატებს, მიუხედავად მაღალი კვალიფიკაციისა, არ გააჩნდათ პედაგოგიური პრაქტიკა, ამიტომ ამ ადამიანებს ამდგვარ მოსწავლეებთან დამოკიდებულების ფორმები და მეთოდები უნდა აეთვისებინათ ფორსირებულად. „შუამთას“ იმის გამო, რომ იგი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მძლავრი ბაზიდან იღებდა სათავეს აღსაზრდელებთან დამოკიდებულების ფორმის მონახვა არ უნდა გაჭირვებოდათ და არც გასჭირვებიათ.

საქმეს ართულებდა ისიც, რომ რაიონის სკოლების გარკვეულმა ნაწილმა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები ჩათვალა სკოლების ძნელად ან ნახევრად ძნელად აღსაზრდელთაგან განმედიის საშუალებად, მართალია იგი არამარავარიცხოვანი იყო, მაგრამ საერთო გარემოზე ახდენდა ზემოქმედებას. რომელიც სასწრაფოდ უნდა აღკვეთილიყო, რის გამოც სასწავლებლების დირექციების მოთხოვნით და იმის გამოც რომ რაიონული უმაღლესი ხელმძღვანელი რგოლი თავლყურს ადევნებდა დამკვიდრებად პრაქტიკას, თანაც აღნიშნული სასწავლებლების გამართული მუშაობით იყო დაინტერესებული, იძულებული გახდა მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება საკმაოდ „სუსხიანი“ შეფასებებით, მაგრამ ორივე სასწავლო კოლექტივის ქმედუნარიანობაზე მეტყველებდა ფაქტი იმის შესახებ, რომ არამარტო „ძნელ“ კონტინგენტში, არამედ შედარებით უცხო გარემოში მოხვედრიდან მოსწაველთა ფსიქიკამ რამდენადმე განიცადა ტრანსფორმაცია და უნდა ითქვას პირდაპირ, შეჩვეული გარემოსგან განსხვავებით საწარმოო ჯგუფების ოსტატები, იგივე ჯგუფების ხელმძღვანელები, ამ ახალგაზრდებისათვის იქცნენ არაუკიდურეს ოფიციალურ პირებად, არამედ უპირველესად მეგობრებად. მათ სიტყვას ჰქონდა გავლენაც, ანალოგიური იყო პროფესიონალი პედაგოგების საგნების მასწავლებლების დამოკიდებულებაც.

გავლენა იქონია იმანაც, რომ ორივე სასწავლებლის ტექნიკური ჯგუფები ძირითადად დაკომპლექტებული იყო არამარტო საშუალო სასწავლებლების ახალკურდამთავრებულებით, არამედ ზრდასრული ახალგაზრდებითაც (რათქმა უნდა შეზღუდულ ასაკამდე), რომელთაც უკვე ჭკუა მოეკითხებოდათ და დაინტერესებულნიც იყვნენ პროფესიის მიღებით, ეს დადებითი ტენდენცია ძალიან მალე გამოჩნდა და იგი განამტკიცა საწარმოო პრაქტიკაზე სამოსწავლო ჯგუფების ერთად ყოფნამ. აქედან ამ შემთხვევაში განსხვავებულ და რეალობით დატვირთულ პოზიციაში აღმოჩნდა №68-ე პროფტექსასწავლებლის კონტინგენტი, რომლის საწარმოო ბაზას წარმოადგენდა საქართველოს შმენებლობის სამინისტრო, ხოლო საწარმოო სწავლების პოლიგონს ქალაქ გაგრასა და სოხუმში განლაგებული ობიექტები. აქვე უნდა აღინიშნოს ამ ქალაქებში მოქმედი უდიდესი სამშენებლო ტრესტის „იალტსპეცმშენის“ მმართველის ჩხიროძის დახმარების ხელი (იგივე ტრესტი მშენებლობებს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიასა და ქალაქ სოჩშიც), იგი წარმოშობით ვანელი იყო და მასთან გზა გაკვალა №68-ე სასწავლებლის ოსტატმა ალექო ჩხიროძემ, რომელიც ახლობლობდა ამ ადამიანთან, ხოლო შესაბამისი სამინისტროს ჩარევის შემდეგ ეს დამოკიდებულება მყარ ნიადაგზე დადგა და აისახა არამარტო საწარმოო, არამედ კადრების განაწილებისა და დასაქმების პრაქტიკაზეც.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ხაზგასმით შეიძლება აღინიშნოს ერთიც: არა მარტო რაიონს, არამედ რესპუბლიკის მასშტაბითაც გამორჩეული იყო სასწავლებლის სააღმზრდელი, უაღრესად ახალგაზრდული და შეკრული კოლექტივი (საშუალო ასაკი 26-27 წელი) რომელსაც სტიმულს აძლევდა მაშინდელი პროფტექსანოფილების სახლემწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ჰიპოკრატე შევარდნაძე. ამ კოლექტივმა თავის დროზე ბევრი სასიკეთო რამ გააკეთა რაიონისათვის. ამ სტრიქონების ავტორიც დიმიტრი და სუზი ყიფშიძეებთან, ავთანდილ ერემიშვილთან, ბრუნო დუბროვთან და ბეგი აბრამიძესთან ერთად იდგა სასწავლებლის შექმნის სათავეებთან, რომელთა საქმიანობის მეტრიც იმ დროისათვის იყო გივი ყიფიანი, რაიონის პირველი ხელმძღვანელი, რომელიც ორ დღეში ერთხელ აუცილებლად პოულობდა დროს ჩეხებად ამ ახალგაზრდული კოლექტივის საქმიანობისათვის.

სამწუხაროდ, ორივე სასწავლებლებმა დროთა დინების შედეგად გაიზიარა ერთი და იგივე ბედი, ორივე ემსხვერპლა ყბადაღებულ „ოპტიმიზაციის“ პროცესს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში თავის დროზე კადრების გაყრის, ორგანიზაციათა უთავბოლო გაუქმების, ადამიანების ქუჩაში დატოვებისა და ქვეყნიდან მაქსიმალური გადინების სიმბოლოდ იქცა, ამის ერთ-ერთი საფუძველია ეკონომიკური მოშლილობა, რომელიც ქვეყანაში ახალი რეჟიმის ან რეჟიმების დამკვიდრებასა და გაუთავებელ ექსპერიმენტებს გაჰყვა პარალელში. არსებულ სიტუაციაში, რომელზედაც მძლავრ დარტყმებს ახდენდა დეგრადირებადი სოციალურ-ეკონომიკური გარემო. ამდაგვარი სასწავლებლები ვერ იარსებებდნენ, მთავრი მიზეზი გახდებოდა ის, რომ საწარმოთა კოლაფსის ფონზე არცერთ მათგანს, მასიურად კი არა, თითებზე ჩამოსათვლელადაც რომ დარჩენილიყვნენ, სრულყოფილი საწარმოო ბაზა სადაც ახალგაზრდები პრაქტიკულ საქმიანობას უნდა დაუფლებოდნენ არექნებოდათ. მათვე არ ექნებოდათ დასაქმების ადგილები (ე.წ. სპეციალობების მიხედვით) ვინაიდან ჰაერში გამოკიდებულნი რჩებოდნენ ამდაგვარ ფუნდამენტზე პროფესიონალი კადრების მომზადება მხოლოდ ილუზია შეიძლება ყოფილიყო. პრაქტიკიდან აღმოჩნდა რომ ქვეყანას ნამდვილად სჭირდება რთული შრომისათვის მომზადებული კადრები, ამ სიტუაციაში ყველაფერი თავიდან იქნება მოსაწესრიგებელი, არადა არსებობდა. შეუფასებლობის პრინციპს ემსხვერპლა ეს სასწავლებლები, №68 სასწავლებელი პრაქტიკულად გაძარცვეს, რის ნაღბაც ვერ შეძლეს გააფუჭეს. ანალოგიური მდგომარეობა იყო №118-შიც. პირველი საბოლოოდ გადაკეთდა ლტოლვილთა ბინებად ამით საქმეც გაკეთდა, ხოლო მეორეს ბედი ჯერჯერობით არც მთლად ნათელია. როდესაც ქვეყანაში რესტორან-კაფეთა-მარკეტთა და ა.შ. ჭამა-სმის ობიექტთა მშენებლობას თვალს გადაავლებ სინანულის გრძნობამდე მიდიხარ, ქართველობას მხედველობიდან რჩებათ ერის აღსაზევებლად მიმართულ საქმეთა კეთება და ჭამა-სმას გადაყოლილ ადამიანთა რანგში ვჯდებით. ქეიფსა და დროსტარებაში არცერთი ერის მომავალი არ გადაჭრილ-მოგვარებულა, ინდიფერენტიზმმა თავის დროზე იმსხვერპლა არაერთ სახელმწიფოთა ბედი, ვერ გაუძლეს დროის დანოლას. გვაგინყდება რომ ჩვენ არამრავალრიცხოვანი, მცირერიცხოვანი ერი ვართ.

თანამედროვე ვანელი პოეტები

თავისი ისტორიული, კულტურული წარსულით მდიდარი ვანის რაიონი აკვანია არაერთი გამოჩენილი მეცნიერის, მწერლის, ხელოვანის, საზოგადო მოღვაწის... სხვა რომ არ იყოს – პატარა სოფელმა ჭყვიშმა ქვეყანას XX საუკუნეში მისცა ორი სწორუპოვარი, უბრწყინალესი პოეტი: გალაკტიონი და ტიცციანი. ლექსის ჯადოქრებმა მართლაც დევის ხნული გაავლეს ქართულ პოეზიაში. სახელოვან პოეტთა ნაკვალევზე წამოვიდნენ შესანიშნავი მწერლები, პოეტები: გრ. ხურციძე, ნ.აგიაშვილი, გ.დიგვაშვილი, ვლ.ჟღერია, ლ.სულაბერიძე, გ. ნაფეტვარიძე, ტ.მებურიშვილი, ჯ. ქარჩხაძე, ძმები – დომენტი და გიორგი ახოზაძეები, ამირან ახოზაძე, ნ. ადეიშვილი და სხვები.

ამჟამად გვინდა ჩვენი კრებულის ფურცლები დავუთმოთ იმ შემოქმედთ, რომლებიც გასული საუკუნის 60-70-იან, 80-90-იან და XXI საუკუნის 10-იან წლებში გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე.

60-70-იანი წლების თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ბატონი ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი – აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელმაც მისივე ლექსებით გაიკაფა გზა ლიტერატურაში და იმთავითვე დაიმსახურა მკითხველთა პატივისცემა და ცხოველი ინტერესი. ლექსების პირველი კრებული 1975 წელს გამოსცა. ამ მოვლენის გამო გულწრფელად შენიშნავს: „ჩემი მწერლური შესაძლებლობების გამოვლენის უმთავრეს ფორმად მაშინ, პირველყოვლისა, მაინც ლირიკული პოეზია მიმაჩნდა... ნაცვლად იმისა, რომ წიგნის გამოცემას ჩემთვის ახალი შემოქმედებითი იმპულსი მოეცა, მოხდა სრულიად მოულოდნელი და საწინააღმდეგო რამ... ლექსების წერაზე თანდათანობით ავიღე ხელი და ჩემი შემოქმედებითი საქმიანობის უმთავრეს სფეროდ კრიტიკა, ლიტერატურის ისტორია გავიხადე.“ მან, დიახა, რომ ისახელა თავი ამ სფეროში, მისი ღრმა ცოდნით აღბეჭდილი წერილები, ნარკვევები, ესეები... ჩვენი ლიტერატურის ძვირფასი შენაძენია.

ძველი ხელნაწერების თვალთვლებისას ჭაბუკობისდროინდელი, დავიწყებას მიცემული ლექსები, თანდათან მოიძია და კიდევ გამოიტანა სამზეოზე, „როგორც პოეტური გამოძახილი ახალგაზრდა კაცის რომანტიკული გრძნობებისა და მისწრაფებებისა“. (ა. ნიკოლეიშვილი, „გამწყრალი მუზა“, ქუთაისი, 2002 წელი), იგი ლიტერატურული ტრადიციების ღირსეული დამცველი და გამგრძელებელია, მის ლექსებს ნამდვილად აქვთ „მზის სინათლის ხილვისა და დიდი ქართულ ლიტერატურული ცხოვრების ერთ მნიშვნელოვან შენაკადად არსებობის უფლება.“

ჩვენი მეორე სახელოვანი თანამემამულე როზა დევდარიანი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თვალსაჩინო მეცნიერი და მწერალი, ვანის ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანება „საჩინოს“ საპატიო წევრი, სისტემატურად იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში. იბეჭდებოდა ცალკე წიგნებად მისი წერილები, ნარკვევები: ილიას, აკაკის, გრ.ორბელიანის, ნ.ბარათაშვილის, ალ. ჭავჭავაძის და სახვათა შემოქმედებაზე, ქრისტიანული მწერლობის საკითხებზე. რომანი „ჯვრის ფიანდაზები“ (2016 წელი) და ახლახან გამოცემული კრებული „ყვითელ ფოთლებზე აღბეჭდილი ლექსები“ (2016 წელი), მის დიდ ერუდიციაზე, ფართო დიაპაზონზე, დაუშრეტელ შემოქმედებით ენერგიაზე და სულიერ სიმაღლეზე მიგვანიშნებენ.

აქვე მინდა მკითხველს წარვუდგინო ფიზიკა-მათემატიკოსი, პროფესორი მერაბ (ვასილი) თევზაძე (ამ სტრიქონების ავტორის ძმა – ა. თ.) დაბადებული ვანის რაიონის სოფელ მთისძირში. მოსწავლეობის წლებიდან იბეჭდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. თუ მაინც ფიზიკა-მათემატიკის დარგს გაჰყვა ეს, სწორედ, მისი სკოლის მასწავლებლების: მ. ბუბუტიევიშვილისა და ს. ქიმუცაძის დამსახურება გახლავთ. არ მინდა ოდნავადაც ჩრდილი მივაყენო ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავი მასწავლებლის, ან. განსვენებული შ. გოგაძის სახელს,

რომელმაც ასე უსაზღვროდ შეაყვარა მწერლობა. მერაბ თევზაძე დღემდე კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ამასთან ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობასაც ეწევა. გზადაგზა ქმნის სადღეისო პრობლემებით ნაკარნახევ სტრიქონებს, რომლებშიც მისი მსოფლმხედველობა და პატრიოტული სულისკვეთებაა ჩაქსოვილი. ახლახან გამოცემული მისი წიგნი „სინათლე მოდის ბეთლემით“ ამის ნათელი დადასტურებაა.

სიამაყის გრძნობა გვეუფლება, როცა ვეცნობით სახელოვანი მეცნიერის ლუკა დვალის დოსიეს. დაიბადა 1961 წლის 5 აგვისტოს, 1978 წელს დაამთავრა ვანის რაიონის სოფელ სულორის საშუალო სკოლა, 1989 წელს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი, ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობით. მუშაობდა უნივერსიტეტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე. ბოლო ათი წლის განმავლობაში სამეცნიერო კრებულებსა და ჟურნალებში გამოქვეყნებული აქვს 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და გამოცემული აქვს ოთხი წიგნი (ერთი თანაავტორობით), მონაწილეობა აქვს მიღებული 60-ზე მეტ საერთაშორისო და ეროვნულ-სამეცნიერო კონფერენციებში.

ამჟამად ბატონი ლუკა დვალის ძვირფასი ასოცირებული პროფესორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი გახლავთ. არის საქართველოს მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიური მემკვიდრეობის“ რედკოლეგიის წევრი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სალიტერატურო ჟურნალის „პოეზიის დღე“ რედაქტორი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა როგორც კულტურათმორისი მედიატორი“ რედკოლეგიის წევრი, ვანის რაიონის ოსტორი, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის თანადამფუძნებელი და კრებულ „მატიანეს“ რედკოლეგიის წევრი და ა.შ.

ბატონმა ლუკამაც გარკვეული ხარკი გადაუხადა პოეზიას. ტყუილად არ უთქვამს დიდ სომეხ პოეტს ო.თუმანიანს: ყველა ქართველო პოეტია და ყოველი ქართველი პოეტი ორგზის პოეტიო. უჭირდა თუ ულხინდა თავის განწყობილებას, უპირველეს ყოვლისა, ლექსად გადმოსცემდა ქართველი კაცი.

მამაკაცი პოეტები ნამდვილად არ გამინაწყენდებიან თუ შედარებით ვრცლად გავაშუქებთ ცნობილი ჟურნალისტის მერი სანიკიძის მოღვაწეობას.

ქალბატონმა მერი სანიკიძემ დაამთავრა ვანის ყოფილი კიროვის სახელობის საშუალო სკოლა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. მისი განსაკუთრებული ნიჭი და უნარი შეუმჩნეველი არ დარჩენია მისსავე ლექტორს, პროფესორს, მაშინდელი რადიო-ტელემაუწყებლობის თავმჯდომარის მოადგილეს ნოდარ ბეთანიშვილს და ახალგაზრდა პრაქტიკანტი მიიწვია რადიომაუწყებლობის საინფორმაციო განყოფილებაში დიქტორად, თუმცა გული მაინც ბეჭდური სიტყვის სისტემაში სამუშაოდ მიუწვედა. მალევე დაიწყო მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში. სხვადასხვა წლებში მუშაობდა გაზეთებში: „თბილისი“, „იბერია თაიმსი“, „ახალგაზრდა ივერიელი“, „მოძღვარის“, „დედა“, „სიმართლე“, ჟურნალებში: „ფენომენი“, „გზის გასაყართან“. იყო კორესპონდენტი, განყოფილების გამგე, მხატვრული რედაქტორი, რედაქტორი. თანამშრომლობდა რესპუბლიკის ბეჭდურ ორგანოებში, მისი ავტორობით, თანაავტორობით გამოიცა – მოთხრობების, ნოველების, პუბლიცისტური წერილების, ესეების, ლექსების კრებულები. არის მოსკოვში, ბიჭვინთაში, თბილისში ჩატარებული კონკურსების – „საუკეთესო ნოველა“, „როდის ამოვა აფხაზეთის ქართული მზე“, „ჩემი თბილისი“. გამარჯვებული, მიღებული აქვს უამრავი სიგელი, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო ჟურნალისტს. არის საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციისა და ჟურნალისტ ქალთა საბჭოს წევრი.

სულ ახლახან პოეზიის მოყვარულები ლექსების ახალი კრებულით „შემოდარბაზდა, სიყვარული შემოდარბაზდა“ გაახარა (თბილისი, გამომცემლობა „სვეტი +“ 2017 წელი) ამ წიგნში, თავად ავტორის სიტყვებს გავიმეორებ: „ფვიქრობ, ყველა ადამიანის სიხარული და ტკივილია განთავსებული და არაკონკრეტული პიროვნების თავგადასავალი“ და, ჭეშმარიტად, იგია „მკითხველთან მისასვლელი სავიზიტო ბარათი.“

ზემოთხსენებული თაობის ღირსეული წარმომადგენელია შუამთელი (ვანი) ხალასი ნიჭის პოეტი, ცნობილი ფილოლოგი, სიტყვის შესანიშნავი ოსტატი, წლების მანძილზე გამომცემლობა „მთავლიტის“ რედაქტორი – რევაზ ჩაფიძე. ის მსუყე ფერებში გვიხატავს სოფლის იდილიური ცხოვრების სურათებს, გულწრფელად წერს კაცთა ერთგულებაზე, სიყვარულის, მეგობრობის მარადიულ თემებზე. ამავე თაობას მიეკუთვნებიან პოეტები: ბ. სვანაძე, ვ.ახობაძე, ა. თევზაძე, რომელთაც საკმაოდ მდიდარი პოეტური პალიტრა გააჩნიათ და ფრიად საინტერესო სახეობრივი აზროვნების ნიმუშებიც შექმნეს. სინამდვილის მძაფრი შეგრძნება განაპირობებს მათი ლექსების ცხოველმყოფელობას.

გამორჩეული პოეტური აზროვნებით, საგნებისა და მოვლენების ორიგინალური აღქმითა და სამყაროს ღვთაებრივი ხილვის უნარით გამოირჩევა 80-90-იანი წლების უფლისგან ხელდასხმული თაობა: ივანე კორძაძე (ვანის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი), ქეთევან ძაგნიძე (მასწავლებელი, ლიტერატურული გაერთიანება „საჩინოს“ წევრი), ლიტერატურულ-შემოქმედებითი გაერთიანება „საჩინოს“ სხვა წევრები: მთვარეა ახობაძე, ვანო ძაგნიძე, მარინე ჟღენტი, ირინე ხურციძე, ნელი ბელთაძე, მარიზა დიასამიძე, ლალი ჩახუნაშვილი... რომელთაც გააჩნიათ თავიანთი მომხიბვლელი პოეტური „სამყაროები“.

კრებულ „მატიანეს“ ფურცლებზე პირველად გაეცნობით სტუდენტებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის, ახალი თაობის შემოქმედებას. დალოცვილ იყოს მათი მოკრძალებული ნაბიჯები ჩვენი მწერლობის სარბიელზე, მათი კალმის მიმოსმანი.

პერიოდულად „მატიანეში“ დაიბეჭდება სხვა ვანელ შემოქმედთა ნაწარმოებებიც, რომელთაც, რა თქმა უნდა, დიდი ინტერესით გაეცნობა ფართო მკითხველი საზოგადოება.

აკაკი თევზაძე

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

* * *

* * *

ჰგავს მოგონება სევდის გალიას,
 მისილულია ხსოვნა ლანდებით,
 რად მენატრები ასე ძალიან,
 ასე საოცრად რად მენატრები?
 ახლა არ მოდის ჩემთან არავინ,
 რომ სიმარტოვეს დარდი დავუფრთხო,
 მოწყენილია ჩემი კარავი, —
 შენი ღიმილის წმინდა საუფლო.
 შენ კი შორსა ხარ და სიშორეში
 შენი თავლები სავსეა მთვარით,
 ტორტმანებს სივრცის ლურჯი მორევი
 და თმებს გინუნავს ივლისის ქარი.
 როდემდე გასტანს ეს მოთმინება,
 ეს განშორება როდემდე გასტანს?
 მოვა ნათელი, როცა იქნება,
 და ის განარჩევს მრუდსა და მართალს.
 დღეს კი მარტო ვარ, ისევ ქარია,
 თეთრად ანთია მთვარის სანთელი
 და მენატრები ისე ძალიან,
 არც ვიცი, ასე რად მენატრები...

შენი ჩუმი თრთოლვით და
 ჩამოშლილი თმებით,
 გამოდიხარ ხსოვნიდან
 და კვლავ მელანდები.
 თეთრი ლანდი წრიალობს, —
 გონგაცლილი ვნებით
 და კვლავ დავხეტილობ
 გათელილი გზებით.
 თოვს ნათელი მთვარისა —
 თვალთა შენთა ფერი,
 მარტოობამ დანისლა
 სულის სამოთხენი.
 შენ კი რა შორს წასულხარ,
 სულ სხვა საპატარძლოს,
 ვაჰ, თუ დევმა განახოს და
 ცხრა მთას გაგიტაცოს...
 დარიალებს ოცნება
 შენი ქუჩის ახლო,
 ჩემი შორი მოწყენა
 შიგ რომ ჩავასახლო.
 ნისლიანი თვალევი,
 ჩამოშლილი თმები.
 ნეტა გაგაგებინა,
 როგორ მანეტრები...

* * *

მშვიდობა ქვეყნად ყველას და ყოველს,
რტოზე გასკდომას პირველი კვირტის,
ტოროლა ცაში სიცოცხლეს ტოვებს
და მზისთვის კვდება ცისფერი ჩიტი.

მშვიდობა, ვინაც ირმების ბლავილს
და მწვანე ნეკერს გაუთევს ღამეს,
ვინც იგრძნობს თოვლქვეშ
ჩაყინულ ყვავილს
და მერცხლის ჟღურჯულს
გაუღლებს კარებს.

ქუჩებში ღალად გამოსულ წყვილებს
და ბელურებით სივრცის ანთებს,
რალაც უეცარ, ღამაზ ტკივილებს
და უცნაურის მძაფრ მონატრებას.

მშვიდობა ქვეყნად ყველას და ყოველს,
რტოზე გასკდომას პირველი კვირტის,
ტოროლა ცაში სიცოცხლეს ტოვებს
და მზისთვის კვდება ცისფერი ჩიტი...

* * *

აგვიანდებათ ძვირფას ბარათებს
და ჩუმ მოლოდინს მწუხრი ანათებს,
ერთფეროვანი გახდნენ დღეები,
აგვიანდებათ ძვირფას ბარათებს.

დამჭკნარ ყვავილებს ჰგავს მოგონება
და მარტოობა თავს კვლავ განატრებს,
რეკავს დღეების ერთფეროვნება:
აგვიანდებათ ძვირფას ბარათებს.

აავსეს სივრცე რუხმა ქორებმა,
თოვს თეთრი მთვარე და მთებს ანათებს,
როგორც ღვთაებრივ ზემთაგონებას,
რა აგვიანებთ ძვირფას ბარათებს?..

ზოოპარკში

თვლემენ ლომები ზოოპარკში,
ვეფხვები თვლემენ
და ეზმანებათ მშობლიური ტყეების ექო,
ჰგვანან მხეცები მრისხანების
ზარმაც ფიტულებს –
ამოვსებულებს მოგონების
ფერადი ნისლით.
ლომის სიზმარი... რას ხედავს ნეტავ
სიზმარში ლომი?

მიმქრალ თვლებში ნაზი ცრემლი
ჩამდგარა თითქოს
და თათებზე მონყენილად
დაყრდნობილ თვლებს
ლომის ოცნება გამოაქვთ გარეთ.
სავსეა ვრცელი ზოოპარკი მზით
და ბავშვებით
და ავსებს ბავშვებს აღტაცება,
კრძალვა და რიდი,
და დაკრთის ირგვლივ გარინდებულ
ლომის სიზმარი,
და გალიებად დაღუპული თავისუფლება...

* * *

ჩუმი მონყენა წარმართული
სასაფლაოსი,
თეთრ აკლდამაზე მკრთალი ჩრდილი
წევს ფარნაოზის.
ალარც ციაგი,
ალარც კრთობა ძველთა ბგერათა,

ქვებზე ბალახი აყვავილდა და აფერადდა.
სად სამთავროა,
დამარხული სად არმაზია,
ალარც გუბაზი, არცა სადმე ფარნავაზია.
მკვდარი ჩრდილები მიჰყვებიან
ბალახებს მალლა
და თეთრ გვირილებს სერაფიტის
მონყენა ახლავთ.
სამაროვნებში ჩათესილი ასომთავრულით
ფეხქვეშ შრიალებს რწმენა ჩემი –
მინა ქართული.
ჩუმი მონყენა წარმართული სასაფლაოსი,
თეთრ აკლდამაზე მკრთალი ღანდი
თვლემს ფარნაოზის...

* * *

არავითარი განსხვავება მოდგმის და ტომის,
ერთი კვირაა, განუყოფელ ვიქეციით ძმებად
და ახლა ყველა ერთი ფიქრით
ვცოცხლობთ და ვინვით,
ერთი ოცნებით, ერთი შფოთვით,
ერთადერთ ფიქრით,
ნაღველით სავსე, ნატვრით სავსე,
სიშორით სავსე,
ჯარისკაცული სიმარტოვის
ნისლიან ფიქრით...

როზა ღვებარიანი

ვითარცა სურინ

უფლის ძახილი მალევიძებს,
 ველტვი ღვთისმშობლის კალთას,
 ვითარცა სურინ ირემსა
 წყაროთა მიმართ წყალთა...
 მწყურის ვიხილო ნათელი
 უფლებათა და ძალთა,
 ვითარცა სურინ ირემსა
 წყაროთა მიმართ წყალთა..
 მსურის, აღვიდე მაღალსა
 მწვერვალთა წმიდა მთათა,
 ვითარცა სურინ ირემსა
 წყაროთა მიმართ წყალთა...
 მწადია, თუნდაც წამიერ
 ვიხილო სიღრმე ცათა,
 ვითარცა სურინ ირემსა
 წყაროთა მიმართ წყალთა...
 ნუ, ნუ დაუხშობ, უფალო,
 შენს ნათელს ჩემთა თვალთა
 და მაზიარე შენს უკვდავ
 წყაროთა წმიდა წყალთა!..

კვას წუხილი

ვერ დავაფასე ედემი
 უფლის წყალობა – მაღალი,
 ყვავილი ფერად-ფერადი,
 ხეხილის მწყობრი ღაღანი,
 ფუტკრის საამო ზუზუნნი,
 ფრინველთა ნიკნიკ-წკრიალი,
 გუნდრუკის ტკბილი სურნელი,
 ფოთლების ნაზი შრიალი,
 სიოს ანცობა, ჩურჩული,
 კვირტების სკდომა-ტკაცუნნი,
 რაკრაკა ნაკადულებში
 კალმახის სხლტომა-დგაფუნნი,
 მგლისა და ბატკნის ლაღობა,
 ძაღლის და კატის ბაჩუნნი,
 ნუკრის და ლომის ალერსი,
 კატის და თაგვის ცმაცუნნი,
 ვერ დავაფასე ედემი,
 იის და ვარდის სურნელი,
 ახლა ნარ-ეკალს დავთელავ,

ხიჭვებში დავალ, სულელი!
 ვერ დავაფასე სამოთხე,
 შემრჩა უდაბნო-ენერი,
 ღვთის რისხვას ვერსად წავუველ,
 წინ – წყალი, უკან – მეწყერი...

ღიალოგი

„ის ურჩევნია მამულს,
 რომ შვილი სჯობდეს მამას...“
 „მე ხომ ვჯობივარ მამას –
 ასე გმირსა და მამაცს?!“
 „ის ურჩევნია ზეცას,
 რომ შვილი სჯობდეს დედას!...“
 „მე ხომ ვჯობივარ დედას,
 ასე ტკბილსა და ნეტარს?!“
 „მე ორი მყავხართ ბარტყი,
 ესდენ თბილი და ტკბილი.
 შენ? შენ რამდენი გინდა,
 ერს გაუზარდო შვილი?“
 „ო, შვილი? ბევრი, ბევრი!
 ხატულა, ხარისქედა!
 მე ათი მინდა შვილი...
 თუ... შენ გამიზრდი, დედა!“

მინა კი მაინც ზრუნავს...

შენ ვერ შეიცან, ვინაც
 ღვინოდ აქცია წყალი,
 ვინაც განკურნა ყრუვი,
 ბრმას აღუხილა თვალი,
 შენ ვერ შეიცან, ვერა,
 ცხოვრების წყაროს ეშხი,
 ვერცა ცხოვრების პური,
 ვერცა კეთილი მწყემსი,
 შენ წყლად აქციე ღვინო,
 მოყვასს დაუხშე სმენა
 და დაუშრიტე ხედვა...
 მით განარისხე ზენა,
 შენ, შენ ნაბილწე წყარო,
 თავანკარა და წმინდა.
 ფეხით გათელე პური —
 უკვდავებისა წინდი.
 შენ მოაკვდინე ერთა
 თავგადამკვდარი ქვრივის,
 შენ წარიტაცე ლეპტა —
 უფლის კუთვნილი მწვლილი.
 გეხვევა შავი ნისლი,

უფსკრულის პირას დგახარ
და გემუქრება ჩანთქმით
მისი შავბნელი ხახა,
ნებით უარყავ ზეცა,
მალე გიმტყუნებს ხავსი
და წარგიტაცებს ყვავი –
თვალბედითი და ნავსი.
მინა კი მაინც ბრუნავს,
მაინც დაცხვება პური,

მაინც იჩქეფებს წყარო,
მაინც იფეტქებს გული...
მეათერთმეტე ჯამი,
მაინც გპირდება მოცდას,
მაინც მოელის მამა
უძლები შვილის მოსვლას,
მოვა? ჩაიკრავს გულში,
პირველსამოსით მორთავს...

თქმული საჩინოელი ოქრომჭედლის რჩეულისა

რაც თავი შევიცან, გელოდი ზეციდან,
გეძებდი ატმების ყვავილში...
გეძებდი მაისის შხაპუნა წვიმაში,
მერცხლების ჭიკჭიკში,
კვირტების ტკრციალში,
გეძებდი... გეძებდი...
ცისკრისას გეძებდი მეტწილად
და ანგელოსებთან გეძინა!
ვკოცნიდი ნამიან ბალახებს,
წყაროსთვალს ვკოცნიდი კრიალას,
გეძებდი... გეძებდი...
ნიავის სუნთქვაში გეძებდი,
გეძებდი უხმოდ და ხმიანად.
ვკოცნიდი მუზეების სანახებს,
ნუკრების ნატერფალს უბინოს,
ვკოცნიდი... ვკოცნიდი...
შენზე ფიქრს ვკოცნიდი უხინვოს!
გელოდი ალალი თვალებით,
კეთილი ღიმილით გელოდი,
გელოდი ლამაზს და ფიქრიანს,
გელოდი სათნოს და საოცარს,
გელოდი უცხოს და სალოცავს,
გელოდი... გელოდი...
გელოდი მეშვიდე კარებით,
ცხრათვალა სხივებთან დარებით,

გელოდი...
მიყვარდი ესოდენ კამკამა,
მზესავით თბილი და მზეთვალა,
მიყვარდი ციაგით ნაფერი,
მიყვარდი მთიების საფერი,
მიყვარდი სინმინდის ნათელი,
მიყვარდი... მიყვარდი...
მიყვარდი ჩუმად და ვდნებოდი,
მიყვარდი უხმოდ და... ვბნდებოდი,
მიყვარდი...
და ბოლოს... განიხვნა ცის კარი!
მოფრინდი ცხრათვალა მზის დარი,
გადახსენ ოცნების ბჭისკარი,
მასმიე ციური ნექტარი,
სანუთრო აცისკრე, ადარე
და ის მოლოდინი, ნეტარი,
მზის ფიანდაზებით ატარე!
მიმოქრის ნანატრი „ნეტავი“...
„უყვარხარ!“ – ჩურჩულებს კედარი...
ვუყვარვარ! ვუყვარვარ! ვუყვარვააარ!!!

რეკავ ჩაფიქი

ყურნუმელას ფოთოლი

დედის ნათელ ხსოვნას

ყუმურისპირ ქვებზე ნარბენს
 მეძინება უღვთოდ დაღლილს(!),
 ფეხის გულში ქვით ნატკენს რომ
 ჩვენში ეძახიან „დაგრილს,“ –
 არ მესმოდა, დაგგრილავსო
 დაქანცული დედის ძახილს
 არ ვისმენდი, გავპარულვარ
 უთვალავჯერ ჩუმჩუმელა...
 ნავიდოდა დედა ტყეში
 მოიტანდა „ყურნუმელას“,
 ერთ ძარღვიან ეკლის ფოთოლს
 მახსოვს, ამ სახელით ხმობდა.
 ძალა ჰქონდა ყურნუმელას
 სანამდი არ ჩამოთოვდა(!).
 პურის გულში რევდა საპონს,
 ზედ იმ ფოთოლს დამადებდა
 და მიხვევდა ცრემლად დაღვრილს.
 მომირჩენდა დედა „დაგრილს“,
 იხსნებოდა ჩემთვის ცა რომ...
 დედა არ მყავს, ჩემს დახრულ გულს
 დღეს სამშობლოც ველარ წამლობს!

სამოცის გავხდი

რალაც შეცვალა დღეს ამ თარიღმა,
 არ მიფიქრია ასე აროდეს;
 ვცხოვრობდი, დედამ ვით დამარიგა,
 „შენით მოყვასი უნდა ხარობდეს“.
 ყველგან მახსოვდა დანაბარები,
 ხან დადინჯებულს, ხან თავქარიანს,
 სხვისი ლოდები ამქონდა მთაზე
 გულმტკივანსა და თიაქარიანს!!!
 ეს რა ქარია, დღეს რომ დაბერა
 (როგორც ვიცხოვრე, ისე ვხარობდი),
 რამდენი დამრჩა შენ იცი მხოლოდ
 იმ პირდაღებულ და შავ ხარომდი?!
 შენ იცი მხოლოდ, შენ იცი მხოლოდ,
 ვიცხოვრე, როგორც ღმერთის ტარიგმა,
 ამოვათავე უკვე აღმართი,
 რალაც შეცვალა დღეს ამ თარიღმა!

ჩემი გავხვობა – ჭალა ყუმურის

ისევ აქ ვარ, იისფერ კვამლს აკმევს
 ბუხრის ყელი, სადღაც ზარი რეკავს.
 აქ რომ წყალში გადავისვრი ანკესს,
 მოგონება ამოჰყვება ნემსკავს(!)
 ნათოფარი მახსენდება ყანჩა,
 სისხლი შავად შეხმობოდა ფრთებზე,
 სამუდამოდ ჩვენს სოფელში დარჩა,
 ნატყვიარ გულს მიაფენდა მზეზე;
 ვით ის ყანჩა, მეც ვეძახი ტოლებს,
 – გაფანტულებს ნუთისოფლის გზებზე!

საკუთარ თავს

გაგიფლანგავს დრო, ისედაც
 ბოძებული ღვთისგან ჭიჭოლდ;
 სადაც ტირის ნატერფალი,
 იქ არ უნდა დააბიჯო!
 ჩქარა, თორემ დაღამდება,
 ისე მალე, გაგიკვირდეს,
 უნდა გედგას მწიფე ყანა
 და მოსავალს უნდა მკიდე!
 „ნადური“ და „ოროველა“
 გაისმოდეს კიდი-კიდე,
 რომ თავი კვლავ შევიყვარო,
 თავო, შენი გადამკიდე.

N-ს

მწიფობისთვე შენი თვეა,
 ჩემი არი ენკენისთვე,
 გული სიყვარულის ტყვეა
 შენ რო გადაიკისკისებ...
 ცა იხსნება, ყინვა ტყდება,
 სიცხე ხდება უფრო ლბილი,
 აამღერებ ირგვლივ ყველას,
 ენას მართავს ენაბრგვილიც!
 ხარ მთესვარი სიხარულთა
 და იმედი ჭირში მყოფთა,
 ეყოფოდა ბევრს დიდებად
 შენს თითებს რომ შესებოდა!!!
 ხოდა, მინდა დავიყვირო,
 ათასიგზით ვიტყვი ასე:
 – შენი ტყვეა ეს გული და
 მაგ სისავსით არის სავსე!

P.S.

მნიფობისთვე შენი თვეა,
 ენკენისთვე – ჩემი,
 გული სიყვარულის ტყვეა
 – უფლის განაჩენი.
 აღსრულდება როს ნათელი,
 დამიბნელდეს ცაი,
 შენ საფლავთან მოდი მხოლოდ
 – დამიტირებს დაი!!!

საქართველოს

ღმერთს გავედრებ შვილი მშობელს,
 არ ჩამიქრეს შენი თონე;
 შენი ლხენით მაცოცხლე და
 შენი სევდით დამალონე;
 შენი ენა მადლიანი
 შენი სიტყვა ძარღვიანი,
 თვით საფლავშიც გამაგონე!

შვილებს

მართალი თქვით და
 მართალი გზით ვლიდეთ ყოველთვის,
 თქვენით სიმაღლე შეემატოს
 უნდა მშობელ მთებს (!)
 ტყუილს თუ იტყვით
 - ისეთი გეთქვათ,
 ცოტნემ და ბერმა თევდორემ რომ თქვეს!

სიკვდილს

Если смерть, то мгновенная

დამკარ ანაზდად და გამათავე,
 მოუკლავს შენი მოშიში მტერსაც!
 ისე წამგვარე ორთავ მშობელი,
 თვალწინ მიდგახარ, სიკვდილო, დღესაც;
 როცა მოდიხარ, მოდი მთლიანად,
 მოდი მეხად და მოდი დაცემად,
 ეგება ელდად დარჩეს თვალეში
 ვილაცას ჩემი გარდაცვალება(!)
 ვერსად წაგივალ, მაინც შენი ვარ,
 სიკვდილ-სიცოცხლის მარად დავაში,
 მადროვე, ვინემ შევბუმბლავ ბარტყებს,
 „გამოვიყვანდე ვინემ ჯაყვაში“;
 მერე, ჯანდაბას, ჯანი გავარდეს,
 ვერ შეგიცვნია შენ ჩემი ჯიში,
 დამკარ ანაზდად და გამათავე,
 მტერსაც მოუკლავს შენი მოშიში.

ლუკა დვალისვილი

ყვავილების გამოჭრა

ეს მოხდა ჩინეთში
 ძიან-ჩუნის დროს,
 ძვირფასი აბრეშუმით
 ალისფრად ხასხასებდა,
 მსურველი ბევრი იყო,
 ფასს ველარ წვდებოდნენ,
 ძიან-ჩუნი ქსოვილს,
 ო, ძვირად აფასებდა.
 ვინმე სოვდაგარი
 მობრძანდა ეტლით,
 ბრძანა! –
 „მოსჭერით ათასი მეტრი,“
 მსახური ლიქნით
 გაუნვა ფეხებში,
 ისურვა დიდვაჭარმა –
 „დასჭერით მეტრებში.“
 ფრიად გაკვირდნენ
 ყაფანის ამქარნი,
 თუმც შეუსრულეს

სოვდაგარს წადილი,
 მან ისევ ბრძანა,
 მოჩითულ ნაჭრებზე
 სასწრაფოდ ამოჭერით
 ყველაზე ყვავილი.
 გვიან მოვიდნენ აზრზე მსახურნი,
 ფულიო!...
 აზვირთდნენ სიტყვების ლოდებით,
 ფული რად გინდათ...
 – თქვა ცრუ ვაჭარმა
 გიჟის ცნობას მოგიტანთ,
 თუ დამელოდებით.
 იჭრება კუთხეები,
 ჩუქდება მინები,
 ქვეყანა ფრაკიან
 ვირთხებმა გამოხრა,
 გონს მოდით, ქართველნო!
 ალაგმეთ მღრღნელები,
 ინყება, ინყება ყვავილების გამოჭრა.

სტამბოლელი მუჰაჯირი

სტამბოლში ვარ მუჰაჯირი,
 მუხა ტოტებშემოჭრილი,
 მენატრება მაჭახელა,
 ართვინი და ციხისძირი.
 ჩემო ტკბილო მემლექეთო,
 ღამით გსტუმრობ სიზმრის ფრთებით,
 ნენეს ოდა მენატრება,
 ნეტავ, როდის დავბრუნდებით?!
 დიდი ბაბუს ჩელტის ქიშკარს
 როდის შევხსნით თხილის ღვლეჭსო,
 ბუხარს კეცებს მივუფიცხებ,
 გავახარებ მამის ჭერსო.

მეზობლები თოფს დაცლიან,
 მიებმება ლხინებს ლხინი,
 სუფრის თავში ლომივით ქუხს
 სტამბოლელი მუჰაჯირი.
 თეთრი ციცა რომ მიყვარდა
 თვალვარსკვლავა, ენატკბილი,
 შემომხედა, დამატყვევა
 სტამბოლელი მუჰაჯირი.
 მზეო ჩადი, მალე ჩადი,
 ამაფრინეთ სიზმრის ფრთებო,
 ამაღამ კვლავ გესტუმრები,
 ჩემო ტკბილო მემლექეთო.

დიდგორი

თვალიდან ცრემლი გადმომიგორდა,
 რაწამს დიდების სუსხი ვიგრძენი;
 ყოველთვის, როცა ვდგავარ დიდგორთან,
 მომენატრება ომი ფიცხელი.
 ომი ტკივილს შობს განუკურნებელს
 და მაინც ომის ჟინი არ ცხრების.
 ომი სისხლად სდის საუკუნეებს
 გამარჯვებისა თუ დამარცხების.
 არ ესვენებათ ომის ტიტანებს,
 სულ მხრებზე აწევთ ომის ნისლები...
 რამდენი ომი გადავიტანეთ
 ომი სირცხვილის, ომი ღირსების,
 და ახლაც ომის ჟინი მომიარს
 და უნდობარი ჟამის მიღვევის,
 დიდგორის ომი ომთა ომია,
 მტერთა დათრგუნვის და გაფრთხილების.
 მოფუხნობ წარსულს და ისტორიას,
 კვლავ მტრის სისხლი და ხორცი მომშივა
 და დამნაშავე, ასე მგონია,
 დღემდე წაგებულ ყველა ომში ვარ.
 გამარჯვება კი, აქ რომ გვრგებია,
 გამონათება იყო დიდ გონის,
 რამდენი ბრძოლა მოსაგებია,
 ნინ კვლავ ახალი გველის დიდგორი.

გაიღვიძე, საქართველო!

იყიდება ყველაფერი,
 მისხალ-მისხალ იყიდება,
 გზა დიდებით შენაფერი
 მომავლის გზა იხიდება.
 გაიღვიძე, საქართველო!
 ო, რა ძილი გყვარებია,
 მოყვრის გული მოგიკლავს და
 მტრისა გაგიხარებია;
 აფხაზეთი, სამაჩაბლო
 მისთვის ჩაგიბარებია;
 ვინ პატრონობს შენს მიწა-წყალს,
 მინდორ-ველებს, ზვარებიანს?!
 ბევრის ვკიცხე ზნე და ზნენი,
 ბევრის ლანძღვაც არ მიღირდა
 ვილაც საქო ზედაზნელი
 მცხეთის ჯვარზე ამიხირდა.

მედავება ქვეყნის წარსულს,
 წინაპრის სულს მეცილება;
 საქოს – კარგად ვიცი, რაც სურს,
 მე კი მწარედ მეცინება..
 გაიღვიძე! სანატრელი
 ძღვევის ხანა დაგდგომია!
 გაიღვიძე, სანამ მტერი
 მძინარეს თავს დაგდგომია;
 გაიღვიძე! ისევ ველით
 ქრისტეს დღეებს აღდგომიანს..
 გაიღვიძე, საქართველო!

მონატრება

სოფელი, ჩემი ტკბილი გადია,
 მხედება მოწყენით, უცხოოდ მღუმარი,
 აგერ რამდენი წელიწადია
 სახლში შევდივარ, როგორც სტუმარი.
 გაბზარულ კედლებს თვალებს შევაველებ,
 შევბარბაცდები ფიქრში წასული
 და კიბეებზე, როგორც მევალე,
 ჩამომიჯდება თვალი წარსულის.
 დადუმებულა ბუხარი ძველი,
 ბავშვობის სიტკბოდ რომ შევიცანი,
 საბძელთან ხეზე ჰკიდია ცელი
 და ჟანგიანი გდია ფინალი.
 მორღვეულია ღობე და ყორე,
 ხეებს ასკდება კანი ტკაცუნით
 გადაუთხრიათ მიდამო ღორებს,
 თვალსევდიანი და უკაცური.
 ალვის ხეები თვლემენ უბნებად,
 ზოგიც კენწეროს ჩურჩულით დახრის,
 ალბათ, საყვედურს თუ მეუბნება
 მიტოვებული ეზო და სახლი.
 და ქარი – როგორც მინდვრის
 დალაქი,
 მოსრნა მიწისგან ბალახის ღერი,
 მე მივატოვო უნდა ქალაქი
 და სოფელს მაგრად ჩაეჭიდო ხელი.
 მე აქ არავის ვეუცხოები,
 რაკი ამ მიწამ და ზეცამ მშობა
 და სიყმანვილის ქარის რტოებით
 აშრიალდება ჩემი ბავშვობა.

ტიციანის მონოლოგი

მთიდან მოუხმობს არწივს არწივი,
ჩანან ხევები დევის პეშვებად,
ნისლი, გომბორზე გადანარწევი,
იცრიცება და დაბლა ეშვება.
ზამბახისფერი ამოდის დილა,
მზე გადმოშხუის ზეცის თალიდან,
კავკასიონმა ცა მოიჩრდილა
და ლამენათევ ველებს გახედა.
არ შეიძლება არ გაუგონო,
არ იგუმანო მთების სათქმელი,
ან უნდა იყო ბრმა და უგონო,
ანდა არ გქონდეს გული ქართველის.
განწირული ვარ დასალუპავად,
რა ვუყო ჩემს თავს, რა ვუსაშველო?!
სამარისათვის ერთი ლუკმა ვარ,
სამშობლოსათვის ვარ უსაშველო.
დასაბამიდან ასე მანვალეებს
განუკურნელი შენი ჭრილობა...
მე საქართველოს მზეს ვენაცვალე
და პოეტების გულახდილობას.

* * *

რა მოგივიდათ, ჩემო კარგებო,
ნეტავი ასე რაღა გაშინებთ?
მზერას მოგაპყრობთ და საგანგებოდ
უკუიქცევით ჩემგან მაშინვე.
რას მეზუტებით, რა დაგემართათ?
ან რა ხატი და ღმერთი გაგინყრათ?
თქვენ ჩემი თითო კოცნა გემართათ,
შემთხვევით, ხომ არ გადაგავინყდათ?

ბროლია

რა სიმშვიდეა, რა სინყნარეა,
ნუშებს ცრემლები დაუდენიათ...
ეტყობა სახლში აღარ არიან,
საით წასულან ამ უთენია?
ვხედავ-ოთახში ტკბილი ბოლია,
ისევ ცხელია კერის ლადარი.
შენ ხომ ვერ მეტყვი, ჩემო ბროლია,
დედა სად არი, მამა სად არი?!
თითქოს შეიცნო გულის ნადები,
ჩაინკმუტუნა რაღაც ბროლიამ,
მომებლაუჭა მუხლზე თათებით
და მერე უკან გამიყოლია.
მივდევ კვალდაკვალ და შორით ვხედავ-
თავზე ადნება სისხამი დილა
შუა ჭალაში ჩამუხლულ დედას,
ჩემკენ ხელები რომ მოიჩრდილა

მოდო...

გარეთ თეთრი ქარი დაჰქერის
ფაფარაყრილი, –
იმერეთში ეზო-ეზო
დადის აპრილი.
შენ კი საით დაიკარგე,
ჩემო გოგონა?
რომელ კვირტად გაიშალე,
რომელ კოკორად?!
დაობლებულ გულში მხოლოდ
სევდა ბინადრობს...
მოდო, ჩემებრ სიყვარულით –
ვინ მოგინატროს?!

მე რომ

მე რომ ამ მინის შვილი ვარ,
 მხოლოდ ეს ზეცა მშველის,
 და ტუჩებზე რომ გვირილას
 შენი ღიმილი შვენის.
 სიზმარივით რომ ამყვება
 შენი სურნელი დილით,
 ყველა ვაზი რომ ამქვეყნად
 დედის ცრემლებით ტირის.
 ღმერთი რომ მინდა შევიცნო
 და სიყვარულში გბაძავ,
 რომ ერთგულება შევფიცო
 ყველა დანგრეულ ტაძარს.
 მე რომ ამ მინის ხავერდებს –
 ხალიჩასავით ფერადს,
 სუნთქვაშეკრული ვავედრებ
 სვეტიცხოველს და გელათს.
 სიკვდილის მერეც ვერ დავთმოზ
 მინას, ვილაც რომ მართმევს,
 და რომ ამქვეყნად ვერასდროს
 ვერ შემიცვლიან ქართველს.
 რომ უელავდათ ფარები
 მეფეთ – დავითს და ვახტანგს,
 თვით ანგელოზის თვალებიც
 თამარისას რომ არ ჰგავს.
 რომ ქართულ სიტყვას – უწვდომელს
 ღამეს ბავშვივით ვუთევე,
 სირცხვილით თვალს ვერ ვუსწორებ
 გალაკტიონს და რუსთველს.
 მე რომ ამ მინის შვილი ვარ
 და იმედი მაქვს შენი,
 არ ამიტირდე გვირილავ,
 შენ ხომ ღიმილი გშვენის...

ტიროდა წვიმა

გულამოსკვნილი ტიროდა წვიმა,
 ვით უმიზეზოდ ნაცემი ბავშვი,
 და გახსენებულ ცალკეულ წვრილმანს
 დარდი შეჰქონდა გაბზარულ ხმაში.
 სულ უადგილო გახდა ღიმილი,

როგორც უხამსი კადნიერება
 და ზუსტად ჰგავდა წვიმის ტირილი
 სხვისთვის ნართმეულ ბედნიერებას.
 მერე თანდათან მიყუჩდა ელდა,
 წვიმის წვეთებიც ჩამორჩნენ თვლაში,
 თითქოსდა გულში ჩაიკრა დედამ
 და მიზეზს აღარ სჩიოდა ბავშვი.

ისე უბრალოდ

წლები დამცვივდა ისე უბრალოდ,
 ჭადრის ფოთლები მეგონა ქარში,
 და მეშინია იმ დღის, უფალო,
 როდესაც ჩემს სულს წიგნივით გაშლი.
 ეს წუთიც ისე მალე დადგება,
 მზის სხივებს ხელის კანკალით ვითვლი,
 რაც სანუკვარი ჩანდა ამქვეყნად,
 ყველაზე მძიმე გახდება ტვირთი.
 ნეტავ მას, ვისაც სული უგალობს...
 მე ვდგავარ, როგორც უფსკერო კასრი,
 და მეშინია მოსვლის, უფალო,
 უფრო მეტად კი – მაქედან ნასვლის...

ჭიუხებიდან

ჭიუხებიდან დავეშვი,
 რქას ჩამოვყევი ჯიხვისას,
 ასეთ კუნაპეტ ღამეში
 შენი თვალები მიცდიდა.
 გრძნობა აზვირთდა მდინარედ,
 ჯიუტად უტევს ნაპირებს,
 მთელი ცხოვრება ვიარე
 და მაინც მოგინადირე.
 დავთვერი შენი სურნელით,
 ნეტავ ღამე არ დამთავრდეს,
 ახლა ასეთი მზრუნველი,
 რად მანამებდი აქამდე?
 მკოცნე, მეფერე, მეკონე,
 გრძნობა ანგრევედა ნაპირებს,
 ჩემი ნადავლი მეგონე,
 შენ აქეთ მომინადირე...

ნაწინავგანენილი ღამე

ღამე ჩამოეშვა ნაწინავგანენილი,
ვიცი, ეს ფიქრები საზღვრებს წალექავენ,
რაფას შერჩენილი პურის ნამცეცივით,
იმ წუთს ველოდები, როცა ამკენკავენ...
ბოლო აღარ უჩანს ამდენ პანაშვიდებს,
შენს თმებს ეხებიან ფიქრთა ხავერდები,
სხვა გზის მომლოდინეს ის
თუ დამამშვიდებს,
შენთვის არასოდეს რომ არ დავბერდები.
რაც სხვამ გაიყოლა, ანდა შენ მოგეცი,
მაინც ერთი მთელის ორი ნაწილია,
გძინავს მოლოდინში ფიქრებ შემოკეცილს
და ნაღდ გრძნობებისგან სივრცე დაცლილია...
მუდამ ადვილია თურმე წაყრუება,
ღმერთო, ლოცვებისგან სულს

რომ დავიბანდე...

ისე მტანჯველია უკან დაბრუნება,
ახლა იმ დღეს ვწყევლი, როცა დავიბადე..
მაგრამ ყველაფერი მუდამ სასრულია,
ბოლო აკორდს უკრავს ჟამი გამეტებით...
ვატყობ, რომ წერტილი უკვე დასმულია,
ანი შენს ხსოვნაში თულა დავეტიევი...

ლექსის უარყოფა

სტრიქონის გასწვრივ თუ გაყოლებით
შენს მონატრებას მოუცავს არე,
მე ვიცი, მალე არ გეყოლები
და ველარც ამ ლექსს ვერ შეიყვარებ.
მე ვიცი, როგორ ორთქლდება წვეთი,
მერე კი როგორ ბრუნდება უკან,
და მომლოდინე თვალები მეტყვის,
რომ მარტოობა ცრემლებზე უკრავს.
ვგრძნობ, ცისარტყელის ქრება ზოლები,
ცას შერევია და ველარ ვარჩევ...
მე ვიცი, მალე არ გეყოლები
და უჩემობას ამ ლექსით გაჩვევ...

ოშკის ცრემლაზი

თავჩალუნული მოვდივარ შენსკენ,
მამულო ჩემო, ზაფხულიც მცეცია,
როდესაც ოშკის ცრემლიან ფრესკებს
თვალებს უსველებს სხვა ქვეყნის წვიმა.
შევკრიბოთ ქვათა ყველა ნამტვრევი
და ჩუქურთმების თითო კარატი,
კვლავ ესიზმრება ქართულ სატევარს
ჯერ აღზევება, მერე – ღალატი.
წარსულის მტვერში ნაკვალევს ვეძებ,
მამულო ჩემო, ღიმილიც მტკივა,
როდესაც ოშკის ცრემლიან ფრესკებს
თვალებს უსველებს სხვა ქვეყნის წვიმა.

გოლომდე

არ შემიძლია გითხრა – მიყვარდი,
რადგან უზომოდ მიყვარხარ ისევ,
შენს სახელს ვიტყვი ბოლო სიტყვაში,
ვიდრე ცოდვილ სულს შეირეგს სივრცე.
ცრის ახლა ზუსტად ისე გულცივად,
შენ რომ წახვედი, მაშინ რომ ცრიდა,
არ მახსოვს კარგად, ვინ ვის უცდიდა,
არ ვიცი, მეც რას მოველი ცისგან.
იქნებ ბოლომდე ვერ აგიხსენი
და თხოვნაც ველარ შევკადრე უფალს,
ვერაფრით შევძლებ, არ გაგიხსენო,
და ფიქრი ისევ მბრუნებს უკან.
ვიცი, ვერასდროს რომ ვერ გკითხავდი,
რასაც წვეთების ხმაურში ვისმენ,
არ შემიძლია გითხრა – მიყვარდი,
რადგან უზომოდ მიყვარხარ ისევ...

* * *

შენი საფლავი სასჯელია ჩემი ცხოვრების,
დღე სინანულად გადამექცა, ღამე-უკუნად;
ყამთა სრბოლაში უსასრულოდ
მივიმდოვრები.
რწმენის მინდორი გამქრალა
და გადაბუგულა.

ისევ ცრიატებს ნისლოვანში
დრო უმაქნისო,
კვლავ დაუნდობლად მიბლანდავენ
სულის ფაცვრებს,
სადით სადამდე, რაოდენი მოგისაკლისო?!
როს მიმწუხრიდან მოგონებებს
ააღმაცერებ...

შენს შემდეგ, ვიცი, ფიქრად
არ ღირს, მართლაც, არავინ,
ლოდი აღმასად მივიჩნიე, ამად ვინაღვლი.
და როგორც ბროლი, გამჭვირვალე,
გაუბზარავი,
ისე ანათებს და წკრიალებს
შენი სიმართლე.

აქ ასე ხდება: ვინც ვარდებს რგავს,
მას თვლიან ხელად,
და არ ახსოვთ, რომ ცისქვეშეთში
არ ვართ მარტონი,
აქ დედოფლობას განურჩევლად
იფერებს ყველა –
მდაბიორია, შიმუნვარი, თუ – ქალბატონი.

დგამენ სპექტაკლებს, თამაშობენ ჰამლეტს,
ბეატრისს,
ცხოვრება, თურმე, ტრიალია
ერთი კადრისა,
ვგავარ აქტიორს, ვინც ცოდვილი
რკინის თეატრის
უღირსი როლი არ მიიღო, – იუკადრისა.

ყოველი ნუთი, ყოველი დღე არის
ბრალდება,
უღირს ბრძოლაში გამარჯვებას
ვჩუქნი იოლად.
და მიხარია, თუკი ახლა ისიც მბრალდება,
რომ არც გრძნობაში არ ვიქეცი
მოდელიორად.

დარჩენა მიწყევ არ გულისხმობს
მართლა დარჩენას...

ისევ ტილოს ვქსოვ და ძველებურ
ტალავარს ვკემსავ,
(ვერ მოვუძებნე, ამად დავშვრი,
სიტყვას ლაქარდი),
ვერ დავუდექი ორპირობას
მდუმარე მწყემსად.

ვერც ამ მიწიერ სამყაროში ავნიავქარდი.
ყინულის ნაცვლად გულში სხივი ავამარმარე,
ზღურბლს იქით მკაცრი ქარაფია,
აქეთ-ფრიალო,
გამათხრევინეთ საკუთარი მრუმე სამარე,
„რომ გულზე ნაზი ზეთისხილი
ავიშრიალო...“

უკვე დავგმანე ერთადერთი საკვამური და
არ ვალიარე ამაზრზენი, ლუში ღარტაფი,
მო,
შემიჩერე ნაომარ და დაჭრილ გულიდან
სისხლისდენა და სინანულის ცრემლის
ღვართქაფი.

გზის გასაყართან ასწლოვანი
თვლემენ ჭადრები,
არა ხარ შენ და აღარ არის ქვეყნად არავინ...
შენს შესახვედრად ვიკაზმები

და ვიჩადრები
ნამარტვილევი, ხვაშიადის ვერდამფარავი.
მეტი სიმართლით და ტკივილით
რა უნდა მოვყვე,
ჩავსაფრებივარ ფიქრის ქურდებს,
როგორც მეველე,

პატარკაცობის, უიღბლობის ბადეში მოვყვე
და გულზვიადობს იღბლიანი მესათხვეველე.
მე მაინც მჯერა, ვით ზღაპარში,
იმ ბადეს გავჭრი
და ოქროს თევზიც მესიზმრება
გადასარჩენად,

წასვლა ყოველთვის არ ნიშნავს,
რომ წარსულში დარჩი,
N.B. სულ ბედისწერის ხლართს ვეძებდი,
ვით ამორძალი,

ვარსკვლავებს ვთვლიდი...
სულ სხვა იყო ჩემი მიზნები...
და ვით მხევალი სასურველი,
მარადი სძალი,
მაინც შენს ყურეს, შენს ლაფაროს
შევეხიზნები...

მოკვლეული რაფსოდია ყრუსათვის

– უცებ მოკვდა?
 – თითქმის... ძირითადად უცებ მოკვდა.
 მერე კი
 ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილ კვდებოდა.
 აი, ასე:
 კ-ვ-დ-ე-ბ-ო-დ-ა....
 /ნეროსავით გაფრენილი ფიქრი/

ოღონდ გულში ცრემლი არ ჩაგელვაროს,
 გათავდა ომი, უმიზეზო და უსაბაბო,
 რა პატარაა უსასრულო, ვრცელი სამყარო,
 შენი თვალებით გაზომილი-დაუსაბამო...
 დღეს ყველაფერი ვიცი მე შენკენ
 და არაფერი შენს თვალებს იქით.
 ვერ ვაკნატუნებ უგემურ ნეკერს,
 ვერც სადღეგრძელოს შეგისვამ ჭიქით.
 კი. ზეცას შეაბოლე ჩემი სიყვარული,
 ნავიდა ქარდაქარ,
 ტყეგულებს მივკვნიესი შენგან
 დაზაფრული-მტაცებლის არჩივი,
 ხან დაავადებული დამყავდა ოცნება
 ბანდაბან, კარდაკარ,
 ხანაც შენს ფეხებთან ვიყავ ჩაცუცქული
 დატუქსულ ბავშვივით...
 მომწყინდა თოვლი, გათხოვილი
 ქალივით ძველი,
 მახრჩობს სიცრუე ამბოხებულს
 და მარად მქუხარს,
 უკანასკნელად გამოვალე სულის სარკმელი:
 ვაიმე!
 მგონი, არც მიყვარხარ და არცა მძულხარ!
 მოდის მირკანი, ულმობელი, და
 გთხოვთ, დამმალოთ,
 რომ აფეთქებულ კვირტთა ცეკვა ველარ
 შევიგრძნო,
 განყალბებულა ყველა სალბი,
 ყველა ნამალი,
 ვკოცნი შეცდომას, შემიყვარდეს
 ოცნება ვინძლო...
 ვიცი, რაც მელის. შენ კი მაინც
 ვერაფერს მიხვდი.

თუ რამე მოხდა, ყველაფრისთვის
 უკვე მზადა ვარ.
 ბედისწერაა სიყვარულში ამ ფასს
 რომ ვიხდი –
 ოჰ, ბედისწერავ, სად მიგყავარ, საით,
 სადაველ?
 სასახლის სანთლებს რიგრიგობით
 და კრძალვით ვაქრობ,
 და ვინვავ თითებს, როგორც მაშინ
 დავინვი ფრთები...
 და როცა ნარსულს ჩემს გაბზარულ
 მზერას მივაპყრობ,
 შენ უსაშველოდ ხუნდები და
 პატარავდები...
 სულ არ მალეღვებს, თუ რას ზღაპრობს
 ჭრელი ლიანგი,
 რომ ვერ გახდება დაცემული
 სული მზვაობარ,
 მოედინება თანაგრძნობა-ცრემლი ნიანგის
 და ნაპრაღით გაჩეხილა არარაობა.
 აღარ აშინებთ კუდიანებს მჭახე „არული“,
 და ნვალობს ღამე, უსინათლოდ
 არ მიინავლოს,
 ჩემგან შეიცან ღვთაებრივი შენ სიყვარული,
 მე კი დღეს შენგან მოურჩენელ
 სიძულვილს ვსწავლობ.
 მე ქალი ვარ და გაუკაფავ ტყეს
 ვერ გავკაფავ,
 მოვა ჟამი და იმ ერთადერთ
 სიმართლეს მოგწერ,
 ცის კაბადონზე უცნაური ფრიალებს კაბა,
 უკანასკნელი ბრწყინვალეების უენო მოწმე.
 მე ნავალ ღმერთთან-აქ
 კოშკები ვილას ვუშენო...
 შენ კი ოდესმე დაფიქრებას ხომ
 მაინც შეძლებ...
 მშვიდობით,
 რადგან დავიღალე, ვერ ვძლებ უშენოდ.
 მშვიდობით, რადგან დავიღალე,
 ვერც შენთან ვერ ვძლებ...

პანტანს ანოპაქ

* * *

ვიცი ნამდვილად, უფალი მოვა,
გამომიჩნდება მერე მფარველი,
ახლა თავში მაქვს ფიქრების გროვა,
ირგვლივ არა მყავს მე დამნახველი.
დღეს კი დავუქრავ, ალბათ, დაკვეთით,
არა აქვს აზრი – რაც რომ იმღერო,
ვერ გააკვირვებ ვინმეს რამეთი,
რაც უნდა თქვა და რაც რომ დანერო.
ცხოვრებამ ისე დამარტყა ტორი,
საცაა სული ძლიერ ინივლებს,
დგას ბოროტების ინკუბატორი
და სულ ერთნაირს ჩეკავს წინილებს.

* * *

ვიცი რომ დიდხანს მომიწევს დაცდა,
რომ აღორძინდეს სიკეთე ისევ
და მენატრება ისეთი განცდა
კაცი რომ სხვის დარდს გაითავისებს.
მე, ჩემო ძმაო, დავრჩები შენად,
ბევრს კი ამისთვის რწმენა არ ეყო
და თუ მოვკვდები – გავყვები ზენას,
რომ შევუერთდე სულთა სამეფოს.
ვიღაცის აზრში დავრჩები მერე,
ჩემს კაცობაზე, ვგრძნობ – დაფიქრდებით,
ზოგნი ჩემს ლექსებს კი იმღერებენ,
მაგრამ, ვაი, რომ აღარ ვიქნები.
დედამინა კი არის საშრობი,
შეგინოვს ისე – აღარ იდარდებს,
ადამიანი ღვთისგან ნაშობი
სიცოცხლეშივე უნდა გიყვარდეს.

* * *

როცა სული ხორცს სცილდება –
კაცი გარდაიცვლება,
სული მიდის, გაფრინდება,
ხორცი მიწად იქცევა.
დედამინა არას კარგავს
და რაც გასცა – მიიღო,
სული არის მთავარი და
სული არ დავივიწყოთ.

პერ გავასხვისაქ

ახლა ერთი მაქვს რწმენა და სული
რადგან ვინამე ღმერთად სამება, –
მაგრამ მაინც ვარ მე დაბნეული,
ლამაზი ქალი რომ მესალმება.
თუმცა სინითლე მედება ისე,
როგორც ცის კიდეს ადრიან დილით,
მაინც ვერაფრით ვერ გავასხვივებ
ლამაზი ქალის ნაჩუქარ ღიმილს.

პანო კახნიძე

უშენოდ...

სული ჩამქრალ სანთელსა ჰგავს უშენოდ,
გულს იარა სევდად ადევს უშენოდ,
აღარ ხარობს ვარდი – ტურფა უშენოდ,
აღარც სხივი მზისა მათობს უშენოდ,
ზეცას თალხი მიძივად აზის უშენოდ,
აღარც წვიმის როკვა მაკრთობს უშენოდ,

ურჩი ქარი ხეებს ამტვრევს უშენოდ,
მთვარე ობლად ქცეულ მტრედს
ჰგავს უშენოდ,
აღარ მათრობს აღარც ღვინო უშენოდ,
ნლები, ნლები, ნლები მიქრის უშენოდ!

გახსოვს?!

გახსოვს ოქროს ჩარდახი,
მწუხარება რიონის,
ზვირთნაფერი ნაპირი,
მყუდრო, სანატრიონი?!
დღეთა შემოღამება,
დაბინდების ზიარი,
გაცრეცილი საღამო
და ჩრდილების რიალი.
თვალთა აციმციმება
და ნამწამთა ჩქერალი,
მარადისი ლოდინის,
იდუმალი ცქერანი;
მოშრიალე ჭადარი,
ქარი გზაარეული,
ცხელი, როგორც ლადარი,
ბაგე-ნდომით დამდნარი...
გახსოვს ოქროს ჩარდახი,
მწუხარება რიონის,
ზვირთნაფერი ნაპირი,
მყუდრო, სანატრიონი?!

მოვალ, მომიხდები როცა...

ქარი უცნაურად არხევს
ბაღში ლამპიონთა რიგებს,
მოვალ, მომიხდები როცა,
შემხვდე ხეივანში, იქნებ!
ახლა ფოთოლცვენა ჩქარი,
იცი, დასტურია კოცნის,
გახსოვს სექტემბერი წყნარი,
ოდეს შემისრულდა ოცი?!
ალბათ, სასწაული თუა
ლამპრად ანთებული მთვარე,

სულში ჩამოხედვას ბედავს
 ოჰ, ეს დამცინავი ღამე.
 და ამ მოგონების მიღმა
 სევდა ფანტელივით ქრება,
 ზეცა იფერადებს ნიღაბს,
 დილა შეშლილივით თვრება...
 ქარი უცნაურად არხევს
 ბაღში ღამპიონთა რიგებს,
 მოვალ, მომინდები როცა,
 შემხვდე ხეივანში იქნებ!

მასსოვს სააპრილო ბინდი

პოეტ გურამ გიორგაძის ხსოვნას

მასსოვს სააპრილო ბინდი,
 ღამე ვით ათია სურამ,
 მორცხვად მოშრიალე შინდი
 იცი, როგორ მასსოვს, გურამ?!
 სუფრა იმერული, წრფელი,
 მორცხვი ქალბატონი რიმა
 (ას ნელს მიღწეული ვარო
 თქვა, ნაზად გაიღიმა).
 იყო სტრიქონების წყება,
 ბუხრის აფოფრილი კვამლი.
 მერე, როგორც ჩვენში ხდება,
 ჩუმად შეყვივლება მამლის...
 ახლა უსაშველოდ მტკივა,
 შენ რომ აღარ ხარ, გურამ!
 მასსოვს სააპრილო ბინდი,
 ღამეგატეხილი სურა.

შენ ისევ მოხვალ

შენ ისევ მოხვალ,
 როგორც ბევრჯერ მოსულხარ ჩემთან,
 იმავე გზებით, იმავე გზნებით
 და საყვედურით.
 ისევ ისეთი გარინდება დაისადგურებს,
 როგორც შენამდე... შენ ისევ მოხვალ
 ანურული თხემით ტერფამდე
 და ამამალღებ
 ცამდე, ღმერთამდე!

არ გელოდები

არ გელოდები! რა მწარეა
 ამის გაფიქრება,
 წლები შევერცხილილი
 კრთის განაცხები,
 ცხრანყაროს აყვავდა
 ლურჯთვალა იები და აკაციები!...
 შენ არ დაბრუნდები,
 ახლა მოწყენაა ჩემი მასპინძელი,
 სული ობოლია, ზვაობს საწყაული,
 ჰქვია დამარცხება, თუ ვერ გაუძელი
 და თუ გაუძელი, ჰქვია სასწაული!

გიორგი ჟღენტი

ვერ გავწყრები...

ვერ გავწყრები სოფელს გულგაშლილს,
 ნუმც მომეშალოს მისი ნუგეში, –
 სად დავესესხე ყანას უღვაში
 და ისე შეველ სიჭაბუკეში.
 სადაც ცეცხლს მიმცეს ბროწეულებმა,
 ეკლებით მჩხვლეტდნენ თითებს უნაზესს,
 თითქოს გასინჯეს სისხლის ბუნება
 მშობელი მიწის ტრფობის უნარზე.
 სად სიხარულის თუ ტკივილების
 დაუშრეტელი წყარო ფესვს იღებს, –

ბავშვობის შუკა მესრის კბილებით
 მოსიყვარულე ლეკვივით მიღრენს.
 ვერსად ნავუველ გუგულს შეჩენილს,
 „თესე – კაფეო“ კვალდაკვალ დამდეგს...
 ჭალის ჩიტს ვგავარ-ჭალას შერჩენილს,
 და ვაზის ლერწის ბორკილი მადევს.

* * *

ეზოში იდგა პატარა ოდა, –
 პაპის ზღაპრების მყუდრო სავანე, –
 თითქოს მდელიში ჩაფლული ძოვდა
 დახარბებული ქორბუდა მწვანეს.
 როგორც ბოჩოლა, გაყიდეს სახლი,
 და წამომართეს ოდა-სართული...

სიზმარში ვათევ იმ სახლში ახლაც,
იმის თბილ გულში მიყვარს ფათური.
ჩემი ბავშვობა შიგ ცხოვრობს, სუნთქავს,
მინდა ზმანებად ხშირად ვიხილო,
როს მონატრების ნალველი მთუთქავს,
ვარ მონყვეტილი ველზე ღიღილო...
ეჰ, აივანზე ჟღერტული ბარტყის
არ ისმის, ტკბილი ვით სიმთა ჟღერა...
ბუდე ჩუქურთმად რომ გაჰყვა სარტყელს,
თან გაჰყვა ჩემი მერცხლის სიმღერა.

* * *

რუსთაველზე როცა მოვა ზაფხული,
მუხლმოყრილი თბილისის მზეს იფიცებს,
არ იქნება რომ არ მოგინახულოს,
ნაფერმკრთალებს სახეს წამოგიფიცებს.
გამოექვც აგვისტოს მწველს, თაკარას...
აღვისტანავ, მოიჩრდილე ალვები,
მოაშურე ჩემს პატარა აგარაკს
და თბილისის მზესაც დაემალეები.
შენს ტანს მოჰყვა თითქოს პაპანაქება
ჩემს ქუჩაზე, კარგო, ღამაზო ქალო!..
ცისფერ ქოლგის ცისქვეშ შემონათებავ,
ასე რომ მწვავ – მე კი სად დაგემლო?!

მთვარეა ახობაქა

მინდა ვიცოდე

მინდა ვიცოდე შენს თვალეზე ცრემლი თუ
ჟონავს,
თუ ჩაილია ეგ ელვარე თვალთა ციაგი,
მე ის ევა ვარ, უფალმა რომ გამოიგონა-
წყვედიადი ვარ და ხანდახანაც ვარ განთიადი.
ქარის მოტანილს თუ ნააგავს ეგ გულის
თრთოლვა
და ცისიერზე ვარსკვლავივით თუ ინავლები,
მინდა ვიცოდე ეგ წერაა თუ ბედის ქროლვა,
სიხარულია თუ ტკივილად მოინალვლები.
დაბადებაა, ცად სულმნათი მზე
რომ მზიანობს –
არანთებული წმინდა კვარით მინდა ვინვოდე,
მინდა იცოდე ოცნებასთან თანაზიარო –
არ მებრალეები და რომ მხოლოდ ჩემს
თავს ვიცოდებ.

* * *

იმ გოგონას, ამ ქუჩით რომ დადის,
ეშხით დამწველს ყოველ დილით ვხედავ,
სამი სიტყვა მთელი წელიწადი
მინდა ვუთხრა და ვერ გამიბედავს.
ეს სცოდნიათ ამ გოგონებს თურმე,
არსად მითქვამს, სად გაიგეს, როგორ?...
ჩურჩულებენ რა სიყვარულს კარგავს,
ამას უყვარს ის შავთვალა გოგო
და ეს, ალბათ, შავთვალამაც იცის,
შემომხედავს, გაისწორებს ღილებს,
ციურ ხიბლით მზის და დედამინის,
გამიღიმებს და მეც გავუღიმებ.

ვაჟა-ფშაველას

ღირილიტას მღერას ისმენდი
და მზრალში განა ციოდა?!
კვალი გაგქონდა ისეთი
ბელტს ჰფშენიდი – ოქრო ცვიოდა.
შენს ანეულში ქვაც ჰყვავის
შვილს ნუკრის ცრემლდანანავიმი.
ცალი ფრთით მონაფარცხავი –
იმ ბეჩავ დაჭრილ არწივის.
ფიქრები ბინდში გაგხვევდა,
აგიტაცებდა მთის ქარი –
დაეშვებოდი ახოლან,
და ქოხში გენთო ცისკარი.

ფოთოლს შრიალი შვენის

ფოთოლს შრიალი შვენის, შენ კი
სიმღერის თქმა,
ამ აჟღერებულ ნოტზე, მეტი რა უნდა ვქნა?
გულში ჩადებულს მდარედ,
ალბათ არ გასცემ ხმას,
ეტრფი გაზაფხულს, ზ აფხულს, სხვა რომ
გაძლევდეს ბანს.
ჩემთვის რა უნდა გეთქვა, რომ
გადამიდექ გზად,
დარდში დაკარგულს გექებ, მაგრამ
მეგულვი სად?
მას აქეთაა, რული არ ეკიდება თვალს,
არ ნაუღია ბედზე ეგ სიყვარული ქარს
გაეფრიალოს თუნდაც თეთრი მანდილი ალს,
ქალს ღვთის ნყალობა უნდა,
რომ დაემსგავსოს ქალს.

რად დამელია სხეულზე ღონე
და სიმძიმელი რად მომანება,
გამოეთხოვა სიცოცხლეს ვგონებ
ჩემი ტკივილის ბუნდოვანება.
ამ განაპირა დასალიერზე
ვის არ შეშურდა ბანოვანება –
ღირს თუ აღარ ღირს, მხოლოდ იცოდეს,
კლდიდან სიმაღლედ გადმოქანება.

ყოჩივარდას საჩივარი

გაზაფხულის სიომ მინდვრად
იის კვალი გადაბუჩქა,
აიღერა გასაკვირტად
ენძელა და კვარაკუნჩხა.
გადასაფურჩქნ რიგში ვიდექ –
დაიჩვილა ყოჩივარდამ,
აყვავდები კიდი-კიდე,
გული ნუ ამოგივარდა!

ჩემო ბედის ნებიერავ!

გადათოვლილ ფიფქებს მაცლი,
ისე ნაზად და ძლიერად
შემიყვარე, როგორც მაშინ,
ჩემო ბედის ნებიერავ!
გალიმებულს გხედავ,თვალი
გიელვარებს, კრთის ცბიერად,
დამაფარე შენი კალთა
ჩემო დროის ნებიერავ!
გულნასულს და მე გულმართალს
სიტყვა მითხარ ღმობიერად,
დამიფარე მთუთქავ ალთგან

ჩემო ფიქრის ნებიერავ!

რაც იყო და რაც ნავიდა
ურცხვად გამიღონიერა –
რად გინატრე, ნეტავ, ახლა
ჩემო სევდის ნებიერავ!
ცამ მშთანთქა და მინამ სივრცე
ისე გაინოყიერა,
გაიზარდე და უჭკნობად
დამრჩი, ჩემო ნებიერავ!

* * *

ცა ქართულია, მინაც ქართული,
ფუსფუსებს გლეხი ზვარში გართული.
სხვის მინისკენ არ გაურბის თვალი,
მას ურჩევნია აქ ავლოს კვალი.
ყურს უგდებს გუგულს – კაფავს და თესავს,
იმედით უცქერს ხვალინდელ დღესა.
თუმცა არ უდგას სასახლე პრინცის...
მან იცის ფასი საკუთარ მიწის

საბავშვო ლექსები

ნინი

დედის გულის სიხარული,
თვალმერცხალა, ცელქი ნინი,
მიდის გზაზე, მიტიტინებს,
მოითხოვა მან ნაყინი.
„ყელი გტკივა, ცივს ვერ შეჭამ,“ –
უთხრა დედამ სინანულით,
არაფერიც მე არ მტკივა,
გენანება, ალბათ, ფული...
ტუჩზე ღიმი აღარ შერჩა
გაიბუტა გოგო ნინი,
ახლა აღარც დედა უნდა
და არც ცივი ის ნაყინი.

* * *

„ამ თოჯინას თმები რომ აქვს
ანენილი – დანენილი,
დაუვარცხნე, გოგო, ჩქარა – “
უებნება მარის ლილი.
– „სულ არ მინდა შენი რჩევა,
ჭკუა არ გაქვს ერთი ბენო,
შენს თოჯინას ჩემი ჯობნის,
რაგინდ თმები დაენენოს.“
ხშირად ასე კამათობენ:
მარი, ნინი, ციცქნა ლია...
შერიგებაც უმალ ხდება,
გულიანად იცინიან.

ჩემი ფისუნია

„მიავ“, „მიავ“, „მიავ“ –
ჩემი ფისუნია,
როცა დაიკნავლებს –
ვხვდები – უკვე შია.

რძეს მივართმევ ჯამით,
 ჭამით გულს იჯერებს,
 მზეზე წამოწვება
 ძილს ეძლევა მერე.
 იმხელა აქვს კუდი
 იატაკსაც დაგვის,
 აქციინებს მშვიდად,
 სადღა ახსოვს თავი.
 გაიძახის მამა –
 ხმაში წყენას აქსოვს,
 რძით გამძლარი კატა
 რას დაგიჭერს თავგსო?!

ღეპი

მაკას უყვარს თამაში
 თოჯინებთან ჰამაკში,
 არ იკარებს ახლოს მზიას
 თვალმაყვალას, თვალეზმზიანს.
 უჯავრდება მაკას დედა –
 „რას აკეთებს, რასაო?!
 თოჯინა რად ამჯობინე
 უსაყვარლეს დასაო?“
 მაკამ თავი გაიმართლა
 მიზეზი მაქვს ამისაო
 თოჯინა არ გამაბრაზებს
 მზიამ თავბრუ დამისხაო.

ახალი თამა

ზაზა მალულარია

ალფონსის მონოლოგი

აღარ ვწონი სასწორით ხანი შემრჩა რამდენი,
 წლები უსწორმასწორო ნახირივით გავდენე.
 არცა ვჩქარობ დაყანდეს, ხნული
 მრავლისმომცემი,
 ახალ დროის მაყალზე ვაშიშხინებ ოცნებებს.
 ქარვაცურვილ მტევნიდან გადმოვწურე
 სილაღე:
 „მოვინელე“ ბევრი და ბევრიც „გადავინახე“.
 ოჰ, რამდენი არაკი, მისწრაფება უღევი
 გულში დამიბანაკდა, ჰოდა,
 მაგრად ურევენ...
 უგზო, უსწორმასწორო, კვლავ
 ვრცელია სავალი...
 ამეშალა სასწორი, ამეკიდა „ზღვა ვალი“...
 ახლა ვხვდები: „გაძლება“ არ ყოფილა იოლი,
 სანამ სული გამძვრება თეო, ნატა, ვიოლა...
 ერთი განცდა მე დიდი გულზე
 ლახვრად მესობა:
 თან არ გამყვეს კრედიტი – თქვენი
 უაღერსობა!
 ...თუმცა თქვენ რას შეგასმენთ
 ამ „უღმერთო ვამპირებს“...
 თქვენს ჯინაზე ნაადრევ სიკვდილს მე არ
 ვაპირებ!

* * *

მთავარი ისაა, რომ გერქვას მართალი
 (დახატო არაკი თუნდ წარმოსახვიდან),
 გულსა და გონებას იმგვარად მართავდე –
 ცხოვრების ჩარხიდან ექსტაზში გახვიდე.
 მთავარი ისაა, სიცოცხლეს ბედავდე,
 (თუ მკითხავ, რად გინდა უაზრო ქონება),
 ყოველთვის ისმენდე და იმას ხედავდე,
 რასაც ვერ გასწვდება თვალი და გონება.
 სიტყვა რომ სიტყვაა, ათასჯერ „ნასროლი“,
 ათასგზის ნაცვეთი ფაშატის ნალივით,
 იმგვარად დაფერე და ისე აწონე,
 შიგ გულში აფეთქდეს მზე პატარძალივით!
 მთავარი ისაა, გიყვარდეს მოყვასი
 (მოყვასი წმინდაა, შევთანხმდეთ ამაზე),
 თუ სილას გაგანწავ მარჯვენა ლოყაზე,
 მარცხენას თავად შენ ნუ „შეულამაზებ“...
 მთავარი ისაა... თუმცა რას ვამლაშებ,
 რალა დროს ფრაზა საამოდ სათქმელი,
 როდესაც ქვეყანა იხრჩობა „წამალში“,
 როდესაც იხშობა ის მცირე სარკმელიც –
 ღმერთთან რომ მივყავართ,
 თან ასე გვაშორებს...
 დრო დადგა სუყველამ აბჯარი ავისხათ,
 ენა და მამული ნოტს არ ჰგავს მაჟორულს...
 ილიას მამულმა თავს ლაფი დაისხა...
 ...დღეს სიტყვა ბლეფია, ფარსაგი ფანდია
 და სულმთლად დაკარგა პენი თუ ხარისხი,

„როლები“ მოდიან... სცენიდან გადიან...
ილიას „ქართველმა“ თავს ლაფი დაისხა...
ღმერთმაც კი გაგვნირა, ღმერთიც

კი გაგვინყრა:
ნგრევით თუ ქუხილით აქეთ
გვგვრის კაემანს,
აკაკის ჩონგურზე სიმები დაგვინყდა,
ფშავლის კერაზე ნადირი თარეშობს...
ალვათა ტანდემი გრიგალმა მოხარა,
თებერვლის ქარბუქი სალდება მაისად,
ურნმუნო „ლომები“ საყდრებში ხობავენ...
რწმენამ და მორალმაც თავს ლაფი დაისხა...
...არ ვიცი ამ ბილიკს საითკენ მივყავართ,
რა უნდა ეშველოს სულს, ცად რომ გაერთხას...
მთავარი რწმენაა?! საქმეა?! სიტყვაა?!
არ ვიცი... არ ვიცი... არ ვიცი საერთოდ...
P.S.

მთავარი ისაა, რაც როა მთავარი,
ფეხქვეშ რომ თელავენ დინჯი, თუ ავარა...

ლევან გოგაბერაშვილი

ჰოვატი - ღმერთი

ცხოვრებით ყველა იცხოვრებს ალბათ,
მაგრამ ცხოვრება არ არის მხოლოდ
სუნთქვა, რომელიც იქცევა განცდად
და უსუსური სიკვდილი ბოლოდ.
ცხოვრება იგი მეტად ღრმა არის,
უსასრულობას ერთვის განგება...
სამყაროს განცდით გულისთქმა არის,
რომლის სიცოცხლეს სიკვდილს გასცდება.
ვმღეროვარ ზღვაში ჩაძირულ მზეზე
და დროულობა ახლა ფანდია.
მე ამ სამყაროს ოთხ მეოთხედზე
დავდივარ, მძინავს და მიხარია.
შევიცნობ ყველას, ვისაც კი ვხედავ;
ჩემი აზრები არ მტოვებს მარტო...
მე თვითმკვლევლობის ფიქრსაც კი ვბედავ,
რომ ასკეტივით კვლავ დავიბადო.
შევიგრძნობ მწარედ სიცოცხლის სიტკბოს
და ამ ქაოსში ღმერთად ვმკვიდრდები.
გალაკტიონი გზასაც დამითმობს...
მოვა დრო, როცა მე გავფრინდები!
ცხოვრებით ყველა იცხოვრებს ალბათ,
სამყაროში კი ისუნთქებს ერთი...
გარდაიცვლება პოეტი მეფე,
მაგრამ იცოცხლებს პოეტი - ღმერთი!

მარიკა გომრგაძე

არა ძალაღობას

თითქოს სიყვარული გაფერმკრთალდა
და სულში იღვრება წვეთად ნაღველი,
დღემ შემოისხა ბურუსის ქურქი,
გამოდარებას ჯერაც არ ველი,
ჩასძინებია გონების დარაჯს და
ახმაურდნენ ფიქრები ძველი,
აანოკეს გარემო მშვიდი და
აიშალეს გრძნობების ველი.
ისევ მატულობს სიძულვილი და
სულში ინთება სატანის ალი,
ისევ სიკვდილი, ისევ წამება და
კვლავ მაჩნდება უშლელი კვალი,
კვალი უღვევი ბოროტების და გრძნობა
ველური, მომჭრელი თვალის,
ისევ გაისმა ჰაერში წყევლა და
განწირული კვილი ქალის.
კმარა ამდენი სისასტიკე და კმარა
ამდენი უნიათობა,
დროა აღსრულდეს სამართალი და უკან
დავტოვოთ უსამართლობა,
ქალია თბილი, ნაზი არსება, მისი მისია
არის დედობა,
ღმერთო აშორე ტანჯვა-ვაება, წარსულს
მიეცეს უიმედობა.

მათე კანკაძე

ისე მენატრები

ისე მენატრები - შენზე
ფიქრებს ფუტკარივით ვისევ,
ერთხელ დაგინახო ოლონდ -
მკვდარიც გავცოცხლდები მყისვე.
ისე ამეტირა - წუხელ
შენსას ვბუტბუტებდი სახელს,
ჩუმ დარდს ველარავის ვუმხელ,
დილით თვალებს ძლივსლა ვახელ.
ალარ გამიღიმა ბედმა,
დრომაც წაგიყვანა შორეთს...
ტრფობით დაფერფლილი გული
შენ ერთს, შენ გეკუთვნის სწორედ.
ალარ მემეტები სხვისთვის,

მოდი, დამარიგე ჭკუა,
 ველი ან სასწაულს რისთვის?..
 მოხდეს... მოსახდენი თუა.
 ვხარობ – ზღვასავით რომ ლელავ,
 სივრცეს გასაფრენად ზვერაგ...
 ჩვენთან დავპატიჟოთ ყველა –
 ვისაც სასწაულის სჯერა.

* * *

მაქვს აზროვნება გაბედული,
 ნამდვილად დიდის,
 ასაკის გამო თუ მინოდებს ვინმე ლანირაკს –
 ღმერთმა შეუნდოს, დრო მიჰქრის
 და სიცოცხლე მიდის,
 ვაი მას – „ხანმა უნდობარმა“ ვინაც გასწირა.
 ვფლობ ხელოვნებას უბრალოდ და
 მარტივად წერის...
 ასაკი მცირე, პრობლემური,
 სიფიცხეც ოდნავ –
 მე არ მამძიმებს, არ ვაპირებ
 მოშვებას წვერის,
 ვწერ და ვიუნჯებ სამომავლოდ
 საჭირო ცოდნას.
 მიწყევ იმატებს და ფრთებს
 გაშლის სხვა ფანტაზია
 ნუ შემაფასებთ ნლოვანებით და
 ნასი თვალით,
 ყველა მეორე თქვენში – მჯერა, რომ ჯამბაზია
 გადაუხდელი არ განუხებთ არც
 ქვეყნის ვალი.
 გესავ უფალო! – არ მომაკლო კვლავ
 მზიან დღეთა
 მადლი და ჩაკლა ბოროტების სულში ბაცილა,
 მარადის მინდა იმედიაანს ვხედავდე,
 ნეტარს –
 ვინც ჩემი დარდი, სიხარული გაინანია.

ბიორბი კოპალიშვილი

* * *

ვისაც გონება შორს უჭრის
 კუდი არ უდევს ყავარზე –
 ასჯერ ზომავს და ერთხელ ჭრის,
 ეყრდნობა სიბრძნის ყავარჯენს.
 ვისაც სულში აქვს ტალახი –
 მის გულში ჰყვავის ბალახი...
 უგუნურია – არა სწამს
 არც ქრისტე, არცა ალაჰი.
 სინდისთან ვინაც მწყრალადა
 ბევრი ცუდი აქვს ნაკადრი
 არ იცის კაიკაცობის
 ღვთიური მადლი და ყადრი.
 ვისაც ბოროტი თვალი აქვს –
 მას ღმერთთან დიდი ვალი აქვს,
 ზეცისკენ არც იყურება
 ნაღდად ქვე წარმავალია.
 ვისაც ანუხებს ქონება–
 ხშირად ღალატობს გონება,
 მამონას მონა გახდება
 და ეშმას დაემონება.
 ვინც ნაირფერად იღვრება
 სიკეთის დიდ, თეთრ ტილოზე,
 მისას ვსვამ მე სადღეგრძელოს,
 მის სიცოცხლეზე ვილოცებ.

თათია არაბიძე

ჩემს სამეფოში...

შენ იმ სამყაროს მეფედ აგირჩევ
 სადაც ვდებოფლობ,
 იქ არც დრონია, არც უბრალოდ
 სამყაროს კიდე...
 მომნუსხველ თვალებს ხელმწიფობა
 კვლავ შეუძლიათ,
 ის სურვილებიც ფრთებს შეისხამს
 ჩემში რომ მიდევს.
 ჩემია მთვარე!
 ვისაკუთრე ფოთლების ხმაში.
 გადავაფიქრებ ყველა აჩრდილს,
 წამართვას ნება...
 თავისუფალი არსებიდან
 გადავშლი გრძნობებს
 და მზად ვიქნები გაზაფხულით
 ავივსო ვნება...
 იქ გაგამეფებ სადაც გვირგვინს

ვიდგამ წერაზე,
 სადაც ჩემია დათრგუნვილი
 ზეცის იერი...
 სადაც დღე-მუდამ შველას ითხოვს
 ამაყი სახე,
 სადაც უმზეო სურვილები
 არის მშვიერი.
 დღეები არევეს
 გადარეულ ფიქრებს ისედაც,
 აღარ დავეძებ მთვრალ ოცნებებს
 ხომ მაინც მე ვფლობ...
 სულის სამეფოს ჩაგაბარებ
 ამაყი დროშით,
 იმ სამყაროში მეფედ აგირჩევ
 სადაც ვდედოფლობ!

ჰამოლოგია...

შემოდგომაა...
 გაყვითლებული სურვილები,
 მისტირის ზაფხულს....
 ცრემლები სცვივა ფრთაფარფატა
 ქარის იალქანს...
 შემოდგომაა...
 მარტოობა ფეთქავს ძარღვებში
 და მწუხარების დასდენია ცრემლი
 ნიავექარს.
 ვიმღერებ მანამ,სანამ თეთრად
 დაათოვს სიტყვებს,
 სანამ უღმერთოდ გადაყინავს
 სითეთრე სულში,
 ნოემბრის მთვარე,სანამ კიდევ
 ანათებს ცოტას,
 აკანკალებულ სტრიქონებით
 ვიმღერებ გულში....
 დასცვივათ ხეებს,გაყვითლებულ
 დღეების გრძნობა,
 მუზეებს მოუხმობს შემოდგომის
 მძაფრი სურნელი.
 უსინარულო მოლოდინი
 გათანგავს ზეცას
 და მწუხარება გადმოსცვივა ციდან
 ულევი....
 შემოდგომაა...
 სურვილები მისტირის ზაფხულს,
 ცრემლები სცვივა ფრთაფარფატა
 ქარის იალქანს...
 შემოდგომაა...
 მარტოობა ფეთქავს ძარღვებში
 და მწუხარების დასდენია ცრემლი
 ნიავექარს...

ინღირა გოგოძე

სინანული

(აღსარება თემაზე)

რაც ჩავიდინე, გთხოვ მაპატიე,
 უფალო ხედავ? – ეშმა მოვკალი...
 სიზმრად ვიხილე, ხელში მანვდიდა,
 გოგოს – მარიამს ჩემი მოძღვარი.
 სიზმარი – არა, ზმანება იყო,
 ღვთის ჩანაფიქრი ახდა, დიდება...
 „შვილით ცხონდები, მრავალი შვილით“...
 ჩემშიც აღსრულდა ჭეშმარიტება.
 კვირაა, ნირვაც გვიახლოვდება,
 მირქმა სხივს ჰმატებს ცისკრის ნათებას...
 უფალმა იცის, იცის უფალმა...
 რომ მარიამი დაიბადება...
 მიენდე უფალს, ამრავლე შვილი,
 არ მოგაკლდება მაღლი ციერი
 სიტყვაც არ დაგცდეს რა სიკეთეც ჰქმენ,
 აღსრულდეს ნება უფლისმიერი.
 გიტაცებს დღე და გიტაცებს ღამე,
 მორევში გითრევს ფუჭი ცხოვრება,
 მთავარი ერის სამსახურია,
 დანარჩენი კი ამოება.
 ცუდი დრო დადგა, დროა სატანის,
 ცხვრის ნიღაბს ირგებს ეშმაკი, მგელი,
 სანთელს ანთებს და ხატთან ლოცულობს
 ქვეყნის ორგული, ფარისეველი.
 გაუძლო ძალზედ ძნელია ახლა,
 შეინარჩუნო რწმენა ჩვეული,
 რთული გზა ელის ქართველ ქრისტიანს,
 და გადარჩება მხოლოდ რჩეული...
 ისევ ვირწმუნებ და ვიქართველებ,
 ისევ ვიმღერებ, არ დავნებდები,
 ისევ ავანთებ ტაძარში ჩემს სულს,
 ისევ ვილოცებ ხატთან ცრემლებით,
 – ნავალ, ჩემს ცოდვებს მოძღვარს გავანდობ,
 მეორედ მოსვლას წმინდად შევხვდები...
 რაც ჩავიდინე, გთხოვ მაპატიე,
 უფალო ხედავ? ეშმა მოვკალი,
 სიზმრად ვიხილე, ხელში მანვდიდა,
 გოგოს-მარიამს ჩემი მოძღვარი...

მეუღლეს...

შემიპყრობს ფიქრი შებურული
 შავი ნისლებით,
 და მთელი ღამე შენზე ფიქრში დამათენდება,
 შენა ხარ ხატი, ჩემი გრძნობა, ჩემი იმედი,
 მე სანთელი ვარ შენს წინ ცრემლად
 რომ იღვენთება.
 მე შენ მიყვარხარ, შენზე ფიქრში
 თმა დამთოვია,
 და სიყვარულის უსასრულოდ
 ვარ მადლობელი,
 ბედნიერი ვარ, რომ ნეტარი ქალი – დედა ვარ
 და რომ ვარ მხოლოდ შენი
 ოთხი შვილის მშობელი...

თავ კოლქვაძე

* * *

შენს ნაკვალევს გამოვყვები შორიდან...
 მონატრებას ჩავიხუტებ გულში..
 განა მართლა სიყვარული მომინდა..
 განა მართლა ამეტირა სულში.
 ბედმა ისევ ირონიით დამცინა..
 ჰოდა, სადღაც მიმატოვებს გზაში..
 მე ზღაპრებით მოთამაშე ბავშვი ვარ..
 ჰპირდებიან... და ტოვებენ სახლში..
 ჩემს თვალებში მოციმციმე ფერია...
 ჩემს გრძნობებში ატმებია მთვრალი..
 თითქოს ახლა დედამინა ჩემია...
 თითქოს ახლა, ამაყი ვარ ქალი..

ჩემს პატრიარქს...

სულში ანთებული კელაპტარო,
 გულში ჩალვენთილო იმედო,
 მინდა მხოლოდ უფალს შეგადარო
 წმინდა საგალობლად გიმღერო...
 მუხლი მოუდრიკავთ, თავი დაუხრიათ,
 ცოდვით დამძიმებულთ... დაჩაგრულთ...
 დედა საქართველოს შენი იმედი აქვს,
 შენით ელოდება გაზაფხულს...
 სულში ანთებული კელაპტარო,
 წმინდა ტაძარო და საყდარო,
 გზები გაგვიკვალე, რწმენა გაგვიმყარე...
 ჩვენო იმედო და აკვანო...

აკაკი თევზაძე

თარგმანები

ალექსანდრა ჰუმპინი

* * *

თვლემს საქართველოს გორაკებზე
 ღამის წყვილი,
 არაგვის ხმაურს აუვსია
 ხეობა მშვენი;
 ბევრს არას ვნალვლობ, ნათელია,
 მაინც დიადი
 ნალველი ჩემი, მშვენიერო,
 აღსავსე შენით,
 და მხოლოდ შენით... ამ ჩემს
 სასონარკვეთილებას
 არცა რა ქენჯნის, არც რაიმე
 შფოთი უგვრძნია,
 გული კვლავ იწვის, უყვარს...
 შევბად
 უჩანს მხილება
 ტრფობის,
 რადგანაც არ უყვარდეს
 არ შეუძლია.

* * *

მე თქვენ მიყვარდით და იმ ტრფობის
 ცეცხლი ძლიერი
 ჩემს სულში, ვგონებ, არ ჩამქრალა
 სულ მთლად, მზიანობს...
 არ შეგაშფოთებს იგი მეტად,
 ხარ ბედნიერი,
 სრულებით არ მსურს, რაიმეთი
 გადარდიანო.
 მე თქვენ მიყვარდით უსასოოდ,
 სიტყვის უთქმელად,
 ეჭვიანობით ბევრჯერ ცრემლიც
 ხომ დაიღვარა?!
 მე თქვენ მიყვარდით ისე ნაზად,
 ისე გულწრფელად,
 ღმერთმაც ჰქნას, სხვამაც შეგიყვაროს,
 კარგო, იმგვარად.

სერგეი ასენინი

* * *

შენ არ გიყვარვარ, არც გებრალეები,
 მშვენიებით სულ არ გესახელები?
 მარიდე ვნებით მთვრალი თვალები,

ჩამოასვენე მხრებზე ხელები.
შენდამი, ტურფავ, არ ვიყავ ტლანქი
და არც სინაზით ცრემლის დამდენი;
თქვი: რამდენს ასვი ალერსის ბანგი?
ბაგე და ხელი გახსოვს რამდენი?!
შენს ცეცხლს რომლებიც არ შეხებიან –
ლანდივით გაქრა ყველა უკლებლივ,
ბევრის მუხლებზე ჯდომა გრგებია,
დღეს იტახტრევენ ჩემი მუხლები.
შენი უაზრო მზერა მცხრალია,
ფიქრშიაც მრუშობ – სიძვას ჩვეული
და მეც არ გეტრფი ისე ძალიან,
ოცნების სატრფო მწვავს შორეული.
აღბათ არ სურდა ბედს – რომ ეხარე,
ნურც ჩვენი გაყრის გკლავს სიმძიმით...
როგორც შემთხვევით გადაგეყარე,
ისე დაგტოვებ მშრალი ღიმილით.
ნახვალ, თავის გზით ნაგიყვანს ხვედრი,
ნალვლიან დღეთა დარდასაც გათოვებს...
უკოცნელთ ნულარ შეაცდენ, გვედრი,
და ნურც უცოდველთ მოაჯადოებ!
ჩაჰყვები სხვასთან ერთად ხეივნებს,
ლაყობობით წმინდა გრძნობას შელახავ,
ხომ შეიძლება ბედარხინებს,
მეც მოსეირნე – შეგხვდეთ ხელახლა?!
უცხოსკენ ნაზად მიქცეულ მხარით
თავს ძირს დამიხრი რიდობით ვიცი,
მეტყვი: „სალამო მშვიდობის!“ – წყნარად,
გათნევ: „სალამო მშვიდობის, მისის!“
შფოთის ქარებმა ბევრი იქარეს,
დამცხრალი სულის სევდა გაგანდე...
ვისაც უყვარდა – ვერ შეიყვარებს,
დანაცრულს კვლავაც ვერვინ აღანთებს!

* * *

ასეთი ღამე ჯერ არ მინახავს,
ო, რა მთვარეა – თვალს ვერ ვაცილებ...
თითქო სათუთად ისევ ვინახავ
სულში დაკარგულ ჩემს სიყმანვილეს.
შენ მეგობარო დღეთა მღუმართა,
ნუ თვლი ამ თამაშს წმინდა ტრფიალად,
დე, იღვრებოდეს ჩემს სასთუმალთან
ეს მთვარე – შუქით სავსე ფიალა.
მახინჯი სახე – მარჯვედ, სურვილით,
მან გამოკვეთოს სულის ხარებად...
ველარ შესძელი შენ სიძულვილი,
ჩემო კეთილო, ვერც შეყვარება.
მწამს, შეყვარება ერთხელ და იღბალს

ვუმადლი, რომ ხარ უცხო სრულებით,
ჩვენ ეს ცაცხვები ამაოდ გვხიბლავს –
მუხლამდე თოვლში ჩამარხულები.
შენ არ ფიქრობდი ჩემზე, მე – სხვაზე,
და გაგვიცივდა სისხლი ერთიან,
იაფფასიან სიყვარულს ასე
თუ ვითამაშებთ – ხომ სულერთია?!
ორთავე კარგად ვხვდებით, გვგზნებია,
მთვარის მოლურჯო ეს ათინათი
ცაცხვებზე რომ არც ყვავილებია, –
მხოლოდ თოვლი და თრთვილი გვინათის.
თუნდ მოჩვენებით მკოცნე და ისევ
დამწვი უვნებო ვნებით ვნებული,
ესიზმრებოდეს გულს სულ მაისი
და ვიყო მუდამ შეყვარებული.

* * *

წარბები მწყრალად ნუ მოიმშვილდე,
ზიზღს ველარ ფარავს გული კეთილი,
მიყვარს მაცდური შენი სიმშვიდე
და გამოხედვა თვალმიზნედილი.
შილიფად გასახავ – რა დამალონებს,
მახარებ ხილვით – შევნი საქალეთს,
მომკვდარუნებულ მელას მაგონებ,
რომ იჭერს ყვავებს, ყვავის ბახალებს.
დაე, იჭირე, არ მეშინიან,
აღარ ჩაიქრო გზნება მზაკვარი,
სულ მთლად გათოშილს ჩემს
სულს ჟინიანს
მსგავსი მრავალი მოხვდა ლახვარი.
აღარ მიყვარხარ, ვერც გაგხდი ნეტარს,
ექო ხარ მხოლოდ, წარსულის ლანდი, –
მე შენს სახეში სულ სხვა ქალს ვხედავ –
ცისფერთვალეზას, მის ცისფერ მანდილს.
რა ვუყოთ – შენებრ მშვიდი ვერ არის,
სიმკაცრეც შევენის უცხო სხივიანს,
ისე შეარხევს ტანს ტანკენარი –
გაჰფანტავს გულში რაც სიცივება.
შენისთანების მთელი ამაღა,
დარდილავს ასეთს – თუნდაც დროებით?!
ეცადო – გულშიც ველარ დამალო
შური ალერსით ნასაზრდოები.
მძულხარ, რა დამრჩა სხვა საამო დღეს,
გულს გადაგიშლი მე სამუდამოდ:
არ იყოს ჯოჯოხეთი, სამოთხე,
მოიფიქრებდა კაცი უდაოდ.

* * *

ამოექსოვა ტბის ლაჟვარდოვან
წყალს ალისფერი ცისკრის სხივები,
ფიჭვნარის თავზე ისმის როჭოთა
ზარი – ცრემლებით მონამძივები.
და მოლალურიც სადღაც ბედს სტირის
ხის ფულუროში მწარედ ვნებული,
მხოლოდ მე, სვიანს, არ მეტირება,
სული მაქვს მზისებრ განათებული.
შელამებულზე, ვიცვი, გამოხვალ,
მოგელი იქ – სად გზაა წრიული,
დავსხდებით ზვინქვეშ ახალ ბულულზე,
შეგვიპყრობს განცდა მარადიული.
კოცნით დაგათრობ და, როგორც ყვავილს,
დაგნაცრავ გრძნობაგაუხუნარი,
სიხარულისგან მთვრალს ვინ მოჰკითხოს
ჭკუათმყოფელის განსჯის უნარი?!
აღერსის ცეცხლში თავად მოისვრი
ფატას, უცნაურ ჟრჟოლვას გადამდებ,
ვნებით გათანგულს მერე ბუჩქებში
გაგინაპირებ განთიადამდე.
დაე, იტირონ მოთქმით როჭოთა,
თუნდაც ჩაიხრჩონ ცრემლის ღელეში...
არის ნაღველი ხალისიანი
ნათელი ცისკრის სიალფერეში.

* * *

რა კარგი გოგო იყო ტანია –
ქვეყნის თვალი და მართლა მზის თვალი,
თეთრი სარაფნის კალთას მშვენოდა
ნითელი ქობა ნაგვირისტალი.
ხევის მახლობლად, წნული ორლობის
იქით – რაჟამს კი შებინდებუნდებდა,
დადის ტანია... მთვარე ღრუბლებთან
აშიკობას და აღერსს უნდებდა.
მიესალამა ხუჭუჭთმიანი
ბიჭი მაცდური – თვალთა მინთებით:
„სჯობს, სიხარულო, დავემშვიდობოთ,
სხვა შევიყვარე და ვქორწინდები”.
სახეს დაედო ფერი სუდარის,
მთლად გაიყინა, მოწყდა მკლავები
და მახრჩობელა გველივით ყელზე
ჩამოედვარა დალალ-კავები.
„ჰეი, შენ, ბიჭო, ცისფერთვალეზავ,
გულში სანყენად ნუკი დაგრჩება:

გამოგიტყდები – სხვაზე ვთხოვდები,
ამაო არის გამოსარჩლება.”
ჟღერს ჯვარისწერის ხმები წკრიალა,
დადუმებულან ცისკრის ზარები,
უზომო ლხინით თავდავინწყებულ
მთვრალეს ვერ იტევს საზიდარები.
ეჰ, გუგულები კი არ ნაღველობენ –
ტირის ტანიას მთელი სახლობა,
საფეთქელს მძიმე ადევს ჭრილობა,
დახეთ მუხთალი ბედის მზაკვრობას.
შუბლზე ალისფერ ყვავილთ გვირგვინად
სისხლის წვეთების აჩნდა კრისტალი, –
რა კარგი გოგო იყო ტანია,
ქვეყნის თვალი და მართლა მზის თვალი!..

ალექსანდრ ლიულინი

კოცონი გაღმა ნაპირზე

ცხოვრება ჩემი-წერტილთა მწკრივი...
გაღმა ნაპირზე კოცონი კრთება
და მირიადი სინათლის სხივი
მდინარის მღვრიე ჩქერში ინთქმება.
სივრცე, არც ნავი, არც ფონი, წყალი
ზოგან მორევად ბრუნავს ნებისად...
ტალღა პირქუში, მძიმე და მწყრალი
მისდევს ჰორიზონტს შებინდებისა.
მიღელავს მშვიდად, ხანაც ღვართქაფით
და იმედებით – ყოვლთ უწინარეს, –
მიელტვის თავის მეორე ნაპირს
ცხოვრება, ლექსი, თვითონ მდინარე.
სადღაც შორს დარჩა წლების წვალეზა,
გზა ნისლიანი – ძნელად სავალი;
განგების უხვად მხვდა მოწყალეზა,
დამინდო, როგორც სხვები მრავალი.
და თუ ვსუნთქავდი – წიგნებით მხოლოდ,
მახლდა სხვა ცეცხლი და სიჩაუქე...
ისე ამენგრა ცხოვრება ბოლოს –
თავი და ბოლო ველარ გაუგუგე.
გული – რითმებად რომ იღვენთება,
დაეძებს ფერებს, სიტყვებს მოწონილს...
ო, მე ვიცოცხლებ – სანამ ენთება
გაღმა ნაპირზე რწმენის კოცონი!

საჯავახოს საკითხი ოდიშ-იმერეთის პოლიტიკურ ურთიერთობებში და მისი გავლენა საჩინოელ (ვანელ) ჩიჯავაძეთა სათავადოზე

ცნობილია, რომ საჯავახო (საჭილაოსთან ერთად) დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მნიშვნელოვან ისტორიულ მხარეს წარმოადგენს.

ვახუშტი ბაგრატიონი საჯავახოს ამგვარად ახასიათებს „ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ქუეით რიონს მოერთვის სამჭრიდამ საჯავახოს წყალი. ესე გამოსდის ფერსათს და არს შენობიანი ხეობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყვითა ნადირთა და ფრინველთა. ხოლო მზღვრის საჯავახოს: აღმოსავლეთით მთა მცირე, ფერსათიდან ჩამოსული ჩრდილოთ კერძოდ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი; სამხრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათიდანვე ჩამოსული მთა, გურიისა და საჯავახოს შორისი; ჩრდილოთ რიონის მდინარე, ხოლო კუალად ცხენისწყლის შესართავს ზეით სამჭრიდამ მოერთვის რიონს წყალდაფანჩულას ჯევი, სდის საჯავახოს მთას.¹

ვახუშტის განხილული ცნობიდან გამომდინარე იგი საკმაოდ მნიშვნელოვან სამეურნეო ერთეულად გვევლინება. ამ ფაქტის ქვეყნობა ეჭვს არ იწვევს, დღესაც ისტორიული საჯავახოს ტერიტორია ფრიად ნაყოფიერ კუთხეს წარმოადგენს სამეურნეო თვალსაზრისით.² მისი აუთვისებლობა XVI-XVIII საუკუნეებში სავსებით გამორიცხულია.³ აქვე უნდა აღინიშნოს ამ კუთხის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ. ის მოიცავდა ტერიტორიას, რომელიც უშუალოდ საზღვრავდა ოდიშის სამთავროსა და იმერეთის სამეფოს. შეიძლება ითქვას ბუფერული ერთეულის მოსაზღვრეობა უცვლელი იყო მათი (იმერეთ-ოდიში) არსებობის მანძილზე იცვლებოდა მხოლოდ ოდიშ-იმერეთის გავლენის სფერო ანუ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვარი, მაგრამ იგი მაინც ისტორიული საჯავახოს ფარგლებში მონაცვლეობდა. (ხ.ჩ. შ.შ.). გასათვალისწინებელია ისიც, რომ საჯავახოს ჩრდილოეთით ნანილი, კერძოდ, მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი უშუალოდ ემიჯნებოდა გურიელის სამფლობელოს, რაც გურიის სამთავროზე თავდასხმის შემთხვევაში შესანიშნავ პლაცდარმს წარმოადგენდა, ასე, რომ საჯავახო გახლდათ დამაკავშირებელი რგოლი იმერეთ-ოდიშ-გურიისა, რაც განაპირობებდა ამ მხარის მნიშვნელოვან სტრატეგიულ ერთეულად აღიარებას.

ტერმინი საჯავახო როგორც ასკვნიან⁴ მას შემდეგ ეწოდა ამ მხარეს, როცა მას ოდიშის სათავადოებიდან ყველაზე უძველესი და უძლიერესი ქილაძეთა გვარის წარმომადგენელი ჯავახ I ეუფლა.

ჯავახ II -ის დროს (შეიძლება ჯავახ I-ის დროსაც) საჯავახოს უნოდებდნენ ალბათ არა მდ. რიონის სამხრეთით მდებარე ტერიტორიას, მერმინდელ საჯავახოს, არამედ ქილაძეთა საგვარეულოს მთელ მიწა-წყალს ბანძამდის. შემდეგ ეს სახელი ისტორიული საჯავახოს მხოლოდ სამხრეთ ნაწილს შერჩა, ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი საჭილაოდ იწოდა. ქილაძეთა სამფლობელოს აღსანიშნავად თავიდანვე საჭილაო უნდა ყოფილიყო მიღებული, ხოლო ჯავახ I-ის თუ II-ის დროიდან, ვფიქრობთ, საჭილაოს სინონიმი გახდა საჯავახო.⁵

ვასკენით, რომ ისტორიული საჯავახო განიყოფებოდა მდ. რიონის სამხრეთით მდებარე საჯავახოსგან და ამავე მდინარის ჩრდილოეთით არსებულ საჭილაოსგან.

1 ვახუშტი. აღწერა..., გვ.750

2 1772 წელს საქართველოში მყოფი მოგზაური იოჰან ანტონ. გიულდენშტედტი თავის თხზულებაში აღნიშნავს, რომ საჯავახოში დიდი რაოდენობით მოიპოვება დაფნა, რომელსაც სამეურნეო დანიშნულება აქვს. გიულდენშტედტი და ხ.ს. ნაშ., გვ.159

3 მოგესხენებათ საქართველოში მიწის საჯარგულებზე დიდი მოთხოვნების შესახებ.

4 ო. სოსელია ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები). თბ., 1973 წ. გვ. 278

5 იქვე. გვ. 278

საინტერესოა, რომ იოჰან ანტონ გიულდენშტედტი, რომელმაც საქართველოში იმოგზაურა 1772 წელს თავის თხზულებაში აღნიშნავს ბარი საჯავახოს (ქვემო საჯავახო) და მისგან რვა ვერსზე მდებარე სოფელ მთის საჯავახოს (ზემო საჯავახოს), უეჭველია, რომ ბარი საჯავახოდ იგი მიიჩნევს მდ. რიონის ჩრდილოეთით არსებულ ტერიტორიას ანუ საჭილაოს, რადგან წერს: „1772 წლის 20 აგვისტოს ჩვენ ღამე გავათიეთ სანავარდლოში დილით გავედით რიონის სამხრეთ ნაწილიდან და ერთი საათი მივდიოდით დასავლეთით, სამხრეთ-დასავლეთით და მივედით ბარი საჯავახოში,¹ ხოლო ზემო საჯავახო მისი თქმით გახლდათ რიონის სამხრეთით არსებული ტერიტორია იატორიული საჯავახოს ის ნაწილი, რომელსაც საკუთრივ საჯავახო ეწოდებოდა და ეწოდება დღესაც.“

რადგან ჩვენს მიზანს სასაზღვრო პრობლემათა და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხთა კვლევა წარმოადგენს არ შევუდგებით იმ პოლიტიკური ისტორიის გაბმულ თხრობას, რომელიც ამ პერიოდს განეკუთვნება, საკითხს შევვხებით მხოლოდ იმ კუთხით, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება კონკრეტულ თემას.

ვინაიდან საკითხის შესწავლას XVI საუკუნიდან ვინყებთ, მოვიყვანთ ცნობებს საჯავახოს შესახებ, რომელიც ბერი ეგნატაშვილის ახალ ქართლის ცხოვრებაში არის დაცული.

„ხოლო მეფესა იმერეთისასა ეპყრა წედისის მთის აქათი, დიდგორის მთის აქათი, ლენტეხი და თაკუერი, რომელსაც ჰქვიან ლეჩხუმი, ცხენისწყალს ჩალმართ-გადმოდმართი, საჯავახოს აქათი გაყოლით ფერსათის მთის აქათი, ვიდრე ქართლის საზღვრამდე.“

„ხოლო დადიანს ეპყრა ცხენისწყალს ჩალმართი, ლეჩხუმს ქუემოთი, სუანეთის მთის გადმოდმართი, აფხაზეთს ზემოთი.“

„ხოლო გურიელს ეპყრა „რიონს გალმართი საჯავახო, იმის აქათი გამოსწვრივ ლომის ციხეს გადმოდმართი, ეგრე აჭარა და ჭანეთი რკინისპალოს აქათი.“²

როგორც ჩანს XVI საუკუნის დასაწყისისათვის საჯავახოს ფლობის საკითხში უპირატესობა იმერეთ მეფეს გააჩნია გურიის მთავართან ერთად. ზემოთ განხილული ქართლის ცხოვრების ცნობიდან: „იმერეთის მეფეს ეპყრა ცხენის წყალს ჩალმართ- გადმოდმართი და საჯავახოს აქათი ფერსათის მთის აქათი ვიდრე ქართლის საზღვრამდე. ირკვევა, რომ მას ეკუთვნის ჩრდილო საჯავახო, ზემო საჯავახო ანუ საკუთრივ საჯავახო, რადგან აღმოსავლეთ საქართველოში მოღვაწე ბერი ეგნატაშვილს და იმ სწავლულ კაცებს, რომელთაც „შექმნეს“ ქართლის ცხოვრება ტერმინ „საჯავახოს აქათში“ მხოლოდ ზემო საჯავახო შეიძლება ეგულისხმათ შემდეგი მტკიცებით ლიხს იქითა საქართველოში მყოფი ისტორიკოსისათვის საჯავახოს აქათი მხოლოდ რიონის სამხრეთით მდებარე საჯავახოს ნაწილი შეიძლება ყოფილიყო. (ბ.ჩ)

რაც შეეხება საჯავახოს მეორე ნაწილს საჭილაოს მას, როგორც ითქვა გურიელი ფლობს „რიონს გალმართი საჯავახო გურიელსა ეპყრა“,³ ცხადია საჭილაო გურიელისათვის გეოგრაფიული ფაქტორის გათვალისწინებით რიონს გალმართი საჯავახოა (ბ.ჩ).

იმერეთ მეფე შემდგომ პერიოდშიც ინარჩუნებს თავის პოზიციებს აღნიშნულ საზღვრისპირა ერთეულის ფლობის საკითხში. უფრო მეტიც ის იმდენად ძლიერდება თვითონ ნიშნავს დადიანს „მოკუდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა მამია დადიანი ნებითა ბაგრატ მეფისათა“⁴ ვკითხულობთ ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში.

რა თქმა უნდა მეფის მიერ დანიშნული დადიანი მეფისავე მორჩილი უნდა ყოფილიყო, მართლაც ხსენებულ ოდიშის მთავარს და იმერეთ მეფეს შორის რაიმე მნიშვნელოვანი დაპირისპირება არ მომხდარა. მამია დადიანის სიკვდილის შემდეგ⁵ დადიანი ხდება ლევანი ჯიქებთან დამარცხებული და ბრძოლიდან ლტოლვილი ლაშქრის მეოხებით. მიუხედავად იმისა, რომ ლევანის გამთავრება ბაგრატ მეფის უშუალო ინიციატივით არ მომხდარა, ის მაინც ემორჩილება

1 გიულდენშტედტი, დასახ. ნაშრ. გვ.159

2 ქართლის ცხოვრება. ტ.11, გვ.349

3 იქვე გვ. 349

4 ვახუშტი ბატონიშვილი დასახ. ნაშრ. გვ. 810

5 იგი დაიღუპა ჯიქებთან ბრძოლაში 1532 წელს

ბაგრატს და მის სამსახურში დგას. ასეთი ვითარება დამახასიათებელია ლევანის გამთავრების პირველი წლებისათვის, რაც შეეხება მომდევნო პერიოდს ის აშკარად გამოდის ბაგრატის წინააღმდეგ, ხოლო აქამდე ლევან დადიანის თანადგომა (ვფიქრობთ მოჩვენებითი) ბაგრატ მეფისადმი დასტურდება მის მიერ სამცხის მთავარ ყვარყვარეს წინააღმდეგ გალაშქრების დროს, როცა იმერთ მეფის მხარეზე გურიელთან ერთად დადიანიც იბრძვის.

საჯავახოს, როგორც საზღვრისპირა ერთეულის მფლობელობის საკითხი მწვავედ დაისვა ბაგრატის მემკვიდრე გიორგი II-ის ზეობის პერიოდში.

იმერთა ტახტზე გიორგის ასვლა მეტად რთულ პოლიტიკურ მდგომარეობას დაემთხვა. ერთის მხრივ გრძელდებოდა მთავრებსა და მეფის ხელისუფლებას შორის ბრძოლა, ხოლო მეორეს მხრივ მთავრები ერთმანეთს ეცილებოდნენ პირველობას.

ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობდა იმერეთის სამეფოსა და დასავლეთ საქართველოს სამთავროებს შორის სხვა მნიშვნელოვან საზღვრისპირა ერთეულთან ერთად დიდი ადგილი ეკავა საჯავახოს პყრობის საკითხს. სწორედ ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ „მეფემან გიორგიმ მოუწოდა ჯავახ ჭილაძეს, მოჰკლა იგი... რამეთუ მიმდგომიცა იყო დადიანისა და დაიპყრა მამული ჯავახ-ჭილაძისა მეფემან“ გიორგიმ.¹

ჭილაძეთა სათავადოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, იგი იმერეთ-გურიას უშუალოდ ემიჯნებოდა და ამ „ქვეყნების“ თავდაცვაში შეეძლო დიდი როლი ეთამაშა. იმერეთის მეფეს თავისი პოზიციები რომ განემტკიცებინა, საჭიროდ თვლიდა ჭილაძეთა მიწა-წყალი თვითონ დაეკავებინა და იღწვოდა კიდეც ამისათვის.²

ჯავახ II სიკვდილის შემდეგ მეფე იმედოვნებდა, რომ საჯავახო მის მფლობელობაში იქნებოდა. ამგვარ შეხედულებას ამაგრებდა დადიანისა და გურიელის ურთიერთდაპირისპირება³ თუმცა, მიუხედავად სერიოზული ხასიათის მტრობისა ისინი შერიგდნენ, არ დაანებეს გიორგის საჯავახო და თვითონ დაიპყრეს იგი. წყაროებში არ მოიპოვება კონკრეტული ცნობა თუ საჯავახოს რომელი ნაწილი იპყრო თითოეულმა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ გეოგრაფიულ ფაქტორსაც და მხარის „ისტორიული ფლობის“ პრინციპს, აშკარაა, რომ ზემო საჯავახოს დაიკავებდა გურიელი, ხოლო ქვემო საჯავახოს (საჭილაო) დადიანი. სასაზღვრო ხაზი იმერეთსა და ოდიშს შორის ისევ უცვლელი რჩება. შექმნილ სიტუაციას ცვლის დადიანის სიკვდილი. შინაომს იწყებს ახლად გამთავრებული ლევანის ბიძა მამია. მცირე ხნის შემდეგ ისინი შერიგდნენ, იმერთ მეფისა და გურიელის ძალისხმევით. მამიას მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამაული და შეკრეს მშვიდობა.⁴

ჭილაძეების სამფლობელოს განაწილება ამით არ დამთავრებულა. ვახუშტის ცნობიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ტერიტორიის განაწილებაში მონაწილეობის მიღების შედეგად ლევან I დადიანის ბიძა ბათულიას წილად ხვდომია მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე საჯავახო, რამაც იმერეთ-ოდიშის საზღვარი საჯავახოს ქედზე გადმოიტანა.

საინტერესოა იმერთ მეფემ რატომ ისურვა ოდიშის მთავარ გიორგის ძმის მამიასათვის მიეცა მაინცა და მაინც ლომკაც ჭილაძისეული მამული⁵ და არა სხვა ტერიტორია თუნდაც საჯავახოს ის ნაწილი, რომელიც მდინარე რიონის სამხრეთით მდებარეობდა (საკუთრივ საჯავახო).

ზემო საჯავახოს თავისი ეკონომიკური, სამეურნეო და სტრატეგიული მნიშვნელობის გამო იმერთ მეფე ყოველთვის ცდილობდა და შესაბამის ვითარებაში ხელიდან არ უშვებდა მისი ფლობის შესაძლებლობას, მისთვის უფრო სასურველი იყო ეს კუთხე (ზემო საჯავახო)

1 ვახუშტი, გვ. 316

2 ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, 1973, გვ. 277

3 „გურიელმან განუტევა ასული დადიანისა ამისათვის, რომ პირველ ამისი და იმისმან შვილმან განუტევა.“ ქართლის ცხოვრება, 11, გვ. 361

4 ვახუშტი, გვ. 818

5 „მერმე ზავ-ჰყვეს მეფემან და გურიელმან ძმათა შორის, მოიყვანეს გიორგი და დასუეს დადიანადვე. ხოლო მამიას მისცეს ჭილაძისა და რევაზის მამული, და იქმნა ამითი სამთავე შორის მშვიდობა“ — იქვე, გვე. 818

8. მატჩანე

თვითონ დაეკავებინა. მაგრამ თუ ამას ვერ შეძლებდა კონკრეტულ ვითარებაში ყოველმხრივ ცდილობდა აღნიშნული ერთეული დადიანის უშუალო მფლობელობაში არ ყოფილიყო. მისთვის უფრო სასურველი იყო ეს კუთხე გურიელს ან დადიანის რომელიმე ქვეშევრდომს ჰქონოდა.

ამავე პერიოდში ბათულია აღსდგა ძმისწულის წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხდა და მისი სამფლობელო გურიელმა დაისაკუთრა.

ოდიშ-იმერეთის ურთიერთობაში კიდევ უფრო დიდად წინააღმდეგობრივი ხანა იწყება ლევან დადიანის გამთავრებით. რომელმაც მრავალგზის წარმატებით ილაშქრა იმერეთზე, უფრო მეტიც, მეფეც კი შეიპყრო, რომლის გამოსახსნელად უფლისწულმა გიორგიმ მას ჭილაძეთა სამფლობელოს ნაწილი (საჭილაო) უბოძა. როგორც ჩანს მეორე ნაწილი (საჯავახო) აღნიშნული სათავადოსი თვითონ დაიტოვა.

უაღრესად საინტერესოა სად გადის ამ პერიოდში სასაზღვრო ხაზი იმერეთსა და ოდიშს შორის, როდესაც დადიანს სურვილისამებრ შეუძლია ილაშქროს იმერეთზე და განაწესოს საზღვარი თავისი შეხედულებისამებრ.

ამ საკითხზე საინტერესოდ მსჯელობს მკვლევარი თ.ბერაძე, რომლის აზრითაც საზღვარი იმერეთსა და ოდიშს შორის ამ დროისათვის გადიოდა მდინარე ცხენისწყალზე და არა რიონზე, როგორც ეს არქანჯელო ლამბერტს ჰგონია. პატივცემულ მკვლევარს საზღვრის მდინარე რიონზე არსებობის ფაქტი საეჭვოდ ესახება შემდეგ გარემოებათა გამო:

1). ვერც ვახუშტი ბაგრატიონთან და ვერც ამ ხანის სხვა ისტორიკოსთან ვერ ვხვდებით ცნობას იმის შესახებ, რომ იმერეთ-ოდიშის საზღვარი მდინარე რიონზე გაივლიდა.

2). დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთებში ლევან II დადიანის მიერ გაცემული მრავალი წყალობის წიგნი გვხვდება, მაგრამ ჩვენ ვერ შევხვდებით ვერცერთ საბუთს, რომელიც ლევან II დადიანის ან სხვა რომელიმე დადიანის მიერ არის გაცემული, სადაც მოხსენიებული იქნებოდა ცხენისწყლის აღმოსავლეთით მდებარე პუნქტი, გარდა რამდენიმე სოფლისა, რომლებიც უშუალოდ ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ.

3). ლევან II დადიანი ყველაზე ძლიერი ხელისუფალი იყო დასავლეთ საქართველოში და შეიძლება დაგვევა, რომ თავისი ძლიერების ზენიტში მან მოახერხა იმერეთის სამეფოსათვის წაერთმია რიონის დასავლეთით მდებარე ტერიტორია და სწორედ ეს ფაქტი უნდა ჰქონოდა აღნიშნული არქანჯელო ლამბერტს. ამასთან დაკავშირებით საინტერესო მასალებს წარმოადგენენ რუსი ელჩების სტოლნიკი ტოლოჩანოვის და დიაკი იველევის ანგარიშები, ეს ის ხანაა როდესაც ლევან II დადიანი თავისი სიძლიერის მწვერვალზე იმყოფება. მას ტყვედ ჰყავს იმერეთის მეფის ძმა მამუკა და ტახტის მემკვიდრე ბაგრატი. სად გადის ამ დროს საზღვარი იმერეთსა და ოდიშს შორის? ქუთაისიდან ზაფხულის ნახევარი დღის სავალზე. მაშინ როდესაც ქუთაისიდან რიონის ზღვის შესართავამდე, ე.ი. ფოთამდე ორი დღის სავალი ყოფილა. ქუთაისიდან ფოთამდე 100-ზე მეტი კილომეტრია, ე.ი. ამ ქალაქიდან ოდიშის საზღვრამდე 25 კილომეტრი მაინც იქნებოდა, დაახლოებით იმდენი, რამდენიც ქუთაისიდან მდ. ცხენისწყალამდე არის.¹

ამრიგად, ლევან II დადიანის ყველაზე დიდი წარმატების დროსაც საზღვარი ოდიშსა და იმერეთს შორის გადიოდა მდინარე ცხენისწყალზე და არა რიონზე, როგორც ამაზე სამართლიანად მიუთითებს თ. ბერაძე.

1657 წელს ლევან II დადიანი გარდაიცვალა და მთავარი გახდა მისი ძმისწული ლიპარიტი. ამით ისარგებლა ალექსანდრემ – იმერეთის მეფემ: „შემოკრიბნა სრულად სპანი იმერეთანი და წარვიდა ოდიშს შურის-გებად; ამას ვერ წინააღმდეგა ლიპარიტ დადიანი, შევიდა ალექსანდრე ოდიშს მოსწყვიტნა მოსტყვევნა, ააოხრა... დასვა ოდიშს დადიანად ვამიყ და თვით იპყრა აღმოსავლეთის კერძი და უნაგირას იქითი დასავლეთისა მისცა ვამიყს“² დროებით იმერეთის სამეფოს საზღვარმა გადმოიწია უნაგირამდე, მალე მდგომარეობა შეიცვალა 1660 წელს გარდაიცვალა ალექსანდრე იმერთა მეფე და მისი ძე ბაგრატი ავიდა ტახტზე, რომლის წინააღ-

1 საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV. თ. ბერაძე, გ. ცქიტიშვილი, იმერეთის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები, გვ.45
2 ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს, 305-306 გვ.

მდეგ მისი დედინაცვალი დარეჯანი, თეიმურაზ პირველის ასული გამოვიდა და დასავლეთ საქართველოში გაუთავებელი შინაომი დაიწყო, რომელიც ფაქტობრივად სოლომონ პირველის გამეფებამდე გრძელდებოდა.

ცოტა ხნით უპირატესობა მიიღო ვამიყ დადიანმა. იგი დაუკავშირდა ვახტანგ მეხუთეს ქართლის მეფეს. მოკავშირეებმა იმერეთის სამეფო ფაქტიურად გაიყვეს „და დამზახლდნენ მეფე ვახტანგ და დადიანი ვამიყ და დაიპყრა დადიანმა ბუჯის წყლის დასავლეთის კერძონი და აღმოსავლეთის კერძონი მისცა ვახტანგ მეფესა და ბაგრატ მეფე მყოფობდა ციხესა შინა ქუთაისს.“¹

ვამიყ დადიანის წარმატება დროებითი აღმოჩნდა. მეფე ვახტანგ V გამოვიდა მის წინააღმდეგ, რადგან გაზრახვითა ცოლისა თვისისათა განუტევა მზახლობა ვახტანგ მეფისა დადიანმან ვამიყ და დაწინდული არჩილისა მისისა ასული მისცა ლოლობერის ძეს... ესე შეუძნდა ვახტანგ მეფესა... გადმოვლო ვახტანგ მეფემან მთა ლიხისა მიერთვნენ სრულიად ზემოურნი იმერნი მას და ლაშხის შვილი ხოსია თავი ლეჩხემისა“² ვამიყ დადიანმა ვერ გაბედა შებრძოლება და ოდიშში გაიქცა. შემდეგ კი სვანეთში, სადაც ის „შეჩენითა ხოსია ლაშხიშვილისა მოკლულ იქნა. ვახტანგ V ოდიშის მთავრობა მისცა ლევან II დადიანის ძმის იესეს შვილს, შამადავლეს, რომელმაც ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა.

იმერეთში შინა ომი გრძელდება, რაშიც აქტიურ მონაწილეობას ლეზულობდნენ მეფე არჩილი, ბაგრატი და თეიმურაზ I ქალიშვილი დარეჯანი. 1668 წელს დარეჯანი დაიღუპა ამ ბრძოლაში. ახლა ბაგრატ მეფის მეტოქედ არჩილი გამოდიოდა.

XVIII საუკუნის პირველი ნახევარი დასავლეთ საქართველოში სრული ანარქიის ხანაა. ძნელი დასადგენია თუ რას ფლობდნენ იმერეთის მეფე და დადიანი ამ დროისათვის. საკუთრივ, იმერეთისა და ოდიშის საზღვრად მდ. ცხენისწყალი ითვლებოდა. მაგრამ სინამდვილეში საზღვარი ხშირად იცვლებოდა. ასე მაგ; 1730-1742 წლების გაცემული ერთი საბუთიდან ირკვევა, რომ იმერეთის მეფის უფლებები ცხენისწყლის დასავლეთით ვრცელდებოდა და საჭილაო მას ეპყრა: „ტყვირის მონასტერი თერთმეტი მოსახლე კაცით მეფემ ალექსანდრემ თავისი მეუღლის დადიანის ქალს ნიშანშიდ შესწირა. ასე, რომ საჭილაოს აზნაურის შვილებს ყველას მისი ნიშანი მართებს.“³

მომდევნო ხანაში ოდიშის საზღვარმა ცხენისწყლის აღმოსავლეთით გადმოინაცვლა. კაცია დადიანის მიერ 1766 წელს გაცემული საბუთის თანახმად, „სანავარდო საჭილაოშიდ“, მის სამფლობელოში შედის.⁴

1772 წელს იმერეთში გიულდენშტედტის მოგზაურობის დროს სანავარდო იმერეთის სამეფოს საზღვრებში შედის.⁵

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ საჯავახო თავდაპირველად იმერეთის შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის დასასრულისათვის იგი გურიელების ხელში გადადის. თუ ვის ეკუთვნოდა საჯავახო XVII საუკუნესა და XVIII საუკუნის დასაწყისისათვის წყაროებში არ ჩანს. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში იგი იმერეთის კუთვნილებაა. ამას კარგად მონიშნავს გიულდენშტედტი.⁶ საჯავახო იმერეთის სამეფოს გაუქმებამდე მის შემადგენლობაში შედიოდა. ამის დამადასტურებლად მოვიყვანთ ორ საბუთს: „ესე წიგნი მოგართვით... თქვენ ერისთავს ქაიხოსროს ჩუენ ერთობით საჯავახელებმა ჩვენს ხელმწიფის მეფე სოლომონის ბრძანებით.“⁷

მეორე საბუთში, რომელიც 1806 წელს არის შედგენილი, სოლომონ II საჯავახოს „გამოჩინებულის ხატის ადგილზე“ ყმის შეწირულობას ამტკიცებს.⁸

ნიშანდობლივი და საინტერესოა საჯავახოს, როგორც საზღვრისპირა ერთეულის დანაწევრებულად ფლობის პრინციპი, რასაც თავისი ახსნა მოეპოვება. თითქმის ყოველი ბრძოლის შემდეგ,

1 ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, გვ.308
 2 ვახუშტი, ისტორია..., გვ.306
 3 კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ნ. 11, გვ.152
 4 ს. კაკაბაძე, დას. საქ..., 11. გვ.31
 5 გიულდენშტედტი. მოგზაურობა..., ტ. 1, გვ. 153
 6 იქვე, გვ 159, 305, 309.
 7 სცხა, ფ. 1448, №2078
 8 სცხა, ფ. 1448, №888

როცა იმარჯვებდა დადიანი ან იმერთმეფე ავრცობდა თავის ძალაუფლებას საჯავახოს იმ ნაწილზე, სადაც მათთვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა დაპყრობილი ტერიტორიის მყარად ფლობისათვის. ხშირად იმერთ მეფე იკავებს ზემო საჯავახოს, ხოლო დადიანი ქვემო ანუ ჩრდილო საჯავახოს. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო ოდიშ-იმერეთის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრის საჯავახოს ქედს იქით გადატანა. საინტერესოა რა განაპირობებს ყოველივეს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ იმერთ მეფის მიერ ზემო საჯავახოს ფლობა და თავის მხრივ დადიანის დამკვიდრება ქვემო საჯავახოში განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორებით: იმერთა მეფისათვის საჯავახო წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ და სამეურნეო ერთეულს, რომლის დაკავება მისთვის ხელსაყრელ პოლიტიკურ ამინდს ქმნიდა.

იმერეთის მეფის გავლენის გავრცელებას ამ რეგიონზე ხელს უწყობდა ტერიტორიული სიახლოვის გარდა შემდეგი ფაქტორიც. ზემო საჯავახოს მოსახლეობის დიდი ნაწილი იმერელი გახლდათ, რომელთათვის უფრო მისაღები იქნებოდა იმერთ მეფე, ვიდრე ოდიშის ან გურიის მთავარი. სავარაუდოა, ამავე ფაქტორს თავის მხრივ იყენებდა დადიანი საჯავახოს მეორე ნაწილის (საჭილაოს) ფლობის დროს.

გარდა ამისა საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საჯავახოს ორად ჰყოფდა ბუნებრივი ზღვარი მდინარე რიონის სახით.

მდ. რიონის სანაოსნოდ გამოყენების შესახებ არსებულ ვახუშტის ცნობას ამაგრებს 1737 წლის ლიხთ-იმერეთის რუკის მონაცემები, სადაც აღნიშნულია, რომ „რიონზე ნაოსნობა ფოთის ციხიდან იწყება და საჯავახომდე დიდი ზარბაზნიანი ნაგები დაცურავენ.“¹

იმერეთ-ოდიშის დაპირისპირების არსებობის მთელ მანძილზე საჯავახო გვევლინება სასაზღვრო რეგიონად. უშუალო საზღვარი საჯავახოს ქედსა და მდინარე ცხენისწყალს შორის მონაცვლეობს. მიუხედავად იმისა, რომ როგორც იმერეთის მეფეს ასევე დადიანს ცალკეულ შემთხვევაში შესწევთ ძალა ეს საზღვარი თავიანთი სურვილისამებრ გადასწიონ. იმერთა მეფემ დასავლეთით, ხოლო ოდიშის მთავარმა აღმოსავლეთით, ისინი ძირითად საზღვარს მაინც საჯავახოს ფარგლებში ათავსებენ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ლევან II დადიანის, როგორც დასავლეთ საქართველოს უძლიერესი მთავრის ზეობის დროს არსებობდა შესაძლებლობა² არამარტო ოდიშ-იმერეთის საზღვრის აღმოსავლეთით მკვეთრად გადმონევისა, არამედ უფრო მეტიც ოდიშის ხელმძღვანელობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა, მაგრამ საზღვრად იგივე ერთეული რჩება.

როგორც ზემოთ ნათლად დავინახეთ საჯავახოს, როგორც იმერეთ-ოდიშ-გურიის საზღვრისპირა ერთეულის ფლობის საკითხი, მჭიდროდ უკავშირდება „საჩინოს“ მფლობელ ფეოდალთა პოლიტიკურ მიზნებს.

„საჩინოს“ ისტორიის კვლევისას ნათელია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს „საჩინოს“ მოსაზღვრე საჯავახოს ისტორიული კვლევა, რადგან ძირითადად აღნიშნულ ერთეულზე გადიოდა იმერეთ-ოდიშ-გურიის სასაზღვრო ხაზი და „საჩინოს“ მფლობელი თავადი იძულებული იყო სამეფო-სამთავროთა შორის მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში ყოველთვის მხარი დაეჭირა იმ ძალისათვის რომელიც ფლობდა ან მომავალში შეძლებდა დაუფლებოდა აღნიშნულ ერთეულს.

თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საჯავახოს ფლობის საკითხს, ამას ნათლად წარმოაჩინეს ქართლის ცხოვრებაში დაცული შემდეგი ცნობა:

1661 წელს ქართლის მეფე ვახტანგ V (შაჰნავაზმა) იმერეთი დალაშქრა³ და საჩინოვადი მომიჯნავე საჯავახო გურიელს გადასცა.⁴ გურიელის ხელში საჯავახოს გადასვლით „ჩიჯავადენი“ მარადის იყვნენ წინაშე გურიელისა.

1 საქ. მეც. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუს მოამბე, ტ.1, შ. ბურჯანაძე ლიხ-იმერეთის 1737 წლის რუკა, როგორც საისტორიო წყარო, გვ. 182

2 ლევანმა არაერთხელ დალაშქრა იმერეთი, იმდენად გაძლიერდა.

3 ამ დროისათვის იმერეთში პოლიტიკური აშლილობა სუფევს, მეფე ალექსანდრე III გარდაცვლილია

4 ვახუშტი. აღწერა. გვ.867

ქართლის ცხოვრებაში დაცული ცნობის ეს ამონარიდი ამტკიცებს რომ საჯავახოს მპყრობელ გურიელს მორჩილებდნენ ჩიჯავაძენი.

მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ ვინ ფლობდა საჯავახოს, „საჩინოს“, მმართველი იძულებული იყო ანგარიში გაენია ან დამორჩილებოდა საჯავახოს მფლობელს, რადგან საჯავახო უშუალოდ ესაზღვრებოდა მის სამფლობელოს. ცალკე აღებულ „საჩინოს“ არ შესწევდა ძალა პოლიტიკური სტრატეგიული და სამხედრო შესაძლებლობებით წინ აღდგომოდა იმერეთის მეფეს თუ ოდიშისა და გურიის მთავარს.

ამასთანავე აღნიშნულ მეფე-მთავართა დაპირისპირებისას ჩიჯავაძენი ძალაუფლების შენარჩუნებასთან ერთად ილტვოდნენ მეტი პოლიტიკური სარგებლის მოსაპოვებლად.

ამგვარ გარემოებას ამტკიცებს შემდეგი: 1682 წელს ხონთქრის (თურქეთის სულთნის) ინიციატივით იმერეთის სამეფო ტახტზე ადის ქართლის მეფე გიორგი XI -თან მყოფი ალექსანდრე ბაგრატიის ძე. ამ პერიოდისათვის შინაფეოდალური დაპირისპირების ფონზე დანიშნულ პაატა აბაშიძეს, რომელსაც მორჩილებენ სრულიად „მარგველნი,¹“ შემომტკიცების მიზნით ალექსანდრემ ცოლად მიათხოვა თავისი და დარეჯანი. ალექსანდრე მეფის გაძლიერებას წინ აღუდგა გიორგი ლიპარიტიანი, შოშიტა რაჭის ერისთავი და ბეჟან ლორთქიფანიძე, რომლებსაც ამ ბრძოლაში შეუერთდნენ საჩინოს მფლობელი ჩიჯავაძენიც. ბრძოლა, 1684 წელს გაიმართა როკითს, ხსენებული თავადებიც მეფის წინააღმდეგ გურიელის მხარეზე იბრძოდნენ. აღნიშნულ ბრძოლაში დაიღუპნენ გიორგი ლიპარიტიანი და შოშიტა რაჭის ერისთავი. „ბრძოლის შემდგომად პყრობილნი გურიელ ოდიშარნი და იმერნი დაჰყიდეს ვერცხლსა ზედა და დაიპყრა ალექსანდრე კუალად იმერეთი.“²

უფრო მეტიც, 1734 წლის ჩიხორის ბრძოლის შემდეგ მეფე ალექსანდრემ ბრძოლის შემდგომ თავისთან მყოფ დაჭრილ დადიანს „გამოართვა საჭილაო-სამიქელაო, ზავჰყო ამით ლევან აბაშიძის გამო და განუტევა. მოვიდა საჩხერეს, მისცა დად თვისი ნაშობი თამარისაგან ცოლად მაჰმადბეგს დაიზავა და წარვიდნენ ქართველნ-ოსმალნი ქართლსავე.“ ამ პოლიტიკური გარიგების შემდეგ მას დაუზავდნენ დადიანნი ერისთავი და ზურაბი, შემდგომად დაადგა მამუკა ციხესა ბეჟან ჩიჯავაძისასა და მოჰპარვით აღილო ციხე სებეკისა მერმე აღილო ციხე ბეჟანისა და დაიპყრა საჩიჯავაძეო მამუკამ³.

ეს ფაქტი მეფე ალექსანდრეს რეკომენდირებით და ჩიჯავაძეთა იმერეთის სამეფოს ხელისუფლებისადმი საწინააღმდეგო ქმედებით იყო განპირობებული, რაც საბოლოოდ ჩიჯავაძეთა პოლიტიკური ძალაუფლების დამცრობით დასრულდა, რასაც ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში დაცული იმერეთის სამეფო კარის მიერ გაცემული წყალობის სიგელი მოწმობს:

„წყალობის სიგელი წიგნი გიბოძეთ შენ ჩვენ, ტახტის მემკვიდრის ყმას ჩიჯავაძეს ესრეთ, რომ მამუკა ბატონიშვილს გაელარიბებინეთ და თქვენი სამკვიდრებელი თავისათჳს დაეპყრა,“ ვკითხულობთ საბუთში.

ასე, რომ საჯავახოს როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული სასაზღვრო მნიშვნელობის მქონე ერთეულის ფლობა პირდაპირ უკავშირდება იმერეთის მეფისა და ოდიშ-გურიის მთავართა შორის არსებულ სამფლობელოთა იურისდიქციული და ტერიტორიალური წინააღმდეგობების ფონზე წარმოქმნილ პოლიტიკურ პროცესებს, რომელთა ჯეროვნად არ გათვალისწინება სერიოზულ ზიანს აყენებდა „საჩინოს“ მმართველთა პოლიტიკურ ძალაუფლებას, რამაც საბოლოოდ მათი გვარის დამცრობა განაპირობა, რაც იმერეთის სამეფო კარის, მამუკა ბატონიშვილისადმი გაცემული სიგელითაც დასტურდება.⁴

1 ქართლის ცხოვრება ტ. IV, გვ. 847
 2 იქვე
 3 ქართლის ცხოვრება. ტ. IV, გვ. 888
 4 ქიმ ის №103.

გრიგოლ ხურციძის უცნობი რომანი

გრიგოლ ხურციძის სახელი სკოლის ასაკიდან ამედევენა. კოლექტივიზაციის თემაზე შექმნილ ნაწარმოებებს რომ ვსწავლობდით, ეს იყო 60-იანი წლები, ლიტერატურის მასწავლებელმა, ტკბილსახსოვარმა მანუილ მესხმა, დიდი გულისტკივილით გვითხრა, ვანელებს ერთი უნიჭიერესი პროზაიკოსი გვყავდა, გრიგოლ ხურციძე, მას საკოლმეურნეო მშენებლობის თემაზე დიდი რომანი ჰქონდა შექმნილი და მწერალთა კავშირშიც მიიტანა განსახილველად, მაგრამ მალე ომი დაიწყო, იგი მებრძოლთა რიგებში ჩადგა და აღარ დაბრუნებულა, არადა, მისი სახით ქართულმა მწერლობამ დიდი ძალა დაკარგაო. მაშინ ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ეს სახელი ჩემი ცხოვრების თანამდევი შეიქნებოდა და ობლის კვერის გამოცხოებაში არცთუ უმნიშვნელო წვლილის შეტანა მომიხდებოდა.

მასწავლებლად რომ დავიწყე მუშაობა, ერთ მოსწავლეს საკონფერენციო თემად **გიორგი ნაფეტვარიძის** შემოქმედება დავამუშავებინე. უდროოდ დაღუპულ მწერალთან იმდენად დიდი სულიერი სიახლოვე ვიგრძენი, რომ საკანდიდატო მინიმუმისათვის მისი შემოქმედება ავირჩიე და მის ხელნაწერებში ჩავიძირე (მაშინ, ცხადია, ვერ წარმოვიდგენდი, რომ მინიმუმისათვის განსაზღვრული რეფერენტი საკანდიდატო დისერტაციად გადაიქცეოდა). ავტოგრაფებზე მუშაობის შესაძლებლობა პოეტის ქვრივის, ნათელა არჯევანიძის გულისხმიერების წყალობით მომეცა. **გრიგოლ ხურციძეც** ამ მასალებით გავიცანი. მისი ხატება ჩემს ცნობიერებაში ღრმად აღიბეჭდა და მას შემდეგ აღარც ამოშლილა. ჩემი მასწავლებლის (ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული!) მიერ გაღვივებული ცნობისმოყვრეობაც არა და არ გამწვანებია.

1972 წელს გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ 22 მაისის ნომერში დაიბეჭდა ჩემი წერილი „**ახალგაზრდა მწერლის სილუეტისათვის.**“ მასში ჩართული მქონდა ფრონტიდან გამოგზავნილი ბარათი **გრიგოლ ხურციძისა, მიძღვნილი ნათელა არჯევანიძისადმი**, რომელსაც, ადრესატის სიტყვით, გამომცემლობა „ნაკადულში“, სადაც იგი მუშაობდა, დიდი ფურორი მოჰყოლია და ლიტერატურული საზოგადოება ადრესანტისადმი წრფელი სიმპათიით განუმსჭვალავს. ვანის რაიონულ გაზეთ „განთიადში“ მალევე გამოქვეყნებულ წერილს კი, სათაურით – „**იყოს კეთილი ეს მოგონება,**“ რომელიც, ისევე ქალბატონი ნათელას ძალისხმევით, დედაქალაქის ლიტერატურულ წრეებში გავრცელებულა, სიმპათია ინტერესად უქცევია. უჩინო მწერლის გაუჩინარებული რომანის ბედიც ამას განუსაზღვრავს: ცნობილ ლიტერატორს, **ვანო წულუკიძეს**, მივიწყებული ტექსტისათვის მწერალთა კავშირის არქივში მიუკვლევი და მისი გამოცემის მძიმე ტვირთიც ბოლომდე აუზიდავს: 1973 წელს რომანი „**ჩვენი დღე და სოფელი**“ დღის სინათლეზე გამოვიდა და, მიუხედავად საკმაოდ სოლიდური – ათიათასიანი ტირაჟისა, მალე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

მისი ერთი ეგზემპლარი, ბატონი ვანოს ავტოგრაფით დამშვენებული, მას შემდეგ ნიგნის თაროზე მიდევს და იმ კვერის ბოლომდე გამოცხოვას შთამაგონებს. ნიგნის რედაქტორ-გამომცემლის ყურადღება კი, მისი სიტყვით, იმით დავიმსახურე, რომ ამ რთულ საქმესთან შეჭიდებისაკენ ჩემი წერილების გაცნობამ უბიძგა. აი, რას გვიამბობს ვანო წულუკიძე იმის შესახებ, თუ რა გზა განვლო რომანმა „ბიძგამდე“:

„ფრონტზე გამგზავრების წინ, 1941 წლის დეკემბერში, **გრიგოლ ხურციძეს** მწერალთა კავშირში შემოუვლია და რომანის ხელნაწერი **ლეო ქიაჩელისათვის** დაუტოვებია თხოვნით, ეპატრონებინა მისთვის. ტექსტი მკაფიოდ, მაგრამ იმდენად წვრილი ასოებით იყო დაწერილი, რომ პატივცემულმა ლეომ მისი ნაკითხვა ვერ შეძლო და მისი გაცნობა მე დამავალა. თვეზე მეტს მოვუხდი მის ნაკითხვას, რადგან მეც გამიჭირდა ხელის გარჩევა. ბატონ ლეოს წაფუკითხე რამდენიმე თავი. ეს იყო 1942 წლის აპრილში. იგი კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა პროზაიკოსის ამ ნაწარმოების მხატვრული ღირებულებით და გადაწყვიტა, მიეღო ზომები მისთვის გზის გასაკაფავად, მაგრამ მალე დაიწყო სისხლისმღვრელი ბრძოლები სევასტოპოლისა და ქერჩის მისადგომებთან და ლეო წერვიული დაძაბულობით ადევნებდა თვალყურს მის მიმდინარეობას: სევ-

ასტოპოლთან იბრძოდა მისი ერთადერთი ვაჟი, არტილერისტი **ოთარ შენგელია**, არ გასულა ერთი თვეც და ლეო ქიაჩელს თავს დაეცა დიდი უბედურება – ოთარი დაიღუპა. ტრამვირებულ ლეოს კალამი დიდი ხანს აღარ აუღია ხელში და არც ხურციძის ხელნაწერებისათვის მიუხედავს.“

ამონარიდი მკაფიო წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, რაოდენ დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონ ვანო წულუკიძეს გრიგოლ ხურციძის რომანის გამოცემაში, რომანისა, რომლის არსებობის შესახებაც ჩემმა საყვარელმა პედაგოგმა გვაუწყა.

გრიგოლ ხურციძემ სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ნარკვევის დაბეჭდვა მოასწრო („ლიტერატურული გაზეთი“, 1934 წელი №2). 31 წლისამ მეორე მსოფლიო ომში დაღუპული ოთხასი ათასი მეომრის ხვედრი გაიზიარა და სევასტოპოლთან შეუერთდა მარადისობას, კიდევ 31 წლის შემდეგ კი აღნიშნული რომანით წარდგა მკითხველის წინაშე.

გრიგოლ ხურციძეს დარჩა მდიდარი არქივი, რომლის პატრონობაც განგებამ თუ შემთხვევამ მე დამაკისრა. მასზე მწერლის ძმიშვილის, ან გარდაცვლილი თინა გიორგის ასულ ხურციძის მხარდაჭერით მიმიწვდა ხელი. მწერლის არქივის დამუშავებამ შესაძლებლობა მომცა, ჟურნალ „განთიადის“ 1992 წლის მეხუთე-მეექვსე და მეცხრე-მეათე, აგრეთვე 1994 წლის მეცხრე-მეთორმეტე ნომრებში დამებეჭდა მისი **11 ნოველა**. იმავე ჟურნალში გამოქვეყნდა 30-იანი წლების ქუთაისის ლიტერატურული ახალგაზრდობისადმი მიძღვნილი წერილი „**სხვის ომში ტორებდამტვრეულ ბიჭებსა და სხვებზე**“ (1992 წლის №5-6), რომელშიც გრიგოლ ხურციძის ხასიათის არაერთი საინტერესო ნახსენავია წარმოჩენილი.

გრიგოლ ხურციძის არქივში ჩემი ყურადღება მიიპყრო ისტორიულმა რომანმა „**არწივი რიონის პირას**“, რომელიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს ეძღვნება. პარადოქსად უნდა ჩაითვალოს, რომ წინამდებარე რეცენზია, რომელსაც ჟურნალ „მატიანეს“ რედაქციას ვთავაზობთ, მკითხველმა ტექსტის გაუცნობლად უნდა წაიკითხოს, ამის მიზეზი არცთუ მარტივი გახლავთ: დასაბეჭდად გამზადებული ხელნაწერი (მაშინ ქსეროქსი არ არსებობდა, ხელით უნდა გადამეწერა...), ჩემგან გაშიფრულ-დამუშავებულ არქივთან ერთად, **მწერლის დისპვილების, გურგენიძეების, ოჯახმა დაიბრუნა და მოტივად ის დაასახელა, ჩვენ თვითონ მოუველითო, მაგრამ მას შემდეგ ორი ათული წელი გავიდა და მათ ამ არქივიდან ერთი სტრიქონიც არ დაუსტამბავთ**.

ჩემს ხელთ არის ჩემ მიერ გადაბეჭდილი, სასტამბოდ გამზადებული და მიზეზთა გამო აქამდე გამოუქვეყნებელი გრიგოლ ხურციძის 23 (!) ნოველა, რომელთა პუბლიკაციის სურვილიც განვლილმა დრომ ვერ გამინელა. ას წელს გადაცილებული (დაბადებულია 1911 წელს) მწერლის სული გამუდმებით შემთხვევს თავისი ნაშრომ-ნაღვანის პატრონობას, რამეთუ „სიკვდილი უჩინო“ ასევე დაჟინებით შემომკიჟინებს, უკვე სამოცდაათმა მოგიკაკუნა და ძალზე საეჭვოა, შენ შემდეგ „გულის სისხლით“ დანერილ ამ სტრიქონებს ვინმე მიუბრუნდესო.

პროფესიული ინტერესი ნებას არ მაძლევს, ეს ნოველები უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორგანულ ნაწილად არ ვაქციო და მომავალ თაობებს, მათ შორის **გრიგოლ ხურციძის უშუალო შთამომავალთ**, მათი გაცნობის საშუალება დავუკარგო.

ჟურნალ „განთიადის“ რედაქცია, რომელმაც განვლილი ოთხი ათეული წლის განმავლობაში არაერთხელ დაამტკიცა, რომ მისი სახით გრიგოლ ხურციძეს ძალზე დიდი ქომაგი და მხარდამჭერი ჰყავს, ახლაც მზად არის, ისინი დროთა განმავლობაში გამოაქვეყნოს და, ისევე როგორც ადრე დასტამბული 11 ნოველა, ეს 23-ც მზის სინათლეზე გამოიტანოს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალ „მატიანეს“ სახით გრიგოლ ხურციძეს „განთიადის“ ბადალი ჭირისუფალი გამოუჩნდა. მისი უცნობი რომანისადმი მიძღვნილ ორი ათეული წლის წინ (!!!) დანერილ წერილს, რომ ვთავაზობ, გულის სიღრმეში მაინც მიჭიატებს ოდნავი იმედი, რომ ყურის ძირში ჩასაფრებული „ოთხი აფთარი“ პანა ხანს მიმიყურისძირებს, გამოცემული რომანის, გამოუქვეყნებელი, მაგრამ ჩემთვის ცნობილი რომანისა და ჩემგანვე გადარჩენილი 34 ნოველის ანალიზის საფუძველზე გიორგი ნაფეტვარიძისადმი მიძღვნილი 315 გვერდიანი მონოგრაფიის ჯუფთი ნაშრომის შექმნას შემაძლებინებს, **გვარამაძეებს კი**, (ესენი უკვე დის შვილიშვილები არიან!) ჩემგან გაშიფრულ-მოწესრიგებული (და რატომღაც უჯრაში გამოკეტილი) ხელნაწერების გამომზეურებას შთააგონებს და ობლის კვერის გამოცხობასაც საშველი დაადგება.

მანამ კი, ვიდრე გრიგოლ ხურციდის უცნობი რომანი პატიმრობაში რჩება, თავს ნებას ვაძლევ, მკითხველს რეცენზია მაინც შევთავაზო იმის იმედით, რომ მან დაწერიდან 80 წლის შემდეგ მაინც იხილოს ნათელი, ანუ უკან მაინც მიედევნოს ლამპარი!

გრიგოლ ხურციდის რომანი „არწივი რიონის პირას“ ოცი თავისაგან შედგება. შეიცავს ორი გვერდის სიგრძის თაბახის 51 ხელნაწერ გვერდს, რაც, ჩვენი ვარაუდით, ნაბეჭდი თაბახის ორას გვერდზე მეტს მოიცავს. ჯერჯერობით გაურკვეველია რომანის ორი თავის (მეცხრემეტე) ბედი.

რომანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხს ეხება. ავტორის სიტყვით, საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი მუდამ იქცევადა მის ყურადღებას. განზრახული ჰქონია, დაეწერა რომანი „უღელტეხილი“, რომელშიც თბილისში რუსეთის შემოსვლა იქნებოდა აღწერილი. 1934 წლის ივნისის პირველ რიცხვებში მწერალს შეუძენია ხახანაშვილის წიგნი, რომელიც იმერეთის მეფე სოლომონ მეორეს შეეხება. წიგნში ორი აბაზი მიუცია, სამგზავრო ფული აღარ დარჩენია და ქუთაისიდან წითელხევამდე ფეხით უვლია. „პირდაპირ სალორია გადავიარე, თან რიონის სადგურს ვათვალიერებდი, თან წიგნს ვკითხულობდი,“ – აღნიშნავს იგი რომანის მინაწერში. ამგვარად გამოკვანძულა მის გონებაში საანალიზო რომანის შექმნის იდეა.

თავისებურია გრიგოლ ხურციდის წერის პრინციპი. მას ჯერ მომავალი რომანის მოკლე შინაარსი დაუწერია, შემდეგ – ცალკეული თავებისა. ერთგარ ინტერესს აღძრავს რომანის სიუჟეტური ქარგა, რომელიც ავტორს თაბახის 7 გვერდზე აქვს გადმოცემული.

წერა დაუწყია 25 ივნისს. წერდა განუწყვეტლივ, დღეში ერთ, ორ, ზოგჯერ სამ თავსაც კი. ავტორს განზრახული ჰქონია, ნაწარმოებში ბევრი რამ შეეცვალა, ბევრიც დაეხვეწა და მკითხველის სამსჯავროზე შემდეგლა გამოეტანა. საბოლოო ვარიანტი ჩვენს ხელთ არ არის, საფიქრალია, რომ გრ. ხურციძეს არც შეუქმნია იგი.

„ეს იქნება ისტორიული რომანი ქუთაისისა და, საერთოდ, იმერეთის შესახებ 1804-1810 წლებში, როცა რუსთა ბატონობა მყარდება იმერეთში. ქუთაისში, რიონის პირას, არის ავალიშვილების სახლი. ეს ავალიშვილი არის სოლომონ მეორის მორდალი ანუ სახელმწიფო ბეჭდის შემნახავი, მას საკმაოდ ბევრი შემოსავალი აქვს თავისი ყმებიდან. ის სახაზინოს მთავარია. თითო კომლზე ეძლევა ბეჭდის დასასმელი ხუთი მარჩილი და იჯარიდან თითო მანეთზე – ორი გროში. აღწერილ იქნება მისი სახლი, მოახლეები და სხვა. აგრეთვე – მორთულობა მისი სახლისა, რომელიც აღმოსავლეთის ყაიდაზეა მორთული. მისი საუბარი ერთ თავის მეგობართან აღმოსავლეთის კულტურის შესახებ (ჯერ სახელები არ მომიგონებია). მას ჰყავს ახალგაზრდა შვილი, რომელიც სწავლობს ერთ სამღვდელო პირთან. ის შეგიძობას ამთავრებს და სურს პოლიტიკურ კარიერას მოჰკიდოს ხელი. მისი ოცნებაა, სოლომონ მეორის მხლებელი, კარისკაცი და მრჩეველი გახდეს...“ – ასე სქემატურად აყალიბებს გრ. ხურციძე რომანის კონტურებს ამ კონსპექტურ ჩანაწერებში. საყურადღებოა, რომ მასში რომანის სათაურია „სახლი რიონის პირას.“ ამ, ერთი შეხედვით, მცირე ცვლილებით (მოგაგონებთ, რომ რომანის სახელწოდებაა „არწივი რიონის პირას“) ავტორმა ნაწარმოებს ღრმა სიმბოლური დატვირთვა მისცა. რიონის პირას აღმართული ავალიშვილების ბუდე, რომლის ბინადარნიც დღედაღამ საქართველოს ბედზე, მის ხვალისდელ დღეზე ზრუნვით არიან მოცული, მკითხველის თვალწინ ნელინელ გარდაისახება რუსული სულით, რუსული განწყობით გამსჭვალულ ადამიანთა თავშესაფრად და მის ემბლემადაც ორთავიანი არწივი უფრო გამოდგება, ვიდრე მრავალსაუკუნოვან ბრძოლებში ნაწრთობი მახვილი.

გრ. ხურციდის რომანი არის რეალისტური ანარეკლი იმ მძიმე, მტკივნეული პროცესისა, რომელსაც ჩვენს ქვეყანაში გასული საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი. შთამბეჭდავად აღწერს ავტორი გაჭიანურებულ მოლაპარაკებას ციციანოვსა და სოლომონ მეორეს შორის, ცალკეულ ფეოდალთა ქვეგამხედვარობას, მეფის ერთგულთა თავგანწირულ ბრძოლას სახელმწიფოებრივი თვითარსებობის შესანარჩუნებლად, რუს მოხელეთა განუკითხაობას, მშრომელთა

უსასობასა და განწირულობას, ქვეყნად ფეხმოკიდებულ უზნეობასა და გათახსირებას...

ნაწარმოების მთავარი პერსონაჟია ვახტანგ ავალიშვილი. ის უაღრესად განათლებული, ნიჭიერი, სახელმწიფოებრივ მოვლენებში ღრმად ჩახედული პიროვნებაა. იგი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ოცნებობს, სოლომონის კარზე სამსახური მისი სანუკვარი სურვილია. რომანში ავალიშვილი ქართველ პატრიოტთა იმ დასს განასახიერებს, რომელსაც რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლა მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნია. გარშემო მყოფთ იგი ენერგიულად არწმუნებს იმაში, რომ „მოყვრულად მოსული მტერი მტერზედაც უარესია,“ მაგრამ ისტორიის განაჩენი სამწუხაროდ, გამოტანილია და იმერეთი დღითიდღე ექცევა რუსეთის რკალში.

ვახტანგ ავალიშვილი უებრო მამულიშვილია. სამშობლოს ინტერესების სამსხვერპლოზე მას უყოყმანოდ მიაქვს პირადი ბედნიერება. ბეჟან იოსელიანის ასულის, მშვენიერი ნინოსა და მისი სიყვარულის ტრაგიკული დასასრული ამის მკაფიო დადასტურებაა.

მკითხველი ნაწარმოების პირველი სტრიქონებიდანვე გრძნობს, რომ ვახტანგ ავალიშვილის წინააღმდეგობა განწირულია და იგი თავისივე ვაჟკაცური შემართების მსხვერპლი გახდება, ამიტომაც მღელვარედ ადევნებს თვალს მისი დრამატული ცხოვრების ყოველ წვრილმანს.

დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად ვახტანგი ყოველ ღონისძიებას ხმარობს. იგი ტყეში დაბანაკებულ რუს ჯარისკაცებზე თავდასხმასაც კი არ ერიდება, ძილში ამონყვეტს მათ და იარაღს ქართველ მებრძოლებს ურიგებს, რათა სოლომონ მეფის თანადგომა შეძლონ.

რომანში მუქი ფერებით არის აღწერილი რუსეთის ბრიყვ მოხელეთა თარეში იმერეთის სოფლებში. მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა-გაუბედურება, ადამიანთა ღირსებების ფეხქვეშ გათელვა, ქალების შეურაცხყოფა და ბავშვების დაშინება მათი განუშორებელი თანამგზავრებია. „საქონელს კლავენ, – იყო ხმები, – ძროხები და ხარები, თხები და ცხვრები ტყეში გარეკეს თურმე. ღორები ფიჭვის კანიდან დაგრეხილი ბანრებით მიყავთ,“ – გოდებენ გლეხები.

„თურმე არავის ინდობენ, ვაი ჩვენს დღეს, რას მოვესწარი?“ – უბრალო ადამიანთა ამ წამოძახილში მშრომელი ხალხის საერთო განწყობაა წარმოჩენილი.

ნაწარმოებში ამკარად შეინიშნება ავტორის ტენდენცია. რუს მოხელეთა სახით მკითხველის წინაშე დგას უხეში, ტლანქი ძალა, რომელიც ყველგან მხოლოდ ბოროტებას, სისასტიკესა და განუკითხაობას თესავს. „ესენი ქრისტიანები არ არიან, შენ გენაცვალე, – ჩუმად მსჯელობენ გლეხები და დასძენენ: – პატარა შაბათს ხორცს სჭამენ თურმე.“ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ამ სიტყვებში ავტორის სათქმელია ჩაქსოვილი.

არ არის შემთხვევითი, რომ ნაწარმოები გაურჩებულ ქართველებთან ანგარისწორებით მთავრდება. ჩუმი ირონიითაა გაჟღერებული ის სტრიქონები, რომლებშიც სახრჩობელასთან თავშეყრილ ადამიანთა უსულგულობა და ინდიფერენტიზმია გამომზეურებული.

„განა თვითონ რომ რუსი მოკლა, ის არ არის ცოდვა?“ – ლამის ნიშნის მოგებით აცხადებს ერთი დამსწრეთაგანი. „ჰო, განა ის არ იყო ცოდვა, – გაიმეორა ნონამ, – დაიმსახურა სიკვდილი...“ ამ დიალოგში ადამიანური ტრაგედიის კულმინაციაა წარმოჩენილი. მოუბართა მსჯელობის კილო მით უფრო თავზარდამცემია, რომ ერთ-ერთი მათგანი რუსებთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპული ვახტანგ ავალიშვილის საცოლუა. სიმპტომატურია, რომ რომანის ფინალში იგი ერთ-ერთი რუსი მოხელის მეუღლედ გვევლინება.

ძალზე საინტერესოა რომანში სოლომონ მეორის სახე. ავტორი დრამატულად აღწერს მის მშფოთვარე, დაძაბულ ცხოვრებას, მის თავგანწირულ ბრძოლას ქრისტეს ჯვრით შენიღბულ დამპყრობთა წინააღმდეგ. ნაწარმოების ყოველ სტრიქონში იგრძნობა უდიდესი ტკივილი ამ სწორუპოვარი პატრიოტის ტრაგიკული ცხოვრების გამო.

საოცარ პრიციპულობას, შეუვალობას ავლენს მეფე, როცა ციციანოვისაგან ლეჩხუმის შენარჩუნებასა და ქუთაისიდან რუსეთის ჯარის გაყვანას მოითხოვს. უზომო სევდით არის აღსავსე რომანის ის მონაკვეთი, რომელშიც მეფის განწირულობა, უსასობა, სრული სასწარმკვეთაა აღწერილი.

„შენი საქმე წასულია, – უთხრა მეფეს ლიონიძემ, – ჯარს იმიტომ აგროვებენ, რომ საჭიროების დროს შენს დასაჭერად გამოიყენონ.

მეფემ იგრძნო ამაზრზენი ქეშმარიტება, თავი მალა ასნია, თვალები გაუფართოვდა და აენტო. მისი სახე სანთლისაგან ჩამოქნილს დაემსგავსა, ჩოხა კი სუდარას, რომელიც ცოცხალ სხეულს კი არ ემოსა, არამედ თივის ბულულს,“ – ვკითხულობთ ნაწარმოებში.

ამაღლელებლად არის აღწერილი მეფის შეხვედრა მის მომხრე ქართველებთან. „ხალხო! იმერეთის საუკეთესო ადამიანები ხართ აქ თავმოყრილი. მოგიწვიეთ მე, თქვენმა მეფემ, ბაგრატიონთა შთამომავალმა, სოლომონმა. რუსთა მხედრობამ მოგმართათ თქვენ და მთელ სამეფოს ხალხს, რომ ზურგი შემოგექციათ ჩემთვის და რუს იმპერატორს მიმხრობოდით. რჩეულნო, რას ფიქრობთ, მე გინდებვართ მეფედ, ბაგრატიონთა შთამომავალი, თქვენი კანონიერი მეფე, თუ რუსთ ხელმწიფე?“ – მიმართავს იგი მის გარშემო შემოკრებილ ქართველებს.

„წყეულმც იყოს, ვინც მეფე უარყოს, სამას სამოცდახუთი წმინდა გიორგისაგან! იესო ქრისტე და თორმეტი მოციქული იყოს მისი შემწე, ვინც გულწრფელია!“ – ერთსულოვანი გრგვინით უპასუხებს ხალხი.

ნაწარმოების მიხედვით, მეფის თანამდგომთა ბანაკი საკმაოდ ვრცელია და მრავალფეროვანი. ვახტანგ ავალიშვილის გარდა, მის გვერდით დგანან სოლომონ ლიონიძე, ქაიხოსრო წერეთელი, სეხნია წულუკიძე და სხვანი, რომლებიც მხნეობას მატებენ სახელმწიფოს მომავალზე ფიქრით აფორიაქებულ მეფეს.

ავტორი მხატვრულად ნათელყოფს, რომ მეფის გაბრძოლება განწირულია, იგი უძლურია ორთავა არწივთან ბრძოლაში. „და სოლომონ, ბაგრატიონთა გვარისა, მეფე სრულიად იმერეთისა, ფიცით და აქტზე ხელის მოწერით შეეკრა ერთგულ ყმობასა და ქვეშევრდომობას, უმაღლესის სრულიად რუსეთის სახელმწიფოს ბედნიერად მფლობელ უგანათლებულეს და უმამაცეს დიდ ხელმწიფე იმპერატორს ალექსანდრე პავლოვიჩს, თვითმპყრობელს სრულიად რუსეთისას, არა ნივთიერი გამდიდრებისათვის, არა სივრცის გადიდებისათვის – რუსეთი ისედაც დიდია – არამედ სრულიად კაცთმოყვარეობისათვის და მართლმადიდებელი სარწმუნოების მფარველობისათვის და ვნებულთა ვედრებისათვის დაანესა თავისი მმართველობა იმერეთსა შინა, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დამყარება მშვიდობიანობისა, მართლმსაჯულებისა და უშიშროებისა,“ – ამ სტრიქონების ირონიული ქვეტექსტი გამჭირვალეა და ხელშესახები.

გრიგოლ ხურციძის რომანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის რეალისტური სურათია. სინამდვილის ობიექტური შეფასება მისი უმთავრესი ღირსებაა. ვფიქრობთ, პროზაიკოსს მისი გამოცემა რომ მოეხერხებინა, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა რიგებში ველარ ჩადგებოდა, რამეთუ რამდენიმე წლით ადრე გახდებოდა რეპრესიების მსხვერპლი.

მრავალფეროვანია გრ. ხურციძის რომანის ტიპაჟი. მოქმედებაში თანდათან შემოდიან სხვადასხვა სოციალური წრისა და განსხვავებული სახით წარმოდგებიან მკითხველის წინაშე მეფის რუსეთის მოხელეები: ციციანოვი, ვორონცოვი, ბრონევი, ბელევი, რიკოფი, გუდოვიჩი, ტორმასოვი, სიმონოვიჩი, ლისანევიჩი, მოგილევსკი და სხვანი. ეპიზოდურად წარმოჩნდებიან, მაგრამ მაინც ღრმად აღიბეჭდებიან მეხსიერებაში ქართველი თავადები: მეფის მორდალი დიმიტრი ავალიშვილი (სხვა ვარიანტში მას ზურაბი ჰქვია), მეღვინეთუხუცესი ბეჟან იოსელიანი, ბოქაულთუხუცესი ვახუშტი წერეთელი, სახლთუხუცესი ზურაბ წერეთელი, მალხაზ ანდრონიკაშვილი, სეხნია წულუკიძე, ქაიხოსრო გელოვანი...

ავტორი გვაცნობს სასულიერო წოდების წარმომადგენლებს, ყმა გლეხებს, ვაჭრებს, ხელოსნებს – მეუნაგირეებს, მეღვედეებს, მეტყავეებს, მესაკრავეებს, ათასნაირი გრეხილებისა და ბუზმენტების დამამზადებლებს... პროზაიკოსი დიდ ადგილს უთმობს პერსონაჟთა ჩაცმულობას, სასახლისა თუ ციხე-ტაძრების აღწერას. აი, როგორ წარმოგვიდგენს იგი იოანე მესხის სახლ-კარს: „სახლი თეთრი გაუკოპიტებელი ქვით იყო ნაშენი. დროთა განმავლობაში წვიმისა და მზის გამანადგურებელ მოქმედებას სალისათვის ვერაფერი დაეკლო, პირიქით, კირ-სილა,

რომლითაც ქვეები იყო შედუღებული, მთლიანად გაექვავებინა და სახლი ერთიან განუყოფელ ქვის მასად ექცია. ჩრდილო კედელს წინვი მოსდებოდა, რომელიც უფრო აძლიერებდა მნახველის გულში წარსულის სევდას. ოთახებში სინათლე ვიწრო ფანჯრებიდან ეშვებოდა, იატაკი ქვის იყო, თაღები – მაღალი და ეკლესიის ცასავით მრგვალად გამოყვანილი. კედლებში, სარკმლებისა და ფანჯრების გარდა, სათოფურები, სათვალთვალო ნახვრეტები და საიდუმლო გვირაბები იყო დატანებული...“

ავტორი დიდ ყურადღებას უთმობს იმდროინდელი საქართველოს კულტურული სურათის გაცოცხლებას. ბრძენკაცისა და რიტორის – იოანე მესხის ბინაში თვალს იტაცებენ ძველი ხელნაწერები, ეტრატები და გრაგნილები. მაგიდაზე აწყვია: 1812 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“, 1821 წელს დაბეჭდილი ასტრონომიული სახელმძღვანელო, გაბაასებანი და ქებანი...

გრიგოლ ხურციძის უცნობი რომანი, ისევე როგორც მთელი მისი შემოქმედება, უდავოდ, იმსახურებს მკვდრეთით აღდგენას, სამზეოზე გამოტანას. პირუთენელი მკითხველი მას უეჭველად მიუჩინს დამსახურებულ ადგილს ქართულ რომანისტიკაში.

სოფელი ბზვანი

ბზვანი, ტერიტორიულად დიდი და შედარებით მრავალრიცხოვანი სოფელია ვანის რაიონში (მუნიციპალიტეტში). იგი ცხრა კილომეტრით არის დაშორებული რაიონის ცენტრიდან. მისი ფართობი 1635 ჰექტარია. სოფელ ბზვანს აღმოსავლეთით ესაზღვრება ამაღლება და ინაშაური, დასავლეთით დიხაშხო და ისრითი, სამხრეთით რომანეთი, ხოლო ჩრდილოეთით წყალტუბოს რამდენიმე სოფელი.

ბზვანის ტერიტორია დაყოფილია მოზრდილ დასახლებებად: ზედა ბზვანი, ქვედა ბზვანი და ბაძგი, რომელიც თავისთავად კიდევ დაყოფილია უბნებად. სოფელი მოკლებულია მდინარეებს, სოფელ ძულუხის მხრიდან ესაზღვრება მდინარე „ძულუხურა“, რომელიც კვეთს ბზვანის ტერიტორიას მითითებული სოფლისგან და ჩაერთვის მდ. სულორს სოფელ დიხაშხოს – გაბუნების უბანში. თუმცა სოფელში უამრავი ღელე და წყაროა: „ნაურიეს ღელე“ – (სახელწოდება მომდინარეობს სიტყვა „ნაური - საგან“ ეს სიტყვა ქიზიყურ, აღმოსავლურ, ქართლურ-კახურ დიალექტებში ნიშნავს ორ მცირე ქედს შორის ჩალრმავებულ ადგილს, სადაც გადის წყალი, მართლაც და ამ ჰიდრონიმის სახელი კარგად ესადაგება აღნიშნული ღელეს სახელწოდებას), „ფოფრალე“ – (მისი სახელწოდება მიანიშნებს ე.წ. ღელის თვისებებზე, წვიმის სეზონზე იგი ხდება შედარებით წყალუხვი, აიფოფრება და ადიდდება), ასევეა წყაროებიც: **მჟავანაძეების წყარო, ღარის წყარო** (გოგოლაძეების უბანში) და **სამაჭრიის წყარო** (სურგულაძეების უბანში).

სოფელ ბზვანის რელიეფი მრავალფეროვანია, მისი ჩრდილოეთი ნაწილი რიონის ქალებს უკავია, რომელიც დაახლოებით ზღვის დონიდან 70-80 მეტრზე მდებარეობს. სოფლის სამხრეთ ნაწილი გორაკ-ბორცვიანია, ტერიტორიის ეს ნაწილი ძირითადად დასახლებულია. ზედა ბზვანი მდებარეობს ზღვის დონიდან 160 მეტრის სიმაღლეზე.

სოფლის დაბლობ ტერიტორიაზე ალუვიური ნიადაგებია გავრცელებული, ხოლო გორაკ-ბორცვებზე ყვითელმიწა, წითელმიწა და ნემომპალა კარბონატული ნიადაგებია.

ჰავა – ზღვის ნოტიო სუბტროპიკული ხასიათისაა. იცის ზომიერად თბილი და ხანგრძლივი ზამთარი, გრილი ზაფხული. სოფელი გამოირჩევა ატმოსფერული ნალექების სიუხვით, ატმოსფერული ნალექების სიუხვემ, ტერიტორიის დახრილობამ, ამგები ქანების წყალგამტარმა და წყალგაუმტარი ფენების მონაწილეობამ ხელსაყრელი პირობები შექმნა როგორც ზედაპირული წყლების, ასევე გრუნტის წყლების სიმდიდრისთვის. ტოპონიმი ბზვანი, როგორც ჩანს, წარმომდგარია სიტყვა ბზისაგან, ამ მცენარის გავრცელების არეალით ბზვანი საკმაოდ მდიდარია. სოფლის გარკვეული ნაწილი უჭირავს ტყეებს, კერძოდ როდინას ტერიტორიაზე (როდინა - ეს სიტყვა მომდინარეობს სიტყვა როდინი -საგან, რაც იმერულ დიალექტში ნიშნავს ქვიჯას) გავრცელებულია კოლხური ტიპის ხეები: მუხა, რცხილა, ნაბლი, მარადმწვანე მცენარეებიც.

ბზვანში 1985 წელს აღმოაჩინეს კარსტული მღვიმე, რომლის სიგრძეა 1,2 კილომეტრი, ძველი თქმულებების მიხედვით მღვიმე დაკავშირებული ყოფილა მესხეთში მდებარე თამარის ციხესთან. ტერიტორიას, სადაც კარსტული მღვიმე მდებარეობს შესაძლებელია ეწოდოს ბზვანის კარსტული მასივი, რადგან ამ სოფელში არის, როგორც კარსტული რელიეფის რამდენიმე საინტერესო ფორმა, აგრეთვე მინისქვეშა მდინარეები და ვერტიკალური ჩასასვლელით წარმოდგენილი საინტერესო მღვიმე. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ბზვანის ტერიტორიაზე არსებული მღვიმე და კარსტული რელიეფი თსუ-ს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორმა გიორგი დვალიშვილმა გეოგრაფიის დეპარტამენტის მაგისტრებთან ერთად შეისწავლა.

ეს ე.წ. „ნავარსკვლავევის“ მღვიმე სოფელ ბზვანის ჩრდილოეთით მდინარე ძულუხურას მარჯვენა მხარეს, ზღვის დონიდან 388 მეტრზე მდებარეობს. მღვიმის სიგრძე 450 მეტრია, თავდაპირველად იხსნება 4 მეტრიანი ჭის სახით, შემდეგ მღვიმეში ჩაღწევა შესაძლებელია 10 მეტრიანი ნაპრალის გავლით და მიემართება ჰორიზონტალურად ჩრდილო-აღმოსავლეთ-

თის მიმართულებით. მღვიმე გამოკვლეულია. კარსტულ მღვიმეს ადგილობრივი მოსახლეობა „ნავარსკვლავეცს“ ეძახის, ზოგი კი, „საქაჯეს“ უწოდებს. ამ ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსახლეობა, ადრე, სიცარიელეში ქვას აგდებდნენ, ხოლო კირქვაში გახსნილი ორმო ხმას გამოსცემდა და ამიტომ შეურქმევიათ „საქაჯია“, მეორე სახელწოდება „ნავარსკვლავეცი“ დაურქმევიათ იმის გამო, რომ გადმოცემის თანახმად, უხსოვარ დროში თითქოს ციდან ვარსკვლავი მოწყვეტილა, აქ ჩამოვარდნილა და მინა ჩაუტანიაო. საერთოდ ამ უბანს „როდინას“ ეძახიან. ადგილობრივების თქმით, ეს ადგილი როდინივით არის ჩაღრმავებული და ეს სახელიც ამიტომ დაერქვა. სტალაქტიტებით, სტალაგმიტებით, ეგზოტიკური, ნაღვენთი ფორმებით ეს მღვიმე მართლაც გამორჩეულია. კვლევის შედეგად დადგინდა მღვიმის გამოსასვლელი, მინსქევმა წყლის ნაკადის სახით აქ შესაძლებელია ექსტრემალური ტურიზმის განვითარებაც.

ზედა ბზვანში აღმოჩენილია გვიან ბრინჯაოს ხანის ექსპონატებიც. სოფელში დგას ფეოდალური ხანის ორი ციხესიმაგრე და XIX საუკუნის ეკლესია. ზედა ბზვანი ქართულ წყაროებში პირველად ნახსენებია XVIII საუკუნეში.

სოფელში ფუნქციონირებს წმინდა გიორგის და „სიმონწმინდის“ სახელობის ეკლესიები. წმინდა გიორგის ეკლესიის აშენების ზუსტი თარიღი უცნობია. პირველი მღვდელი იყო გიორგი ტყეშელაშვილი, დიაკვანი კირილე ტყეშელაშვილი, მღვდელი ქრისტეფორე ნაცვლიშვილი და სხვები. ტაძარი რეაბილიტირებულია 1852 წელს და დღესაც ფუნქციონირებს. სოფელში „თამარ მეფის ციხედ“ წოდებული ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებიცაა. უშუალოდ ბზვანი, როგორც სოფელი, მოხსენიებულია მე-14-15 საუკუნეებში (ისტ. ოლღა სოსელიას საქართველოს ფეოდალური სამთავროები). იგი მიუთითებს, რომ სოფელი ბზვანის ეკლესია აგებული იქნა მე-15-16 საუკუნეში არსებული ეკლესიის ნაფუძვარზე. სოფელ ბზვანის ნაწილი იმავი ისტორიკოსის ცნობით ჭინჭველოურამდე შედიოდა ჩიჯავაძეთა ფეოდალურ სათავადოში. აქ გარკვეულ ტერიტორიებს ფლობდნენ ჩხეიძენი, ერისთავები და ზოგიერთი სხვა ე.წ. პრივილეგირებულ გვართა წარმომადგენლები. 1865 წელს ქუთაისის გუბერნიაში განხორციელებული საგლეხო რეფორმის შემდეგ ბზვანელი მოსახლეობა მიწისმფლობელობის თვალსაზრისით დარჩა არსებულ არამომგებიან მდგომარეობაში და მიუხედავად ზოგიერთი შეღავათებისა მიბმული აღმოჩნდა ყოფილ მფლობელთა მიწის ნაკვეთებზე, შესაბამისი გადასახადებითა და შრომის არასახარბიელო პირობებით. რაც შეეხება სოფლის მცხოვრებთა ადგილმონაცვლეობის პროცესებს, როგორც წესი, აქაც ადგილი ჰქონდა შიდა მიგრაციებს, მიზეზი ხშირად იყო სტიქიური მოვლენები, მაგალითად მენყერი, ღვარცოფი, უგზოობა და ასე შემდეგ. ხოლო, ბოლო ორათწლეულში, ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, გახშირდა მოსახლეობის განსაკუთრებულად, ახალგაზრდების გადინება სოფლიდან, ძირითადად თურქეთსა და რიგ ევროპულ ქვეყნებში.

სოფლის მცხოვრებთა ტრადიციული საქმიანობა ძირითადად დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის დარგებთან ძველთაგან ნამყვანი იყო – მევენახეობა, მეცხოველეობა, მეხილეობა. სოფელში მოჰყავდათ ღომის, ბრინჯისა და მოგვიანებით ბამბის კულტურაც.

ბზვანში ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ რამდენიმე გვარის წარმომადგენლები, ესენი არიან: ტყეშელაშვილები, ხელაძეები, მჟავანაძეები, საკანდელიძეები, გოგორიშვილები, ხარაბაძეები და სხვები, თუმცა ყველა გვარს რაოდენობრივად სჭარბობს ტყეშელაშვილები. ეს გვარი აფხაზეთიდან იღებს სათავეს. სოფელ ნებედალას უცხოვრიათ მრავალი საუკუნის წინ ტყეშელაშვილთა წინაპართ „კოზოლას“ გვარსახელით. მათ სამოსახლო რეგიონს: „ტყაშ“ რქმევია, რაც მეგრულ-აფხაზურად ტყიანს ნიშნავს. დროთა განმავლობაში აფხაზეთიდან ოდიშს, ხოლო შემდეგ კი, ოდიშიდან იმერეთში გადმოსახლებულან ტყეშელაშვილთა წინაპარნი, როგორც ჩანს, ეს მომხდარა XV-XVI საუკუნეებში. აღსანიშნავია, რომ კოზოლაძეთა ერთ ნაწილს გვარსახელად „ხატისკაცი“ აურჩევია (რაც მიუთითებდა გვარის საღვთო მსახურებას) ღვანლმოსილი ქართველი ეთნოგრაფი გ. ბოჭორიძე გადმოგვცემს, რომ ბზვანის წმინდა გიორგის ეკლესიაში ძველთაგან ყოფილა დაცული ვერცხლზე ნაჭედი წმინდა გიორგის ხატი, რომელიც მოტანილი ყოფილა კოზოლა კოზოლაძეების მიერ, რომელიც უკვე ტყეშელაშვილებად იწოდებიან. საქა-

რთველოში ტყეშელაშვილთა გვარის წარმომადგენელთა საერთო რაოდენობა 3900 ოდნავ აღემატება.

სოფელი ბზვანი დაყოფილია ცალკეული გვარების კომპაქტური დასახლების მიხედვით- მაგალითად: ხარაბაძეების უბანი, ბონკოს უბანი, ლომიძეების უბანი, ჩოყმალა, ბელთაძეების, ბაძგის უბანი სახელწოდება მომდინარეობს მცენარე ბაძგისგან (ბაძგი – სულხან-საბას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1-2 მეტრი სიმაღლის ბუჩქოვანი მცენარე, რაც დიდი რაოდენობით ყოფილა ამ ტერიტორიაზე და ამიტომაც შეურქმევიათ ეს სახელი. ენერი (უბანი ბზვანში) – სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით ნიშნავს მწირ ადგილს.

როგორც აღინიშნა, სოფლის უბნები ძირითადად დასახლებულია გვარების მიხედვით. მოსახლეობის იოლად მიგნების მიზნით გვარებს აქვთ საგნებელი (მეტსახელები): „ტყლაპები“, „კამეჩურები“, „ბარბაძეები“, „კოიტები“, „კიტრიები“, „დრამიები“, „ლრაკუნები“ და სხვა.

ბზვანი XIX საუკუნის II ნახევრიდან 1909 წლამდე შედიოდა ქუთაისის მაზრის გორას თემ-საზოგადოებაში. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დაცულ მასალებში არაერთგან მითითებული თარიღის შემდეგაც სოფლები ამაღლება, ბზვანი და ინაშაური მოხსენიებულია როგორც „გორას თემის საზოგადოება“ (ო. კაპანაძე, „ვანი-ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“), რომელიც თავისთავად მიანიშნებს, რომ ეს სოფლები გორას საზოგადოებაში შემავალი სოფლებია. ეს ტერმინი გამოყენებულია როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენაზე შედგენილ საბუთებში. ამ ტერმინის ხმარება განსაკუთრებულად 1909 წლის შემდეგ უნდა იყოს ადრე ჩამოყალიბებული ინერციის შედეგი, რადგან აქამდე არც თუ დიდი ხნით ადრე ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის მოსახლეობას დაუსვამს საკითხი კავკასიის უმაღლესი ხელისუფლების წინაშე გორას სოფლის საზოგადოებიდან სოფლების – ამაღლების, ბზვანისა და ინაშაურის გამოყოფისა და სამივე სოფლის ბაზაზე ახალი სოფლის საზოგადოების დაფუძნების შესახებ. მიმართვას ხელს აწერს სოფლის საზოგადოების ყრილობაზე ხმის უფლების მქონე 356 კომლის უფროსი, ამავე დროს კავკასიის მეფის ნაცვალის გაგებით მოკიდებია ამ საკითხს და მითითებული სოფლების გამოყოფა დამოუკიდებელ სოფლის საზოგადოებად ჩაუთვლია უკიდურეს აუცილებლობად. ამგვარად, ეს სოფლები გამოეყო გორას საზოგადოებას და მმართველობის ცენტრად არჩეული იქნა სოფელი ამაღლება.

საქართველოში 1921 წლიდან ეკონომიკური და სოციალური ფორმაციის ცვლასთან ერთად დაიწყო კოლექტივიზაციის პროცესი, ჯერ კიდევ 1932 წლისათვის სოფელში ფუნქციონირებდა ქვედა ბზვანისა და ზედა ბზვანის კოლმეურნეობები, რომელშიდაც გაერთიანდა სოფლის ღარიბი მოსახლეობის უმრავლესობა.

აღნიშნული კოლმეურნეობები აწარმოებდნენ სოფლის მეურნეობების თითქმის ყველა დასახელების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. მასიური ფართობები ეჭირა ვენახს, შემდეგი პერიოდისთვის განსაკუთრებული შემოსავლის წყარო კოლმეურნეობისათვის მისი ღირებულებისა და მოთხოვნიდან გამომდინარე გახდა დაფნის კულტურაც, რომელიც საკმაოდ იყო გავრცელებული ზედა ბზვანის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე. შემდეგში განხორციელებულ საკოლმეურნეო რეფორმებს, რომელიც სხვადასხვა დროს ჩატარდა, სიტუაციიდან გამომდინარე მოჰყვა ბზვანში არსებული კოლმეურნეობების გამსხვილება და შეიქმნა სოფელ ბზვანის ერთიანი კოლმეურნეობა, რომელსაც შემდეგ პერიოდში კიკვიძის სახელი მიანიჭეს და ფუნქციონირებდა ბზვანის კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის სახელით.

საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში სოფლის კოლმეურნეობა ერთ-ერთი ძლიერი ეკონომიკური დანაყოფი იყო რაიონული მასშტაბით, როგორც მივუთითეთ. მევენახეობასთან, მემინდვრეობასთან, მეხილეობასთან ერთად სოფლის მოსახლეობა აწარმოებდა ტექნიკურ დაფნის კულტურას, რომელსაც დღეს დაემატა მეთხილეობაც.

XX საუკუნის 80-იან წლებიდან ეს კოლმეურნეობა ურთიერთობდა რუსეთის ფედერაციის ვოლგოგრადის (სტალინგრადის) ოლქის კიკვიძის სახელობის რაიონთან. კოლმეურნეობას ათწლეულების მანძილზე მართავდა ღვანლმოსილი თავმჯდომარე შოთა ვალერიანეს ძე ხონელიძე, რომლის ხელმძღვანელობის დროს კოლმეურნეობამ არაერთმნიშვნელოვან

წარმატებას მიაღწია კოლმეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის, არაერთხელ აღინიშნა სახელმწიფო ჯილდოებით. სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველზე მკვეთრად გაუმჯობესდა პროდუქციის წარმოების მოცულობა, რომელიც იმ პერიოდისთვის ციფრებში ასე გამოიყურებოდა:

1. მევენახეობა. ყურძნის წარმოება – 600 ტ.
2. ბოსტნეულის წარმოება – 1500-2000 ტ.
3. მარცვლეულის წარმოება – 90-100 ტ.
4. მეცხოველეობის პროდუქტები – 150-160 ტ.
5. დაფნის ფოთლის წარმოება – 25-30 ტ.
6. აბრეშუმის პარკის წარმოება 10-12 ტ.

წლების განმავლობაში კოლმეურნეობას მართავდნენ საკმაოდ გამოცდილი და ღვაწლმოსილი პიროვნებები: კარლო ივანეს ძე ტყემელაშვილი, ლევან ივანეს ძე სურგულაძე, ბადრი ბენიამინის ძე ფირანაშვილი, რომლებიც ასევე წარმატებით აგრძელებდნენ მათი წინამორბედების მიღწევებს და ბზვანის კოლმეურნეობა ყოველთვის იყო რაიონის ერთ-ერთი მონინავე აგრარული ორგანიზაცია. 90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებიდან გამომდინარე სოფელ ბზვანში დაიწყო სასოფლო სამეურნეო მიწების პრივატიზაციის პროცესი, რის შედეგადაც სასოფლო-სამეურნეო მიწების დიდი ნაწილი გადავიდა კერძო საკუთრებაში, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი მიწებისა და ყოფილი კოლმეურნეობის წარჩენების ბაზაზე შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი „ბზვანი“, რომელსაც ხელმძღვანელობდა გია ხარაბაძე. კოოპერატივი სახელმწიფოსგან გრძელვადიანი იჯარის წესით ფლობდა 595 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს და აწარმოებდა შემდეგ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას, მარცვლეულს 100-150 ტონას, ყურძენს 90-100 ტონას, მეცხოველეობის პროდუქტებს 5-6 ტონას და ძველი ტრადიციებიდან გამომდინარე ითვლებოდა რაიონის მონინავე აგრარულ დანაყოფად.

1939 წლის პირველი სექტემბრიდან ევროპა იქცა მეორე მსოფლიო ომის პოლიგონად. 1941 წლის ივნისიდან კი, საომარი მოქმედება შეეხო საბჭოთა კავშირის ტერიტორიასაც, რომლის შემადგენლობაში როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, შედიოდა საქართველოც. საომარი განვევა შეეხო სოფელ ბზვანის მოსახლეობასაც, საუბედუროდ ბევრი უკან არ დაბრუნებულა, ისტორიამ და სოფელმა მათი სახელები უკვდავყო. ამის დადასტურებაა სოფელში განთავსებული მემორიალი. ბზვანიდან ომში მონაწილეობდა გენერალი ვალერიან ძაბახიძე, კაპიტანი აპოლონ ტყემელაშვილი, ანდრო ტყემელაშვილი, სერჟანტი ბენიამინი კაპატაძე და სხვა.

გენერალი ვალერიან სერგის ძეძაბახიძე დაიბადა 1903 წლის 10 მაისს ღარიბი გლეხის ოჯახში სოფელ ბზვანში, მამა 1917 წელს გარდაეცვალა და ამიტომ ვერ დაამთავრა თბილისის კულტურულ-ტექნიკური სასწავლებელი, დაბრუნდა სოფელში და ხელი მოჰკიდა მეურნეობას. 1921 წელს შევიდა კომკავშირში, მალე იგი კომკავშირის პირველადი უჯრედის მდივნად აირჩიეს.

1922 წელს წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს. ამ დროიდან თავისი ბედი სამუდამოდ დაუკავშირა არმიას. 1925 წელს ამთავრებს ქართულ სამხედრო გაერთიანებულ სკოლას და მუშაობას იწყებს ოცმეთაურად.

1928 წელს სამხედრო-პოლიტიკური კურსების დამთავრების შემდეგ ინიშნება ასეულის მეთაურად და პოლიტხელად. 1931-32 წლებში სწავლობდა ქალაქ ლენინგრადის ჯავშანსატანკო ჯარების მეთაურთა მოსამზადებელ კურსებზე.

1936 წელს წარჩინებით ამთავრებს მ.ვ. ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიას, იღებს პირველი ხარისხის დიპლომს და გაენია რეკომენდაცია მექანიზებული ბრიგადის შტაბის ოპერატიული ნაწილის უფროსის თანამდებობაზე, მაგრამ იგი იგზავნება არა მექანიზებულ ბრიგადაში, არამედ 63-ე ქართულ მსროლელ დივიზიაში 203-ე სატანკო ათასეულის მეთაურად. ამ თანამდებობიდან იგი 1937 წლის აგვისტოს დაინიშნა 63-ე დივიზიის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად.

1938-1941 წლებში ვალერიან ძაბახიძე იყო საქართველოს სსრ სამხედრო კომისარი, ხოლო

1941 წლის აგვისტოში 394-ე მსროლელი დივიზიის მეთაურად დაინიშნა, შემდეგ მე-9 სამ-თო- მსროლელ დივიზიას ხელმძღვანელობდა. 1942 წლის თებერვლიდან 17 მაისამდე, 224-ე ქართულ დივიზიის მეთაურია და იბრძოდა ქერჩის ნახევარკუნძულზე, სადაც იგი დაიჭრა. გამოჯანმრთელების შემდეგ იყო მე-3 მსროლელი კორპუსის შტაბის უფროსი, 406-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეთაური. ეს დივიზია იცავდა ჩვენი ქვეყნის სამხრეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან უბანს. შემდეგში ვალერიან დაბახიძე ენერგიულად ჩაუდგა სათავეში 414-ე ქართულ მსროლელ დივიზიას. ამ დროს იგი მეტად ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი, აკადემიურად მომზადებული მეთაური იყო. ომის დამთავრების შემდეგ მსახურობდა ვოლგისპირეთის, დონისა და შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქებში მაღალ სამეთაურო პოსტებზე. იყო საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. 1956 წლიდან გავიდა თადარიგში.

ვალერიან დაბახიძე გარდაიცვალა 1986 წელს. დასაფლავებულია მშობლიური რაიონის სოფელ ბზვანში სამხედრო და სამოქალაქო პატივით. (ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ N3).

როგორც წესი, სოფლის თუ ქალაქის ეკონომიკურ-მორალურ-პოლიტიკურ სიმტკიცეს სახალხო განათლების მაღალი დონე განსაზღვრავს. ფასდაუდებელი იყო და არის განათლების მუშაკთა ღვაწლი ჩვენს სოფელში. წლების მანძილზე ბზვანის სკოლებში შესანიშნავი პედაგოგები მოღვაწეობდნენ, საწყის ეტაპზე გიორგი მღვდლის თაოსნობით და მონდომებით მოქმედ ეკლესიასთან შეიქმნა ორწლიანი სამრევლო სასწავლებელი, რომელსაც თვითონ გიორგი მღვდელი ხელმძღვანელობდა. ერთი დაწყებითი სკოლა კი, დაუარსებიათ ზედა ბზვანში, რომლის ხელმძღვანელი ვალერიან მიხეილის ძე ხონელიძე ყოფილა.

ამჟამად მოქმედებაშია სამი სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი, ბაძგის დაწყებითი, რომელიც შერწყმულია ბზვანის საჯარო სკოლასთან, ზედა ბზვანის ცხრანლიანი და ქვედა ბზვანის საჯარო სკოლა.

დღევანდელი მდგომარეობით სოფელ ბზვანში სხვადასხვა მიზეზთა გამო ყოვეწლიურად მცირდება მაცხოვრებელთა სულადობა, შესაბამისად შემცირდა მოსწავლეთა რაოდენობაც.

დინამიკა ასეთია:

2008-2009 სასწავლო წლები – 130 მოსწავლე.

2009-2010 წლები – 120 მოსწავლე.

2010-2011 წლები – 107 მოსწავლე.

2012-2013 წლები – 97 მოსწავლე.

2013-2014 წლები – 80 მოსწავლე.

2014-2015 წლები – 87 მოსწავლე.

ბზვანში აღიზარდა არაერთი წარმატებული და ცნობილი მამულიშვილი:

გიორგი ჩხეიძე – პროფესორი

გივი ლომიძე – პროფესორი

გოდერძი ტყემელაშვილი – პროფესორი, ეკენომიკისა და მენეჯმენტის წამყვანი სპეციალისტი

პლატონ გოგორიშვილი – პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი

თეიმურაზ სურგულაძე – პროფესორი, ქალაქ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტიურის განყოფილების უფროსი, რომელზედაც შეიძლება ითქვას შემდეგი, იგი ერთ-ერთია იმ ქართველ მეცნიერთა მცირე ჯგუფში, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ასპირანტურა და იქვე დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები.

ბონდო კანდელაკი – პროფესორი, ექიმი, მეცნიერებათა დოქტორი.

ბესო ტყემელაშვილი – პროფესორი, ექიმი.

ლადო ბზვანელი (ნაცვლიშვილი) – წარსულში გამოჩენილი პედაგოგი და პუბლიცისტი.

კარლო საკანდელიძე – საქართველოს სახალხო არტისტი, თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი.

საშა (ალექსანდრე) საკანდელიძე – ცნობილი უროლოგი.

მელორ ტყეშელაშვილი – ქ. თბილისის მერის მოადგილე, შემდეგში მაჟორიტარი დეპუტატი ვანიდან.

მერაბ ტყეშელაშვილი – ბიზნესმენი, ქ. რუსთავის ყოფილი მერი.

ვლადიმერ ტყეშელაშვილი – სამართლის მცოდნე, ყოფილი პროკურორი.

დოდია ტყეშელაშვილი – რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წამყვანი სპეციალისტი, ენერგეტიკოსი.

ვლასი გიორგის ძე ტყეშელაშვილი – ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

გურამ ბზვანელი (ტყეშელაშვილი) – კომპოზიტორი.

ზაზა ტყეშელაშვილი – მსოფლიო ჩემპიონი (ბრძოლა წესების გარეშე)

ვერა ტყეშელაშვილი – დამსახურებული მასწავლებელი, ათეული წლების მანძილზე სკოლის დირექტორი.

ივანე ნოსელიძე – სკოლის დირექტორი.

ალექსანდრე სურგულაძე – დამსახურებული მასწავლებელი.

სოციალისტურ ეპოქაში სოფელ ბზვანში აქტიურად ფუნქციონირებდნენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ბიბლიოთეკა და კლუბი. 2000 წლიდან მათი ფუნქციონირება შეწყდა. სოფელში მოქმედებამა სამედიცინო მომსახურების პუნქტი.

სოფელ ბზვანის მოსახლეობა ეროვნულობის თვალსაზრისით ძირითადად ქართულია, 1990 წლამდე სოფლის მოსახლეობა 1000-ზე მეტ კომლს შეადგენდა, დღევანდელი მონაცემებით 840 კომლია. სამწუხაროდ სოფელი განიცდის დემოგრაფიულ დაბერებას, შობადობა მინიმალურია, რაზედაც მიგვანიშნებს სკოლის კონტინგენტიც, მიგრაციამ უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მცხოვრებთა რაოდენობაზე. სოფელი უზრუნველყოფილია საკომუნიკაციო საშუალებებით, ძირითადად მონესრიგებულია გზა (ასფალტირებულია) გამართულია საუბნო გზებიც, ელექტრო და გაზიფიცირებულია მოსახლეობის დიდი ნაწილიც.

სოფლის შრომისუნარიანი მოსახლეობა ეწევა პირად საკუთრებაში არსებული სავარგულების დამუშავებას, ოჯახის რჩენის ძირითადი წყაროა აგრარული სფეროდან არსებული შემოსავალი. როგორც ითქვა მოსახლეობის უმრავლესობა ხანდაზმულია, პენსიონერთა რაოდენობა 484-ია, სიკვდილიანობა ქარბობს შობადობას. მიტოვებული ოჯახების რაოდენობა კი, დღითიდღე იზრდება, არის ნასახლარებიც. სოციალურად დაუცველთა რიცხვიც ბოლო წლების განმავლობაში საგრძნობლად მომატებულია. არის ოჯახები, რომლებსაც ცხოვრება უმძიმეს პირობებში უწევთ, ცხადია სოციალური ფონი სოფელში დღეისათვის არც თუ ისე სახარბიელოა.

1. სოციალურად დაუცველია და იღებს სახელმწიფო დახმარებას 48 ოჯახი.

2. ინდივიდუალურ ოჯახთა შემოსავლები დაუდგენელია, მაგრამ თუ არსებული სოციალური ფონითა და მდგომარეობით ვიმსჯელებთ, საარსებო პირობებიდან გამომდინარე იგი საშუალო დონეს არ სცილდება, ზოგჯერ უფრო დაბალიცაა, რაც ძირითადად განსაზღვრავს სოფლიდან მოსახლეობის, ძირითადად ახალგაზრდობის უწყვეტ გადინებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ოლა სოსელია – „საქართველოს ფეოდალური სამთავროები“
2. ომარ კაპანაძე – „ვანი. ფურცლები საუკუნის წინანდელი ისტორიიდან“
3. ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის კვლევის ცენტრის კრებული „მატიანე“ №3

კონსულტანტები: ზაირა კობალაძე, ვია ხარაბაძე

სოფელი შუამთა

საქართველო ორ შუამთას იცნობს. ერთს კახეთში – თელავის სიახლოვეს, თავისი მონასტრით განთქმულს. მეორეს კი, იმერეთში, რიონის პირას, მთის ძირას გაშენებულს, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტის ცენტრიდან, 7 კილომეტრითაა დაშორებული. ამჯერად, სწორედ იმერეთის შუამთაზე გვინდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება, რომელშიც მაქსიმალურად ვეცადეთ დოკუმენტებზე, სანდო, კომპეტენტური პირების მიერ მონათხრობისა და ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე გაგაცნოთ ორპირის ფშანიდან მთებამდე გაშლილი ლამაზი სოფლის ისტორია.

სოფელი შუამთა მდინარე ყუმურის (მდ. რიონის მარცხენა შენაკადი) ნაპირებზეა გაშენებული. სოფლის ტერიტორია მოიცავს 965 ჰექტარს, კერძო მფლობელობაშია 697, სახელმწიფო ფლობს 268 ჰექტარს, ტერიტორიის ეს ნაწილი განეკუთვნება „სავარგულ“ ფართობებს, სოფლის საკუთრებაშია 308 ჰექტარი საძოვარი. სოფელი მდიდარია გეიზერებით (გრუნტის თბილი წყლებით) რომელიც მაქსიმალურად იქნა ათვისებული 1980-იან წლებში, საადრეო ბოსტნეულის მოსაყვანად იგი უზრუნველყოფდა ზამთრის პერიოდში სოფლისათვის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და ლიმონარიუმის სპეციალურად გაშენებულ ნარგაობასაც. დღეისათვის ეს ბუნებრივი სიმდიდრე ძირითადად მივიწყებულია და მასიური გამოყენება სხვადასხვა მიზეზთა გამო მას არ გააჩნია. შუამთა ირგვლივ იმ სოფლებითაა გარშემორტყმული, რომელიც ვანის მუნიციპალიტეტს ეკუთვნის: სამხრეთით მუქედი და ტობანიერია, აღმოსავლეთით ციხესულორი, დასავლეთით კი მთისძირი და ჭყვიში.

შუამთა ზღვის დონიდან 70 მეტრზე მდებარეობს. ჰავა ნაწილობრივ მშრალია, სუბტროპიკული, უმეტესად კი, ნესტიანი. ადრე შუამთა ხალხმრავალ, ტერიტორიულად დიდ და შედარებით სიუხვით განთქმულ დასახლებას წარმოადგენდა

მოსახლეობის მთლიანი შემადგენლობა ქართველებია. რაოდენობა 1990 წლამდე 5000 სულს შეადგენდა. ხოლო ამჟამად, 2015 წლამდე და შემდეგაც მნიშვნელოვნად კლებადია, რაც გამოწვეულია მიგრაციით. მიგრაცია კი უმუშევრობითაა გამოწვეული. ადგილობრივები იძულებულნი არიან დატოვონ სოფელი – ან ქალაქს მიაშურონ, ან საზღვარგარეთის ქვეყნებს. ეს რომ არ მოხდეს, საჭიროა სოფლის ეკონომიკური მდგომარეობის გაძლიერება – სამუშაო ადგილების შექმნა და მოსახლეობის დამაგრება ადგილზე. თავის დროზე ეს რომ არ მომხდარიყო სოფელში ფუნქციონირებდა სქემური კაბელების საქსოვი სანარმო, რომელშიდაც ფილიალებით დასაქმებული იყო 360 კაცი. ძირითადი მასა ადგილობრივი სოფლის მკვიდრი იყო მნიშვნელოვანი ანაზღაურებით. დღეს იგი აღარ ფუნქციონირებს. ადრე სოფელი როგორც აღინიშნა, ხალხმრავალ ტერიტორიას, დიდ და შედარებით სიუხვით განთქმულ დასახლებას წარმოადგენდა. ამჟამად მოსახლეობა 1650 კაცს აღწევს. ეს განპირობდა იმითაც, რომ ადრე (2000 წლამდე) შუამთის შემადგენლობაში შედიოდა სოფელი მთისძირიც. მოსახლეობიდან 180 სკოლის მოსწავლეა, ხოლო 50 საბავშვო ბაღის აღსაზრდელი. სამწუხარო სტატისტიკური მონაცემებით, 2007 წლიდან თუ მოსწავლეთა რაოდენობა 245 აღწევდა, ამჟამად, ეს რაოდენობა 168-მდეა შემცირებული.

სოფელში მიედინება ორი მდინარე – ყუმური და ნასერელა. აქედან, ყუმური სათავეს იღებს მესხეთ-ჯავახეთის ქედის ჩრდილოეთის ფერდობიდან, საზრდოობს ატმოსფერული ნალექებითა და გრუნტის წყლებით, წყალუხვია ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე. საერთოდ შეიმჩნევა ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამდინარე მდინარეთა წყალნაკლებობა, რაც როგორც ჩანს კლიმატური პირობების ცვლასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მდინარე ყუმური სარწყავადაც გამოიყენება. ნასერელა კი მხოლოდ წვიმიანობის დროს დიდდება.

სოფელი შუამთა შემდეგი უბნებისაგან შედგება: გაღმა შუამთა, გამოღმა შუამთა, ენრის უბანი, ხახულის უბანი და ქარსაფრის უბანი. მისი რელიეფი ძირითადად ვაკისა და დაბლობისაგან შედგება, ნაწილობრივ კი ბორცვიანია, სოფელს მასიური ტყეები არა აქვს.

შუამთის ტერიტორიაზე ძველ ციხესიმაგრეთა ნაშთებიცაა აღმოჩენილი. კერძოდ, ნაციხ-

ვარას გორა, რომელიც მიეკუთვნება ძვ.წ. IV-III საუკუნეებს. შემორჩენილია საფორტიფიკაციო ნაგებობათა ნაშთები, რომელიც ამჟამად მიტოვებულია და მიმდებარე ტერიტორიას ახლოს მცხოვრები მოსახლეობა უვლის.

სოფელ შუამთის სახელწოდების წარმოშობაზე, ასეთი თქმულება არსებობს: რომელიღაც მეზობლიდან გამოქცეული ყმები, თითქოს სოფელ ტობანიერის მეზობლად შარაშენიძესთან მისულან და უთხოვიათ გვიყმე და გვიპატრონეო. შარაშენიძეს ყმები შეუფარებია და მუდარა შეუნყნარებია. როდესაც ყმებს უკითხავთ სად ინებებთ ჩვენს დასახლებასო, მეზობლად გადაუხედავს თავისი სამფლობელოსათვის და უთქვამს, **აი, იქ შუამთას** რომ ხედავთ, იქ დასახლდითო. აი, ასე დასახლდა მოსახლეობა ამ ტერიტორიაზე-ასეთია თქმულება. სინამდვილეში შუამთა დასახლებულია ჯერ კიდევ ადრეული პერიოდიდან, იგი ვანის ანტიკური ქალაქის არეალში შედიოდა, რასაც ადასტურებს ადრე შუამთაში შემავალი ზოგიერთი სოფლების, უპირატესად სოფელ მთისძირის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სიძველენი.

შუამთის ჩრდილო დასავლეთით 1,5 კმ მანძილზე არის მოზრდილი ფერდობი, რომელსაც შუამთელები „ვაშლარას“ ეძახიან. ამ სახელწოდების შესახებ არსებობს ასეთი გადმოცემა: ოკრიბის საეკლესიო გლეხებს მიწა არ ჰყოფნიდათ. გელათის მიტროპოლიტმა ექვთიმე გურიელმა იმერეთის მეფეს სოლომონ მეორეს მიმართა თხოვნით, გელათის მონასტრისათვის შეენირა მიწები. მეფემ ყურადილო ეს თხოვნა და გელათის მონასტერს შესწირა ორი დიდი ნაკვეთი – ერთი სამოსახლოდ, მეორე კი, სახნავ-სათესად.

გელათელ მიტროპოლიტს პირველ ნაკვეთში გადმოუსახლებია საეკლესიო გლეხები — ალფაიდები, სულაქველიძეები, ნიშნიანიძეები, გვენეტაძეები. ხონიდან კი, მაჭარაძეები. სულ 35 კომლი. ვაშლარას ტერიტორიაზე ღვთისმშობლის ეკლესია აუგია მიტროპოლიტს და მღვდლად ქვიტირელი დომენტი ყუბანეიშვილი უკურთხებია – დღევანდელ შუამთაში მცხოვრები ყუბანეიშვილების წინაპარი.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან სხვადასხვა გარემოებების გამო დაწყებული აქაური ოჯახების მიგრაცია. ხალხი სხვადასხვა მხარეს მიმოფანტულა. მხოლოდ მღვდელი დომენტი ყუბანეიშვილი დარჩენილა თავის მეუღლესთან ერთად. ბოლოს ისიც იძულებული გამხდარა დაეტოვებინა საცხოვრებელი სახლი ციმბირში გადასახლების გამო, სადაც დომენტი გარდაიცვალა, ხოლო ქვრივი ფოფოღია თავის გაციებულ კერაზე დაბრუნებულა. ღვთის მორწმუნე ქალს ერთ ღამეს ლოცვის შემდეგ სანთლები ანთებული დარჩენია. სახლს ცეცხლი ნაჰკიდებია და ქვრივი შიგ დამწვარა. ამის შემდეგ ეს ადგილი გაპარტახებულა. 1984 წელს კი, შუამთის №118 სასოფლო პროფსასწავლებელმა ჩამოაყალიბა მინი-მეურნეობა, ამ ადგილზე მწვანე ნარგავები გააშენეს და ეს ადგილი გააცოცხლეს. ამჟამად კი, ამ ტერიტორიაზე მენყერული მოვლენებით დაზარალებული აჭარელი მოსახლეობაა დასახლებული.

სოფელი შუამთა, როგორც ითქვა, ორ მცირე მთას შორის განლაგებული სოფელია. სწორედ ამ მთებს შორის არის სოფლის ცენტრი, რომელსაც შუაზე ჰყოფს მდინარე ყუმური. სოფელი შუამთა XVIII საუკუნის პირველ ნახევრამდე შედიოდა „საჩინოს“ ფეოდალის ჩიჯავაძის სამფლობელოში. მას შემდეგ რაც ჩიჯავაძის სათავადო პრაქტიკულად ემსხვერპლა იმერეთის მეფის ალექსანდრე V მიერ გატარებულ ღონისძიებებს, ეს ტერიტორია ჩამოაშორეს ზემომითითებულ სათავადოს. 1865 წლიდან, რაც ქუთაისის გუბერნიაში რუსეთის იმპერიის ხელმძღვანელობამ განახორციელა რეფორმა, რომელსაც მოჰყვა ბატონყმობის გაუქმება და ახალი სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების ჩამოყალიბება. შუამთა (ყველა მისი დასახლებებით, ციციხეებით, ჭყვიშით და ა.შ.) შედიოდა ტობანიერის თემსაზოგადოებაში. ხოლო 1921 წლიდან იგი ცალკე ერთეულად მოიხსენიება. საქართველოში, გასაბჭოების შემდეგ, სოფელში მმართველ ორგანოს წარმოადგენდა სასოფლო საბჭო 1921 წლიდან 1991 წლამდე. საბჭოს ხელმძღვანელობდნენ – ვალერიანე მაჭარაძე, ფილიპე ჯოგლიძე, თეოდოტი ეფრემიძე, ილია მამფორია, ვილგემ სულაბერიძე, მამია ოჩხიკიძე, სულიკო ნაფეტვარიძე, ალექო გოგაძე, მურად შარაშენიძე, ენძელა მამფორია, ლამარა მამფორია, გიგლა დიასამიძე, ჯუმბერ კიკაბიძე და ანზორ ნაფეტვარიძე.

1990-იანი წლებიდან ფუნქციონირებდა საკრებულო. საკრებულოს პირველი თავმჯდომარე

იყო ლალი სულაბერიძე, შემდეგ ლიანა მამფორია და ალექსანდრე გვენეტაძე.

იმის გამო, რომ ქუთაისის მაზრის ვანის თემებს საქართველოში განზრახული 1924 წლის აჯანყებისათვის დაკისრებული ჰქონდათ მნიშვნელოვანი როლის შესრულება და ამ გამოსვლებს აქ ხელმძღვანელობდა ყუმურელი ამბერკი ადვიშვილი, შუამთა, როგორც ტობანიერის თემსაზოგადოების შემადგენელი ნაწილი (ისე როგორც ყუმური) მოექცა აგვისტოში დაწყებული გამოსვლების ეპიცენტრში და ამ გამოსვლების ერთ-ერთი ხელმძღვანელიც პოლიკარპე ნაფეტვარიძე სოფელ შუამთის მკვიდრი იყო. ამ სოფლის მოსახლეობამ სამდღიანი გამოსვლების დაძაბულობაც განიცადა

1930-იანი წლების მიჯნა ემთხვევა საქართველოში კოლექტივიზაციის ჩამოყალიბების პერიოდს. სოფელ შუამთაში ორი კოლმეურნეობა შეიქმნა: გაღმა შუამთაში – კოლმეურნეობა „გლეხის გზა“ და გამოღმა შუამთაში – კოლმეურნეობა „გზა სოციალიზმის“.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეები 1928 წლიდან 1950 წლამდე იყვნენ: პარმენ ნაფეტვარიძე, დავით კვერცხაძე, პოლიკარპე ნაფეტვარიძე, ელენე ნაფეტვარიძე. 1950 წელს გაღმა და გამოღმა შუამთის კოლმეურნეობები შეერთდა და ჩამოყალიბდა ერთი – შუამთის კოლმეურნეობა. თავმჯდომარეები 1974 წლამდე იყვნენ: ილია მამფორია, ერასტი ფარცხალაძე, ივერიკო ყუბანიშვილი, ალისტრახო ჯოგლიძე და ისმაილ მილორავა. 1974 წელს, სოფელ შუამთის, მუქედისა და ციხესულორის კოლმეურნეობების გაერთიანების ბაზაზე შეიქმნა „შუამთის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა“. ამდენად, კოოპერაციული მეურნეობა-კოლმეურნეობა გადაკეთდა საბჭოური სტილის ორგანიზაციად. შუამთა მრავალდარგოვანი სოფელია, რასაც ხელს უწყობს ნოციერი მიწის ფონდიც.

შუამთის საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც გააჩნდა იმ დროისათვის უმძლავრესი ბაზა, აწარმოებდა რაიონის მებოსტნეობის პროდუქციის 50%-ზე მეტს და რძის პროდუქტების 40%-მდე. იგი ძირითადი დარგების გარდა ფლობდა მემარცვლეობისა და მევენახეობის დარგებსაც. აქ მოჰყავდათ თითქმის ყველა სახის ბოსტნეული. განვითარებული იყო თევზსაშენი სატბორე მეურნეობა, რომელიც განთქმული იყო სქელშუბლა თევზის მოშენებით. მეურნეობის დირექტორები სხვადასხვა დროს იყვნენ: ოთარ გიორგაძე, ისმაილ მილორავა, ელეფთერ ღვინიაძე, დუმიკო მებურიშვილი, სიმონ ხარძეიშვილი, რობინზონ ფუტკარაძე, ვახტანგ ღვინიაძე, გიგლა ქუთათელაძე და შოთა კუჭუხიძე.

შუამთა ფლობს მასიურ სახნავ-სათეს ფართობებს, რომელიც მოსახლეობას პრივატიზაციის შემდეგ 0,75 ჰა-მდე გადაეცათ საკარმიდამო ფართობად, ე.წ. „შევსებად“. მათი სახელწოდებებია: „განყვეტილა“, „ცხრა ხიდა“, „სამწყერია“, „საღლაზია“, „საქსურია“. აღნიშნული ფართობები სამამულო ომის დროს 1941-45 წლებში სოფელში დარჩენილი ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების მიერ მუშავდებოდა. სწორედ მათ მიერ იქნა გაყვანილი „მულუნას არხი“, რომელიც, სწორედ ამ ფართობის საწრეტად გამოიყენებოდა. სოფელს კარგად ახსოვს ამ ქალბატონების ღირსება და თავდადება. ესენი იყვნენ: მაშო გოგაძე-ტყემელაშვილისა (ის რამდენიმე წელი ტრაქტორისტად მუშაობდა), თინა ცხვარაძე-ტყემელაშვილისა (ბრიგადის ხელმძღვანელი), ქსენია მამფორია-ნაფეტვარიძისა (იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი მონვევის დეპუტატი გახლდათ.).

კოლექტივიზაციის სანყის პერიოდში „ნადარბაზებსა“ და ენერის¹ ტერიტორიაზე ცოლიკაურის ჯიშის ვაზი იყო გაშენებული, რომელსაც ხელმძღვანელობდა ისააკ გოგაძე. მევენახეები იყვნენ ივანე მამფორია და გიორგი ხუნდაძე. ამ ადგილზე ყურძნის უხვ მოსავალს იღებდნენ. შუამთის უხუცესები იგონებენ იმ დროს და დანახებით იტყვიან-დღესაც ის ადგილი საუკეთესოა ყურძნის მოსავლის მისაღებადო. აქვე, ენერის ტერიტორიაზე, ყოფილა გაშენებული მანდარინის ბაღები, რომელიც 1939 წლის მაღალი ყინვის გამო გადამხმარა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ადგილზე, კონკრეტულად ნადარბაზევში, სპეციალურად, საგანგებო პროგრამით, 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გაშენდა ალადასტური (ალადასტური უნიკალური ჯიშის ყურძენი), რომელიც მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანასა და რაიონში განვი-

თარეპული მოვლენების საფუძველზე, საქმისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების გამო, მოუვლელით გადახმა და განადგურდა. ამჟამად კი, სოფელში გაშენებული ვაზი კერძო მფლობელთა საკუთრებაშია. სოფლისათვის პრიორიტეტს წარმოადგენდა მებაბრეშუმეობაც, ეს სოფელი ამ მხრივ განთქმული იყო და ჰყავდა დარგის ნოვატორებიც, ალექსანდრა გვენეტაძე, ელენე სუბატაშვილი, სონია აბრამიძე-მამფორია და არაერთი სხვა დარგი მნიშვნელოვანი იყო თავისი ეკონომიკური უკუგებით და გლეხური ოჯახებისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვანი შემოსავლის წყაროს, ეს დარგი დღეს არამარტო სოფელში, ვანის მუნიციპალიტეტშიც აღარ არსებობს.

სოფლის მოსახლეობის საარსებო დონე შემოიფარგლება სასოფლო-სამეურნეო შემოსავლით. სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობა შედარებით დამაკმაყოფილებელია. თუმცა არა ადგილზე დასაქმებითა და გამომუშავებით და კერძო მეურნეობიდან შემოსავლებით, არამედ საზღვარგარეთ სამუშაო და ინტელექტუალური ძალის გადინებით და ამნაირად გამომუშავებული ფინანსური საშუალებების საფუძველზე, ისე როგორც ეს დღეს თითქმის მთელი საქართველოსათვისაა დამახასიათებელი.

შუამთაში 1920-იან წლებამდე მოქმედებდა ერთი სამრევლო, ორწლიანი სასწავლებელი, რომელიც განთავსებული იყო თამაზ ფარცხალაძის სახლში (გამგე ვასილ ფარცხალაძე). შუამთაში პირველი საერო სკოლა (არასაშუალო) 1927 წელს აშენდა, ხოლო 1932 წლისათვის შუამთის ტრიტორიაზე განთავსეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, რომელსაც დაეთმო აქ არსებული სამეურნეო ორგანიზაციის შენობები. აღნიშნული ტექნიკუმი შუამთაში გადატანამდე ფუნქციონირებდა ვანის თემსაზოგადოების (დღეს ქალაქი ვანი) ცენტრში. შუამთაში ტექნიკუმს გადაეცა მიწის ფართობი სასწავლო პრაქტიკის განსახორციელებლად. 1960-იან წლებში საქმიანობის პროფილის გაფართოების შედეგად აგებული იქნა ახალი ორასთულიანი შენობა სწავლებისათვის აუცილებელი კლასკაბინეტებით, ბიბლიოთკით, სააქტო დარბაზით და ა.შ. ტექნიკუმი ამზადებდა აგროტექნიკოსებს, მეფუტკრეობისა და მებაბრეშუმეობის დარგის სპეციალისტებს, რომელთაც სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სხვადასხვა რაიონების მოთხოვნათა მიხედვით ანაწილებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სასწავლებლის პირველი დირექტორი იყო ბენია აბრამიძე, შემდეგ ერმილე ენუქიძე და ნინა აფხაზავა, რომელიც სასწავლებელს ხელმძღვანელობდა თითქმის 38 წლის მანძილზე.

1977 წელს შუამთის (ვანის) სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი სიტუაციებიდან გამომდინარე გადაკეთდა საქართველოს პროფტექგანყოფილების სახელმწიფო კომიტეტის ვანის (შუამთის) №118 საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლად, რამდენადმე შეინარჩუნა პროფილი, დაემატა ახალი მიმართულებანი. ამ სასწავლებლისათვის 1987 წელს დასრულდა ახალი ოთხსართულიანი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, სასწავლებლისათვის ყველა საჭირო ატრიბუტებით (ლაბორატორიები, კლასკაბინეტები, სასწავლო ავტოდრომი, სპორტული და სააქტო დარბაზები და ა.შ.) სადაც სწავლობდა 300-მდე მოსწავლე.¹

ამდენად, სოფელ შუამთაში საშუალო სკოლის გახსნამდე ფუნქციონირებდა ზემომითითებული ტექნიკუმი. საშუალო სკოლა კი სოფელში გაიხსნა 1940 წელს. 1985 წელს სოფელში აგებული იქნა საშუალო სკოლის ახალი შენობა 480 მოსწავლეზე, კლასკაბინეტებით, სასკოლო ლაბორატორიებით, სპორტული და სააქტო დარბაზით და ა.შ. სკოლა დაკომპლექტებული იყო რაიონისათვის ცნობილი მაღალაკადემიური პედაგოგიური კადრებით. ეს პოზიცია შენარჩუნებულია დღესაც. სკოლას დირექტორობდნენ: სევერიანე ფარცხალაძე, ამბროსი შენგელია (მეორე მსოფლიო ომის ვეტარენები) სერგო ადეიშვილი, ნათელა ახოვაძე, დღეისათვის ხელმძღვანელობს ლეონინე სულაბერიძე.

ახალი სასწავლო კორპუსების აგების შემდეგ არსებულ (გამონთავისუფლებულ) სკოლის შენობას ჩაუტარდა რეკონსტრუქცია და მასში განლაგდა სქემური კაბელების საწარმო². დღეს

¹ დეტალურად აღნიშნულ ტექნიკუმებსა და პროფსასწავლებლებზე შეგიძლიათ იხილოთ სტატია ამავე ნომერში „ვანის სასწავლებლები“

² დაზუსტებისათვის ეს საწარმო წარმოადგენდა ცნობილი, ლენინგრადის სამრეწველო ორგანიზაციის ფილიალს, უშვებდა განსაკუთრებულ პროდუქციას, რომელიც გამოიყენებოდა საავიაციო და სატელეკომუნიკაციო და რიგ სხვა დანიშნულებათა მიხედვით. (რედ).

ამ შენობიდან ნაწილია შემორჩენილი. ყოფილი სკოლის ეზოც ორნაწილადაა გაყოფილი, ერთ-ნახევარზე 2006 წელს აშენდა შუამთის ნათლისღების ტაძარი, მეორე ნახევარზე აშენდა საბავშვო ბაღის შენობა. სოფელში 2000 წლიდან 2013 წლამდე ფუნქციონირებდა კერძო სკოლა-ლიცეუმი „ცოდნა“, რომელმაც მოქმედება შეწყვიტა ფინანსური პრობლემების გამო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სოფელი შუამთა უბნებადაა განაწილებული. გაღმა შუამთა დასახლებულია სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებით. კერძოდ, ნაფეტვარიძეების, გოგაძეების, მამფორიებისა და სხვა შერეულ გვართა უბნებით, ხოლო გამოღმა შუამთაში, ძირითადად, სულაბერიძეების, ღვინიაძეების, მაჭარაძეებისა და მილორავეების უბნებია. სოფლად ხანგრძლივად მცხოვრები გვარებია: გოგაძეები, ნაფეტვარიძეები, მამფორიები, მელაშვილები, ღვინიაძეები, სულაბერიძეები, მაჭარაძეები, მილორავეები, ალფაიძეები, ბახტაძეები, ძაგნიძეები და სხვა. სულაბერიძეების გვარის ოჯახები გადმოსახლებულან ხონის რაიონის სოფელ გორდიდან. მამფორიები ჩხორონწყუს რაიონის სოფელ ნოლადან. გოგაძეების გვარი აჭარისა და აფხაზეთში გადმოსახლებული. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოსახლებული გიორგი სულაბერიძე, გარდაცვალების შემდეგ იმ ადგილზე დაუკრძალავთ, სადაც ამჟამად „ჭილოფნარის“ სასაფლაოა. აქვე აუშენებიათ პირველი ხის ეკლესია, რომელიც კომუნისტური წყობილების დროს დაუნგრევიათ.

XX საუკუნის დასაწყისისთვის, სოფელ შუამთაში რაიმე სახის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება არ არსებობდა. 1950 წელს აშენდა სოფლის კულტურის სახლი. კულტურის სახლის პირველი დირექტორი იყო გიორგი ახობაძე. შემდეგ წლებში ლევან გერსამია, როალდ ეფრემიძე, ვახტანგ კაცაძე, მთვარისა გიორგაძე. ამჟამად კულტურის სახლის დირექტორია თინათინ რამიშვილი. 1980-იანი წლების მეორე ნახევრიდან შუამთის ცენტრში აგებულ იქნა ახალი, მოცულობითი კულტურის ცენტრის შენობა, სარეპეტეციო დარბაზებით, აქვე განთავსდა ბიბლიოთეკაც.

1951 წლიდან, კულტურის სახლთან არსებობდა ფოლკლორული ჯგუფი (ხელმძღვანელი თორნიკე სულაბერიძე). 1997 წლიდან ფოლკლორულ ჯგუფს უკვე ანსამბლი „შუამთა“ ეწოდა. ანსამბლს დღესაც ხელმძღვანელობს თორნიკე სულაბერიძე-86 წლის ღვანლმოსილი, კულტურის დამსახურებული მუშაკი. 2012 წელს ანსამბლს გადაეცა სერთიფიკატი სრულიად საქართველოს პირველ ფესტივალში „მრავალჟამიერი“ – წარმატებული მონაწილეობისათვის. აქვთ გამოცხადებული უამრავი მადლობა საკავშირო ფესტივალებში მონაწილეობისათვის და ა.შ. შუამთის კულტურის სახლში ფუნქციონირებს აგრეთვე ფოლკლორული ტრიო „იმერეთი“, რომლის წევრები არიან ძმები პალიკო და შოთა რამიშვილები და გიორგი კორძაძე(ხელმძღვანელი იური კორძაძე). 2015 წელს, ბათუმში ჩატარებულ ინტერნაციონალურ ფესტივალში „GOLD STARE“, ტრიოს გადაეცა გრან-პრი. ისინი მალევე მსოფლიო ფოლკლორის კონგრესზეც მიიწვიეს. ხოლო 2014-2015-2016 წლის განმავლობაში სამჯერ გახდნენ გრან-პრის მფლობელები და მთავარი პრიზი აიღეს ბაქოშიც. გარდა ამისა, ისინი უამრავი პრიზის მფლობელები არიან.

მუსიკალური სასწავლებელი სოფელ შუამთაში 1983 წელს გაიხსნა. წლების განმავლობაში მისი დირექტორები იყვნენ: 1982-1986 – დარეჯან გიორგაძე, 1986-1990 – მალხაზ ამყოლაძე, 1990-2017 ირინე გურგენიძე. მოსწავლეთა რაოდენობა კი 140-დან 200-მდე მონაცვლეობდა. 2005 წლის შემდეგ მოსწავლეთა რაოდენობამ იკლო, როგორც საშუალო სკოლაში, ასევე სამუსიკო სკოლაშიც. 2017 წლის მონაცემებით აქ მოსწავლეთა რაოდენობა ორმოცს აღწევს. პედაგოგები: ირინე გურგენიძე, მზია ზვიადაძე და ლელა დიასამიძე. ამათგან, კულტურის სამინისტროს მიერ, ირინე გურგენიძესა და მზია ზვიადაძეს მინიჭებული აქვთ დამსახურებული მასწავლებლის წოდება. ამჟამად სამუსიკო სკოლა ვანის სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის დაქვემდებარებაშია.

1951 წლიდან, სოფელ შუამთაში არსებობდა სასოფლო და საბავშვო ბიბლიოთეკები. დროთა განმავლობაში გამგეები იყვნენ: თალიკო აბრამიძე, ნინა სულაბერიძე და მადლენა

მელაძე. 2006 წლიდან მოხდა ბიბლიოთეკების გაერთიანება. შუამთის ბიბლიოთეკას შეუერთეს მთისძირის, ჭყვიშისა და მუქედის ბიბლიოთეკები (რადგან დაუფინანსებლობის შედეგად ამ ბიბლიოთეკებს შეუწყვიტეს საქმიანობა) ამჟამად, შუამთის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის რაოდენობა 22 320-ია. კულტურის სახლისა და ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია.

სოფელი შუამთა წარმოჩინებული იყო თავისი, განვითარებული, სოციალური ინფრასტრუქტურითაც. ინტელიგენციას ძირითადად პედაგოგები, კულტურის მუშაკები და ექიმები წარმოადგენენ. ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან, სოციალისტურ ეპოქაში, სოფელში არსებობდა ახალ შენობაში განლაგებული კომპლექსური საავადმყოფო, ლაბორატორიითა და რენტგენით. აქვე ფუნქციონირებდა სოფლის აფთიაქი და სხვადასხვა მომსახურების ობიექტები. საავადმყოფოს მთავარი ექიმი გახლდათ სერგო ბუბუტიევილი. ექიმებად მუშაობდნენ: ილია კობეშავიძე, საულ კორძაძე (შემდგომში ამავე საავადმყოფოს ხელმძღვანელი), აღნიშნული სამედიცინო დაწესებულებები დღეისათვის აღარ ფუნქციონირებენ. ამჟამად სოფელს აქვს მხოლოდ ამბულატორია. (ექიმი მანანა კაცაძე).

XX საუკუნის სანყისამდე შუამთაში მოქმედებაში იყო, ფართო სავაჭრო ქსელი, სტანდარტულად აგებული ორსართულიანი სავაჭრო ცენტრით, პურის საცხობით, შესაბამისი მაღაზიებით, მოქმედებდა არა ერთი საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და კავშირგაბმულობის ობიექტები.

რამდენიმე წლის წინ სოფელში აშენდა თხილის გადამამუშავებელი საწარმო (მეპატრონე ონოფრე ნანობაშვილი), სადაც დასაქმდა სოფელში მცხოვრები ქალბატონები, მაგრამ კონკურენცია იმდენად დიდი იყო, რომ მუშაობის მსურველთა რაოდენობა დიდად აღემატებოდა სამუშაო ადგილის რაოდენობას.

ამჟამად სოფელში არის კერძო სავაჭრო ობიექტები, ორი პურის საცხობი, ორი წისქვილი (წყლისა და ელექტრო). ცენტრალური გზა ასფალტირებულია. საუბნო გზების უმეტესობაც მოასფალტებულია. სოფელში არის ორი ცენტრალური ხიდი, მდინარე ნასერელასა და ყუმურზე, რომელიც ახლახან იქნა რეაბილიტირებული. სოფელი მიმდინარე მომენტისთვისაც უზრუნველყოფილია კავშირგაბმულობის საშუალებებით და სატელევიზიო მომსახურებით. მონესრიგებულია როგორც ელექტრომომარაგება, ასევე გაზიფიცირებაც.

სოფელ შუამთაში ფუნქციონირებს ორი მართლმადიდებლური ტაძარი – ქედის „წმ. გიორგის“ და „ნათლისღების“ სახელობის ტაძრები. ქედის „წმ. გიორგი“ – აგებულია 1615 წელს. იგი ერთ-ერთი უძველესი ტაძარია იმერეთში შემორჩენილ XVII საუკუნის ძეგლთაგან (წინამძღვარი დეკანოზი მამა ზაქარია (დვალისძე)). მეორე, შუამთის „ნათლისღების“ ტაძარი, რომელიც 1999 წლიდან მოქმედებს. მშენებლობის ინიციატორები იყვნენ მაშინდელი საკრებულოს თავმჯდომარე ლალი სულაბერიძე, სოფლის დეპუტატი გოჩა გოგაძე და შუამთაში მცხოვრები გია მამფორია – ვანის გამგეობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე. ტაძრის მოძღვარია, დეკანოზი მამა კონსტანტინე (გაბუნია).

სოფლის უხუცესის, მიხეილ ბაღდავაძის გადმოცემით სოფელ შუამთის საეკლესიო პირები იყვნენ: იუსტინე მამფორია (ბლალოჩინი), ამბერკი მამფორია მღვდელ იუსტინეს ძმა, რომელიც 1937 წელს გაუკულაკებიათ. მისი ნაამბობით, ამბერკი მამფორია ახლო მეგობარი ყოფილა ფილიპე მახარაძის. როცა იგი სტუმრად სწევია ვანს, კერძოდ, 1939 წელს, ამბერკის ფილიპე ოჯახში მიუწვევია. უხუცესის ნაამბობიდან ვიგებთ აგრეთვე, რომ როგორც მენშევიკებმა, ასევე ახალმა კომუნისტურმა რეჟიმმა, ეკლესია-მონასტრები, როგორც ყველგან, ისე შუამთაშიც შეავიწროვა – „წმ.გიორგის“ ტაძარში შეცვენილან და ხატები გარეთ გამოუყრიათ.

როგორც წესი, სოფლის წარმატებას იქ დაბადებული და აღზრდილი ადამიანები განსაზღვრავენ. საამაყო ადამიანების მხრივ არც შუამთა ჩამორჩება. სოფლის სახელოვანი ადამიანები არიან, პოეტები – გალაკტიონ და ტიცინან ტაბიძეები, გიორგი ნაფეტვარიძე და ლადო სულაბერიძე, პროფესორები: სოლომონ ყუბანეიშვილი, ტიტე სულაბერიძე, ოთარ ნაფეტ-

ვარიდე-საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შიო ნაფეტვარიძე (მან ახალი სიტყვა თქვა საამშენებლო მექანიკის ისტორიაში), მეცნიერი შოთა სულაბერიძე, რე-სპუბლიკის დამსახურებული ექიმი გიგლა მამფორია, დამსახურებული მასწავლებლები: შალვა გოგაძე, ელენე ნაფეტვარიძე, სევერიანე ფარცხალაძე და სევერიანე ალფაიძე. კარდიოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი დოდო ნაფეტვარიძე, გასტრო-ენტეროლოგი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს და ევროპის გასტრო-ენტეროლოგთა ასოციაციის წევრი გელა სულაბერიძე.

სოფლიდან სამამულო ოში განვეულ იქნა 375 კაცი. მათ შორის მშობლიურ კერას ვერ დაუბრუნდა 298. იყო ოჯახები, რომელთაგან ორი ახალგაზრდა წავიდა და არცერთი არ და-ბრუნებულა. საბრძოლო მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდნენ პოლკოვნიკი შალვა მამ-ფორია (დივიზიის უფროსის მოადგილე). პარტიზანულ ბრძოლებში სახელი გაითქვა: შოთა ფარცხალაძემ, ომის მონაწილეები იყვნენ პედაგოგები: სევერიანე ფარცხალაძე, შოთა ბახ-ტაძე, სევერიანე ალფაიძე, აპოლონ მილორავა, შოთა და ილია მამფორიები. ქალბატონი ალე-ქსანდრა გიორგაძე კი არტილერისტი იყო. სოფელში გაშენებული იყო ომში დაღუპულთა (შინ-მოუსვლელთა) მემორიალი.

რაც შეეხება დღესასწაულებს, სოფელი შუამთელობას აღნიშნავს 19 იანვარს, ნათლისღების დღესასწაულზე. აგრეთვე აღინიშნება გიორგობა. გარდა ამისა, შუამთაში თითქმის ყველა საერო თუ რელიგიური დღესასწაული აღინიშნება, ხოლო რაც შეეხება შუამთელობას, ეს ტრადიცია აქ 2009 წლიდან – ნათლისღების ტაძრის კურთხევის დღიდან დაარსდა.

ვანის რაიონის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის „კვლევის ცენტრი“

მადლობას უხდის:

– გულწრფელი მადლობა ვანის მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ ზაზა ხურციძეს და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ ალექსანდრე ლილუაშვილს წინამდებარე ნომრის გამოცემაზე დახმარებისათვის.

– „მატიანეში“ გამოქვეყნებული ყველა სტატიის, კვლევისა და წერილის ავტორს.

– „კვლევის ცენტრის“ მეცნიერ-კონსულტანტებს გვერდით დგომისა და დახმარებისათვის.

– ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოს. სახელოვნებო, განათლებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრს.

– მადლობას ვუხდით „მბმ პოლიგრაფის“ ხელმძღვანელობასა და მათ თანამშრომლებს „მატიანეს“ ხარისხიანად გამოცემისათვის.

რედაქტორი – ომარ კაპანაძე (კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი)

რედაქტორ-გამომცემელი – ბეჟან ნაქაძე

ზაურ თათვიძე

სარედაქციო კოლეგია:

გურამ ყიფიანი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული არქეოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, სოფელ ციხესულორის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი.

თეიმურაზ სურგულაძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკის დეპარტამენტის სრული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის განყოფილების უფროსი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, აკადემიკოსი.

თეიმურაზ ადეიშვილი – პროფესორი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ამავე აკადემიის დასავლეთ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ომარ ძაგნიძე – ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ურჩა დვალისვილი – ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ლუკა დვალისვილი – ასოცირებული პროფესორი. ქალაქ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი.

ოლეგ ალავიძე – პროფესორი, ხელოვნებათმცოდნე, პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ომარ გაბუნია – ვანის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორი.

პასუხისმგებელი მდივნები: **აკაკი თევზაძე, თამილა მჟავანაძე**

კორექტორები: **ბელა ცაბაძე, ინდირა გოგოძე**

კომპიუტერული ვერსია – **ბელა ცაბაძე**

„მატიანეს“ გარე ყდაზე – ვანის ნაქალაქარის კარიბჭე

ფოტოილუსტრაცია – **სალომე ტოხვაძე**